ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პოლიტიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევი ცენტრი

შრომების კრებული

სადისკუსიო კლუბი
„ქართული სახელმწიფო“

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 2003

უაკ (UDC) 340 (479.22)(082)
შ877

ქართველობა და საქართველო დღეს ახალი საუკუნის და ახალი ათასწლეულის გზაჯვარედინთან დგას: სით წავიდეთ, რა გზას დავადგეთ. აი, დილემა, რომლის გადაწყვეტა ჩვენი თაობების უპირველესი ამოცანაა.

პრობლემის არსი იმაში მდგომარეობს, რომ გარნისიდან — „ოქროვანი ხანის საქართველოს" ამ დაისიდან მოყოლებული, ქართველმა ერმა დაკარგა განვითარების ბუნებრივ-ისტორიული გზა და ბოლოს სახელმწიფოებრიობაც— ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით ტრაგიკული აღმოჩნდა ჩვენთვის უკანასკნელი 200 წელი, როცა ახალმა იმპერიულმა ძალამ ერთიანად მოსპო ეროვნული სახელმწიფოს ყოველგვარი ნიშანწყალი.

მესამედასური კოსმოპოლიტურ-ინტერნაციონალური „უცხო ბაძის სენი" დღემდე გრძელდება. ილიას შემდეგ ეროვნულმა ძალებმა, სამწუხაროდ, ვერ შეძლეს „წარხდენილი ქართული წეს-წყობის აღდგენა". 1918-21, 1990-91 და 1992 წლიდან დღემდე ყველა ცდა ამ მიმართულებით მარცხით დამთავრდა. მარცხის მთავარი მიზეზი ეროვნული ისტორიის ეროვნული ფესვებისა და მემკვიდრეობის უგულებელყოფაა.

კრებულის ამოცანაც ამ მემკვიდრეობისაკენ შემობრუნებაა. გზა ახალი ქართული სახელმწიფოებრიობისაკენ მხოლოდ მასზე გადის.

სარედაქციო კოლეგია: ანზორ ხელაშვილი
ომარ გოგიაშვილი
ელბერდ ბატიაშვილი

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003

ISBN 99940-20-95-1

მივესალმები თსუ პოლიტოლოგიური ცენტრის პირველ სამეცნიერო კრებულს. ორიოდე წელია, რაც ეს ცენტრი არსებობს და, ვფიქრობ, ამართლებს თავის დანიშნულებას. რა თქმა უნდა, მეტის გაკეთებაც შეიძლებოდა ამ ხნის მანძილზე, მაგრამ, როგორც იტყვიან, ყველაფერი წინ არის — ცენტრის მუშაობა სამომავლოდ უფრო მეტად მიიღებს გამოყენებით პოლიტოლოგიურ ხასიათს, რაც წამყვანი მიმართულებაა მსოფლიოს მოწინავე პოლიტოლოგიურ ცენტრებში.

ამის მაგალითად შეიძლება გამოდგეს ცენტრის ეგიდით მოქმედი სადისკუსიო კლუბი — „ქართული სახელმწიფო". მის სხდომებზე გამომსელელთა რაოდენობა და დონე იმის მაჩვენებელია, რომ კლუბი შეასრულებს თავის მისიას — შეიმუშავებს ქართული სახელმწიფოს კონცეფციას. წინამდებარე კრებული აქეთკენ გადადგმული პირველი ნაბიჯია. ისიც სიმბოლურია, რომ მასში გაერთიანებულია მრავალი სპეციალობის მეცნიერთა, სტუდენტთა, მაგისტრანტთა და ასპირანტთა ნაშრომები: ახალი საქართველო და ახალი ქართული სახელმწიფოებრიობა ხომ ჩვენ ყველამ ერთად უნდა შევქმნათ. პოლიტოლოგიაც ამიტომ არის თავისებური „შემკრებლობითი მეცნიერება"...

„უნივერსიტეტი უნდა გახდეს ერის წამყვანი ძალა", — წერდა დიდი ივანე და ერის დღევანდელი ინტელექტუალური ძალების ვალია შევასრულოთ მისი ეს მოწოდება. პოსტკომუნისტური საქართველოს პირობებში ეს ნიშნავს სწორად გადავწყვიტოთ გარდამავალი პერიოდის უმთავრესი ამოცანა — ახალი ქართული სახელმწიფოსათვის თეორიული საფუძვლების მომზადება. ვფიქრობ, რომ წინამდებარე კრებული გარკვეულ წვლილს შეიტანს ამ დიდ საშვილიშვილო საქმეში. პირველ რიგში, მხედველობაში მაქვს გარდამავალი პერიოდის ქართული სახელმწიფოს კონცეფტუალური ხედვა. ახლა მთავარია, რომ მან პრაქტიკაში

გარკვეული ასახვა პოვოს. ჩვენს მიერ განზრახული მეორე კრებულიც, ალბათ, სწორედ იმას მიეძღვნება, თუ რამდენად შევძლებთ ჩვენ ყველა – სახელმწიფოც და საზოგადოებაც – „ვარდების რევოლუციით“ ჩასახული დიდი იმედების გამართლებას. ამასთან, ამით გვინდა დავამკვიდროთ კრებულის ყოველწლიურობის ტრადიციაც.

თსუ პრორექტორი
სამეცნიერო ნაწილში,
პროფესორი **ანზორ ხელაშვილი**

ეძღვნება ლევან სანიკიძისა და
ლადო ჭანუყვაძის ხსოვნას

წინასიტყვაობა

გლობალიზმი დღეს მცირე ერებს თვითშენახვისა და გადარჩენის მხოლოდ ერთ შანს გვიტოვებს. ეს შანსი ეროვნული თვითმყოფადობის, ტრადიციებისა და ცხოვრების წესის შენარჩუნებაა. ამისათვის კი ნებისმიერ ერს გარკვეული პოლიტიკური ორგანიზაცია და პოლიტიკური ნება, პირველ რიგში კი, ეროვნული სახელმწიფო სჭირდება. ჩვენი ერისა და ქვეყნის მომავალი ბედი იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად შევძლებთ ქართული სახელმწიფოს მშენებლობის საკითხის გადაჭრას.

მაგრამ ფაქტი ისაა, რომ წელი წელს მისდევს და ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის ამოცანა კვლავ გადაუჭრელ პრობლემად რჩება. საკითხავია, რატომ? ჩვენი აზრით, ამის მიზეზი არასწორი პოლიტიკური სტრატეგიაა. ეს არასწორი სტრატეგია მესამედასური იდეოლოგიის თავისებური რეციდივია, რომლის არსი, ეროვნული მემკვიდრეობის ნაცვლად, უცხო ქვეყნების გამოცდილების წინა პლანზე წამოწევა და გაფეტიშებაა. დააკვირდით, დღესაც, ისე როგორც ასი წლის წინ, ხსნას სხვაგან ვეძებთ და არა საკუთარ ისტორიულ გამოცდილებასა და ეროვნულ მემკვიდრეობაში. ჩვენი კონსტიტუცია თუ ნებისმიერი კანონი ამ მესამედასური „უცხო ბაძის" თავისებური ანარეკლია. სახელმწიფო მართვა-გამგეობის დღევანდელი „ამერიკული" თუ სხვა ნებისმიერი უცხო ქვეყნის მოდელი კი ყოველთვის წინააღმდეგობაში აღმოჩნდება ჩვენს ეროვნულ სინამდვილესთან იმიტომ, რომ საქართველო არც ამერიკაა, არც რუსეთი და არც ნებისმიერი სხვა ქვეყანა.

ჩვენ ამით იმის თქმა კი არ გვინდა, რომ ზოგადკაცობრიული გამოცდილების წინააღმდეგნი ვართ. რა თქმა უნდა, არა. ამ გამოცდილებასაც გათვალისწინება და გამოყენება უნდა. ილია ჭავჭავაძის „საერთო ნიადაგის" თეორიის ერთ-ერთი სახელმძღვანელო პრინციპი და, ერთდროულად, მეთოდიც სწორედ ისაა, რომ ამ შემთხვევაშიც „ბედნიერად მოვარიგოთ" ეროვნული და ზოგადკაცობ-

რიული საწყისები ერთმანეთში. ამიტომაც შესთავაზა ილიამ მესამედასელებს თავისი „ივერია“ თანამშრომლობისათვის, „საერთო ნიადაგზე დგომისა და ერთნებობა-თანადგომისათვის“.

ჩვენი მაშინდელი და დღევანდელი ტრაგედიის არსიც იმაში მდგომარეობს, რომ ვერა და ვერ მივაღწიეთ „ოქროვანი ხანის საქართველოს ამ ერთნებობა-თანადგომას“ ეროვნული ცხოვრების ვერც ერთ სფეროში. ვერ მოხდა ეს გარნისთან და მის შემდგომ, როგორც ძველი, ისე ახალი „ძნელბედობისას“. ყველა ეპოქაში შესაშური ერთგულებით ვიმეორებთ ახალ გარნისებს და ახალ ბაზალეთებს. უკანასკნელად ხომ ეს შესანიშნავად ვაჩვენეთ ამ თორმეტი წლის წინ რუსთაველზე... საქართველოს ისტორიას და ქართულ სახელმწიფოს არადა არ ელირსა ახალი დიდგორი და ახალი შამქორი, ახალი რუის-ურბნისი და ახალი „ერთა საბჭო“...

რაშია საქმე? ახლა მაინც, როცა თითქოსდა ყველა პირობაა დიდი მიზნის აღსრულებისა — ქართული სახელმწიფოს „აღდგინებისა“ და „ჩვენი თავის ჩვენად ყუდნებისა“, მიზანი მაინც მიუღწეველი რჩება?! რატომ არ გაამართლა ამ მიზნის მიღწევის ყველა წინანდელმა ცდამ? რატომაა, რომ ჟორდანიადან დაწყებული, ყველა ჩვენმა ხელისუფალმა სრული პიროვნული ფიასკო განიცადა? ამ წუთისოფლიდან წასულთა საფლავებიც კი არა გვაქვს საკუთარ მიწა-წყალზე და ვინც ჯერ კიდევ ამქვეყნადაა, სამსჯავროდ და სალანძღავად გახდომია საქმე.

საქმეც სწორედ ისაა, რომ ვერ ვნახეთ, ვერ მოვიძიეთ „ტაძრისაკენ“ მიმავალი ერთადერთი ჭეშმარიტი გზა. 1921 წლის ან 1991 წლის ტრაგედია მარტო რუსეთის ბრალი არაა, ანდა, „მეხუთე კოლონის“ ახალ-ახალი ორჯონიკიძე-მახარაძეებისა. გარნისისა არ იყოს, მარცხის მიზეზი საგარეო ფაქტორებში კი არა, ჯერ საკუთარ თავში უნდა ვეძიოთ. ჯერ კიდევ გიორგი ბრწყინვალის ჟამთააღმწერელი ჩასწვდა „რაც მოგივა დავითაოს“ ამ ჭეშმარიტებას და რადგან ისტორია უპირველესად „ჭეშმარიტის მეტყველება არს“, ჩვენც ვეცადოთ ჩავწვდეთ თანამედროვე საქართველოს ტრაგედიის ამ ჭეშმარიტებას. მაშინ გამოჩნდება „ხსნის გზაც“.

თვითონ ისტორია და დღევანდელობა გვკარნახობს მას: არც ერთმა თაობამ და არც ერთმა ხელისუფლებამ ყურად არ იღო ის მოთხოვნა და საპროგრამო პრინციპი, რომელიც ილიამ ჯერ კიდევ

„საქართველოს მოამბეში“ წამოაყენა: „ახალი საქართველო ძველიდგან უნდა აღმოვშობოთ“. საქართველოს ახალი „ოქროვანი ხანისაკენ“ სხვა გზა არ არსებობს. ეს მან მხატვრული ფორმითაც გამოხატა პოემაში „მეფე დიმიტრი თავდადებული“ — „რაც ვყოფილვართ, ის აღარ ვართ, რაც ვართ, ის ნულარ ვიქნებით. ღმერთი გვიხსნის, თუ შვილთ მაინც, გზად და ხიდად გავედებით“! მთელი ჩვენი „ბედნიერი ერის“ ტრაგედიაც სწორედ ისაა, რომ არ გვინდა, დავუბრუნდეთ საკუთარ ისტორიას და საკუთარ ფესვებს. ამიტომ რჩება ილიას ხმაც „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“. დღესაც ჩვენ თავისებური ნოსტალგია-მონატრება გვაქვს თვით გუშინდელი „კომუნისტური ხანისა“ და „საბჭოთა წყობილებისა“ და არა ჩვენი ძველი „ოქროვანი ხანისა“. თვითმხილებად ესეც გვეყოფა: მწარე სიმართლეა, მაგრამ სიმართლეს სად გაეექცევით, თუ გვინდა, რომ ილია მართალივით მართალნი ვიყოთ ღვთისა და ისტორიის წინაშე...

სახელმწიფოს, როგორც ერის პოლიტიკურ ორგანიზაციას, ორი ძირითადი საწყისი და „ბალავრის ქვა“ უდევს საფუძვლად: სულიერი და მატერიალური, ანუ, უფრო კონკრეტული, თანამედროვე სახელდებით, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგია და ეროვნული ეკონომიკა. აქედან გამომდინარე, მომავალი ქართული სახელმწიფოს სტრატეგია და პოლიტიკური ფორმულაც მეტად მარტივია: ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგია — ეროვნული ეკონომიკა — ეროვნული სახელმწიფო. თუ ჩვენ გვინდა ეს უკანასკნელი რეალობად და შემდგარ ფაქტად ვაქციოთ, უნდა შევძლოთ შევიმუშაოთ ერთიანი და მწყობრი სისტემა ეროვნული იდეოლოგიისა და, მასთან ერთად, სტაბილური და მუდმივად განვითარებადი ეროვნული ეკონომიკისა. აი, ის 3 დიდი ამოცანა, რომელიც ქართული პოლიტიკისა და პოლიტოლოგიის წინაშე დგას გადასაჭრელად.

სადისკუსიო კლუბ „ქართული სახელმწიფოს“ მთავარ მიზნადაც თავიდანვე ეს იქნა დასახული. წინამდებარე კრებული პირველი ცდაა კონცეფტუალური სახით გადმოვცეთ ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის ჩვენეული ხედვა. ეს, რა თქმა უნდა, არ ატარებს რაიმე პარტიული პროგრამის ხასიათს. ჩვენ არც რაიმე სრულყოფილების პრეტენზია გვაქვს. იგი, უპირველეს ყოვლისა,

თავისებური ნედლი მასალაა შემდგომი დამუშავებისა და განსჯა-კამათისათვის. ჭეშმარიტება ხომ ამ გზით იბადება მუდამ. ამ მიზნით განზრახული გვაქვს სადისკუსიო კლუბის შემდგომი მუშაობა სწორედ ამ კონცეფციის განხილვასა და სრულყოფას მივუძღვნათ. მოვუწოდებთ ყველას, ვისაც ქართული სახელმწიფოს მომავალი ბედი აღელვებს, აქტიურად ჩაებას ამ დისკუსიაში.

რაც შეეხება ამ ჩვენი პირველი კრებულის სტრუქტურას, მასაც სამ დიდ თემად წარმოვუდგენთ მკითხველს: ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგია, ეროვნული ეკონომიკა და ეროვნული სახელმწიფო. თითოეული მათგანისთვის ვცადეთ მიგვეცა გარკვეული პოლემიკური და პუბლიცისტური ხასიათი. ვფიქრობთ, რომ ეს უფრო საინტერესოს გახდის მას აღქმისა და სამომავლო განსჯა-კამათისთვის. ამასთან, გადავწყვიტეთ, რომ საზოგადოებრივი განსჯისათვის წარმოვადგინოთ ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის ჩვენეული კონცეფტუალური ხედვა კლუბის წევრთა და ცალკეულ გამომსვლელთა მოხსენებების მოკლე ანოტაციების საფუძველზე. ვფიქრობთ, რომ მშრალი კანცელარიული სტილის ნაცვლად, ასეთი პუბლიცისტურ-პოლემიკური ფორმით უფრო ნათლად გამოიკვეთება ქართული სახელმწიფოს ის პოლიტიკური, სამართლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური პრინციპები, რომლებიც ჩვენგან პრაქტიკულ განხორციელებას ელიან. ამიტომ მივეცით კრებულსაც ემოციური დატვირთვა.

მკითხველს პირველ რიგში გვინდა ვაჩვენოთ „საერთო ნიადაგის" თეორიის არსი და ძირითადი პრინციპები, თეორიისა, რომლის გარეშე შეუძლებლად მიგვაჩნია რაიმე წარმატების მიღწევა ქართული სახელმწიფოს მშენებლობაში.

„ილიას გზა" — ასეთი უნდა გახდეს ჩვენი დევიზი ამ საშვილიშვილო საქმის დაგვირგვინებისათვის. ქართულ პოლიტოლოგიას, მთელ ჩვენს ეროვნულ მეცნიერებას სხვა უფრო მნიშვნელოვანი ამოცანა არა აქვს. სხვანაირად, იგი, როგორც ილია იტყოდა, დარჩება „უქმის ჭკვის უქმ ვარჯიშად".

რევოლუცია რევოლუციად, მაგრამ ნებისმიერ რევოლუციას ისტორია იმით აფასებს, თუ რა სარგებელი მისცა პრაქტიკაში ხალხს და ქვეყანას. მშვიდობიანი, უსისხლო რევოლუციაც ბევრ ქვეყანას ახსოვს ვარდებით თუ უვარდოდ, მათგან ბევრი გახდა

მართლაც გარდამტეხი მომენტი მოცემული ქვეყნის ისტორიაში. აქ ყველაზე კლასიკური მაგალითი, ალბათ, ინგლისის „სამრეწველო რევოლუციაა", კრომველის სისხლიანი რევოლუციის შემდეგ სათავე რომ დაუდო ინგლისის სტაბილურ პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას დღემდე.

ჩვენს ისტორიასაც თუ გადავხედავთ, აქ ასეთი ტიპის გარდამტეხ „მშვიდობიან რევოლუციად" დავით აღმაშენებლის რუისურბნისის საეკლესიო კრება ჩანს, სათავე რომ დაუდო მაშინდელ ეროვნულ იდეოლოგიას და ახალ ქართულ სახელმწიფოებრიობას. ღმერთმა ქნას, რომ ჩვენს თვალწინ ჩავლილმა რევოლუციამაც დასაბამი მისცეს ახალ ქართულ სახელმწიფოებრიობას და საქართველოს ახალ „ოქროვან ხანას". შევარდნაძემაც მიიღო ის, რასაც დავითის მამის, გიორგი II მსგავსად იმსახურებდა, უსაქმურობით და უპასუხისმგებლობით რომ გააპარტახა და თურქ-სელჯუკების საჯიჯგნად გახადა ქვეყანა. იგივე ითქმის ე.წ. „შევარდნაძის ეპოქაზეც", მისმა 30-წლიანმა მმართველობამ ორჯერ დაანგრია და გააპარტახა საქართველო და მისი ეკონომიკა.

70-იან წლებში, როცა იგი ე.წ. „ნეგატიურ მოვლენებს" ებრძოდა შესაშური ბოლშევიკური შემართებით, ჩანასახშივე ჩაკლა საბჭოთა წყობილების წიაღში წარმოშობილი ეროვნული მეწარმეობა და ეროვნული კაპიტალი, ყოველწლიურად 10-12 მილიარდი მანეთი რომ შემოჰქონდა ქვეყანაში იმპერიული ბიუჯეტის დამატებით. ეს უმთავრესად სახალხო მეურნეობის აგრარულ სფეროს ეხება — მართლაც რომ რევოლუციური გაქანებით და მასშტაბებით გარდაიქმნა და განეითარდა II მსოფლიო ომისშემდგომი ქართული სოფელი და ქართველი გლეხობა. დღესაც არის შემორჩენილი ჩვენს გლეხობაში მათთვის ტკბილმოსაგონარი „მჟავანაძის დრო" და მისი შესატყვისი კალამბურიც — „სანამ იყო ვასილიო, ჯიბე მქონდა გავსილიო. ახლა არის შავარდნაძე — შარვალი მაქვს ჩავარდნაზე". კიდევ უფრო მეტად გაუხდათ „შარვალი ჩავარდნაზე" დღეს უფუნქციოდ დარჩენილ ერის ძირითად მწარმოებელ ძალებს გაუაზრებელი და არაფრისმომცემი პოლიტიკისგან...

„მეფე შიშველია!" — უნდა თქმულიყო და ითქვა კიდეც, მაგრამ შემდეგ გვჭირდება ყველაზე მეტად რევოლუცია, ასე ვთქვათ, „საქმის რევოლუცია". საქმე და მხოლოდ საქმე გამოიყვანს ქვეყა-

ნას ასე გაჭიანურებული კრიზისიდან. „ვარდების რევოლუციაც“ იმით დაფასდება, რამდენად შეეძლებთ სიტყვიდან საქმეზე გადასვლას, ხალხის დაფარული ენერგიის აქტიურ ჩართვას ეროვნული ცხოვრების ყველა სფეროში. „ჩვენი ხსნა ხალხის თვითმოქმედებასა და თვითმართველობაშია“ – ესეც „საერთო ნიადაგის“ თეორიის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი სამოქმედო პრინციპია. ტყუილად არ უწოდებდა არჩილ ჯორჯაძე მას „მოქმედების“ თეორიას, ხოლო ამ თეორიაზე დაფუძნებულ პარტიას – „საქართველოს სოციალ-ფედერალისტურ პარტიას“ (რომლის რეანიმაციაც არავის გვახსენდება!), საქართველოს „ხსნის პარტიას“...

ჩვენ ყველა უნდა განვთავისუფლდეთ „მამა-მარჩენალის“ ძველი დამღუპველი ფსიქოლოგიის ტყვეობისაგან, როცა ერთ კაცს ვუკავშირებთ ხოლმე ჩვენს ხსნასა და გადარჩენას. რას ვიზამთ, ესეც „მესამედსური საქართველოს“ თავისებური დანალექია: „მარქსიზმის კლასიკოსების“ შემდეგ, ზვიადის ფენომენი გაჩნდა, მერე შევარდნაძის, ახლა საკაშვილის... უნდა გავიგოთ და გავითავისოთ – არანაირი ცალკე კაცი არ გვიშველის, ვინც გინდა იყოს იგი, თუკი მან სახელმწიფო მართვა-გამგეობის ისეთი ეფექტური სისტემა არ შექმნა, რომელიც ხალხის ძალასა და დიდ პოტენციურ ენერგიას, მის თვითმოქმედებასა და თვითმმართველობას მისცემს სწორ მიმართულებას. დიდ ისტორიულ პიროვნებადაც მხოლოდ ის რჩება, რომელიც რეალობად აქცევს ყოველივე ამას...

სწორედ აქ გვჭირდება ის, რასაც ჩვენ „ეროვნულ-სახელმწიფოებრივ“ იდეოლოგიას ეუწოდებთ. წინამდებარე კრებულიც იმის ცდა და იმისკენ მოწოდებაა, რომ ყველაფერი ეს სიტყვიდან საქმედ იქცეს „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ. ყველგან და ყველაფერში ხომ „პირველ იყო სიტყვა“. უკვე ერთი წლის შემდეგ, როცა ჩვენ მეორე კრებულს გამოვცემთ, ნათელი გახდება, სწორი გზით სიარული დავიწყეთ თუ არა ამჯერად მაინც... ალბათ, ამ მიზნით ხელისუფლებამაც უნდა შექმნას თავისი სამსახურებისათვის გარკვეული „სტრატეგიული დაგეგმარების ცენტრი“, რამაც ქართული სახელმწიფოს სრულყოფა-მშენებლობისათვის თავისებური „გენერატორის“ როლი შეიძლება შეასრულოს. მთავარი აქაც ხელისუფლების პოლიტიკური ნება და პასუხისმგებლობაა...

კვლავ ილიას გარეშე...

ბევრჯერ მითქვამს და ახლაც მინდა ვთქვა:

არც ერთ დამპყრობელს და არც ერთ ეპოქას, არც ერთ პარტიას და არც ერთ იდეოლოგიას არ „წარუხდენია ქართველთა სახელი და ქართული წეს-წყობა“ ისე, როგორც მესამედასურს. წიწამურთან აღზევებული ეს დასი 100 წლის „კოსმოპოლიტური უცხო ბაძის ტყვეობაში“ გვამყოფებს ქართველებს. ილია უარეყავით და ნოეს ჩავეხუტეთ გულში — „რუსული მარქსიზმის თვალაბმულ თუთიყუშს...“. ერის „თანამდევი უკვდავი სული“ თუთიყუშებს ვანაცვალეთ ჩვენ ყველამ ერთად. აკი, სიამაყით წერდა კიდეც ეს „ლანჩხუთელი პილატე“: „ქართველმა ხალხმა უარყო ილია ჭავჭავაძის ნაციონალიზმის დროშა და სოციალ-დემოკრატიის დროშის ქვეშ დადგა...“.

დღესაც ალტერნატივა — ილია თუ ნოე, ნაციონალიზმი თუ კოსმოპოლიტიზმი — ნოეს სასარგებლოდ წყდება. ჟორდანიას დიდი სურათის გვერდით ჩვენს პარლამენტში ობოლივით მოჩანს ილია ჭავჭავაძე. მეტი „გიჟვრაცუობა“ რაღა გინდათ... რუსულ პლეხანოვურ-ლენინურ დემოკრატიას ახლა ევროპულ-ამერიკული შეენაცვლა მხოლოდ. პოლიტიკა თუ იდეოლოგია, სახელმწიფო მშენებლობა თუ ეკონომიკა ან „პრორუსულია“, ან „პროევროპული“ თუ „პროამერიკული“, თვით „პროთურქულიც“ კი აღზევებულია ჩვენზე. ყველა და ყველანაირი „პრო“, მაგრამ არც ერთ შემთხვევაში „პროქართული“, თითქოს ამქვეყანაზე არც ქართველს და არც ქართულ სახელმწიფოს არასოდეს უარსებიათ და მემკვიდრეობაც იოტისოდენა არაფერი დაუტოვებიათ...

ეს კრებულიც ჩვენი სადისკუსიო კლუბისა თავიდან ბოლომდე XX საუკუნიდან XXI-ში გადმოსულ ამ დიდ ეროვნულ ტკივილს ეძღვნება, მის წამალს ეძებს, მასზე ღაღადებს, მასზე ჩივის და მასზე ტირის. კრებულში გაცოცხლებულია საქართველოს მომავლის გზისგამკვალავი დიდი ილიას უკვდავ-უბერებელი ფორმულა — „რანი ვიყავით, რანი ვართ, რად შეიძლება ვიქმნეთ“. მთავა-

რია, რომ ახლა მაინც ვიწამოთ, გავიგოთ და გავითვალისწინოთ „ტაძრისაკენ“ მიმავალი ეს გზა...

სხვისი არ ვიცი, მე კი მჯერა და მწამს, რომ ამ გაჭირვების ჟამს სწორედ ეს არის ძნელბედობიდან ხსნის ერთადერთი ჭეშმარიტი გზა. „ილიას გზა“ კი, რომელსაც ამ კრებულით გთავაზობთ, უტყუარია. ამ რწმენის საფუძველს მაძლევს ილიას არა მარტო ფანატიკური, გადაუჭარბებლად ვიტყვი, ჭეშმარიტად უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება ეროვნული მემკვიდრეობისადმი, არამედ ქართული აზრის და ქართული საქმის ამ მართლაც რომ „ამოუწურავი სიბრძნისწყაროს“ ენციკლოპედიური ცოდნა მთელი საკაცობრიო ისტორიული გამოცდილებისაც. მე პირადად რამდენჯერ დავრწმუნებულვარ: არ არსებობს ილიას არც ერთი წერილი და სტატია, არც ერთი მნიშვნელოვანი აზრი და შეხედულება, მისი „საერთო ნიადაგის“ თეორიის არც ერთი სამართლებრივი, პოლიტიკური თუ სოციალურ-ეკონომიკური პრინციპები, რომელნიც ამ გამოცდილებით არ იყვნენ ძუძუნაწოვნნი. ამიტომაც არის ილიას მემკვიდრეობა უტყუარი და მართალი...

სწორედ ამ მდიდარ ილიალოგიურ საფუძველზე შეიქმნა ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის წინამდებარე კონცეფცია, კონცეფცია, რომელიც განხორციელებას ელის. მეტიც, სწორედ ილიას ნააზრევის საფუძველზეა მოცემული საქართველოს მომავალი საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების კონსტიტუციური საფუძვლები და თვით საქართველოს კონსტიტუციის ალტერნატიული ვარიანტიც, რომელიც ამ კრებულის ერთ-ერთი ავტორის შემოქმედებაა: დღეს ილიას მემკვიდრეობაზე დაფუძნებული ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობის თეორიული მოდელი სახეზე გვაქვს, მაგრამ სადაა მისი საქმედ მქცეველი ძალა?!...

ტრაგედიაც ისაა, რომ საქართველოს „თანმდევი უკვდავი სული“ დღესაც ჩვენთან არის, ოღონდ ეგაა, რომ არც მაშინ და არც დღეს ჩვენ არა ვართ ილიასთან, იგი ვითარცა „დამყაყებული ნაციონალიზმის ბურჯი“ დღესაც „ჩავლილი მატარებელი“ გვგონია. მისი მემკვიდრეობა „მოძველებული და არაფრის მაქნისია“, „ოთარაანთ ქვრივი“ კი — ქართველების შემარცხვენელი „ასექსუალური ქალი“, ილიასთან ერთად — „ზედმეტი ბარგია“, ხოლო რუსთაველი — „ქართველი ერის გაუხუნარი გენია“ (ილია) —

„ერთი უბრალო ვიღაცა გაუგებარი პრიმიტივია“, თამარ მეფე კი, თურმე ნუ იტყვით, „ბოზანდარა დედაკაცია“... გაულანძღავი და გაუთათხავი ჩვენს წინაპართაგან აღარავინ დაგვრჩა...

ასე მოძღვრავენ ქართველ ხალხს თანამედროვე ჩვენი კოსმოპოლიტები — „მსოფლიო მოქალაქენი“, რომელთაც ძეგლებს ვუდგავთ რუსთაველზე დიდი ზარზეიმით. ესეც ანტიილიელ კოსმოპოლიტთა თავისებური „იდეური წიწამურია“... საოცარია — ილია ჰყავდეს ერს და სხვათა და სხვათა იდეებს და თეორიებს ეპოტინებოდეს ქართული სახელმწიფოს მშენებლობისათვის?!...

ილიაზე ასობით მონოგრაფია დაიწერა დღემდე და კიდევ მრავალი ასეული დაიწერება მომავალში. ჩვენი დიდი იმედიც სწორედ ის არის, რომ ილიალოგია გაბატონებული იდეოლოგია და პრაქტიკა გახდება უახლოეს მომავალში. კოსმოპოლიტიზმს და კოსმოპოლიტების ზეობას კი, ბოლოს და ბოლოს, სასრული მიეცემა, რათა საკუთარი ქვეყანა, საკუთარი ისტორია, საკუთარი ფესვები ვირწმუნოთ და ამით ჩვენივე თავიც „ჩვენადვე ვიყუდნოთ“. როგორც ჩანს, იმპერიათა ზეწოლამ ისე გაგვაუცხოვა საკუთარ ისტორიასა და ეროვნულ ტრადიციებთან, რომ „ჩვენადვე ყუდნების“ ეს პროცესი ასე სწრაფად და იოლად ვერ განხორციელდება.

წინამდებარე კრებულში სწორედ ამას ესმება ხაზი. გზაც ამისკენ ნაჩვენებია — „საერთო ნიადაგზე“ დგომა, ილიალოგიური კონსტიტუცია და ამ საფუძველზე ქვეყნის „ერთნებაობითა და თანადგომით“ მართვა. ამასთან, აქ მოცემულია ის მეთოდიც, რითაც შეიძლება მივაღწიოთ ყოველივე ამას. ეს არის ისევ და ისევ ილიასთან ძიებული „დაპირისპირებულ ძალთა ერთმანეთთან ბედნიერი მორიგება ერთმანეთის დაუმონებლად და შეუბღალავად“. ეს არის ილიას ანალიტიკური აზროვნების უდიდესი წვდომა, მეტიც, შეიძლება ითქვას — მსოფლიო აღმოჩენა და „ახალი მსოფლიო წესრიგის“ ზოგად კანონზომიერებათა დადგენა. აქაც გასცდა ილია თავის ეპოქას... ჩვენი ამოცანა ყოველივე ამის წარმოჩენაა. ამიტომ პირადად მე დიდ მადლობას ვუძღვნი ელბერდ ბატიაშვილს, რომელმაც ეს ჯერ კიდევ ამ 20 წლის წინ გააკეთა.

მახსოვს, ამ ოციოდე წლის წინ მაშინდელმა ჩემმა ასპირანტმა — გია ჭანტურიამ მომიტანა რამდენიმე დისიდენტური გამოცე-

მა ფსევდონიმით „ი. ჯიმშერიძე". მათში საქართველოს მომავლის სრულიად განსხვავებული ხედვა დავინახე. ჩემზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება დატოვა ორმა საკმაოდ ვრცელმა პოლიტოლოგიურმა გამოკვლევამ: „იმპერიის ისტორიული ბედი" და „იოსებ სტალინი". შემდეგში, როცა გავიგე, რომ მათი ინკოგნიტო ავტორი დღევანდელი სადისკუსიო კლუბ „ქართული სახელმწიფოს" ერთერთი ინიციატორია, ჩვენ იდეური თანამოაზრენი და ახლო მეგობრები გავხდით. ილიალოგიამ კი ჩვენ ყველა – ბატონი ელბერდი, ბატონი ომარი, ბატონი ანზორი – კლუბის ყველა წევრი თანამებრძოლნი გაგვხადა იმ მიზნისათვის ბრძოლაში, რასაც ეროვნული სახელმწიფოს დამკვიდრება ჰქვია. ღმერთმა ინებოს, ეს ბრძოლა ბოლომდე მიგვაყვანინოს... მაგრამ მაშინ ასე აშკარად არ ჩანდა გამყოფი ზღვარი ნაციონალიზმსა და კოსმოპოლიტიზმს შორის, როგორც დღეს. ჩვენ ყველანი – ხალხისა და ინტელიგენციის უდიდესი ნაწილი ეროვნულ პოზიციებზე ვიდექით, გარდა რუსული ინტერნაციონალიზმით უნუგეშოდ დაავადებული მცირე ჯგუფისა.

გავიდა წლები და როცა დღეს პრაქტიკულად აუცილებელი გახდა ეროვნული იდეებისა და ეროვნული მემკვიდრეობის საფუძველზე ქართული სახელმწიფოს მშენებლობა, აღმოჩნდა, რომ ჩვენ ამისათვის სრულიად მოუმზადებელნი აღმოვჩნდით. ორიოდე კაცს თუ ახსენდებოდა ეს მემკვიდრეობა. თვით ხელისუფლების სათავეში მოსული ზვიად გამსახურდიაც კი მზად არ აღმოჩნდა ამ საფუძვლებზე დაეწყო სახელმწიფო მშენებლობა. პირველი დიდი შეცდომა, რაც მან გააკეთა, ნოე ჟორდანიას სოციალ-დემოკრატიული ხელისუფლებისა და იდეოლოგიის სამართალმემკვიდრედ თავის გამოცხადება იყო. ეროვნული მემკვიდრეობა კვლავ თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა. თვით მიწის საკითხის გადაწყვეტაც კი ეროვნული ტრადიციებისა და მემკვიდრეობის გარეშე დარჩა, ისე როგორც სახელწიფო მართვა-გამგეობის ძველი იმპერიული მბრძანებლური-ცენტრალისტური სისტემა, ასე რომ სძულდა ილიას...

არც ზვიად გამსახურდიას ოპონენტები იყვნენ ნამდვილი ოპონენტები ეროვნულობის ამ გააზრებით: პოლიტიკური ბრძოლა წარიმართა არა ეროვნული მემკვიდრეობის, ტრადიციებისა და პრინციპების აღორძინებისა და დამკვიდრების მიმართებით, არამედ უბრალოდ „სკამებისათვის", ხელისუფლების ხელში ჩაგდებისათ-

ვის, რამაც ეროვნული მოძრაობის სრული დისკრედიტაცია გამოიწვია ხალხის თვალში. და ეს პროცესი, სამწუხაროდ, დღემდე გრძელდება; ვერც ერთმა ხელისუფლებამ, ვერც ერთმა პოლიტიკურმა ძალამ ვერ შეძლო თუნდაც კონცეფციის დონეზე ეჩვენებინა ახალი ქართული სახელმწიფოს პოზიტიური ქარგა. ათწლიანი ხეტიალის შემდეგ, ჩვენ ამირანივით „ისევ იმ ადგილს მივედით" — ძველ საბჭოურ კორუმპირებულ, კლანურ-ბიუროკრატიულ მმართველობამდე, მისთვის დამახასიათებელი სიმახინჯეებით... „რუსეთუმეობა" მეტად გამძლე სენი აღმოჩნდა ჩვენთვის... არადა არ გამოუჩნდა ხალხს და ქვეყანას ნამდვილი ლიდერი...

კარგად მახსოვს პოლემიკა პრესის ფურცლებზე, რადიოსა და ტელევიზიაში — თვით თეორიულ დონეზეც კი ხელისუფლებამ ვერ შეძლო დაესვა ეროვნული სახელწიფოს, ეროვნული იდეოლოგიისა და ეროვნული ეკონომიკის ფორმირების დიდმნიშვნელოვანი პრობლემები. ჯერ კიდევ „იმპერიის ისტორიულ ბედში" გაისმა გაფრთხილება, რომ ამ ილიალოგიური პრობლემების შეუფასებლობა და გადაუჭრელობა ეროვნულ მოძრაობას ჩიხში შეიყვანდა. მაშინაც ილიალოგია და ილიას მემკვიდრეობა იყო ჩვენი მეგზური და დღესაც იგია „საქართველის მომავლის გზისგამკვალავი", როგორც ჯერ კიდევ 1938 წელს თქვა დიდმა ივანემ („ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია"). ეროვნული იდეოლოგია და ეროვნული ეკონომიკა — აი, ილიას მიერ ნაჩვენები ეს გზა. სხვაგანაც არაერთგზის მითქვამს ეს. „ილიას გზა", აი, ჩვენი ერთადერთი ხსნა.

ვინძლო, ახლა მაინც, როცა მადლობა უფალს, ასე მიზნობრივად ყალიბდება ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობის სამართლებრივ, პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემათა გადაჭრის ილიასეული კონცეფტუალური საფუძვლები, ვინც ჯერ არს, ყურად იღოს ყველაფერი ეს. ბოლოს და ბოლოს, გვეყო ბატონებო, ამდენი თავგზააბნეული კოსმოპოლიტური ხეტიალი წარსული ასწლეულის მანძილზე. ყველაფერს რომ თავი ვანებოთ, ეს უბრალოდ ჩვენი ეროვნული თავმოყვარეობისა და ღირსების საქმეა. ეს პათოსი უნდა გაჰყვეს წითელ ხაზად სადისკუსიო კლუბ „ქართული სახელმწიფოს" მუშაობასაც...

თუ ჩვენ კვლავ „უცხო ბაძის“ კოსმოპოლიტურ ტყვეობაში არ ვაპირებთ დარჩენას და სერიოზულად ვესწრაფვით „ჩვენი თავის ჩვენად ყოფნებას“, ილიას ნაციონალიზმი და მისი „საერთო ნიადაგის“ თეორია ჩვენს სამოქმედო პროგრამად უნდა ვაქციოთ. მოვუწოდებ კიდეც ყველა ჯანსაღ ეროვნულ ძალას ამ პროგრამის გარშემო გაერთიანებისაკენ, რამეთუ ღრმად მწამს: მხოლოდ ილიას მემკვიდრეობაზე აგებული ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის კონსტიტუციური ნორმები მიიყვანს ჩვენს ქვეყანას მისი მომავალი განვითარების ახალ „ოქროვან ხანამდე“.

დავაკვირდეთ, ბატონებო, ქვეყნიერებას, მსოფლიოში მიმოფანტულ ხალხებს — ის ერია ბედნიერი, რომელიც არ ღალატობს თავის „სავალ გზას“, თავის წინაპართა ტრადიციებს. თუ მიბაძვაა, მათ მივბაძოთ ინგლისიდან იაპონიამდე და ისლანდიიდან ისრაელამდე... იაპონელები მაინც, ყველაზე ჭკუისსასწავლებელ მაგალითს გვაძლევენ ამ მხრივ: გლობალიზმის ზეობის ჟამს ისევ ისე ცხოვრობენ, როგორც წარსულ საუკუნეთა მანძილზე. და აბა, ახლა ვიკითხოთ — რას აგებენ ისინი იმით, რომ არ ცხოვრობენ „უცხო ბაძით“?!... კაცი იმედით ცხოვრობს და იქნებ ჩვენც მოვიშოროთ უცხოთმოყვარეობის ეს ძველი სენი...

ჩვენს ისტორიას თუ დავაკვირდებით, ფეხბედნიერად გვაქვს დაცდილი ახალი წელთაღრიცხვის ყოველი ახალი ათასწლეულის შემობრძანება: პირველმა ათასწლეულმა ქრისტიანობას გვაზიარა — ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა გაგვხადა. მეორე ათასწლეულმა — დავითის „ძალისხმევისა“ და თამარის „სათნოების“ ხაზმა — ჩვენი ქვეყანა ზოგადსაკაცობრიო განვითარების მოწინავე პოზიციებს აზიარა. ჯერი ახალ ათასწლეულზეა და ვინძლო, ამდენი სისხლიან-ცრემლიანი „ძნელბედობის“ შემდეგ, კვლავ აღვადგინოთ „წარხდენილი ქართველთა სახელი და ქართული წეს-წყობა“. სადისკუსიო კლუბის და მისი კრებულის ღირსებაც სწორედ ის არის, რომ ამ დიდი ქართული იმედით მუხტავს მკითხველს. მთავარია, რომ ჩვენ ყველა ამ ეროვნული მუხტით დავიმუხტოთ და არა ძველი კოსმოპოლიტური „უცხო ბაძით“...

და აქ გული არ მითმენს არ აღვნიშნო კიდევ ერთი თვითმხილება დღევანდელი კოსმოპოლიტური საქართველოსი:

ვინ იცის, რამდენი მილიონი დოლარი გრანტია შემოსული (და შეჭმული და შემოხარჯული) საქართველოში, ვინ დაითვლის რამდენს აქვს მასზე ხელი მომთბარი (შეიძლება მომწვარიც!) — დადგება დრო და ყველაფერი ეს ძირისძირობამდე დადგინდება. კოსმოპოლიტურად განაწილებული ამ მილიონიანი გრანტებისაგან ვერც ერთ ფაქტს ვერ დაასახელებთ, რომ ამ გრანტებით რაიმე ეროვნული საქმე დაეფინანსებინათ, რომელიმე ჩვენი ეროვნული მოღვაწე წარმოეჩინათ. კოსმოპოლიტი ავტორების „შედევრები" კი ზედიზედ გამოდიან ზღაპრული პოლიგრაფიული გამოცემებით (ალბათ, ასეთივე ზღაპრული დივიდენდებით!), ხოლო ილიას ოცტომეულიდან თუნდაც ერთი — ერთადერთი ტომის გამოცემა დღემდე შეუძლებელი ხდება:

ილიას ნაწერები — გამოუცემელი, ილიას იდეები — გამოუყენებელი — მეტი თვითმხილება დღეანდელი ქართული კოსმოპოლიტიზმისა რაღა გინდათ?!... დიახ, ბატონებო, თუ სიმართლე გინდათ, ილიას ოთარაანთ ქვრივივით „პილპილმოყრილი" მწარე სიმართლე: დღესაც, ისე როგორც 100 წლის წინ, კოსმოპოლიტიზმი ბატონობს ჩვენს ცნობიერებასა და ყოფიერებაში...

მაშ, რაღად უნდა გვიკვიდრეს მისი ასეთი ზეობა და ჩვენგან კი უსიტყვო მონობა საზოგადოებრივ-ეკონომიკური ცხოვრების ყველა სფეროში — ვიმკით იმას, რაც ჯერ კიდევ ილიას სიცოცხლეში „უცხო ბაძით" ვთესეთ და მთელი XX საუკუნე ვანაყოფიერეთ...

ჰოდა, ბატონებო, თუ ახალი საქართველო და ქართული სახელმწიფო გვინდა, ვინძლო ამ ახალ საუკუნეში მაინც მოვეშვათ „უცხო ბაძის" მესამედასურ კოსმოპოლიტურ-ინტერაციონალურ-მოქალაქურ გზას და ახლა მაინც ვირწმუნოთ ილია მართლის მართალი გზა... ჩვენი სადისკუსიო კლუბიც მაშინ გაამართლებს თავის სახელს, მხოლოდ მაშინ შეიძენს თავის რეალურ ძალას და დანიშნულებას, თუ ბოლომდე ვუერთგულებთ ამ გზას. ყველა სხვა შემთხვევაში ჩვენც ყველას კვლავ ძველი მესამედასური „უქმის ჭკვის უქმი ვარჯიშობა" გამოგვივა...

ღმერთმა ნუ ქნას, ილიას გზა კვლავ უცხო და მიუღებელი დარჩეს ჩვენი ქვეყნის სამომავლო განვითარებისათვის...

✝ ლადო ჭანუყვაძე

გარდამავალი პერიოდის არსი და ძირითადი ამოცანები

თვითონ სიტყვა „გარდამავალი“ მიგვანიშნებს მის უმთავრეს პოლიტიკურ არსსა და დანიშნულებაზე: ხდება გარკვეული თვისებრივი, არსებითი და გარდამტები ცვლილებები მოცემული ქვეყნისა და ხალხის ცხოვრებაში. პოსტკომუნისტურ საქართველოს პირობებში ეს არის ერთი საზოგადოებრივ-ეკონომიკური წყობიდან თვისებრივად ახალ წყობაზე გადასვლა. ამასთან ერთად, რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ჩვენი ერისა და ქვეყნისთვის, ეს არის დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს აღდგენის გარდამავალი პერიოდი.

მაგრამ სწორედ ამ უკანასკნელთან მიმართებაში ისმება კარდინალური საკითხი: რომელი და როგორი სახელმწიფო უნდა აღვადგინოთ, ანუ, რა უნდა გახდეს ჩვენი ორიენტირი ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობაში. მე ამ შემთხვევაში ვეთანხმები იმ ავტორებს, რომლებიც ასეთ ორიენტირად და ჩვენს ეროვნულ მემკვიდრეობად განიხილავენ არა 1918-21 წლების პოლიტიკურ მემკვიდრეობას, რომელიც საყოველთაოდ ცნობილია, რომ ეფუძნება მესამედასური კლასობრივი ბრძოლის იდეოლოგიას, არამედ ძველი ქართული სახელმწიფოს პოლიტიკურ, სამართლებრივ და სოციალურ-ეკონომიკურ მემკვიდრეობას, რომლის კონცენტრირებულ გამოხატულებას წარმოადგენს ილია ჭავჭავაძის „საერთო ნიადაგის თეორია“. ამ კუთხით თუ განვიხილავთ გარდამავალ პერიოდს, ეს არის თვისებრივი ცვლილება მარქსისტული ინტერნაციონალური იდეოლოგიიდან ეროვნული იდეოლოგიისაკენ.

ე. შევარდნაძისა და მისი ხელისუფლების მთავარი ნაკლი და დიდი სტრატეგიული შეცდომაც ის იყო, რომ იგი ვერ აღმოჩნდა გარდამავალი პერიოდის ამ მოთხოვნის სიმაღლეზე. დღეს ხშირად გაისმის ხოლმე ჩვენი ინტელიგენციის წრეებში კითხვა, თუ რა შეცდომებს უშვებდა შევარდნაძე, რითაც მან ფაქტობრივად გამოუვალ ჩიხში შეიყვანა ქვეყანა. ჩემი აზრით, მთავარი შეცდომა მაინც სწორედ ეს არის — მას, როგორც ძველ ნომენკლატურულ

მუშაკს, არ შეეძლო ახალი პროგრამა და იდეები მიეცა ქართული სახელმწიფოს მშენებლობისათვის ამ მიმართებით. სხვანაირად კი ამ გრანდიოზული ამოცანის გადაწყვეტა შეუძლებელია. რაკი ჩვენ ყველა მას ქართულ სახელმწიფოს ვუწოდებთ და მის მშენებლობას ვისახავთ სტრატეგიულ მიზნად, მაშინ უნდა შევძლოთ შესატყვისი იდეოლოგიური ბაზაც შეექმნათ მის განსახორციელებლად.

ჩვენი სადისკუსიო კლუბის დაარსებისას სწორედ ამას გაესვა ხაზი და სასიამოვნოა, რომ უნივერსიტეტისა და მისი პოლიტიკური ცენტრის ხელმძღვანელობა ასეთი მიმართულებით წარმართავს მუშაობას. ჯერ კიდევ ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, როცა იგი, უნივერსიტეტის დაფუძნების მიზნით, პეტერბურგიდან თბილისში დაბრუნდა, რომ „უნივერსიტეტი უნდა გახდეს ქართველი ერის წინამძღოლი". ამ „წინამძღოლობაში" კი, პირველ რიგში, ერისა და ქვეყნის წინსვლა-განვითარებისათვის იდეური და ინტელექტუალური ბაზის მომზადება იგულისხმება. დღევანდელ გარდამავალ პერიოდში ეს ნიშნავს ქართული სახელმწიფოს საფუძვლების გამოყენებით-პოლიტოლოგიურ კვლევას.

დღეს კი რა ხდება ჩვენს ქვეყანაში და მისი მეცნიერების, კერძოდ, პოლიტიკური მეცნიერებების განვითარებაში? სრულიად აუხსნელი და პარადოქსული ვითარება შეიქმნა, როცა ეს მეცნიერებანი ფაქტობრივად ჩამოშორებული აღმოჩნდა ქართული სახელმწიფოს მშენებლობის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პრინციპების კვლევა-ძიების საქმისაგან, თითქოს ქართული მეცნიერება არაფერ შუაში იყოს ქართული სახელმწიფოს მშენებლობაში. აი, ამას ჰქვია კოსმოპოლიტიზმის გაბატონება საქართველოს სახელმწიფოებრივ მშენებლობაში და სწორედ ეს განაპირობებს იმ უმრავლესი პრობლემის წარმოშობას, რომლებიც ამ პერიოდს ახასიათებს მთელი ამ წლების მანძილზე. საქმე იქამდე მივიდა, რომ თურმე იდეოლოგია, მათ შორის პოლიტიკური იდეოლოგია არ გვჭირდება და არც ეროვნული თემატიკისა და პრობლემების კვლევა პოლიტოლოგიაში, ე.ი. პოლიტოლოგია, როგორც მეცნიერება, ქართულ თემატიკას და პრობლემატიკას არ ცნობს — მეტი პარადოქსული და უთავბოლობა რაღა შეიძლება იყოს გარდამავალი პერიოდის სახელმწიფოებრივ მშენებლობაში. ერთი სიტყვით,

ყველაფერი უკულმა კეთდება და ამიტომაც მოვექეცით კრიზისის მარწუხებში.

იმ უთავბოლო და სრულიად გაუაზრებელ და გაუგებარ რეფორმებს, რომლებსაც ჩვენ ყველა ვუყურებთ გარდამავალი პერიოდის საქართველოში, პოლიტიკა არა ჰქვია. ეს „პლუტიკაა", რომელსაც ბიუროკრატ-რანტიათა მაფიოზური კლანების განუყოფელი ბატონობისკენ მიჰყავს ქვეყანა. ასე თუ გაგრძელდა შემდგომ წლებშიც ეს განუკითხავი ვაკხანალია, ჩემი თაობა კი არა, ჩვენი შვილიშვილების თაობებიც ვერ ელირსებიან იმას, რასაც სახელმწიფო ჰქვია. სახელმწიფო წესრიგით იწყება და გადავხედოთ ჩვენი ცხოვრების ნებისმიერ სფეროს. აქ წესრიგის, პასუხისმგებლობისა და დისციპლინის ელემენტარული კვალიც კი არსად შეიმჩნევა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ სახელმწიფო ხელისუფლების სამივე შტო სრულიად მოშლილი და დემორალიზებულია.

აქედან გამომდინარე, უნდა ვაღიაროთ, რომ გარდამავალი პერიოდი, რომლის უმთავრესი სტრატეგიული ამოცანა ქართული სახელმწიფოს აშენებაა, ჟარგონულად რომ ვთქვათ, ბლეფი აღმოჩნდა. ჩვენ ყველა მოტყუებული ვართ ხელისუფალთა მხრიდან და დღეს ისღა დაგვრჩენია იმედად, რომ თეორიულად და ჰიპოთეზურად დავუშვით იმედი იმისა, რომ მომავალში მაინც ასეთი სახელმწიფო გვექნება. ჩვენი ეს კრებულიც და სტატიებიც ამ იმედის გამოხატულებაა და იქნებ ჩვენმა პოლიტიკურმა კვლევა-ძიებამაც ხელი შეუწყოს ამ იმედის განხორციელებას. ჩვენ აქ მხედველობაში, უპირველეს ყოვლისა, ქართული სახელმწიფოს პოლიტოლოგიური კვლევა გვაინტერესებს.

ცნობილია, რომ ყველა ხალხს მისი ხასიათისა და გეოგრაფიული გარემო-პირობების შესატყვისი სახელმწიფოებრიობა ჩამოუყალიბდა ისტორიულად. ქართველმა ხალხმაც კავკასიის სამხრეთ მთიანეთში თავისი სახელმწიფო და ცივილიზაცია შექმნა, რომლის ყველაზე უძველეს ისტორიულ ფესვებს ილია ჭავჭავაძე თვით პალესტინასა და შუამდინარეთში ეძებდა. დროისა და სივრცის ეს დიდი არეალი თავის დაღს ასვამდა ქართველური ტომების ეროვნული კონსოლიდაციის მთელ ისტორიულ პროცესს, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა ქართველი ერი. ასეთ ქარგას მიჰყვება ივანე ჯავახიშვილიც „ქართველი ერის ისტორიის" მრავალტომეულში.

დღეს ბუნებრივად დგება პრობლემა — როგორი უნდა იყოს მომავალი ქართული სახელმწიფო? ერთი რამ ცხადია — მას მარტო უცხო ქვეყნების გამოცდილებით და დახმარებით ვერ შეექმნით. არ შეიძლება მთლიანად დავკარგოთ ამ 200 წლის მანძილზე დაბლაგვებული ჩვენი ეროვნული მემკვიდრეობა — ქართული სახელმწიფოებრიობის მთელი ისტორიული გამოცდილება. მიმდინარე გარდამავალი პერიოდი ამ გამოცდილების ძიებას უნდა დაეყრდნოს.

ხელისუფლების გარკვეული ნაწილი ხედება, რომ კორუფციის ამოძირკვის გარეშე სამართლებრივ სახელმწიფოზე ლაპარაკი ზედმეტია, მაგრამ იგი ისე მოედო არა მარტო სახელმწიფოებრივ სტრუქტურებს, არამედ მთლიანად მთელ ჩვენს საზოგადოებას, მის უკლებლივ ყველა სოციალურ ფენას, ეროვნული ცხოვრების ყველა სფეროს, რომ შეიძლება თამამად ვთქვათ ტალეირანის ცნობილი ფრაზა — „ჩვენ ხომ ყველანი კორუმპირებულნი ვართ"! ასეთი ტოტალური კორუმპირებული სახელმწიფო სისტემის შეცვლა ძალიან რთული საქმეა, თუ რადიკალური ზომები არ იქნა მიღებული მართვა-გამგეობის ბიუროკრატიული პრინციპებისა და პოლიტიკური სისტემის თვისებრივი გარდაქმნის მიზნით. ეს თვისებრივად გარდაქმნა კი მხოლოდ და მხოლოდ ეროვნული მემკვიდრეობის ნიშნით უნდა წარიმართოს, რომლისთვისაც, სხვათა შორის, ბიუროკრატიზმი და ცენტრალიზმი მართვა-გამგეობის სრულიად უცხო პრინციპები იყო ისტორიულად.

რეფორმებისა და დახმარებების კრახიც იმით აიხსნება, რომ იგი ხალხის გვერდის ავლით, თავიდანვე ბიუროკრატიის მონოპოლია გახდა — ხალხამდე და რეალურ საქმემდე ერთი ცენტიც არ მისულა. ამასთან, დასავლეთის ინექციები არათუ უშედეგო აღმოჩნდა, არამედ თვით საავჭრო-ეკონომიკური და ფინანსური სტრუქტურების გარკვეულ დეგრადაციასაც იწვევს. რაც მთავარია, დასავლური დახმარებების ეს ორმაგი ზარალი, თუკი ეს პროცესი შემდგომში ასე უკონტროლო თვითდინებით გაგრძელდა, სტრატეგიული თვალსაზრისით ხელს შეუწყობს მაფიოზური კლანების განუყოფელ ბატონობას და საბოლოოდ სახელმწიფოებრივი მშენებლობის სრულ კრახს.

იმისათვის, რომ პოსტკომუნისტურმა ქვეყნებმა დაძლიონ სახელმწიფოებრივი მშენებლობის ეს სიძნელენი, აუცილებელია დახმარების სიმძიმის ცენტრის გადატანა ეროვნული ეკონომიკის განვითარებასა და, საერთოდ, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ტრადიციებისა და პრინციპების აღდგენა-დანერგვაზე. მხოლოდ ამ სტრატეგიით შეეძლებთ, ერთი მხრივ, რეფორმების წარმატებით დამთავრებას და, მეორე მხრივ, კომუნისტური რევანშის თავიდან აცილებას.

ამ შემთხვევაში გახდება საერთაშორისო დახმარებაც მიზანმიმართული და ეფექტური. ამ გზით გამოცოცხლებული და ძალამოკრეფილი ეროვნული ძალებიც უფრო წარმატებით დაუპირისპირდებიან როგორც კლანურ-მაფიოზურ, ისე ნეოკომუნისტურ რევანშისტულ ძალებს. ამისათვის სახელმწიფოს მხრიდან თანადგომასთან ერთად, ამ ჯანსაღ ეროვნულ ძალებს სჭირდება შეიმუშაონ რეფორმების გატარების და, საერთოდ, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობის კონცეფცია, მისი ძირითადი სამართლებრივი, პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პრინციპები. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ არჩევნების შემდეგ მოსული ახალი პოლიტიკური ძალები მაინც შეძლებენ ამას.

ომარ გოგიაშვილი
ავთანდილ ტუკვაძე

თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური კულტურის ნიშნები

პოლიტიკური კულტურა საზოგადოების პოლიტიკური ქცევების მოდელი, პოლიტიკურ ინსტიტუტებზე ორიენტაციების ერთობლიობაა და პოლიტიკური სისტემის შემადგენელ ელემენტს წარმოადგენს. პოლიტიკური კულტურის დონე განსაზღვრავს პოლიტიკური რეჟიმის და მთლიანად საზოგადოების დემოკრატიულობის ხასიათს. მეცნიერთა ნაწილის აზრით (გ. ალმონდი, ს. ვერბა და სხვ.), პოლიტიკური სისტემების „ტრანსპლანტაცია" შეუძლებელია დაბალი პოლიტიკური კულტურის ქვეყნებში. ამ კანონზომიერების დადასტურებაა სამხრეთ ამერიკის, აფრიკის, აზიის, პოსტსაბჭოთა სივრცის და სხვა ქვეყნების რეალობა. თუმცა არსებობს მცირე გამონაკლისიც, როცა „არადასავლური ცივილიზაციის" ქვეყნებმა — იაპონიამ, სამხრეთ კორეამ და სხვ. წარმატებით განახორციელეს დემოკრატიული პოლიტიკური სისტემების ლიბერალური ღირებულებების საკუთარ ეროვნულ ტრადიციებთან შეხამება.

საყოველთაო დაინტერესება ამ პრობლემისადმი განაპირობა იმის შეცნობამ, რომ აუცილებლობად ჩათვალეს იმ კავშირურთიერთობების სიღრმისეული კვლევა, რომელიც არსებობდა პიროვნებას, საზოგადოებასა და პოლიტიკური ინსტიტუტებს შორის ემოციური და სოციალურ-ფსიქოლოგიური ანალიზის გამოყენებით. ასეთი კვლევისა და ანალიზის საშუალებით უნდა მომხდარიყო დასავლეთის ქვეყნების საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარების მაგისტრალური გზების, პოლიტიკური და სოციალური სტაბილურობის მექანიზმების შემუშავება. პოლიტიკური კულტურის ასეთმა ფართო ინტერპრეტაციამ და ფუნქციურმა დატვირთვამ განაპირობა პოლიტიკური მეცნიერების უაღრესად ფართო სპექტრის დაინტერესება, დარგთაშორისი და დისციპლინათაშორისი პოლიტიკურ-კულტურული მიდგომა პრობლემისადმი, რასაც იმ პერიოდში საკმაოდ აღიარებულმა ბიჰევიორიზმმაც შეუწყო ხელი.

საზოგადოების თითოეული წევრი პოლიტიკური შეგნებულობისა და მისი სოციალიზაციის პროცესში ფორმირდება როგორც სოციოკულტურული არსება და ამ სახით ხდება მისი ინტეგრირება მოცემული საზოგადოების პოლიტიკურ სისტემასთან. ყოველი ინდივიდი პოლიტიკური კულტურის მატარებელია იმ ზომით, რა ზომითაც და ხარისხითაც სოციალიზდება გაბატონებულ სოციოკულტურულ სისტემასთან. სწორედ ეს სოციალიზაციის დონე და ხარისხი განსაზღვრავს კონკრეტული ინდივიდის პოლიტიკურ ინსტიტუტებთან და ხელისუფლების ორგანოებთან მრავალმხრივი და დინამიკური ურთიერთობის პროცესს, მისი, როგორც პოლიტიკურ-კულტურული არსების, თვითრეალიზაციის ხარისხს.

პოლიტიკური კულტურა ინდივიდუალური და საზოგადოებრივი ცნობიერების იმ ელემენტების ნაწარმოებია, რომლებიც უკავშირდებიან სახელისუფლო ორგანოებს, სხვა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ინსტიტუტებს, პოლიტიკურ პროცესებს და ამავე დროს გარკვეული ზემოქმედების უნარი აქვს მათი საქმიანობის მიმართულებებზე, განვითარების ტენდენციებსა და დინამიკაზე. პოლიტიკური კულტურა განსაზღვრავს ინდივიდუალური ქცევის ნორმებსა და თამაშის წესებს პოლიტიკის სფეროში და მის ღირებულებით ნორმებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ნებისმიერი პოლიტიკური სისტემის სიცოცხლისუნარიანობისა და ქმედითობის შესანარჩუნებლად, სტაბილურობის განსამტკიცებლად.

მიუხედავად პოლიტიკური კულტურის ღირებულებითი კომპონენტების დიდი მრავალფეროვნებისა და მისი ზემოქმედების ფართო არეალისა, ის მაინც საერთო-ეროვნული კულტურის განუყოფელი ნაწილია. მისი ფორმირების სხვადასხვა ეტაპზე ზემოქმედებენ და გარკვეულ კვალს ამჩნევენ ერის სოციოკულტურა, ეროვნულ-ისტორიული მემკვიდრეობა, განსაკუთრებით სახელმწიფოებრიობის ტრადიციები, ეროვნულ-ფსიქოლოგიური სტერეოტიპები, ადათ-ჩვეულები, მითები და სხვა. ეროვნული კულტურის აღნიშნული და სხვა ფუნდამენტური კომპონენტები დიდ გავლენას ახდენენ არა მხოლოდ ეპიზოდური განწყობის, არამედ ხანგრძლივი პერიოდის პოლიტიკური რწმენისა და მთლიანად პოლიტიკური კულტურის ფორმირებაზე. მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა გავიგოთ როგორც ცალმხრივი პროცესი. გარკვეულწილად ფორმირე-

ბული (რადგან დინამიკური პროცესია), სოციალიზებული პოლიტიკური კულტურა გარკვეულ უკუზემოქმედებით ძალას იძენს ერის ყველა ზემოაღნიშნულ მახასიათებლებზე და გარკვეულწილად მიმართულების განმსაზღვრელის ფუნქციასაც ასრულებს ზოგიერთ ასპექტში. ამავე დროს პოლიტიკურ კულტურაში თავს იყრის პოლიტიკასთან დაკავშირებული (მის გარეთ კი ძალიან ცოტა რჩება) ერის ტრადიციული ღირებულებები, მისი მენტალობის ნიშნები სრულიად განსხვავებული სფეროებიდან. მაგალითად, დღეს მეცნიერებს უჭირთ იმის გარკვევა, დასავლური პოლიტიკური კულტურის ძირითად მახასიათებლებში რა შევიდა კათოლიციზმის (მისი მრავალი კონფესიური მიმართულების ჩათვლით) ნორმებიდან და დოგმებიდან, და რა ნიშნები დარჩა მისი ზემოქმედების სფეროს გარეშე.

პოლიტიკური კულტურის ირგვლივ არსებული ლიტერატურის ანალიზი შესაძლებლობას გვაძლევს გამოვყოთ შემდეგი ძირითადი დებულებები:

პირველი, პოლიტიკური კულტურის ირგვლივ აზრთა სხვადასხვაობას განაპირობებს, ჯერ ერთი, პოლიტიკური კულტურის ფენომენის სირთულე და მრავალფეროვნება, მეორე მხრივ, ისიც, რომ მკვლევრები განსხვავებული მეთოდოლოგიური მიდგომის საფუძველზე იკვლევენ პოლიტიკური კულტურის სტრუქტურულ ელემენტებსა და ფუნქციებს.

მეორე, განვითარებული დემოკრატიების პოლიტიკური კულტურის (სამოქალაქო, აქტიური, მონაწილეობითი, ლიბერალურ-დემოკრატიული, დემოკრატიული) განხილვისას ძირითადი ყურადღება ეთმობა საზოგადოებაში „შეთანხმებასა და შეუთანხმებლობას" შორის ბალანსს, მოქალაქეების კონსენსუსს პოლიტიკური ინსტიტუტების ლეგიტიმურობის მიმართ. მართლაც, შეუძლებელია საკვანძო პოლიტიკურ საკითხებზე შეთანხმების გარეშე წარმატებით ფუნქციონირებდეს პოლიტიკური სისტემა, დემოკრატიული ინსტიტუტები. ამიტომ ნებაყოფლობითი კონსენსუსის, ურთიერთთანხმობის ხარისხი განაპირობებს პოლიტიკური კულტურის განვითარების დონეს და განსაზღვრავს კონკრეტული ქვეყნის პოლიტიკური კულტურის ტიპს. ჩვენ თვალსაზრისს ის მომენტიც აძლიერებს, რომ ბოლო წლების პოლიტიკურ ლიტერატურაში გაჩნდა ცნება

შემთანხმებლური პოლიტიკური სისტემების შესახებ; კრიტერიუმად აღებულია შვედური სოციალიზმის სოციალ-დემოკრატიული მოდელი, რომელიც გამოირჩევა ურთიერთთანხმობის, საზოგადოებრივი კონსენსუსის მაღალი ხარისხით. შემთანხმებლური სისტემების მთავარი პრინციპია ინტერესთა შეთანხმება, რაც საბოლოო ჯამში პლურალიზმსა და დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების პირობაა. ყველა პოლიტიკური სისტემებს შორის შეთანხმებლური სისტემები ყველაზე სრულად განასახიერებენ დემოკრატიულ იდეალებს, თავისუფლებასა და თანასწორობას.[1] შესაძლოა მეცნიერულ მიმოქცევაში შემოვიტანოთ შემთანხმებლური პოლიტიკური კულტურის ცნება, რომელიც სამოქალაქო პოლიტიკური კულტურის ზედა საფეხურს შეესაბამება.

მესამე, პოლიტიკური კულტურის შემადგენელი ელემენტების ანალიზი გვიჩვენებს, რომ კონკრეტული ქვეყნის რელიგიური, გეოპოლიტიკური, ეროვნული, ენობრივი და კულტურული განვითარების თავისებურებები განმსაზღვრელ როლს თამაშობს პოლიტიკურ კულტურაში. შესაძლოა ითქვას, რომ ყველა ერს „პოლიტიკური კულტურის ეროვნული მოდელი" გააჩნია. ამავე დროს, ერების საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული განვითარება ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია, რაც თავისთავად წარმოშობს „საერთო ნიშნებს" მათ ცხოვრების წესსა და სულიერ კულტურაში. ყოველივე ეს საშუალებას იძლევა სხვადასხვა იმანენტური ნიშნებისა და მეთოდოლოგიური მიდგომების საფუძველზე მოვახდინოთ პოლიტიკური კულტურის ზოგადი მოდელების და ტიპების დეფინიცია, რომლებიც ძირითადი საბაზისო მაჩვენებლების მიხედვით მიესადაგება კონკრეტული ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებას.

დღეისათვის არსებობს, პოლიტიკური კულტურის ათეულობით განსაზღვრება: პოლიტიკური კულტურა პოლიტიკური სისტემის მონაწილეების ინდივიდუალური პოზიციებისა და ორიენტაციების ერთობლიობა (გ. ალმონდი, ს. ვერბა); პოლიტიკური კულტურა პოზიციების, ღირებულებების, ქცევის წესების მოდელია (ე. ვიატრი); პოლიტიკური კულტურა მოიცავს მმართველობასთან და პოლიტიკასთან დაკავშირებული სულიერი კულტურის ელემენტებს

---

[1] Чарльз Ф. Эндрейн. Сравнительный анализ политических систем, изд. "Инфра - М", Москва, 2000., стр. 69.

(რ. ტაკერი); პოლიტიკური კულტურა პოლიტიკური გამოცდილების, პოლიტიკური ცნობიერების, პოლიტიკური ქცევების, პოლიტიკური სიმბოლიკის გამოხატულებაა (კ. ს. გაჯიევი, გ. ვ. მუხაევი, ნ. ნ. სედიხი); პოლიტიკური კულტურა პოლიტიკური მოღვაწეობის სტილია (კ. პუგაჩოვი, ა. დემიდოვი, ა. ფედოსეევი).[1]

აზრთა სხვადასხვაობაა პოლიტიკური კულტურის ტიპოლოგიის ირგვლივ: გ. ალმონდისა და ს. ვერბას კონცეფციის მიხედვით სამი ტიპის — პატრიარქალური, ქვეშევრდომის, მონაწილეობითი (სამოქალაქო) პოლიტიკური კულტურა გამოიყოფა; უ. როზენბაუმი პოლიტიკური კულტურის „ფრაგმენტულ" (არაერთგვაროვან) და ინტეგრირებული (ერთგვაროვან) ტიპებზე მიუთითებს; პოლიტიკური კულტურის ტიპოლოგიის საფუძვლად ხშირად საზოგადოების ორიენტაციას იღებენ ბაზარსა და სახელმწიფოზე და შესაბამისად გამოაცალკევებენ „საბაზრო" და „ბიუროკრატიულ" პოლიტიკურ კულტურებს; მეცნიერთა ნაწილი პოლიტიკურ კულტურებს ჰყოფენ დემოკრატიულ და არადემოკრატიულ (ტოტალიტარულ, ავტორიტარულ) ტიპებად;

არსებობს პოლიტიკური კულტურის უფრო ფართო, საერთო ტიპოლოგიზაციის ცდებიც, რომლებიც საკაცობრიო მიღწევებს ორ მოდელში, აღმოსავლურში და დასავლურში აქცევს. აღმოსავლეთისა და დასავლეთის პოლიტიკური კულტურის ზოგადი ნიშნები და განმსაზღვრელი ფაქტორების ანალიზი თავისთავად საინტერესო და აქტუალურია, რადგან მათი ღირებულებები და ტრადიციები წარმოადგენს პრაქტიკულად მსოფლიოში არსებული ყველა პოლიტიკური კულტურის ფუნდამენტს, მაგრამ ის განსაკუთრებით საინტერესოა ამ ორი ცივილიზაციის გადამკვეთ გეოპოლიტიკურ სივრცეში არსებული ქვეყნებისათვის. რა ნიშნებს ატარებს პოლიტიკური კულტურის აღმოცენებული ყლორტები დღევანდელ საქართველოში; როგორია მისი მსოფლმხედველობრივი ღირებულებები და განვითარების ტენდენციები? ამის გასარკვევად, მოკლედ, მხოლოდ ძირითად ასპექტში უნდა მიმოვიხილოთ აღმოსავლური და დასავლური პოლიტიკური კულტურის ძირითადი ნიშნები, რომლე-

---

[1] Политология, курс лекций. Под редакцией А. А. Радутина, изд. "Центр", Москва, 1999, стр. 181.

ბიც უფრო სრული ფორმით მოცემულია ვ. პუგაჩოვისა და ა. სოლოვიოვის სახელმძღვანელოში „პოლიტოლოგიის შესავალი“.

აღმოსავლური პოლიტიკური კულტურის ნორმებისა და ტრადიციების სპეციფიკა ეფუძნება აგრარული აზიური საზოგადოების სათემო სტრუქტურების ცხოვრებისა და საქმიანობის წესსა და თავისებურებებს, რომელთა ფორმირება ხდებოდა არაბულ-მუსულმანური, ჩინურ-კონფიციანური და ინდო-ბუდისტური კულტურების ზეგავლენით. აღმოსავლური პოლიტიკური კულტურის ღირებულებითი ორიენტაციის ძირითადი ნიშნებია:

— ხელისუფლების ღვთაებრივი წარმოშობის რწმენა და ამის შედეგად მმართველებისა და მათი საქმიანობის საკრალიზაცია (გაღმერთება), რომელიც არ არის დაკავშირებული კონკრეტული პიროვნების კონკრეტულ ღირსებებთან;

— პოლიტიკასთან ურთიერთობა, როგორც ერთეული გმირების საქმიანობა, დაკავშირებული ღვთიური მმართველობის პრინციპებთან და როგორც ამის შედეგი, ხალხისათვის, მასებისათვის მიუღწეველი საქმიანობა, პოლიტიკური ინდიფერენტიზმი;

— ელიტის და სახელმწიფოს განმსაზღვრელი როლის აღიარება სახელმწიფო მმართველობაში; პიროვნების თვითსაკმარისობის უარყოფა სახელისუფლო უფლებამოსილების განხორციელებისათვის, სახელმწიფო პატრონაჟის უპირატესობა პიროვნებაზე;

— პოლიტიკურ მონაწილეობაში კოლექტიური ფორმირების პრიორიტეტი; თემის, გაერთიანების, ჯგუფის უპირატესი როლი და კორპორატივიზმის ღირებულებათა დომინირება. მმართველობის ავტორიტარული, გამარტივებული ფორმებისაკენ მისწრაფება და ქარიზმატული ლიდერის პერმანენტული ძებნა;

— ადგილობრივი წესების, ჩვეულების, ტრადიციული სამართლის ნორმების პრიორიტეტი სახელმწიფოს უნიტარულ ნორმებთან.

დასავლური ტიპის პოლიტიკური კულტურის იდეალები სათავეს იღებენ ძველი საბერძნეთის ხელისუფლების ორგანიზაციიდან, რომელიც გულისხმობს მოქალაქეების მონაწილეობას ყველა არსებითი საკითხების გადაწყვეტაში, და რომის სამართლიდან, რომელიც შეიცავს პიროვნების სამოქალაქო სუვერენიტეტის განმტკიცების საერთო ნიშნებს. მისი განმსაზღვრელი, ძირითადი ასპექტებია:

— პოლიტიკისადმი, როგორც კონფლიქტური სოციალური საქმიანობის ნაირსახეობისადმი, დამოკიდებულება, რომლის საფუძველია ადამიანების თანასწორობა კანონის წინაშე და პატიოსანი პოლიტიკური თამაში;

— პიროვნების თვითსაკმარისობის რწმენა სახელისუფლო ფუნქციის შესრულებისათვის და მისი დაფუძვნება ადამიანებს შორის ბუნებრივად არსებულ ფიზიკურ, სულიერ, ინტელექტუალურ და სხვა განსხვავებებსა და უპირატესობებზე;

— ინდივიდუალური თავისუფლების იდეალების პრიმატი, პიროვნების აღიარება პოლიტიკის მთავარ სუბიექტად; ურთიერთობა სახელმწიფო ინსტიტუტებთან, როგორც პიროვნების და ჯგუფის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის გარანტთან;

— პოლიტიკური ელიტისა და ლიდერების რაციონალური დამოკიდებულება საზოგადოებრივი მართვის ფუნქციისადმი, სახელისუფლო ინსტიტუტებზე საზოგადოებრივი კონტროლის აუცილებლობა და კონტრაქტული პოლიტიკური ეთიკის ნორმების დაცვა;

— ხელისუფლების გართულებული ორგანიზაციისადმი პრიორიტეტი, უპირატესობის მიცემა ხელისუფლებაში მონაწილეობის შეჯიბრებითი მოდელისადმი, პოლიტიკური ცხოვრების პლურალიზმი და მრავალფეროვნება;

— საერთო სახელმწიფოებრივი კანონებისა და ნორმების პრიმატი ადგილობრივი და კერძო ქცევის, ჩვეულებისა და ტრადიციების ნორმებთან.

პოლიტიკური ორიენტაციის აღნიშნული და სხვა ღირებულებები თავისი ორთოდოქსალურ-კლასიკური ფორმით პიროვნებისა და ხელისუფლების ურთიერთდამოკიდებულების ორგანულად საწინააღმდეგო პოლიტიკური კულტურების საფუძვლებს აყალიბებს. ისინი განსაკუთრებული სიმყარით გამოირჩევიან და უფრო პროგრესული პოლიტიკური კულტურის ყიდაზე პოლიტიკური ინსტიტუტების რეფორმირებას არ შეუძლია ბოლომდე შეარყიოს ძველი ღირებულებანი. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ ქვეყნებში (მაგალითად, იაპონია) მაინც ჩამოყალიბდა დასავლური და აღმოსავლური პოლიტიკური კულტურების გარკვეული სინთეზი. ამავე მიმართულებით, გარკვეული ტენდენციები შეიმჩნევა პოსტსაბჭოური სივრცის იმ ქვეყნების პოლიტიკურ ცხოვრებაში, რომ-

ლებსაც აქვთ შუალედური გეოპოლიტიკური მდგომარეობა. მოქალაქეთა პოლიტიკური მონაწილეობის გარკვეული სიმბიოზი აღმოსავლურ-დასავლური ორიენტაციების მონაწილეობით და რომელიმე ერთი პოლიტიკური კულტურის პრიმატით (ვთქვათ, ცენტრალური აზია აღმოსავლურის უპირატესი როლით, რუსეთი, ყაზახეთი, უკრაინა – ნარევი, ბალტიისპირეთის ქვეყნები – დასავლური) ყალიბდება პოსტსაბჭოურ ქვეყნებში. ამ თვალსაზრისით, თუ დღევანდელ საქართველოს სიტუაციას გავაანალიზებთ და მისი პოლიტიკური კულტურის უკვე დამკვიდრებულ ფორმებსა და მისი განვითარების ტენდენციებზე ვიმსჯელებთ, არსებობს საფუძველი იმის მტკიცებისათვის, რომ ჩვენში სწორედ დასავლური პოლიტიკური ღირებულებები და ორიენტაციები ღებულობენ ფართო არეს გავრცელებისათვის. ამასთან, ზოგად ტენდენციებზე მსჯელობისას მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის გარემოება, რომ თუ, ზოგიერთ ქვეყნისაგან განსხვავებით, პოლიტიკურ ღირებულებებზე რელიგიის გავლენა განსაკუთრებით საგრძნობი არ არის (დღევანდელი რელიგიურ-კონფესიური დაპირისპირების ნიშნები, რომლებიც ხშირად მიულებელი ანგარიშსწორების ფორმით ვლინდება, ქართველი ერის პოლიტიკურ-კულტურული მენტალიტეტისათვის სრულიად არატრადიციული, არაბუნებრივია და გარედან შემოგდებული, საზოგადოებრივი კონფრონტაციის ერთი მწვავე ფორმაა), სამაგიეროდ, მრავალი სუბკულტურის ქვეყანაა, რომლის გაუთვალისწინებლობა ნეგატიურ შედეგებს იძლევა. ცალკეული ქვეყნის პოლიტიკური კულტურის დომინირებული ფორმების ჩამოყალიბება ხანგრძლივი და მტკივნეული პროცესია და მოიცავს ისეთ მრავალმხრივ ასპექტებს, როგორიცაა განსხვავებული ღირებულებითი ურთიერთობებისა და მოქალაქეთა პოლიტიკური მონაწილეობის ფორმები; ეროვნული ტრადიციები და ჩვევები; პოლიტიკური ელიტისა და ელექტორატის ურთიერთდამოკიდებულების ხასიათი და პიროვნების საზოგადოებრივი აღიარების საშუალებები; აღნიშნული გარემოებების ურთიერთშეჯერებისა და ურთიერთგაპირობებულობის პროცესი, რაც საზოგადოების და სახელმწიფოს ცივილიზებული განვითარების სხვა ნიშნებსაც შეიცავს, აყალიბებს პოლიტიკური კულტურის ძირითად ნიშნებს.

როდესაც ქართული პოლიტიკური კულტურის დასავლურ ორიენტაციებზე ვსაუბრობთ, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, რომ ტოტალიტარიზმიდან გამოსული მენტალიტეტისათვის უცხო არ არის კოლექტიური ცხოვრების წესის დომინირება, ხელისუფლების რეალურ ბერკეტებთან ხანგრძლივი პერიოდის დისტანცირება, თვითმმართველობისა და თვითორგანიზაციის უმნიშვნელო პოლიტიკური როლი და ეს ყველაფერი თავის კვალს ტოვებს გარდამავალი პოლიტიკური კულტურის ხასიათზე. XX საუკუნის პოლიტიკური ცნობიერებისა და კულტურის ხასიათზე და მის მასშტაბებზე უდიდესი გავლენა მოახდინა ტოტალიტარული რეჟიმის მიერ მთელი სოციალური ფენების (ბურჟუაზია, ვაჭრები, კულაკობა, სამღვდელოება, მაღალი რანგის ოფიცრობა, ჰუმანიტარული და ტექნიკური ინტელიგენცია), ე.ი. ფაქტობრივად, მოსახლეობის „ინტელექტუალური ნაღების“ მნიშვნელოვანი ნაწილის სულიერმა და ფიზიკურმა განადგურებამ, კომუნისტურ-ტოტალიტარული იდეოლოგიის განსაკუთრებული სიმკაცრით ძალდატანებითმა დანერგვამ. ამან არა მარტო დაარღვია ქართული ტრადიციების ბუნებრივი, ჰუმანიტარული მექანიზმი და თაობების მემკვიდრეობითობის ბუნებრივ-ისტორიული პროცესი, არამედ, ისევე როგორც საბჭოთა კავშირში შემავალ სხვა ქვეყნებში, საკუთარ (საბჭოურ) ნაჭუჭში ჩაკეტა და მოუსპო სხვა ცივილიზირებულ ქვეყნებთან კულტურათაშორისი ურთიერთობანი.

შედეგად საზოგადოების პოლიტიკური კულტურის მთავარი მახასიათებელი გახდა კომუნიტარიზმი ჯგუფური ან უფრო განზოგადებულად საზოგადოებრივი სამართლიანობის უტოპიური პრიორიტეტით პიროვნების ინდივიდუალური თავისუფლების პრინციპების საწინააღმდეგოდ, საბოლოო ანგარიშით კი სახელმწიფოს წამყვანი როლი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების ყველა ასპექტში. ამავე დროს, ხელისუფლების უაღრესად პერსონიფიცირებულმა აღქმამ, წარმომადგენლობითი ორგანოების როლის ფორმალურ დონემდე დაცემამ და, შესაბამისად, აღმასრულებელი ხელისუფლების აბსოლუტიზაციამ შეზღუდული პასუხისმგებლობითა და არარსებული კონტროლით განაპირობა „მამულის გადამრჩენი“ ქარიზმატული ლიდერის ძებნისაკენ ხალხის მისწრაფება. ზოგადად, თუ ტრანსფორმირებადი ქართული პოლიტიკური

კულტურის დასავლურ ღირებულებებში აღმოსავლური პოლიტიკური კულტურის რომელიმე ნიშანს რაიმე დისონანსი შეაქვს, ყველაზე გამოკვეთილად ეს ერის გადამრჩენი ქარიზმატული ლიდერის პერმანენტული ძიებაა.

საქართველოს პოლიტიკური კულტურის კანონზომიერების გაანალიზებისას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პროცესის თავისებურებებს, რომლებიც საზოგადოების პოლიტიკური სისტემის მოდერნიზაციითა და პოლიტიკური აზროვნების მკვეთრი პოლარიზაციითაა გამოხატული. ერთმანეთს უპირისპირდება ურთიერთგამომრიცხავი ტენდენციები, რომლის ერთ მხარესაა ძველი სისტემისათვის დამახასიათებელი სტერეოტიპები, პოლიტიკური ორიენტაციები, კულტურულ-ზნეობრივი ღირებულებები, მეორე მხარეს — თვისებრივად განსხვავებული პოლიტიკური და საზოგადოებრივი ურთიერთობები, ახალი კულტურულ-პოლიტიკური მიზანდასახულობები და საბაზისო ღირებულებები. ამ ორი ტენდენციის ურთიერთქმედების შედეგად წარმოიშობა ქაოსური, შემთხვევითი, უმართავი მოვლენები, რომლებიც პოლიტიკური კულტურის ცალკეული ელემენტების არაერთგვაროვნება-ფრაგმენტულობაში პოულობს გამოხატულებას.

ნეგატიურ როლს ასრულებს საქართველოს სამოქალაქო კულტურის ფორმირებაში ქვეშემდგომობისა და პატრიარქალური კულტურული ორიენტაცია — ქცევების დიდი პროცენტული რაოდენობა, რომელიც მემკვიდრეობით გვერგო ტოტალიტარულ-ავტორიტარული რეჟიმისაგან; ნომენკლატურული იერარქიის შიგნით პოლიტიკური ურთიერთობები უსიტყვო მორჩილებაზე იყო დამყარებული და მკაცრი ცენტრალიზებული მმართველობა გამორიცხავდა „პოლიტიკური თვითშემოქმედების" შესაძლებლობებს. საშემსრულებლო „ეროვნული ელიტის" პოლიტიკური და იდეოლოგიური საქმიანობის მთავარი ამოცანა იყო მორჩილებითი ჩვევებისა და ორიენტაციების გამომუშავება საზოგადოებაში, რადგანაც ქვეშევრდომული პოლიტიკური კულტურა საბჭოთა რეჟიმის სტაბილურობის გარანტს წარმოადგენდა.

ტოტალიტარული კულტურის მემკვიდრეობაზე მსჯელობისას მხედველობაში გვაქვს კომუნისტური იდეოლოგია, რომელიც დაუნდობელ ბრძოლას უცხადებდა პოლიტიკურ პლურალიზმს. ტოტალი-

ტარიზმის პირობებში მასას არ შეიძლებოდა ჰქონოდა დემოკრატიული პოლიტიკური კულტურა, რადგან მოსახლეობის დიდ უმრავლესობას „წმინდათ სწამდა“ ძირითადი მიზნები, დებულებები, ორიენტაციები, რასაც პარტია და მისი ბელადები ქადაგებდნენ. ტოტალიტარიზმის იდეოლოგებს კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული, რომ არსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემის სიცოცხლისუნარიანობა მასობრივი დასაყრდენი ბაზის გარეშე შეუძლებელი იყო, მონოპოლისტი პარტია, მისი ბელადები და ხალხის მასა განუყოფელ ერთიანობაში უნდა ყოფილიყო შედუღაბებული.

საერთოდ, ტოტალიტარული პოლიტიკური კულტურა დაფუძვნებულია პოსტულატზე, რომლის თანახმად პოლიტიკაში არის ერთი ჭეშმარიტება, რომელიც ყველაფრის — პოლიტიკის, ეკონომიკის, მეცნიერების, ხელოვნების, მორალის, სარწმუნოების და სხვათა გასაღებია. ბუნებრივია, რომ დინამიკური საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი ასეთი მიდგომა საფუძველშივე მოაზროვნე ადამიანის შეურაცხყოფა იყო. აქედან გამომდინარე, თანამედროვე საქართველოს პოლიტიკურ კულტურაში შეუწყნარებლობისა და წინააღმდეგობისაკენ მისწრაფება და, რაც მთავარია, პოლიტიკური კომპრომისების დაბალუნარიანობა უპირატესად ტოტალიტარული პოლიტიკური სისტემის მემკვიდრეობის შედეგია, რომლის სტერეოტიპები მყარია საზოგადოებრივ ცნობიერებაში და ხშირად განმსაზღვრელ გავლენას ახდენს პოლიტიკურ პროცესებზე.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ქართულ პოლიტიკურ კულტურაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქარიზმატული ლიდერისადმი რწმენის ტრადიციის ხელახალი, ანარქიული აღზევება. მეფის ერთგულება ქართველებს ისტორიულად ახასიათებს. ქართულ პოლიტიკურ აზროვნებასა და კულტურაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა ბაგრატიონთა დინასტიის მესიანურმა წარმოსახვამ და მეფისათვის სიკვდილი დიდ ღირსებად ითვლებოდა; საქართველოს ისტორია მეფეთა ისტორიადაა წარმოდგენილი „ქართლის ცხოვრებაში“. საბჭოთა პერიოდში სტალინის დიდმა პიროვნულმა თვისებებმა და გენიამ განვითარების მაღალ საფეხურზე აიყვანა ბელადისადმი ფანატიკური რწმენის პატრიარქალური კულტურა.

გარდამავალ პერიოდში ქარიზმატული ლიდერისადმი მოთხოვნილებამ რეალური ხორცი შეისხა გამსახურდიას პიროვნებაში,

რომელიც სათავეში ედგა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის რადიკალურ ფრთას და ხალხი მის სახელს დამსახურებულად უკავშირებდა დამოუკიდებლობისა და თავისუფლების რომანტიკულ იდეებს.

ქარიზმატული ლიდერის თვისებები გააჩნდა ედუარდ შევარდნაძეს, რომლის ოცდაათწლიანმა მმართველობამ მყარი სტერეოტიპები დაამკვიდრა პოლიტიკურ ცნობიერებაში. გაჩნდა პრეზიდენტის შეუცვლელობის იდეა და მის რეალურ საფუძველზე მეტყველებს ტერორისტული აქტების სერია სახელმწიფოს მეთაურზე. ქვეშევრდომული პოლიტიკური კულტურა, რომელიც ნეონომენკლატურამ გადმოიტანა პოსტსაბჭოთა პერიოდში, კიდევ უფრო აფერხებს ხელისუფლების დანაწილების პრინციპის დემოკრატიულად ფუნქციონირებას. საბოლოო ჯამში, ქარიზმატული ლიდერისადმი რწმენის ნებისმიერი ახლებური გარდასახვა-მოდიფიკაცია აძლიერებს პატრიარქალურობისა და ქვეშევრდომობის ელემენტებს ქართულ პოლიტიკურ კულტურაში, ამით კი დიდი საფრთხე ექმნება სამოქალაქო თანხმობისა და პოლიტიკური კონსენსუსის პერსპექტივებს.

ქართული პოლიტიკური კულტურის ორგანულ ნაწილს შეადგენს დისიდენტური სუბკულტურა. ეროვნულ მოძრაობაში დიდი როლი შეასრულა როგორც რადიკალურ-დისიდენტურმა ფრთამ, ასევე მისმა შედარებით ზომიერმა მიმდინარეობამ, რომელიც ეროვნული ინტელიგენციის მოწინავე ნაწილთან ასოცირდება. მთლიანობაში ეროვნული მოძრაობა წინააღმდეგობისა და დაპირისპირების ტენდენციას აღვივებდა ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში: ერთი მხრივ, ზრდიდა აქტივისტური, მონაწილეობითი კულტურის ელემენტებს, მეორე მხრივ, დისიდენტურმა სუბკულტურამ ტრანსფორმაცია-რუტინიზაციის გარეშე გადმოინაცვლა პოსტსაბჭოთა საქართველოში და კვლავ წამყვან როლს ასრულებს ეროვნული მოძრაობიდან მოსული ლიდერების, მათი პარტიებისა და მთლიანად ოპოზიცია-პოზიციის პოლიტიკურ კულტურაში. სახელმწიფოსთან დისიდენტური დამოკიდებულების ისტორიული ტრადიცია, რომელიც სხვის სახელმწიფოში ორასწლიანმა ცხოვრებამ განაპირობა, მნიშვნელოვნად აფერხებს პოლიტიკურ ძალებს შორის კონსენსუსს, ძირითადი საბაზისო ღირებულებებისა და პოლიტიკური თა-

მაშის წესების დადგენას და, რაც მთავარია, სახელმწიფოებრივი აზროვნების განვითარებას.

ქართულ პოლიტიკურ კულტურაში ძალადობისაკენ მიდრეკილება გააძლიერა სახელმწიფო გადატრიალებამ და სამოქალაქო ომმა. დღესაც ექსტრემისტური იდეოლოგია, იარაღით ხელისუფლების შესაძლო დამხობის რწმენის სინდრომი ასაზრდოებს არადემოკრატიულ ოპოზიციას და გარეშე ძალების დახმარებით დროდადრო ნოყიერ ნიადაგს უქმნის პოლიტიკურ დაპირისპირებას, რომლის სავალალო შედეგები უკვე გამოვცადეთ. პოლიტიკური პრობლემების გადაჭრის ძალისმიერი მეთოდებისაკენ ორიენტაცია მნიშვნელოვან დაბრკოლებას წარმოადგენს ეროვნული თვითშეგნების გამთლიანებასა და ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებების ჩამოყალიბების გზაზე.

პოლიტიკის კორუმპირებულობის მაღალი დონე უაღრესად ნეგატიურ გავლენას ახდენს საქართველოს პოლიტიკურ კულტურაზე. მმართველი პოლიტიკური ელიტის პრივილეგიებისა და სიმდიდრის განუსაზღვრელი ზრდა და, შესაბამისად, მოსახლეობის დიდი ნაწილის გაღატაკება კიდევ უფრო აძლიერებს ელიტარული და მასობრივი კულტურის ელემენტებს შორის წინააღმდეგობას და ნაკლებ გარანტიებს უქმნის ქვეყნის სტაბილურობასა და ეროვნულ შერიგებას. პოლიტიკური კორუფცია საქართველოს პოლიტიკური კულტურის დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს.

ქართული პოლიტიკური კულტურა შეადგენს რეგიონალური და კუთხური სუბკულტურების სინთეზს. რეგიონალიზმი, პარტიკულარიზმი სწორი ეროვნული პოლიტიკის შემთხვევაში შესაძლოა სასურველ კალაპოტში ჩადგეს და ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებამ ქვეყნის მობილურ მართვას შეუწყოს ხელი, მაგრამ დღეს, ტერიტორიული მთლიანობის რღვევის, რეგიონისა და ცენტრის მკვეთრი დაპირისპირების ფონზე, ქართული პოლიტიკური კულტურის სიჭრელესა და წინააღმდეგობრივ ხასიათს მნიშვნელოვნად განაპირობებს ქართულ სახელმწიფოსთან არაიდენტიფიცირებული, სეპარატისტული ეთნოპოლიტიკური კულტურების არაერთგვაროვნება და სიჭრელე და, მასთან ერთად, საქართველოს პოლიტიკური კულტურის მრავალეროვნული ხასიათი.

საქართველოს სულიერ კულტურაში ლიბერალურ-დემოკრატიული პოლიტიკური ორიენტაციებისა და ღირებულებების საკმაო ბაზა არსებობს. ეროვნული ტოლერანტობა და რელიგიური აღმსარებლობის თავისუფლება – ქართველი ერის ეროვნულ ხასიათშია ჩადებული. მან ხანგრძლივ ისტორიულ გამოცდას გაუძლო და მომავალში მნიშვნელოვან სამსახურს გაუწევს მრავალეროვანი ქვეყნის დემოკრატიზაციის საქმეს.

ილია ჭავჭავაძე 1888 წელს დავით აღმაშენებლის მოსახსენებელი დღისათვის დაწერილ სტატიაში „დავით აღმაშენებელი" აღნიშნავს: „დავითი თავდადებული მოყვარე იყო თავის ეროვნებისა და მართმადიდებელის სარწმუნოებისა... ამისთანა სხვა ერის ღირსებების თაყვანისმცემელი იმ დროში, როცა კაცი კაცს შესაჭმელად არა ჰზოგავდა, ამისთანა კაცთმოყვარული პატივისცემა სხვის ეროვნებისა, სხვის სარწმუნოებისა, ნუთუ საკვირველი და საოცარი მაგალითი არ არის მეთორმეტე საუკუნის კაცისგან... ყოველივე ეს დიდსულოვნება და სულგრძელობა დავითისა მაშინ არის მომხდარი, როცა ძლევამოსილი იგი მეფე სრულად გაბატონდა თავის ქვეყანაში". ისტორიული რეალობაა, რომ საქართველოში ადგილი არ ჰქონია დაპირისპირებას ეროვნულ და რელიგიურ ნიადაგზე. ამის მაგალითად ქართველების მშვიდობიანი თანაცხოვრების ისტორია გამოდგება ჩვენს მიწაზე მოსახლე ებრაელებთან, სომხებთან, აზერბაიჯანელებთან, რუსებთან, ქურთებთან და სხვა ეროვნების ხალხებთან. ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში სამაჩაბლოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ოსებს კულტურული ავტონომიის ტოლფასი სტატუსი ჰქონდათ (სკოლები, უმაღლესი სასწავლებელი, თეატრი მშობლიურ ენაზე), მაშინ როცა თავიანთ ტერიტორიაზე, ჩრდილოეთ ოსეთში ამ უფლებებს მოკლებული იყვნენ, ხოლო აფხაზეთში აფხაზების პრივილეგირებულ მდგომარეობას გააფხაზებული ქართველების უზარმაზარი პროცენტული რაოდენობა ადასტურებს. ამიტომ, სამაჩაბლოსა და აფხაზეთში, რუსეთის მიერ პროვოცირებულმა „ეთნოპოლიტიკურმა კონფლიქტებმა" კორექტივები ვერ შეიტანა ქართველების ტოლერანტულ ბუნებაში, რომელიც ღმერთის მიერ ბოძებული მადლია და ისინი ამ თვისებებით გამოირჩევიან.

მოსახლეობის საერთო კულტურის მაღალი დონე სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიის აუცილებელ საბაზისო ღირებუ-

ლებას წარმოადგენს. დიდი საზოგადოების ფორმირება მხოლოდ საყოველთაო წიგნიერებისა და განათლების სათანადო დონეზეა დამოკიდებული. მაღალი ინტელექტი ადამიანის ინდივიდუალური თვისებებისა და დამოუკიდებლად პოლიტიკურად აქტიური პიროვნების ფორმირების გარანტს წარმოადგენს.

ქართველი ხალხის მაღალი სულიერი პოტენციალი კულტურის სხვადასხვა სფეროში პოულობს გამოხატულებას და მნიშვნელოვან საბაზისო ღირებულებას წარმოადგენს პოლიტიკური კულტურის დემოკრატიული ტიპის დამკვიდრების საქმეში.[1] მაგრამ როდესაც ვსაუბრობთ საქართველოს პოლიტიკური კულტურის ხასიათზე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოების აღნიშვნა: დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნებისაგან განსხვავებით, საბჭოთა კავშირში კულტურა და განათლება არ იყო პირდაპირ კავშირში პოლიტიკურ კულტურასთან. ტოტალიტარული, პოლიტიკური რეჟიმის პირობებში გამორიცხული იყო პოლიტიკაში აქტიური მონაწილეობა, რადგანაც არ არსებობდა დემოკრატიული პოლიტიკური ინსტიტუტები, ხელისუფლებაზე ზემოქმედების ბერკეტები. საქართველოში არსებობდა და არსებობს ხელისუფლებასთან ახლოს მდგომი პრივილეგირებული ინტელიგენცია, რომელთა „პოლიტიკური კულტურა" ხელისუფლებისადმი

---

[1] 1980 წელს რსფსრ-ში 25,8 ათასი მეცნიერების დოქტორი, პროფესორი, აკადემიის წ/კ და წევრი იყო. შესაბამისად ბელორუსიაში – 0,8 ათასი, უზბეკეთში – 0,9 ათასი, ყაზახეთში – 0,7 ათასი, საქართველოში – 1,3 ათასი, აზერბაიჯანში – 0,9 ათასი, ლიტვაში – 0,4 ათასი, მოლდავეთში – 0,2 ათასი, ლატვიაში – 0,3 ათასი, ყირგიზეთში – 0,2 ათასი, ტაჯიკეთში – 0,1 ათასი, ესტონეთში – 0,3 ათასი. 1980 წელს რსფსრ-ში იყო 740 მუზეუმი, ბელორუსიაში – 63, უზბეკეთში – 34, ყაზახეთში – 54, აზერბაიჯანში – 63, ლიტვაში – 67, ლატვიაში – 39, ყირგიზეთში – 13, ტაჯიკეთში – 10, სომხეთში – 43, თურქმენეთში – 13, ესტონეთში – 61, საქართველოში – 105; 1980 წლის მონაცემებით, საბჭოთა კავშირში ყოველ 10000 კაცზე 37,4 ექიმი მოდიოდა, საქართველოში შესაბამისად – 46,7 ექიმი. ასევე, საქართველო პირველობდა წიგნიერებისა და კულტურის იმ მაჩვენებლებით, რომელთა სტატისტიკური იდენტიფიკაცია არის შესაძლებელი. ხოლო მთლიანობაში ქართულმა კულტურამ, ლიტერატურამ, ხელოვნებამ, კინომ, თეატრმა, სპორტმა მსოფლიო აღიარება პოვა.

თანადგომასა და უსიტყვო მორჩილებაში პოულობს გამოხატულებას. ამას ემატება ქართულ, ეროვნულ ცნობიერებაში პატრიარქალური ქურდული პოლიტიკური კულტურის ფართოდ გავრცელება. შედეგად ვღებულობთ მაღალი განათლებისა და პატრიარქალური, ქვეშევრდომის პოლიტიკური კულტურის მატარებელ იდეოლოგიზირებულ ტოტალურ პიროვნებებს, რომლებიც აღმასრულებელი და საკანონმდებლო ელიტის ნაწილს შეადგენენ და ზეგავლენას ახდენენ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე (განსაკუთრებულად სიღრმისეულია საქართველოში კრიმინალების პოლიტიზაციისა და პოლიტიკოსების კრიმინალიზაციის პროცესი).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ალმონდისა და ვერბას თეზისი — განათლებისა და კულტურის განვითარების პირდაპირი კავშირი პოლიტიკურ კულტურასთან — ქართულ სინამდვილეში არ დასტურდება.

პოლიტიკურ კულტურაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს საქართველოს მონაწილეობა საერთაშორისო ორგანიზაციებში, პირველ რიგში ევროსაბჭოში გაერთიანება, გლობალური პოლიტიკურ-კულტურული თანამშრომლობა. ყველაზე დიდი ნაბიჯი ამ მიმართულებით გადადგა უკანასკნელ წლებში, როცა რეალობად იქცა ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობა, დაისახა ნატოში შესვლის პერსპექტივები. საქართველომ კვლავ დაიბრუნა მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური, გეოსტრატეგიული და გეოეკონომიკური ფუნქცია. საქართველო მოექცა დიდი პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების არეალში. ყოველივე ეს მნიშვნელოვნად აძლიერებს საქართველოს სულიერი კულტურის ინტეგრაციის პროცესს ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებთან და, საბოლოო ჯამში, ხელს უწყობს სამოქალაქო პოლიტიკური კულტურის ფორმირებას.

ამრიგად, საკმარისია პოლიტიკური კულტურის შემადგენელი სეგმენტების ზოგადი დახასიათება, რომ ნათელი გახდეს — საქართველოს ტრანსფორმირებად საზოგადოებას და სახელმწიფოებრიობას არ შეიძლება ჰქონდეს ჩამოყალიბებული დემოკრატიული პოლიტიკური კულტურა. პოლიტიკური კულტურა ფორმირდება და გულისხმობს ხანგრძლივი ისტორიული პერიოდის განმავლობაში მრავალი თაობების მიერ შექმნილ პოლიტიკურ ტრადიციებსა და პრაქტიკის მოქმედ ნორმებს, იდეებს, კონცეფციებს სხვადასხვა პო-

ლიტიკურ ორგანიზაციებთან, ინსტიტუტებთან, საზოგადოებასა და სახელმწიფოსთან ურთიერთობის შესახებ, მის დამოკიდებულებას და განწყობას როგორც მთლიანად არსებული პოლიტიკური სისტემის, ასევე მისი შემადგენელი ინსტიტუტების მიმართ. პოლიტიკური კულტურა ღირებულებით-ნორმატიული სისტემაა, რომელიც გაზიარებულია მოსახლეობის უმრავლესობის თუ არა, მისი მნიშვნელოვანი სეგმენტის მიერ. ბაზისური რწმენების, ორიენტაციების, გარკვეული კონცეფციების, დოქტრინების გარდა, მისი ინტეგრალური კომპონენტია პოლიტიკური იდეოლოგია. პოლიტიკური კულტურის არსებითი კომპონენტები, გაპირობებული სოციალურ-ეკონომიკური, ტრადიციონალისტურ-მემკვიდრეობითი, სულიერი სფეროს ხანგრძლივი მოქმედების ფაქტორებით, ხასიათდება გარკვეული მდგრადობით, თუმცა შეცვლილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური რეალიები მასში მუდმივად აისახება. მაგრამ ამ ასახვასაც თავისი სპეციფიკა აქვს — ამ ბაზისური კომპონენტების რადიკალური, კარდინალური, რევოლუციური უარყოფა საზოგადოებაში ნეგატიურ, ხშირად კი კატასტროფულ შედეგებს იწვევს, ხოლო დინამიკური რეალიების გათვალისწინებით თანდათანობითი ევოლუციის პროცესი საზოგადოებრივი პროგრესის საფუძველია.

პოლიტიკური კულტურის მაკონსტრუირებელ სეგმენტებში ეროვნული ღირებულებების უცილობელი გათვალისწინება, რაც კონსერვატორული იდეოლოგიისა და პრაქტიკის ამოსავალი პრინციპია, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტრანსფორმირებადი საზოგადოების ქვეყნებისა და ერებისადმი, მით უმეტეს იმ ქვეყნებისა და ერებისადმი, რომელთა სულიერი, ეროვნული ღირებულებები ეჭვგარეშეა, თუმცა დემოკრატიული პოლიტიკური კულტურის დეფიციტიც აშკარაა. გასაგებია, რომ ამ შემთხვევაში ჩვენს ქვეყანას ვგულისხმობთ და იმის თქმა გვინდა, რომ „უცხო ბაძის" (ილია) სენით მეტისმეტად არ დავიავადმყოფოთ თავი და, იგივე ჩვენი დიდი ერისკაცის სიტყვები რომ მოვიშველიოთ, არც საქართველო და არც ქართველობა ყოფილა იმ დიდი შარაგზიდან გაძევებული, რასაც საკაცობრიო ცივილიზაცია ჰქვია. თუმცა აქვე სრული კატეგორიულობით უნდა ითქვას, რომ ქართული პოლიტიკური კულტურის ფორმირებაში არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს იმ ბაზისური, უნივერსალური პრინციპების როლის შემ-

ცირება, რომლებიც დასაბუთებული და აპრობირებულია საუკუნეების მანძილზე დასავლეთის ქვეყნებში და რომლებმაც, სრული პასუხისმგებლობით შეიძლება ითქვას, ბევრად განაპირობა ამ ქვეყნების წარმატებები ეკონომიკაში, პოლიტიკაში, სოციალურ სფეროებში, დემოკრატიასა და მოსახლეობის კეთილდღეობაში.

დაბოლოს, გარდამავალი პერიოდის საქართველოს პოლიტიკური კულტურა ფრაგმენტული ტიპისაა, საზოგადოების მზარდი დეფერენციაციის პირობებში დაბალია კონსენსუსის დონე პოლიტიკისა და კულტურის საბაზისო ღირებულებების მიმართ. პოლიტიკურ კულტურაში დომინირებადი მორჩილებითი და პატრიარქალური კულტურის გვერდით მცირე პროცენტული რაოდენობით თანაარსებობს აქტიური, სამოქალაქო კულტურის ელემენტები... მთლიანობაში საქართველოს პოლიტიკური კულტურა წარმოადგენს სხვადასხვა პოლიტიკური ორიენტაციების, მრავალეროვანი და მრავალფეროვანი სუბკულტურების სინთეზს, რომლის მნიშვნელოვანი თავისებურება არაერთგვაროვნებასა და წინააღმდეგობრივ ბუნებაშია გამოხატული.

ნოდარ ჯითაძავა

გარდამავალი პერიოდი და ეროვნული ეკონომიკური სისტემის ფორმების თავისებურებები
(კონცეფციურ-მეთოდოლოგიური მიდგომა)

ქვეყანა სისტემურ კრიზისშია. ქართული სახელმწიფოს აშენების, თანამედროვე საბაზრო ურთიერთობებზე დაფუძნებული ეკონომიკური სისტემის ფორმირებისა და სამოქალაქო საზოგადოების აშენების რთული პროცესი წინააღმდეგობრივად წარიმართა.

დადგა დრო ობიექტურად შეფასდეს ქვეყანაში მიმდინარე პროცესები, გამოვლინდეს განვითარების ძირითადი ტენდენციები და ამის საფუძველზე განისაზღვროს ეკონომიკის ტრანფორმაციულ პროცესებზე ზემოქმედების მეთოდები და მიზნები. ამ კონტექსტში კვლავაც აქტუალურია ეროვნული ეკონომიკური სისტემის მოდელის განსაზღვრის ამოცანა.

დღეს თითქმის ყველა აღიარებს საბაზრო ეკონომიკის უპირატესობას, ზოგიერთი კი თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის (რომელიც ბუნებაში არ არსებობს) ჩამოყალიბების აუცილებლობაში არწმუნებს საზოგადოებას. განსხვავებული, ხშირად საპირისპირო პოზიციიდან ხდება ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება, არაერთგვაროვანი შეხედულებები ჩამოყალიბდა საერთოდ საბაზრო და სახელმწიფო სტრუქტურების მიმართ, კამათია იმის შესახებაც, სისტემურ საფინანსო თუ ეკონომიკურ კრიზისთან გვაქვს საქმე. ეს ბუნებრივი პროცესია. მთავარი ის არის, რომ განსხვავებულ შეხედულებათა ფართო სპექტრში განვითარების არსებითი ტენდენციები და თავისებურებები გამოვლინდეს, რათა გარდაქმნების სტრატეგიული მიმართულება სწორად განისაზღვროს.

საბაზრო ეკონომიკა აქვს მსოფლიო ყველა ქვეყანას, მაგრამ ოფიციალური სტატისტიკით ამჟამად მსოფლიოში 6 მლრდ. მცხოვრებიდან 2 მლრდ. ადამიანი სიღატაკეში ცხოვრობს, 1 მლრდ. უმუშევარია, ნახევარ მილიარდამდე შიმშილობს. მისგან ყოველწლიურად 80 მილიონი კაცი იხოცება (მეორე მსოფლიო ომში

დაღუპა 50 მილიონი). ბაზარი ეკონომიკის ორგანული ნაწილია. ასე იყო და მომავალშიც ასე იქნება. განა დღეს საქართველოში არა გვაქვს საბაზრო ეკონომიკა?

გვაქვს. სამწუხაროდ, იგი მახინჯი დაიბადა და „ველური კაპიტალიზმის" თამაშის წესებით მოქმედებს. ამიტომაა, რომ სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრება მეტად დაძაბულია. ადრე მიღწეულ დონეს დიდად ჩამორჩა ეკონომიკა. ქვეყანაში სისტემატური კრიზისი სხვადასხვა ფორმით იჩენს თავს (საბიუჯეტო, მართვის და სხვ.). თუ საბაზრო ეკონომიკა გვაქვს, რატომ უნდა გვიჭირდეს, რატომ არ უნდა გვქონდეს ეფექტიანი ეკონომიკა? ბევრი ობიექტური ფაქტორი განსაზღვრავს ეროვნული მეურნეობის ამჟამინდელ მძიმე მდგომარეობას. ერთ-ერთი მთავარი სუბიექტური მიზეზი ის არის, რომ სწორად ვერ გავიგეთ საბაზრო ეკონომიკის არსი, გარდამავალი პერიოდის თავისებურებები, ტენდენციები, კანონზომიერებანი და, აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს ეკონომიკური როლის განმსაზღვრელი მნიშვნელობაც. რას წარმოადგენს საქართველოს საბაზრო ეკონომიკა დღეს? იგი ფორმითა და შინაარსითაც წარმოადგენს განსაკუთრებულ ისტორიულ-ეკონომიკურ ტიპს, რომელიც აღმოცენდა და მოქმედებს საბჭოური სოციალიზმის, „ველური კაპიტალიზმის", განვითარებული ქვეყნების შერეული ეკონომიკური სისტემისა და განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკის ტრანსფორმაციის გამოცდილების, ასევე ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული მსოფლმხედველობითი პოზიციების დაპირისპირების, ურთიერთგანპირობებულობის სხვადასხვა ელემენტის საფუძველზე. იგი წარმოჩნდა თავისებური კონგლომერატის სახით, რომელიც შემადგენელი ელემენტების არითმეტიკული ჯამი უფროა, ვიდრე ინტეგრირებული სისტემა. ამიტომაა, რომ დღემდე ცნობილი ან ფორმირებადი ეკონომიკური სისტემების მკაფიოდ გამოკვეთილი ნიშან-თვისებები მას არ გააჩნია.

ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ XX საუკუნეში საქართველომ გამოსცადა 5 ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული ეკონომიკური იდეოლოგია. სახელდობრ, „წმინდა კაპიტალიზმის" თეორია, სოციალურ-დემოკრატიული პრინციპები, „ნეპი", „ცენტრალიზებული დაგეგმვა და მართვა", „შოკური თერაპია". ისტორიული განვითარების ასეთი უნიკალური თავისებურება საფუძველს

გვაძლევს, რომ დღევანდელი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა განვიხილოთ, როგორც მსოფლმხედველობითი პოზიციების შეუთავსებლობით გამოწვეული ქვეყნის ცალმხრივი განვითარების ადეკვატური შედეგიც.

გარდამავალ პერიოდში საქართველოს საბაზრო ეკონომიკის ფორმირება-ფუნქციონირების ანალიზი გვიჩვენებს, რომ უფრო სწორი იქნება დღევანდელი ეკონომიკური სისტემა წარმოვიდგინოთ ახალი ტიპის შერეულ ეკონომიკურ სისტემად, რომელიც საზოგადოებისა და საბაზრო ეკონომიკის განვითარების მხოლოდ სოციალურ-ისტორიულ ჩარჩოში არ თავსდება. დიდია მასზე გარდამავალი პერიოდის თავისებურებებისა და ტენდენციების გავლენაც. ვიდრე აღნიშნულ პრობლემებზე ჩვენს მოსაზრებებს გამოვთქვამდეთ, უფრო ლოგიკურია დაისვას კითხვა „გარდამავალი პერიოდის ეკონომიკა" თუ „გარდამავალი ეკონომიკა"?

ბევრი ავტორი მათ ერთმანეთისაგან განასხვავებს. არის საპირისპირო მოსაზრებაც, ისინი იდენტურ ტერმინებად ითვლება, ჩვენი აზრით, საქმე გვაქვს ერთი რიგის ცნებებთან, მაგრამ ერთობ ძნელია წყალგამოყოფით გამიჯნო ისინი, ან ერთმანეთისგან არ განასხვავო. მიუხედავად იმისა, რომ მათ ბევრი აქვთ საერთო, პრინციპული განსხვავებაც არის. სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ მათ, ისტორიული თვალსაზრისით, გენეზისის სხვადასხვა მახასიათებლები გააჩნიათ. ამ მხარეს ანგარიში უნდა გაეწიოს, რამდენადაც იგი სერიოზულ გავლენას ახდენს სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის პრინციპების განსაზღვრაზე.

რა არის „გარდამავალი პერიოდი?" საყოველთაო აღიარებით, ეკონომიკის ერთი მდგომარეობიდან თვისებრივად ახალ მდგომარეობაში გადასვლის პერიოდს გარდამავალს ეძახიან. დღეს საქართველოში არა მხოლოდ სოციალისტური ეკონომიკური სისტემა შეიცვალა, არამედ საზოგადოებრივი ურთიერთობების რადიკალურად შეცვლის ბაზაზე, საპირისპირო პოლიტიკური და ეკონომიკური იდეოლოგიის საფუძველზე, ახალი ეკონომიკური სისტემაც იქმნება. ნიშანდობლივია, რომ მისი ფორმირება ხდება ადრინდელი ინტეგრაციული კავშირების (რომელიც არსებობდა ერთიანი მთლიანობითი სისტემის სახით) დაშლის შემდეგ. ამიტომ ლოგიკურად დადგა კვლავწარმოების სრულიად ახალი მატერიალური

და ორგანიზაციული საფუძვლების შექმნის ამოცანაც. თვისებრივად იცვლება ეკონომიკის ყველა შემადგენელი ნაწილი: რესურსების გადანაწილების წესი, საკუთრებითი ურთიერთობანი, მოტივაციის მოდელი, სტრუქტურები (ინსტიტუტები), სამართლებრივი ბაზა. ნიშანდობლივია, რომ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს არაეკონომიკური ფაქტორები. უპირველესად, მხედველობაში გვაქვს ის, რომ საქართველოს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი და ეკონომიკური სისტემების ჩამოყალიბებაზე განმსაზღვრელ გავლენას ახდენს მისი გეოპოლიტიკური მდგომარეობაც. საუბარია არა მხოლოდ ინტეგრაციულ პროცესებში ქვეყნის ჩართვის ხარისხზე, არამედ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების ხასიათზე, იმაზე, თუ მსოფლიოს რომელი წამყვანი სახელმწიფოს პოლიტიკური და იდეოლოგიური პრინციპების ზეგავლენით ჩამოყალიბდება საქართველოს მომავალი სოციალურ-ეკონომიკური სისტემა. ჩვენი აზრით, პოსტსაბჭოთა სივრცეში ფორმირებადი ეკონომიკა უფრო სწორი იქნება წარმოვიდგინოთ როგორც პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გარდამავალი პერიოდის ეკონომიკა, მისთვის დამახასიათებელი თავისებურებებით, ტენდენციებით, გარე ეკონომიკური ფაქტორების განსაკუთრებული როლითა და ა.შ. ეს მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს თანამედროვე ეტაპზე სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის რეალურ საფუძველზე ჩამოყალიბებას.

რაც შეეხება გარდამავალ ეკონომიკას, იგი უფრო უპრიანია ვუწოდოთ ერთი პოლიტიკური სისტემის ბაზაზე ეროვნული მეურნეობის ტრანსფორმაციის, მისი ერთი თვისებრიობიდან მეორეში გადასვლის რთულ პროცესში ფორმირებად ეკონომიკას. მაგალითად, როგორც იყო „დიდი დეპრესიის“ შემდგომ პერიოდში აშშ-ის ეროვნული ეკონომიკა, თანამედროვე პირობებში სოციალისტურ გარემოში საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბება ჩინეთის მაგალითზე და სხვა. შეიძლება დაისვას დღევანდელი გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის „კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალი პერიოდის“ ეკონომიკასთან იდენტურობის საკითხი. ეს არასწორი იქნება თეორიულად, ორგანიზაციულად, მეთოდოლოგიურად. „კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალი პერიოდის“ ეკონომიკა ეყრდნობა „წმინდა“ ეკონომიკური სისტემის თეორიას (უფრო

სწორად, „გოთას პროგრამის კრიტიკაში“ კ. მარქსის მიერ წამოყენებულ დებულებას კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალი პერიოდის შესახებ), რაც რუსეთის კონკრეტულ პოლიტიკურ სიტუაციაში გამოიხატა ფორმულით: „კაპიტალიზმი უნდა შეიცვალოს სოციალიზმით“, ე.ი. ერთი „წმინდა“ ეკონომიკური სისტემა (კაპიტალიზმი, კერძო საკუთრებით და რეგულირების საბაზრო მექანიზმებით) უნდა შეიცვალოს მისი ანტიპოდით, მეორე „წმინდა“ ეკონომიკური სისტემით (სოციალიზმით, სახელმწიფო საკუთრებით, ცენტრალიზებული დაგეგმვითა და მართვით). ამასთან, დასახელებული გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის ერთ-ერთი მთავარი ნიშან-თვისება — მრავალწყობიანობა განიხილებოდა როგორც დროებითი ფაქტორი ერთ, სოციალისტურ წყობაზე საბოლოოდ გადასელისათვის. საგანგებო ეკონომიკურ ფუნქციას იღებდა სახელმწიფო, თანამედროვე გაგებით „ხილული ხელი“, რომელიც პოლიტიკურ, თეორიულ, მატერიალურ, ორგანიზაციულ საფუძველს აცლიდა „უხილავ ხელს“ — საბაზრო თვითრეგულირებას (გამონაკლისი იყო „ნეპი“).

თანამედროვე გარდამავალ პერიოდში სოციალისტური ეკონომიკა გადადის არა კლასიკურ კაპიტალიზმზე (სახელმწიფო საკუთრებიდან მხოლოდ კერძო საკუთრებაზე, ცენტრალიზებული მართვიდან — მხოლოდ რეგულირების საბაზრო სტრუქტურებზე), როგორც ეს „შოკური თერაპიის“ დოქტრინით ნასაზრდოებ რეფორმატორებს და მათ უცხოელ ექსპერტ-რეკომენდატორებს ეგონათ, არამედ შერეულ (მრავალწყობიან) ეკონომიკურ სისტემაზე (ამასთან დაკავშირებით ჩვენი მოსაზრებები იბეჭდებოდა ჯერ კიდევ გაზეთ „კომუნისტში“ 1990 წელს, 1992 წლიდან პერიოდულად ქვეყნდება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“). ამ დასკვნას პრინციპული თეორიული და გამოყენებითი მნიშვნელობა ჰქონდა, და ეჭნება მომავალშიც, რადგანაც სწორედ იგი იძლევა საზოგადოებრივი გარდაქმნების ურთულესი პროცესების ობიექტურად შეფასების მეცნიერულ საფუძველს.

საქართველოში უნდა ჩამოყალიბდეს ახალი ტიპის შერეული ეკონომიკური სისტემა, რომელიც არსებითად განსხვავდება განვითარებული ქვეყნების შერეული ეკონომიკური სისტემებისაგან. უპირველესად, უნდა აღინიშნოს, რომ შერეული ეკონომიკის

სტრუქტურას გააჩნია დომინანტური ხასიათი, ე.ი. შეიძლება მასში ეკონომიკის განვითარების კონკრეტული სიტუაციის შესაბამისად დომინირებდეს, წამყვან ფუნქციას ასრულებდეს სისტემის რომელიმე შემადგენელი (ელემენტი). ეს თავისებურება რეალურად აისახა პოსტსაბჭოთა პერიოდის საზოგადოებრივი, განსაკუთრებით — ეკონომიკური გარდაქმნების შედეგებშიც. ამაში დავრწმუნდებით, თუ შეადარებთ განვითარებული ქვეყნების შერეულ ეკონომიკურ სისტემას პოსტსაბჭოთა პერიოდში ფუნქციონირებად საქართველოს ეკონომიკურ სისტემასთან ორი უმთავრესი ნიშნით: საკუთრების ფორმისა და რეგულირების მექანიზმის როლითა და მნიშვნელობით ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. განვითარებული ქვეყნების შერეულ ეკონომიკურ სისტემაში დომინირებს კერძო საკუთრება, როგორც შერეული ეკონომიკური სისტემის ფორმირების ამოსავალი საწყისი და სისტემის შემდგომი ფუნქციონირების განმსაზღვრელი ფაქტორიც. ეს იძლევა თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძველს ვთქვათ, რომ ასეთი ტიპის შერეული ეკონომიკური სისტემა წარმოადგენს ერთი ეკონომიკური წყობის (კაპიტალისტურის) თვისებრივად (ევოლუციურად) შეცვლის შედეგს და მისი სოციალურ-ეკონომიკური ხარისხი, ქვეყნების თავისებურებების შესაბამისად, ერთმანეთისაგან განსხვავდება და გამოხატავს კერძო საკუთრებაზე დამყარებული საწარმოო ურთიერთობების ტრანსფორმაციის სიღრმეს, მის ხასიათს, მასშტაბს.

საბჭოური სოციალიზმიდან შექმნილი შერეული ეკონომიკური სისტემაც ერთი ეკონომიკური წყობის (სოციალისტურის) თვისებრივად (რევოლუციურად) შეცვლის შედეგია და მისი სოციალურ-ეკონომიკური ხარისხი, ქვეყნების თავისებურებების შესაბამისად, ერთმანეთისგან განსხვავდება და გამოხატავს სახელმწიფო საკუთრებაზე დამყარებულ საწარმოო ურთიერთობათა ტრანსფორმაციის (პრივატიზაციის საშუალებით) სიღრმეს, მის ხასიათს, მასშტაბს. ბუნებრივია, რომ ასეთ შემთხვევაში გარდამავალი პერიოდის სასტარტო ეტაპზე დომინირებს საზოგადოებრივ-სახელმწიფო საკუთრება. მისი პრივატიზაციის ხელოვნურად, ობიექტური და სუბიექტური წანამძღვრების მომზადების გარეშე ჩატარება, ან ეკონომიკის განვითარების საერთო ტენდენციების გაუთვალისწინებლად განხორციელება, როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, არსებული სო-

ციალურ-ეკონომიკური სისტემის ნგრევას (და არა დემონტაჟს) იწვევს. საქართველოში პრივატიზების შედეგებმა გვიჩვენა, რომ პოსტსაბჭოთა პერიოდის ეკონომიკაში მრავალწყობიანობა გამოდის როგორც სოციალურ-ეკონომიკური საფუძვლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი. ლოგიკურია, რომ როგორც ეს დასავლეთის ქვეყნების შერეულ ეკონომიკურ სისტემებშია, იგი გახდეს ეროვნული ეკონომიკის მდგრადი განვითარების რეალური პირობა. მომავალშიც შერეულ ეკონომიკურ სისტემაში თანდათანობით გაძლიერდება ეკონომიკის არასახელმწიფოებრივი სექტორი.

ამრიგად, საკუთრების ფორმის როლისა და მნიშვნელობის თვალსაზრისით, საერთოდ შერეული ეკონომიკური სისტემა, მიუხედავად მისი წარმომავლობისა, საკუთრების ფორმების პლურალიზმის, მრავალწყობიანობის ობიექტური გამოვლინების ფორმაა.

რა ნიშნებით განსხვავდება ერთმანეთისაგან დასახელებული შერეული ეკონომიკური სისტემები რეგულირების მექანიზმის გამოყენების მხრივ?

თანამედროვე განვითარებული ქვეყნების შერეულ ეკონომიკურ სისტემაში დაწყვილებულია „უხილავი ხელი" (საბაზრო თვითრეგულირება) და „ხილული ხელი" (ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება). ცნობილია, რომ ეს მოვლენა უშუალოდ არის დაკავშირებული კეინზის თეორიასთან, რომლის მიხედვით კაპიტალიზმმა დაკარგა თვითრეგულირების უნარი, ამიტომ აუცილებელი გახდა საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობებში სახელმწიფოებრივი რეგულირებისა და საბაზრო თვითრეგულირების შეხამება. მსოფლიო პრაქტიკით დადასტურდა მათი არა ანტიპოდური ხასიათი, როგორც ეს საყოველთაოდ აღიარებული იყო, არამედ ის, რომ ორივე ეკონომიკური პროცესების რეგულირების ფორმაა. უფრო კონკრეტულად, ერთიც და მეორეც წარმოადგენს ერთი და იმავე ამოცანის გადაწყვეტის ორგანიზაციულ-ტექნოლოგიურ ვარიანტს. ეს ამოცანა კი არსებული მატერიალური და შრომითი რესურსებით საზოგადოების სიცოცხლისუნარიანობისა და სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის მდგრადობის უზრუნველყოფაა. ამასთან მიმართებაში უპრიანია განვიხილოთ ცნობილი პოსტულატიც: „ფართო გაგებით თანამედროვე ეკონომიკურ სისტემაში თავსებადია რეგულირების ოთხი წყვილის ცალ-ცალკე და ერთად ფუნქციონირე-

ბაც". ესენია: საბაზრო მექანიზმები და ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება (რეგულირების ფორმები და არა ანტიპოდები); კაპიტალის გადიდების მაქსიმიზაციაზე დაფუძნებული მეურნე სუბიექტთა მისწრაფება და ეროვნული შემოსავლის გადანაწილების აუცილებლობა (ეფექტიანობისა და სოციალური სამართლიანობის შეხამება); ღია ეკონომიკის ფუნქციონირება (როცა იგი ეფექტიანობის ხელშემწყობი პირობაა) და ეროვნული მეწარმეობის ინტერესების დაცვა; ეკონომიკური თავისუფლება და სოციალური პარტნიორობის ინსტიტუტი.

ამრიგად, დასახელებული შერეული ეკონომიკური სისტემები ეყრდნობა რეგულირების სხვადასხვა მექანიზმს, მათ ერთობლიობას. განვითარებულ ქვეყნებში ჩვეულებრივ პირობებში (როცა ეროვნული ეკონომიკა დაბალანსებულია) დომინირებს „უხილავი ხელი", ექსტრემალურ სიტუაციაში კი „ხილული ხელი". პოსტსაბჭოური პერიოდის სასტარტო ეტაპზე ფორმირებად შერეულ ეკონომიკურ სისტემაში, რა თქმა უნდა, დომინირებს „ხილული ხელი", რომელიც თანდათანობით ამზადებს „უხილავი ხელის" რეალურად დამკვიდრების პირობებს. ასეთია საბაზრო ურთიერთობათა განვითარების დიალექტიკა, რომელიც განსაკუთრებული ხელწერით XX საუკუნის 70-იანი წლებიდან გამოვლინდა.

უპრიანია განვიხილოთ სხვა ასპექტიც. კაპიტალისტური ეკონომიკა ორიენტირებული იყო მომხმარებელზე (როგორც ინვესტორზე), საბჭოთა ეკონომიკა — მწარმოებელზე (როგორც დოვლათის შემქმნელზე). ამ დროს ადამიანი არ არის მხოლოდ მწარმოებელი ან მომხმარებელი. მას სხვა მიზნებიც და როლიც აქვს, სხვა ფუნქციასაც ასრულებს. ამჟამად განვითარებული ქვეყნების შერეულ ეკონომიკურ სისტემაში ადამიანის ფაქტორი ცენტრალურია, მასზე არსებითად დამოკიდებულია არა მარტო პროდუქციის მოხმარება ან წარმოება, არამედ საზოგადოების განვითარების ვექტორთა განსაზღვრაც, მის პროცესებზე ზეგავლენის ხარისხით, ეკონომიკური საქმიანობის შედეგების სამართლიანი განაწილებაც და სხვა. ზემოთქმული საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ: შერეული ეკონომიკური სისტემა (მიუხედავად წარმომავლობისა) განვითარებულ ქვეყნებსა და პოსტსაბჭოური პერიოდშიც არა მარტო კერძო, სახელმწიფო, კოლექტიური საკუთრების, მათი კომბი-

ნაციით წარმოქმნილი მრავალი ვარიანტის და მეურნეობრიობის სხვადასხვა ტიპის ერთობლიობაა, რომელიც მათი თანაარსებობის ხელსაყრელ საბაზრო გარემოს ქმნის, არამედ მათი ურთიერთმოქმედების, ურთიერთშევსების, ასევე რეგულირების (საბაზრო, სახელმწიფო) ერთმანეთისაგან განსხვავებული პრინციპებით, მოტივაციით, მოქმედების საზღვრებით, მექანიზმებით წარმოადგენს ერთიან მთლიან სისტემას, რომელიც განსაზღვრულ სტრატეგიულ მიზანს — ადამიანის კეთილდღეობას ემსახურება. ასეთია თანამედროვე პირობებში შერეული ეკონომიკური სისტემის ჩვენეული გაგება.

პოსტსაბჭოური პერიოდის შერეულ ეკონომიკურ სისტემაში ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება („ხილული ხელი") არა მხოლოდ ეკონომიკური პროცესების რეგულირების ფუნქციას ასრულებს, როგორც ეს ტრადიციულად განვითარებულ ქვეყნებშია მიჩნეული, არამედ საბაზრო ურთიერთობათა სისტემის შემქმნელი ფაქტორის როლსაც, რაც გარდამავალი პერიოდის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური თავისებურებებით უნდა ავხსნათ. ამ დებულებას პრინციპული თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. საკითხი ეხება ისეთი საბაზრო ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბებას, რომელიც განვითარებული ქვეყნების ათეული წლების გამოცდილებით შეძენილი უარყოფითი მხარეებისაგან იქნება გარკვეულწილად დაზღვეული. ცხადია, რომ გარდამავალ პერიოდში საზოგადოებაში არ არის სხვა ისეთი სუბიექტი, თუ არა სახელმწიფო, რომელსაც შეუძლია ქვეყნის განვითარების წინა პერიოდებში დაგროვილი გამოცდილება, ერთი მხრივ, მოსახლეობის ცოდნის (განათლება, მეცნიერება) არსებული პოტენციალი, მეორე მხრივ, და, მესამე მხრივ, ხალხის სოციალური ენერგია აღმშენებლობის უმთავრეს ფაქტორად აქციოს. ამისათვის საჭიროა საზოგადოების განვითარების სწორი ანალიზი და შეფასება, ქვეყნის მომავალი სტრატეგიის ობიექტურად განსაზღვრა, ისტორიული გამოცდილების, აზროვნების დღევანდელი დონისა და სოციალური ენერგიის ერთდროულად და თანმიმდევრულად ამოქმედება, ერთიან პროცესში ჩართვა. ამ ფუნქციას თანამედროვე პირობებში, ცხადია, თავად ფორმირების პროცესში მყოფი საბაზრო მექანიზმები ვერ შეასრულებენ. ამიტომ საზოგადოება რეალურად დადგა ეკონომიკის

სახელმწიფოებრივი რეგულირების როლის სრულიად ახლებურად გააზრების აუცილებლობის წინაშე. უპირველესად, უნდა ვაღიაროთ, რომ იგი, როგორც კვლავწარმოებითი პროცესის ორგანული ნაწილი, თანამედროვე პირობებში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტაბილიზაციის განმსაზღვრელი პირობა-ფაქტორიცაა. ეს მიდგომა უნდა დაედოს საფუძვლად ეკონომიკური კრიზისიდან ქვეყნის გამოყვანის სახელმწიფო სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკას.

ბუნებრივია, ასეთი მიდგომა განსხვავდება ამჟამინდელი სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის ფუძემდებლური პრინციპისაგან: „დაე, წავიდეს ისე, როგორც ამას წაიყვანს „უხილავი ხელი", ე.ი. საბაზრო მექანიზმები. ამით უნდა აუხსნათ ნაჰილიზმის მომძლავრებაც, როცა პოლიტიკოსთა, მეცნიერთა, განსაკუთრებით მეწარმეთა ერთი ნაწილი ცდილობს საერთოდ უარყოს გარდამავალ პერიოდში ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების განმსაზღვრელი როლი და, მისი დისკრიმინაციის მიზნით, მას აიგივებს ცენტრალიზებული დაგეგმვისა და მართვის პრინციპებზე ფუნქციონირებად საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიკურ როლთან, რაც თეორიულად, ორგანიზაციულად, მეთოდოლოგიურად ყოვლად გაუმართლებელია. მათ თვისებრივად სხვადასხვა პოლიტიკური, მატერიალური, იდეოლოგიური, სამართლებრივი საფუძველი, ამოცანები, მართვის ფორმები, მეთოდები აქვთ. ჩვენს შემთხვევაში იგულისხმება ისეთი სახელმწიფო, რომელიც თავისუფალია კლასობრივი შინაარსისაგან, გამოხატავს საზოგადოების ყველა ფენის ინტერესებს, უზრუნველყოფს იდეოლოგიურ პლურალიზმს, კონკრეტული პირობების შესაბამისად არეგულირებს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესებს (საბაზრო და სახელმწიფოებრივი რეგულირების შეხამება, კონკურენტული გარემოს შექმნა და ა.შ.), სრულად გამოხატავს ქვეყნის განვითარების თავისებურებებს, ტრადიციებს, ადეკვატურად პასუხობს მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესებს. ცხადია, ასეთი სახელმწიფო არსებითად განსხვავდება საბჭოთა სახელმწიფოსაგან.

გარდამავალ პერიოდში ფორმირებადი შერეული ეკონომიკური სისტემა, ბუნებრივია, მდგრადი არ არის. ეს რიგი მიზეზებით და თავისებურებებით აიხსნება, რაც დასტურდება დღევანდელი ეკონო-

მიკური სისტემის შემადგენელი ელემენტების – კაპიტალის, სოციალური პარამეტრების, საბაზრო მექანიზმების, რეგულირების სისტემის და სხვათა მოქმედების ანალიზით. მაგალითად, კაპიტალი, როგორც ეკონომიკური სისტემის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი, თავის წარმოშობით უშუალოდ დაკავშირებულია ჩრდილოვან ეკონომიკასთან (იგი სათავეს საბჭოთა ეკონომიკიდან იღებს), „ნომენკლატურულ პრივატიზაციასთან" (რომელიც ასოცირდება ეროვნული სიმდიდრის ძალდატანებით გადანაწილებასთან), საყოველთაოდ ცნობილ ფულის „გარეცხვასთან" და სხვ.

დღევანდელი ეროვნული კაპიტალის ერთ-ერთი თავისებურებაა ის, რომ გამდიდრებული უმცირესობა ფლობს კაპიტალს, რომელიც წარმოიშვა არა წარმოების პროცესში, არამედ სახელმწიფო ქონების ძალადობით გადანაწილების შედეგად. ამიტომაა, რომ იგი კლავწარმოებით პროცესში რეალურად არ მონაწილეობს. ამასთან, ეროვნული სიმდიდრის მნიშვნელოვანი ნაწილი გაძარცულია და გაზიდული უცხოეთში. ძირითადი საწარმოო ფონდების უმრავლესობა მწობრიდან გამოვიდა. ამასთან ეროვნული კაპიტალის პოტენციალი ობიექტურად შეფასებულიც არ არის, რაც ხელს უშლის მისი ამოქმედების ღონისძიებათა სწორად შემუშავებას.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო, როგორც მესაკუთრე, თავისი პასიურობით ეკონომიკის გაჩანაგებას უფრო უწყობს ხელს, ვიდრე სტაბილიზაციას. ეს დაადასტურა პრივატიზაციის სოციალურ-ეკონომიკურმა შედეგებმაც. ფორმირებადი მესაკუთრე გამოირჩევა მხოლოდ დაუოკებელი სურვილით – კაპიტალისტი ერქვას (ქართული პატივმოყვარეობის სინდრომი). მას სუსტი სახელწიფო (კანონმდებელი, მესაკუთრე, მენეჯერი) მუშაობის შესაბამის ეკონომიკურ და ორგანიზაციულ გარემოს ვერ უქმნის. ზოგიერთი „ახალი ქართველის" კაპიტალის წარმოების ძირითადი წყარო კორუფციაა.

დასახელებული და სხვა ტენდენციების გამო, დღევანდელი კაპიტალი გაფართოებული კლავწარმოების ფაქტორის როლის შესრულებას ვერ უზრუნველყოფს.

აუცილებელია დაზუსტდეს რეალური კაპიტალის პოტენციალი. ამ მიზნით 1990 წლიდან განვლილ პერიოდში ძირითადი

ფონდების, ფულადი, შრომითი რესურსების, ინტელექტუალური პოტენციალის ობიექტური შესწავლა და შეფასება უნდა მოხდეს.

როგორია შერეული ეკონომიკური სისტემის სოციალური ელემენტი (ურთიერთობები, რომლებშიც ხდება საზოგადოების წევრთა ინტერესების რეალიზაცია სოციალური გარანტიით)? იგი ხასიათდება ღრმა ქონებრივი დიფერენციაციით, რამაც, ფაქტობრივად, წარმოშვა მთავარი სოციალურ-პოლიტიკური წინააღმდეგობა, მაგ., ქვეყნის ეკონომიკის გაჩანაგების ფონზე მოსახლეობის გამდიდრებულ უმცირესობასა და გაღატაკებულ უმრავლესობას შორის მძაფრი დაპირისპირება. ეს პოლიტიკური პრობლემაა, რომელიც შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ ეფექტიანი საბაზრო ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბების გზით.

ამიტომ პრინციპული მნიშვნელობა აქვს სოციალური პრიორიტეტების ობიექტურად განსაზღვრას, რათა მივაღწიოთ ეკონომიკური თავისუფლებისა და სოციალური სამართლიანობის პრინციპების შეხამებას, სოციალური პრობლემების გადაწყვეტის ეკონომიკის ეფექტიანობასთან დაკავშირებას, ეკონომიკური, კულტურული და სოციალური პოლიტიკის ერთიანობას. ეს შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკური ეფექტიანობის მოთხოვნების პრიორიტეტით (და არა პირიქით, როცა პოლიტიკოსები ამბიციურ მოთხოვნებს თავს ახვევენ კრიზისში მყოფ ეკონომიკას) განისაზღვრება სოციალური პრობლემების გადაწყვეტის პრიორიტეტი.

საზოგადოებისათვის გასაგები უნდა იყოს, რომ, როცა არ იქნება ეფექტიანი ეკონომიკა, სოციალური პრობლემები არამცთუ არ გადაწყდება, არამედ ქვეყანა პოლიტიკურ დამოუკიდებლობასაც ვერ შეინარჩუნებს. ამიტომ სახელმწიფოს სოციალურ პოლიტიკაშიც ამოსავალ პრინციპად უნდა მივიჩნიოთ ეკონომიკური ეფექტიანობის (ბაზრის) და სოციალური სამართლიანობის (სახელმწიფოებრივი რეგულირება) ინტერესების შეხამებით ცხოვრების დონისა და ხარისხის ამაღლება.

როგორია ამჟამად ჩამოყალიბებული ეკონომიკური სისტემის ისეთი შემადგენელი ელემენტი, როგორიცაა საბაზრო ურთიერთობები (მექანიზმები)? ზოგადი სურათი ასეთია: წარმოების სფეროში კონკურენცია, როგორც სტიმულირების საშუალება, ფაქტობრივად არ მოქმედებს. სამეურნეო სუბიექტების სამეწარმეო საქმიანობის

ხელსაყრელი გარემო ჯერ კიდევ არ შექმნილა. ეკონომიკური საზღვარი ღიაა, მაგრამ ქვეყნის ინტერესების შესაბამისად მისი რეგულირება არ ხდება. 2002 წელს იმპორტი 2,5-ჯერ სჭარბობდა ექსპორტს. ბიზნესის განვითარების სახელმწიფო მხარდაჭერის პოლიტიკა სპონტანურ ხასიათს ატარებს, ამიტომ რეალურად ვერ ცვლის სიტუაციას, სახელმწიფო დაკვეთის მექანიზმი სუსტია; პრივატიზებული საწარმოების დიდი ნაწილი არ მუშაობს, კერძო სექტორის დისკრედიტაციის ფსიქოლოგიური გარემოს ჩამოყალიბების საფრთხეც შეიქმნა. საგადასახადო სისტემა ფისკალურ ფუნქციასაც სრულად ვერ ასრულებს. საგადასახადო და საკრედიტო განაკვეთები მაღალია, მათი დიფერენცირებული განსაზღვრა არ ხდება. მოგებით (რომელიც ამჟამად საწარმოებისათვის ინვესტირების ერთადერთი წყაროა) ერთნაირად იბეგრება საშუამავლო ფუნქციების მქონე სამეურნეო სუბიექტი (რომელსაც მაღალი რენტაბელობა აქვს) და საწარმოც, რომელიც 5-10 პროცენტით (არა საკუთარი მიზეზით) იყენებს არსებულ სიმძლავრეებს.

ამრიგად, ამჟამინდელი შერეული ეკონომიკური სისტემის ცენტრალური შემადგენელი ელემენტი — საბაზრო ურთიერთობები — დეფორმირებულია, ამიტომ ეკონომიკის განვითარების წამყვანი ფაქტორის ფუნქციას ვერ ასრულებს.

როგორია შერეული ეკონომიკური სისტემის შემადგენელი ელემენტი — რეგულირების სისტემა? როგორც უკვე აღინიშნა, ეკონომიკის საბაზრო მექანიზმები და სახელმწიფოებრივი რეგულირების მექანიზმები სუსტია. ისინი ერთმანეთს ვერ ავსებენ. დომინირებს ბაზრისა და სახელმწიფოს ურთიერთდამოკიდებულების რეფორმამდელ პერიოდში პოლიტიკური დოგმების გავლენით ხელოვნურად შექმნილი ფსევდომეცნიერული მოსაზრება იმის შესახებ, რომ კერძო საკუთრება და ბაზარი კეთილდღეობის უნივერსალური ფაქტორებია, საკმარისია მხოლოდ მათი დამკვიდრება და პროცესები თავად განვითარდება. ცხადია, ასეთ პირობებში ბაზრის სტიქია მძლავრობს. დაფიქსირდა ისიც, რომ სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებში სახელმწიფოს როლის ყოველი შესუსტება გზას უხსნის ისეთ ძალებს, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკურ სივრცისათვის თამაშის საკუთარი წესების თავზე მოხვევას ცდილობენ. კორუფცია უფრო გაძლიერდა. სახელმწიფო მართვის აპარატი გაით-

ქვიფა შერჩევით ბიზნესში. იქმნება შთაბეჭდილება, რომ შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებს თითქოს არ აინტერესებთ სოციალურ-ეკონომიკური პროცესების შესახებ ობიექტური ინფორმაცია. მხოლოდ ერთ მაგალითს დავასახელებთ. დღეს ქვეყანაში რეალურად განსაზღვრული არ არის, რამდენია მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა, როგორია მისი სტრუქტურა და ა.შ.

ამრიგად, არსებული ეკონომიკური მდგომარეობის საერთო ანალიზიდან ჩანს, რომ შერეული ეკონომიკური სისტემის ძირითადი შემადგენელი ელემენტები დეფორმირებულია, ამიტომ თავად სისტემა არამდგრადია. როგორც ჩანს, აუცილებელია თვით სისტემის გარდაქმნა. რა ვქნათ? უპირველეს ყოვლისა, სიმართლეს თვალი უნდა გავუსწოროთ, პრაქტიკულად უნდა აღვიქვათ მწარე სინამდვილე, ვეძებოთ არაორდინარული საშუალებები კრიზისიდან გამოსასვლელად. პირველ რიგში ვაღიაროთ, რომ ქართული საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბება გარდამავალი პერიოდის ზემოთ აღნიშნულ თავისებურებათა გამო სახელმწიფოს ეკონომიკურ როლს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. იგი სამ — კანონმდებლის, მესაკუთრის, მენეჯერის ფუნქციებს ერთდროულად და წარმატებით უნდა ასრულებდეს. ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლა რეგულირების (საბაზრო თვითრეგულირებისა და სახელმწიფოებრივი რეგულირების შეხამებით) კონკრეტულ სიტუაციას მორგებული ძლიერი სისტემით უნდა მოხდეს. სხვა გამოსავალი არ არის. ჩვენ ათეულობით წლები არა გვაქვს, რომ საბაზრო ეკონომიკის ფორმირების ისტორიული (ტრადიციული) გზით ვიაროთ.

შერეულ ეკონომიკურ სისტემაში უნდა ვხედავდეთ რეალურ პოტენციალს ადამიანის ცხოვრების დონისა და ხარისხის ამაღლებისათვის. ამ სისტემის უპირატესობა ისაა, რომ უფრო რეალურად მოხერხდება ადამიანის ნორმალური კეთილდღეობის საკმარისი დონის მიღწევა, მისი ინტერესების რეალიზაციის სამართლებრივი, მატერიალური, სულიერი გარემოს შექმნა, უშუალოდ წარმოების, განაწილების, გაცვლის, მოხმარების ახალი სოციალური ორგანიზაციის ჩამოყალიბება.

საჭიროა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის საფუძველზე თვით შერეული ეკონომიკური სისტემის ფორმირებისა და ფუნქციონირების ამოსავალი მეთოდოლოგიური პრინციპების სწო-

რად განსაზღვრა. გარდაქმნის სტრატეგია უნდა დაეყრდნოს არა მხოლოდ ე.წ. ქრესტომათიულ მიდგომებს, რეგულირების აპრობირებულ მეთოდებს, სქემებს, არამედ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ამჟამინდელი ეტაპის კომპლექსურ ანალიზს და შეფასების მკაცრ მეცნიერულ ლოგიკას. **მეურნეობრიობის ეროვნული ტრადიციებისა და მსოფლიო სამეურნეო გამოცდილების დიალექტიკური სინთეზი უნდა დაედოს საფუძვლად ეკონომიკური სისტემის მუშაობას. არც მხოლოდ ეროვნული გამოცდილების ნაჭუჭში ჩაკეტვა შეიძლება და არც მეურნეობრიობის ეროვნული ნიადაგისაგან მოწყვეტა. ეს ობიექტური მოთხოვნა შესაბამისი მეცნიერულ და პოლიტიკურ პოზიციას საჭიროებს.**

უნდა ვაღიაროთ, რომ შორეული ეკონომიკური სისტემა ქმნის ხელსაყრელ გარემოს მრავალწყობიანობის, როგორც, ეროვნული თავისებურებებიდან გამომდინარე, საქართველოს ეკონომიკის ერთადერთი ძირითადი ელემენტის, მდგრადობისათვის, რასაც პრინციპული მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური დემოკრატიის სრულყოფისათვის (პლურალიზმი) და შეესაბამება ეროვნულ ტრადიციებს და ეკონომიკის გლობალიზაციის თანამედროვე ტენდენციებს.

შერეულ ეკონომიკურ სისტემაში სრულად უნდა აისახოს საქართველოს რეგიონების ბუნებრივ-ისტორიული განვითარების თავისებურებები, ტრადიციები, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობის, როგორც სტრატეგიული რესურსის, ეფექტიანად გამოყენებისათვის, ბუნებრივია, ეს ფაქტორი სრულიად ახალ ნიშან-თვისებებს გამოაველენს ევროპა-აზიის სატრანსპორტო დერეფნის ამოქმედებით. „ტრასეკა" მხოლოდ ქვეყნის ტერიტორიაზე გამავალი სატრანსპორტო არტერია არ არის, იგი წარმოადგენს მსოფლიო ბაზრის ორგანულ ნაწილს, რომელიც მაღალი ინტენსიეობით ხასიათდება და ევროპა-აზიის ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაზე განმსაზღვრელ გავლენას იქონიებს. ამასთან, იგი საქართველოს საბაზრო ეკონომიკური სისტემის მუშაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორიც ხდება. ეს უნიკალური საშუალებაა, რომ საქართველოს ეკონომიკა ბუნებრივად ჩაერთოს მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში, რაც მსოფლიო ეკონომიკურ თანამეგობრობაში (ევროკავშირი, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია და სხვა) ადაპტირებას შეუწყობს ხელს.

პრინციპული მნიშვნელობა აქვს შერეულ სისტემაში ეკონომიკის ოპტიმალური დარგობრივი სტრუქტურის ფორმირებას. ქვეყნის ეკონომიკის განვითარების სტრატეგიის განსაზღვრის თეორიულ-მეთოდოლოგიურ ამოსავლად უნდა მივიჩნიოთ მსოფლიო ინტეგრაციული შემოთავაზებული პირობები, როგორიც ახალი ეკონომიკური სივრცის „თამაშის წესების" მოთხოვნები. ეკონომიკის ინდუსტრიალიზაცია (რომლის სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის განმსაზღვრელი კრიტერიუმებია: შრომის მწარმოებლურობა, ეკოლოგიური წონასწორობა, ცხოვრების დონისა და ხარისხის ამაღლება) უალტერნატივო პრიორიტეტია გარდამავალ პერიოდში. საქართველოს ორიენტაცია პოსტინდუსტრიული საზოგადოების აშენებაზე ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სტრატეგიული მიზანი უნდა იყოს. რაც შეეხება შერეული ეკონომიკური სისტემის სოციალურ მიმართულებას, იგი, ბუნებრივია, გამომდინარეობს თვით ეკონომიკის უზენაესი მიზნიდან — ემსახუროს ადამიანის კეთილდღეობას, მაგრამ არსებითად განისაზღვრება პოლიტიკური გადაწყვეტილებით და გარეეკონომიკური ფაქტორების განსაკუთრებული როლით. ამ ნიუანსს ხშირად ანგარიშს არ უწევენ. ამიტომაა, რომ ეკონომიკის სოციალური მიმართულება სხვადასხვა ინტერპრეტაციით აღინიშნება ოფიციალურ თუ სამეცნიერო ლიტერატურაში. ზოგიერთის აზრით, ეკონომიკის სოციალურობის ხაზგასმა თითქოს არც არის საჭირო. საკამათო არ არის, რომ ეკონომიკა თავისი ბუნებით, შინაარსით სოციალურ მიზნებს, ადამიანს ემსახურება. ამასთან, საბაზრო ეკონომიკურ სისტემათა მრავალფეროვნებაში, რაც დამახასიათებელი იყო XX საუკუნისათვის, ეკონომიკის სოციალურ მიმართულებას საკუთარი შინაარსობრივი დატვირთვა აქვს. ჯერ ერთი, ეკონომიკის სოციალური მიმართულება ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში აღმოცენდა და ეფექტიანად მუშაობს. იგი მსოფლიო სამეურნეო პრაქტიკაში აღიარებულია, როგორც ეკონომიკური სისტემის განსაკუთრებული ტიპი, საბაზრო ეკონომიკის მაღალი განვითარებული ფორმა. იგი უფრო კაპიტალიზმის ტრანსფორმაციის შედეგად ობიექტურად ჩამოყალიბებული ფენომენია და არა იმდენად საბჭოთა სოციალიზმის ინერციით წარმოშობილი. მეორე, ეკონომიკის სოციალური მიმართულება ბაზრისა და სახელმწიფოს ურთიერთმოქმედების, ურთიერთგანპი-

რობებულობის დიალექტიკის სწორად გაგების თეორიული პროდუქციაა. მესამე, ეკონომიკის სოციალურ მიმართულებაზე განსაზღვრული გავლენა იქონია მსოფლიო განვითარების სოციალურ-ისტორიულმა ტენდენციამ, იმან რომ XX საუკუნის 60-იანი წლებიდან ადამიანთა საზოგადოების წინაშე დადგა რთული ამოცანა, როგორ დაკმაყოფილდეს მისი მზარდი სოციალური მოთხოვნილებანი, როგორ მოხერხდეს შექმნილი საზოგადოებრივი დოვლათის სამართლიანად გადანაწილება, როგორ მივაღწიოთ, რომ კეთილდღეობის ზრდა ყველასათვის განხორციელდეს ეკონომიკის ეფექტიანობის ზრდის კვალობაზე.

ეკონომიკის სოციალურმა მიმართულებამ განსაკუთრებული მნიშვნელობა პოსტსაბჭოურ პერიოდში შეიძინა. ეს კანონზომიერიცაა. ფაქტობრივად, სოციალური მეურნეობრიობის სისტემიდან (სადაც დაცული იყო მინიმალური, მაგრამ მყარი სოციალური გარანტიები) ეროვნული ეკონომიკა ღრმა კრიზისში შევიდა. ეს განსაკუთრებით მგრძნობიარე აღმოჩნდა სოციალური საკითხების მიმართ. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის სასტარტო ეტაპზე ადამიანმა შრომის, განათლების უფლება ფაქტობრივად დაკარგა, ამასთან, ადამიანს სოციალური ენერგიაც გამოეცალა. ამიტომ დღეს, მისი „მთვლემარე ძალებიც" კი ძირითადად სიცოცხლის შენარჩუნების პრაგმატულ ამოცანას ემსახურება, ამავე დროს ახალი სოციალური მოვლენებიც დაფიქსირდა. კერძოდ, ეკონომიკური სოციალიზაციის პროცესი შრომის ჰუმანიზაციის სხვადასხვა ფორმაში გამოვლინდა. მაგალითად, ადამიანის ეკონომიკური სტატუსი შეიცვალა. იგი მესაკუთრე გახდა. მას ექმნება რეალური შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს სააქციო კაპიტალის მართვაში, სოციალური პარტნიორობის ინსტიტუტის ფორმირებაში და სხვა. ამგვარად, საერთო კრიზისის ფონზე სახეზეა ორი ტენდენცია. ერთი მხრივ, მწვავე სოციალური პრობლემები და, მეორე მხრივ, რეალური შესაძლებლობა, რათა ეს პრობლემები ეფექტიანად გადაწყდეს. ასეთ სიტუაციაში ეკონომიკის სოციალურობის ხაზგასმა პოლიტიკურ და ფსიქოლოგიურ დომინანტად გამოდის, რამაც ახალ გარემოსთან ფორმირებადი ეკონომიკური სისტემის ადაპტირებას ხელი უნდა შეუწყოს.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ვერც ერთი ეროვნული ეკონომიკა მსოფლიო ინტეგრაციული პროცესების მიღმა ეფექტიანად ფუნქციონირებას ვერ შეძლებს. ამასთან, თანამედროვე მსოფლიოში ინტეგრაციული პროცესები ძირითადად ეკონომიკის სოციალურობის გაძლიერების ტენდენციებით ხასიათდება.

ტრადიციულად ეროვნული მეურნეობის ერთ-ერთ ფუძემდებლურ პრინციპს მისი სოციალური მიმართულება წარმოადგენდა. იგი განსაზღვრავდა თავად სამეურნეო ორგანიზაციის მოწყობის წესს. ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა საერთო თანხმობის ფენომენს. ამას ადასტურებს ქართული სიბრძნე „ყოვლითა სწორად წყალობასა, ვითა თოვლსა მოათოვდეს, ობოლ-ქვრივნი დაამდიდრნეს და გლახაკნი არ ითხოვდნენ, ავთამქმნელად დააშინეს, კრაკნი ცხვართა ვერ უწოვდნენ, შინაგან მათთა საბრძანისთა, თხა და მგელი ერთად ძოვდნენ“ (შოთა რუსთაველი), „წოდებათა შერიგების“ (ილია ჭავჭავაძე), „საერთო მოქმედების ნიადაგის“ (არჩილ ჯორჯაძე), „წილნაყარობის“ (გიორგი ათონელი) და უამრავი ქართული „ისტორიული ცხოვრების თვითრჯულობიდან აღმოშობილი“ პრინციპები და დაუწერელი კანონები, რაც იმის აღიარებაა, რომ კლასობრივი ბრძოლა ქართული სულის, აზროვნების გამოძახილი არასდროს იყო, ამიტომ მას მომავალშიც მყარი საყრდენი არ ექნება. მისი თავს მოხვევის ყოველივე ცდას (ნებისმიერი ფორმით) მეცნიერული ცოდნით, ჭკუითა და ხერხით უნდა ვუპასუხოთ. ყურადღება უნდა მიექცეს გარდამავალ პერიოდში ინტელექტუალური პოტენციალის განსაკუთრებულ როლს. ნიშანდობლივია, რომ იგი ქვეყნის ეკონომიკის სოციალურობის უპირატესობის პრაქტიკული გამოხატულებაა, მაგრამ ეკონომიკური კრიზისის ფონზე თანდათანობით კარგავს საზოგადოებრივ ფუნქციას. პარადოქსია, რომ ერთ სიბრტყეზე დეგრადირებული ეროვნული ეკონომიკა და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ინტელექტუალური პოტენციალი მშვიდობიანად თანაარსებობენ.

ქვეყანაში შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ჯერჯერობით არ ითხოვს მაღალ მეცნიერულ პოტენციალს, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს დროებითი მოვლენაა. იმედის მომცემია, რომ ქაოსარეული აზროვნების გაწმენდა დაიწყო. უეჭველია, ფართო გაგებით, ცოდნა გახდება ახლო მომავალში ეკონომიკური ზრდისა

და, საერთოდ, საზოგადოებრივი პროგრესის უმთავრესი ფაქტორი. ამ საქმეში გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკურმა პოლიტიკამ, როცა იგი მსოფლიო ინტეგრაციული პროცესების გადაკვეთაზე ქვეყნის ადგილს და როლს სწორად შეარჩევს და, საკუთარ, ჯერ კიდევ გადარჩენილ ინტელექტზე დაყრდნობით, შეძლებს აიცდინოს ეკონომიკის გლობალიზაციით გამოწვეული ნეგატიური მოვლენები. ამას სჭირდება ერის აზროვნების მაღალი დონე.

ეროვნული ეკონომიკის სოციალურ მიმართულებას ადასტურებს ქვეყნის ახალი კონსტიტუციაც. მასში ჩაწერილია, რომ „საქართველოს მოქალაქეთა ურყევი ნებაა დამკვიდრონ დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო". კონსტიტუციაში სახელმწიფო მოწყობის სოციალურობის ხაზგასმა მაღალ პასუხისმგებლობასთან ერთად სოციალური სამართლიანობის გაფართოების სისტემურ რესურსად აღიარებასაც ნიშნავს, ეს კი ქვეყნის განვითარების ვექტორს განსაზღვრავს.

და კიდევ ერთი ძლიერი არგუმენტი, რომელიც ეროვნული ეკონომიკისა და სოციალურობის ურთიერთგანპირობებულობის ინტენსიურ ხასიათს განსაზღვრავს და ადასტურებს, რომ ეკონომიკის სოციალიზაცია ამავდროულად საზოგადოების ჰუმანიზაციის გაძლიერების ხელშემწყობი ფაქტორიცაა. მხედველობაში გვაქვს გაეროს გენერალური ასამბლეის სესიაზე 2003 წლის 20 სექტემბერს ბატონ ე. შევარდნაძის გამოსვლაში გაცხადებული სტრატეგია: „გადავარჩინოთ ქართული კულტურა და კულტურა იხსნის ერს". ეს ლოზუნგი გვიჩვენებს, რომ სოციალური სფეროს მთავარი მახასიათებელი ეკონომიკური ზრდაა. ამიტომ განათლება, მეცნიერება, კულტურა, ჯანმრთელობა აღიარებულ უნდა იქნეს ეკონომიკის ზრდის რეალურ ფაქტორებად.

როგორც ჩანს, ყველა გზა: თეორიული, ეკონომიკური, ორგანიზაციული, მეთოდოლოგიური ეროვნული ეკონომიკის სოციალური მიმართულებისაკენ მიდის.

ამრიგად, საქართველოს შერეულ ეკონომიკურ სისტემაში ადგილობრივი ბუნებრივ-საწარმოო პირობების, ტრადიციების, მეურნეობრიობის თავისებურებებისა და მსოფლიო ეკონომიკური ინტე-

გრაციული პროცესების თანამედროვე ტენდენციების გადაკვეთაზე XX საუკუნის მიწურულს ობიექტურად ჩამოყალიბდა ისეთი სოციალურ-ორგანიზაციული ფენომენი, რომლის სწორად გაგება, სრულად ამოქმედება რეალურად შეუწყობს ხელს ეფექტიანი საბაზრო ეკონომიკის ფორმირებას, სოციალურ წონასწორობას, მთლიანად საზოგადოების (და არა მხოლოდ მისი ერთი ნაწილის) კეთილდღეობას.

ამიტომ, ადრეც მიგვაჩნდა და უკანასკნელი წლების კატაკლიზმებმაც პრაქტიკულად გვიჩვენა, რომ პოსტსაბჭოთა პერიოდში შერეული, სოციალური მიმართულების ეკონომიკური სისტემა სრულად შეესაბამება ქვეყნის განვითარების სტრატეგიულ ინტერესებს და მომავალ მსოფლიო თანამეგობრობაში საქართველოს როლს.

რა არის საჭირო იმისათვის, რომ საქართველოში შეიქმნას ეფექტიანი საბაზრო ეკონომიკა?

ამოსავალი ისაა, რომ საქართველომ, როგორც სუვერენულმა სახელმწიფომ სწორად აღიქვას გლობალიზაციის წინააღმდეგობრივ პროცესში ჩამოყალიბებული ან ფორმირებადი პოზიტიურ ფაქტორთა ის ერთობლიობა, რომელიც უფრო მეტად მოერგება დღეს და მომავალშიც ეროვნული ეკონომიკის, და საერთოდ, ქვეყნის განვითარების თავისებურებებს და სტრატეგიულ ამოცანებს. ეს მიდგომა კონცეპტუალურად და მეთოდოლოგიურად უფრო შეესაბამება XXI საუკუნეში მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში საქართველოს მონაწილეობის დონის ამაღლებას. ამასთან, როგორც წესი, გლობალიზაციის თავისებურებები (ტენდენციები) გათვალისწინებულ უნდა იქნეს ქვეყნის ისტორიასთან, სამეურნეო გამოცდილებასთან, შრომის ტრადიციასა და კულტურასთან მჭიდრო კავშირში. სუვერენულმა სახელმწიფომ გლობალიზაციის მრავალმხრივი პროცესი უნდა მიიჩნიოს ინდიკატორად, რომელიც უჩვენებს, თუ როგორ ვითარდება მსოფლიო და, აქედან გამომდინარე, რეალურად განსაზღვროს საკუთარი ადგილი მასთან ადაპტირებისათვის.

გლობალიზაციასთან მიმართებაში უნდა ჩამოყალიბდეს ფაქტორთა ერთობლიობა, რომელთა მიზანმიმართული გამოყენებით მომზადდება რეალური საფუძველი სახელმწიფოებრივი (როცა იგი ეფუძნება ეროვნულ ფენომენს) და საზოგადოებრივი აზროვნების მაღალი დონის მიღწევისათვის. ამჟამად საზოგადოებრივი აზროვნების ყველა შემადგენელი ელემენტი (განათლება, მეცნიერება, კულტურა, ჯანმრთელობა) ქვეყანაში ფაქტობრივად დეგრადირებულია. ამიტომ განვითარების თანამედროვე ეტაპზე მთავარ მიმართულებაპრიორიტეტად უნდა ვაღიაროთ ჯერ კიდევ „მთვლემარე" ინტელექტუალური პოტენციალის გადარჩენა, მომავალში კი ადამიანის კაპიტალში ინვესტიციები. ნიშანდობლივია, რომ ამის შესაძლებლობები ამჟამად ერთობ შეზღუდულია, განსაკუთრებით შიდა რესურსებით. გარედან კი (გლობალიზაციის განვითარების ტენდენციები) სუვერენული სახელმწიფოს როლის გააქტიურების, ეროვნული კონსოლიდაციისა და ქვეყანაში პოლიტიკური სტაბილიზაციის მიღწევის გარეშე ინვესტიციების სტიმულირება საეჭვოა მოხდეს.

საქართველოს აქვს ისტორიული შანსი, ჯერ კიდევ შენარჩუნებული ინტელექტუალური პოტენციალის გონივრულად გამოყენებით, დროის მოთხოვნების შესაბამისად გლობალიზაციის პოზიტიური ტენდენციების გათვალისწინებით, შეიმუშავოს ისეთი სტრატეგია (ეკონომიკური პოლიტიკა), რომელიც დაეფუძნება ეროვნული ეკონომიკის განვითარების, სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ადრე ანტიპოდად აღიარებული ფორმების (მექანიზმების) არა ისევ დაპირისპირების, არამედ მათი ოპტიმალური შეხამების პრინციპებს. მაგალითად, საბაზრო თვითრეგულირება — ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება უნდა განვიხილოთ როგორც ერთიანი პროცესის აუცილებელი ფაქტორები და არა რეგულირების დაპირისპირებული მექანიზმები. ანალოგიურად, მოგების მაქსიმიზაცია — შემოსავლების სოციალური სამართლიანობის პრინციპზე განაწილება; ღია ეკონომიკა — სამამულო წარმოების დაცვა; ეკონომიკური თავისუფლება — სოციალური პარტნიორობის ინსტიტუტი.

მდგრადი და უსაფრთხო განვითარების პრინციპებზე დაყრდნობით, ქვეყანას უნდა ჰქონდეს სოციალურ-ეკონომიკური განვითარე-

ბის ხანგრძლივი პერიოდისათვის გათვლილი სტრატეგია (10 ან 15 წლიანი პროგრამა).

ასეთ შემთხვევებში სუბიექტური ფაქტორი (სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა) სათანადო ზემოქმედებას მოახდენს ეკონომიკური განვითარების რთულ პროცესზე (და მისცემს მას ეროვნული ინტერესების დაცვის მიმართულებას). განვითარების ასეთი სტრატეგიის შემუშავება-განხორციელებისათვის ვის დაეკისრება პასუხისმგებლობა? რა თქმა უნდა, ხელისუფლებას. იგი ეკონომიკის სისტემური კრიზისის ანტიეროვნული ხასიათის გაგების დონეზე უნდა ამაღლდეს, სწორად განსაზღვროს გლობალიზაციის პირობებში სახელმწიფოს თვისებრივად ახალი ფუნქციები. რომლებიც ადასტურებს არა სუვერენული სახელმწიფოს როლის შესუსტებას, არამედ, პირიქით, მისი მაკოორდინირებელი როლის გაძლიერებას.

საზოგადოებრივ ურთიერთობებში ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის მისი წილი პასუხისმგებლობა უნდა აიღოს კერძო სექტორმა. იგი ფაქტობრივად არალეგალურ მდგომარეობაშია, კრიზისიდან გამოყვანას ხელს არ უწყობს. ნაცვლად იმისა, რომ წარმოების ეფექტიანობა აამაღლოს, რაც მისი განვითარება-გაფართოების მთავარი ფაქტორია, ეკონომიკის პოლიტიზების პროცესს აჩქარებს და ამით კრიზისს ახანგრძლივებს. კერძო სექტორისა და ხელისუფლების, ასევე კრიმინალური ჯგუფების ინტერესების შერწყმით ჩამოყალიბდა ახალი ტიპის ოლიგარქია, რომელიც საშიშ ორგანიზაციულ და სამართლებრივ ფორმას იძენს. სამწუხაროდ, იგი ბიზნესს წარმატებით ვერ უძღვება. ამიტომ ქვეყნის პოლიტიკური მართვის ექსკლუზიური უფლების მოპოვებისათვის თავგანწირვით იბრძვის. რაც შეეხება არასამთავრობო ორგანიზაციებს, ისინი მხოლოდ მათთვის საინტერესო მოვლენებს ემსახურებიან და ცალმხრივად უდგებიან ქვეყნის განვითარების მწვავე პრობლემებს. ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ საქართველოს მეცნიერება საკუთარი თავის გადასარჩენად იბრძვის. ქვეყნის განვითარების რთულ პროცესში აქტიურად არ მონაწილეობს. პოლიტიკურ პარტიებს (მათ მიერ შემოთავაზებული პროგრამის ანალიზით) სწორად არა აქვთ გაცნობიერებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თანამედროვე მდგომარეობა, მისი რეალური არსი, ამიტომ მათი მიდგომები

ზოგად ქრესტომათიულ ჩარჩოში განთავსდა, ბუნებრივია, ეკლექტიკური გახდა. ყოველივე ამან განაპირობა ის, რომ საზოგადოებრივ ასპარეზზე დისკუსიების, უფრო სწორად პოლიტიკური დაპირისპირების ეპიცენტრში, ქვეყნის განვითარების სტრატეგია კი არ დგას, არამედ პოლიტიკურ ცხოვრებაში საკუთარი დომინირებადი როლის მოპოვებისათვის ინტერესების ფართო ქსელში გახვეული გლობალიზაციის ნეგატიური ტალღის ზემოქმედებით ფორმირებადი, რა თქმა უნდა, პარტიული მენტალიტეტი. ხელისუფლება, სხვა საზოგადოებრივი ინსტიტუტები, ფაქტობრივად, დღეს უფრო იღვწიან არა ეროვნული სიმდიდრის შექმნისათვის, არამედ ადრე შექმნილი საზოგადოებრივი დოვლათის ჯერ კიდევ დარჩენილი ნაწილის სწრაფად გადანაწილების ავტონომიური მექანიზმების დაუფლებისათვის. ამაში უნდა ვეძებოთ ქვეყნის სისტემური კრიზისის გაღრმავების ამოსავალი ქართული მსოფლმხედველობითი საწყისი და პირობა-ფაქტორი. რაც შეეხება გარე ფაქტორებს, აქ მთავარია გლობალიზაციის ნეოლიბერალური მოდელის (რომელიც ანგარიშს არ უწევს სუვერენული ქვეყნების ინტერესებს) დამთრგუნველი ზემოქმედება, რომელსაც იგი ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ გარემოზე.

ამრიგად, ქვეყნის ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანა და შესაბამისად გლობალიზაციის პროცესებში აქტიური სუბიექტის როლის განვითარება შესაძლებელია მხოლოდ ორივე ფაქტორის (შიდა და გარე) ერთობლივი და მიზანმიმართული გამოყენების გზით. ამისათვის მთავარია უპირატესად შიდა „მთვლემარე" ფაქტორების ამოქმედება. ზემოთ აღნიშნული კონცეფციალურ-მეთოდოლოგიურ ბაზაზე უნდა მოხდეს სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის კორექტირება. **არასდროს ქვეყნის ეკონომიკა ისე მძიმე მდგომარეობაში არ ყოფილა, როგორც ახლა, მაგრამ არასდროს ეკონომიკური განვითარების სასურველ ტრაექტორიაზე გადასვლისათვის ობიექტური წანამძღვრების ერთობლიობა ისეთი ხელსაყრელი არ ყოფილა, როგორც დღეს.** მაშ, რა არის მთავარი, რომელიც განვითარების სწორ გზაზე გაგვიყვანს?

„გვეყო, ბატონებო, ჩვენის აწმყოსი და მომავლის ბედის სხვაზედ მიგდება... სხვა გზა არ არის, ჩვენი ცხოვრების შარაგზა ჩვენვე უნდა გავიკაფოთ" (ილია). როგორ? პასუხსაც დიდი ილია-

საგან ვიღებთ. საზოგადოების განვითარების მთავარ ფაქტორად ცოდნა უნდა ვაღიაროთ, რომელსაც „ფულზეც მეტი ბაზარი აქვს, ხმალზედაც უფრო ძლიერად სჭირს და ზარბაზანზედაც უფრო ძლიერია (ილია)".

გვაქვს საფუძველი განვაცხადოთ, რომ ასეთი ცოდნის პოტენციალი საქართველოს ჯერ კიდევ გააჩნია. საჭირო მისი კონცენტრირებულად წარმართვა.

ელგუჯა მექვაბიშვილი

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია და ერთიანი საგანმანათლებლო სივრცის ჩამოყალიბება

ტერმინი „გლობალიზაცია“ პირველად იქნა გამოყენებული ამერიკელი ეკონომისტის თ. ლევიტის მიერ 1983 წელს ჟურნალ „ჰარვარდ ბიზნეს რევიუ“-ში გამოქვეყნებულ ერთ-ერთ სტატიაში. ეტიმოლოგიური თვალსაზრისით, ტერმინი წარმოდგება ინგლისური სიტყვიდან „globe“ – დედამიწა. არსებობს მეორე, შედარებით ნაკლებად გავრცელებული ტერმინი – „მონდიალიზაცია“, რომელსაც საფუძვლად უდევს ფრანგული სიტყვა „mondc“ – სამყარო, მსოფლიო.

გლობალიზაცია უპირატესად ეკონომიკური მოვლენაა, მაგრამ მას გააჩნია სოციალური, პოლიტიკური, იდეოლოგიური განზომილებებიც. როგორც ნებისმიერი სხვა საზოგადოებრივი მოვლენა, გლობალიზაციაც საზოგადოებრივი მეცნიერების (ფილოსოფია, პოლიტოლოგია, სოციოლოგია, ეკონომიკა, ისტორია...) შესწავლის ობიექტს წარმოადგენს.

გლობალიზაციის რთული და მრავალფეროვანი ასპექტებიდან ჩვენ ერთს შევეხებით. კერძოდ კი მის გავლენას განათლების პროცესის ინტერნაციონალიზაციაზე, აქედან გამომდინარე შედეგებით. მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია, ინფორმაციული ტექნოლოგიების არნახული განვითარების საფუძველზე, განათლების ხარისხისა და უნიფიკაციის პრობლემას ზოგადცივილიზაციურ დატვირთვას ანიჭებს. საგანმანათლებლო პოტენციალის მდგომარეობა და მისი ეფექტიანი გამოყენება პერსპექტივაში ცივილიზაციის განვითარების უმნიშვნელოვანეს ფაქტორად იქცევა. მსოფლიო წამყვან ქვეყნებში უკანასკნელი ოცწლეულის მანძილზე ჩამოყალიბდა პოსტინდუსტრიული საზოგადოება, სადაც ადამიანისეული კაპიტალი უპირველესი რესურსია. აღნიშნულის საილუსტრაციოდ დავიმოწმებთ მსოფლიო ბანკის გაანგარიშებას, რომლის თანახმადაც ჩრდილოეთ ამერიკისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების ეროვნული

სიმდიდრის 75%-ს სწორედ ადამიანისეული კაპიტალი შეადგენს. მოსახლეობის საგანმანათლებლო დონის ამაღლება მრავალი ქვეყნის მთავრობის ერთ-ერთი უმთავრესი საზრუნავია. ეს შეეხება არა მხოლოდ ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებს, არამედ ზოგიერთ განვითარებად (მაგალითად, ინდოეთს) და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებსაც (მაგალითად პოლონეთს).

განათლების სფეროში განხორციელებული ინვესტიციები პერსპექტიულია იმ თვალსაზრისით, რომ ისინი მაღალ მოგებას იძლევიან. ასე მაგალითად, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და პროგრამული უზრუნველყოფის ფირმების მოგების ნორმა 30-იდან 100%-მდეა, მაშინ როცა აშშ-ის ეკონომიკაში მოგების საშუალო ნორმა არ აღემატება 5-10%-ს.[1] მაღალი ტექნოლოგიების ბაზრის მოცულობა ამჟამად 2 ტრილიონ დოლარს აჭარბებს, სადაც 39% აშშ-ის, ხოლო 30% იაპონიის წილად მოდის.

თანამედროვე მსოფლიოში განუხრელად იზრდება უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა რაოდენობა. 18-იდან 23 წლამდე ახალგაზრდების საერთო რაოდენობაში სტუდენტთა წილი ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში 60%-მდეა, ხოლო იაპონიაში თითქმის 100%-ს აღწევს. ძალიან მოკრძალებულია ეს მაჩვენებელი ეკონომიკურად ჩამორჩენილ, დაბალშემოსავლიან ქვეყნებში (დაახლოებით 6%-ის ფარგლებში).[2]

მასობრივ უმაღლეს განათლებაზე გადასვლამ განაპირობა საგანმანათლებლო მომსახურების ინდუსტრიის წარმოშობა. განათლების მომსახურების შემკვეთად სამი სუბიექტი გამოდის — სახელმწიფო, მოსახლეობა და დამქირავებლები. ქვეყნების უმრავლესობაში სახელმწიფო უზრუნველყოფს საყოველთაო დაწყებით, ხშირ შემთხვევაში საყოველთაო საშუალო უფასო განათლებას. უმაღლესი განათლების მიღება როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სასწავლებლებში, როგორც წესი, ფასიანია.

გლობალიზაცია გულისხმობს კაპიტალისა და სამუშაო ძალის ინტენსიურ ტრანსსაზღვრულ გადაადგილებას, რაც თავის მხრივ განაპირობებს ახალგაზრდობის, განსაკუთრებით კი მისი ყველაზე

---

[1] В. С. Арутюнов, Л. Н. Стрекова. Динамика научной и образовательной системы. М., 2001.

[2] იქვე.

ნიჭიერი ნაწილის, ერთი ქვეყნიდან მეორეში გადასვლას ხარისხიანი განათლების მისაღებად. ამ გზით საფუძველი ეყრება მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცეს. იუნესკოს მონაცემებით, 1995 წელს სხვადასხვა ქვეყნებში სწავლობდა 1,5 მილიონი, ხოლო 2000 წელს 2 მილიონი უცხოელი სტუდენტი. ვარაუდობენ, რომ 2010 წლისათვის მათი რიცხვი გაიზრდება 2,8 მილიონამდე, 2025 წელს კი მიაღწევს 5 მილიონს.[1] საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარი ამჟამად 25-30 მილიარდ დოლარადაა შეფასებული.[2]

სამუშაო ძალის მობილურობის ამაღლება და უცხოეთში უმაღლესი განათლებამიღებული ახალგაზრდების რაოდენობის ზრდა დღის წესრიგში აყენებს უმაღლესი განათლების სისტემის უნიფიკაციის აუცილებლობას. ამ მიზნით იუნესკოს მიერ შემუშავებულია საერთაშორისო საგანმანათლებლო კვალიფიკაცია (International Standard Classification of Education - ISCED), რომელიც მოიცავს: განათლების ხარისხს და მისი მხარდაჭერის სისტემას; უმაღლესი სასწავლებლების აკრედიტაციის პრინციპებს, ფორმებსა და მეთოდებს; საგანმანათლებლო სტანდარტებს და ა.შ.

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის კონტექსტში, სხვადასხვა ქვეყნების საგანმანათლებლო სისტემების უნიფიკაციის მიზნით, 1999 წელს ევროპის 29 ქვეყნის წარმომადგენლებმა ბოლონიაში (იტალია) მიიღეს ერთობლივი დოკუმენტი „ბოლონიის დეკლარაციის" სახელწოდებით, სადაც ჩამოყალიბებულია ევროპული ერთიანი საგანმანათლებლო სივრცის შექმნის ძირითადი პრინციპები:

— საყოველთაოდ აღიარებული და შესადარისი დოკუმენტების შექმნა უმაღლესი განათლების სფეროში;

— ორსაფეხურიანი სწავლების (ბაკალავრიატი+მაგისტრატურა) სისტემაზე გადასვლა;

— საუნივერსიტეტო და არასაუნივერსიტეტო უმაღლეს სასწავლებლებს შორის ბარიერების მოშლა;

— სასწავლო კრედიტების ერთიანი სისტემის შემუშავება;

— განათლების ხარისხის კონტროლის საერთო ევროპული სტრუქტურების შექმნა და ა.შ.

---

[1] Экономические стратегии. №1 / 2003.

[2] იქვე.

ბოლონიის დეკლარაცია ითვალისწინებს, ერთიანი ევროპული საგანმანათლებლო სივრცის ჩამოყალიბების გზით, კვალიფიციური სამუშაო ძალის ერთიანი ევროპული ბაზრის შექმნისადმი მხარდაჭერას.

გლობალიზაციის პროცესი ახალ შესაძლებლობებს წარმოქმნის დისტანციური და ტრანსნაციონალური განათლების განვითარებისათვის. უმაღლესი განათლების ეს ფორმები ყველაზე სწრაფად მზარდია და პერსპექტიული. უმაღლესი განათლების ჩვეულებრივი ფორმებით მოსწავლე სტუდენტთა რაოდენობა მსოფლიოში წლიურად 2%-ით იზრდება, დისტანციურ სწავლებაში ჩართულთა რიცხვი კი 10%-ით. დისტანციურ განათლებას ბევრი უპირატესობა გააჩნია. კერძოდ:

- იგი განათლების მიღებას ხელმისაწვდომს ხდის მოსახლეობის იმ ნაწილისათვის, რომელსაც სხვადასხვა მიზეზების გამო არ შეუძლია ჩვეულებრივი უმაღლესი განათლების მიღება;
- საშუალებას იძლევა განხორციელდეს სასწავლო პროგრამების კოორდინაცია; პერიფერიაში მცხოვრებ ადამიანებს შეუძლიათ დაუკავშირდნენ „ცენტრის“ უმაღლესი სასწავლებლებს;
- თანამედროვე მსოფლიოში სტუდენტთა რაოდენობის ზრდა 2,5-ჯერ აღემატება მთლიანად მოსახლეობის ზრდას. ვარაუდობენ, რომ მომავალ ათ წელიწადში საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა 30% მოინდომებს უმაღლეს სასწავლებლებში შესვლას. ასეთ პირობებში, ბუნებრივია, უაღრესად იზრდება საზოგადოების (სახელმწიფოს) დანახარჯები განათლებაზე და მათი შემცირების უმნიშვნელოვანესი გზაა დისტანციური განათლების ქსელის გაფართოება;
- დისტანციური განათლება კონკრეტულ მომხმარებელზეა ორიენტირებული და მას საშუალებას აძლევს მიიღოს განათლება სასურველ ადგილას, სასურველ დროს და სასურველი ინტენსივობით.

საგანმანათლებლო მაღალი ტექნოლოგიების განვითარების ბაზაზე წარმოიქმნა უმაღლესი სასწავლებლის ახალი ტიპი — „ვირტუალური უნივერსიტეტი“, რომლისთვისაც მთავარია არა აუდიტორიებისა და ლაბორატორიების, არამედ საკომუნიკაციო არხების პრობლემა. ერთ-ერთ ყველაზე გრანდიოზულ და პერსპექტიულ

პროექტად მიჩნეულია „აფრიკული ვირტუალური უნივერსიტეტის“ შექმნა. ნავარაუდევია, რომ იგი მოიცავს აფრიკის პრაქტიკულად ყველა ქვეყანას და ამ ქვეყნების სტუდენტებს საშუალება მიეცემათ მოისმინონ აშშ-ის, საფრანგეთის, კანადისა და ბელგიის წამყვანი უმაღლესი სასწავლებლის პროფესორ-მასწავლებელთა ლექციები. საკომუნიკაციო კავშირებს უზრუნველყოფს სათანამგზავრო სისტემა INTELSAT.[1]

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციას უკავშირდება კიდევ ერთი ახალი ფენომენი, რასაც „ტრანსნაციონალურ განათლებას“ უწოდებენ. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ერთ სახელმწიფოში მცხოვრებ ადამიანს შეუძლია მეორე სახელმწიფოს უმაღლესი სასწავლებლის დიპლომის მიღება, რაც უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის პირდაპირი შედეგი და, უახლესი საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების საფუძველზე, უმაღლესი განათლების მომსახურების ბაზრის გლობალიზაციის ფაქტის ამსახველია. ტრანსნაციონალურ განათლებას სხვადასხვა ფორმა გააჩნია: სასწავლო პროგრამების ფრანჩაიზინგი, უმაღლეს სასწავლებლებს შორის პარტნიორული ხელშეკრულება, უცხოური სასწავლებლის ფილიალების შექმნა, დისტანციური სწავლება ინტერნეტის გამოყენებით და სხვ.

ტრანსნაციონალური განათლების ორგანიზაცია მთელ რიგ სირთულეებთანაა დაკავშირებული, რომელთა შორის იურიდიული ხასიათის პრობლემები გამოირჩევა: განათლების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტების აღიარება, კვალიფიკაციის მინიჭება და ა.შ.

ერთიანი საგანმანათლებლო სივრცის შექმნა გლობალიზაციის მედროშის – აშშ-ის მთავრობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. საქმე ისაა, რომ უცხოელი სტუდენტების საერთო რაოდენობის 60%-ზე მეტი აშშ-ში სწავლობს, რომლებსაც ყოველწლიურად 9 მილიარდი დოლარი მოაქვთ ამ ქვეყნის ეკონომიკისათვის და ეს არ არის ყველაფერი. მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ უცხოელი სტუდენტები სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ამერიკული ინტერესების, ფასეულობების, ცხოვრების წე-

---

[1] Образование без границ. Поиск - 2001, №21.

სის დამცველებად და პროპაგანდისტებად გვევლინებიან. ყოველივე ეს კარგად თავსდება მსოფლიოში საკუთარი ჰეგემონიის დამყარების ამერიკულ დოქტრინაში.

საქართველოს დღევანდელი რეალური სინამდვილე ძლიერაა დაშორებული ზემოთ აღწერილი პროცესებიდან. ჩვენ სრულიად განსხვავებული პრობლემებით ვართ დაკავებული. თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს იმის აღნიშვნას, რომ საქართველოში ტრანსნაციონალური და დისტანციური განათლების გამოყენების ცალკეული მცდელობები უკვე არსებობს. კერძოდ: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პირველად, და შემდეგ ქვეყნის ზოგიერთ სხვა უმაღლეს სასწავლებელში, დაინერგა სწავლების ორსაფეხურიანი სისტემა, ფუნქციონირებს ჰავაის ამერიკული უნივერსიტეტი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, რაც ტრანსნაციონალური სწავლების ელემენტებად შეიძლება ჩაითვალოს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტზე და თბილისის უმაღლეს საბანკო სკოლაში გამოიყენება დისტანციური სწავლება. ამ მიმართულების ერთ-ერთი პიონერი საქართველოში თსუ ეკონომიკის ფაკულტეტია. 1999 წელს ევროკავშირის საგანმანათლებლო „ტემპუს-ტასის"-ის პროექტის ჩარჩოში ბრუნელის უნივერსიტეტის (დიდი ბრიტანეთი) და თრინითი კოლეჯის (ირლანდია) მონაწილეობით ეკონომიკის ფაკულტეტზე შეიქმნა ლიბერალური უმაღლესი ეკონომიკური განათლების ცენტრი (ILHEC), რომლის შინაარსი მდგომარეობდა შემდეგში: თსუ ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტები, ასპირანტები, ახალგაზრდა ლექტორები ინტერნეტის საშუალებით უკავშირდებოდნენ თავიანთ ბრიტანელ და ირლანდიელ კოლეგებს, მათთან ერთად სწავლობდნენ ორმხრივ საინტერესო პრობლემებს. პროექტის დაფინანსების შეზღუდულობა არ იძლეოდა სამუშაოს გაფართოებისა და გაღრმავების შესაძლებლობას. ამის გამო ჩვენს უცხოელ პარტნიორებთან ერთად შევიმუშავეთ ახალი პროექტი სახელწოდებით „დისტანციური განათლების ქსელი – საქართველო" (DENET-GEORGIA). სამწუხაროდ, ეს პროექტი არ იქნა დაფინანსებული ევროკავშირის მიერ იმ მიზეზით, რომ იგი არ იყო შეტანილი საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ განსაზღვრული პრიორიტეტების ჩამონათვალში (?!). ეს ფაქტი კიდევ

ერთხელ მიუთითებს იმაზე, თუ რა შორს დგას ბევრი ჩვენი სახელმწიფო სტრუქტურა მსოფლიოში მიმდინარე უმნიშვნელოვანესი პროცესებისაგან.

საქართველოს ერთ-ერთი უმთავრესი სიმდიდრე ნიჭიერი და განათლებული ახალგაზრდობაა და მისი მხარდაჭერა სახელმწიფო პოლიტიკის უპირველეს პრიორიტეტად უნდა იქცეს. ერთიანი საგანმანათლებლო სივრცე ზოგადცივილიზებულ ფასეულობებს აყალიბებს და ახალგაზრდა თაობის აზროვნებას მომავლისაკენ მიმართავს.

ლევან ნებიერიძე

საქართველოს ექსპორტის პრობლემატიკა და საინვესტიციო რისკი

წინამდებარე სტატიაში გადმოგცემთ ექსპორტის პრობლემატიკასთან დაკავშირებულ ჩემს ზოგიერთ მოსაზრებას ძირითადად იმ გამოცდილების საფუძველზე, რომელიც დამიგროვდა ბოლო წლებში ავსტრიის სავაჭრო პალატის წარმომადგენლად მუშაობის პერიოდში, ასევე ექსპორტთან დაკავშირებული სალექციო საქმიანობიდან. ეს გამოცდილება ეყრდნობა, ერთი მხრივ, უცხოურ ფირმებთან მუშაობას, რომლებიც ჩვენს ბაზარზე ცდილობენ დამკვიდრებას, მეორე მხრივ კი ქართულ ფირმებთან ურთიერთობას, რომელთაც საექსპორტო კონტრაქტების განხორციელება სურთ და უამრავ პრობლემას აწყდებიან.

ექსპორტის პრობლემატიკა

რთულია მოინახოს საკითხი ეკონომიკაში, რომელზეც აზრთა ისეთი ერთიანობაა, როგორიც ექსპორტისადმი დამოკიდებულებაში. პრაქტიკულად ყველა აღიარებს ექსპორტის გადამწყვეტ როლს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაში. მონაცემები ექსპორტის შესახებ შესაძლოა ქვეყნის წარმატებულობის მახასიათებლადაც ჩაითვალოს.

ექსპორტის მნიშვნელობა აჭარბებს საგარეო ბაზარზე საკუთარი პროდუქციისთვის გარკვეული წილის და მასთან დაკავშირებული შემოსავლების მიღების შესაძლებლობას. ექსპორტი ქმნის სამუშაო ადგილებს საწარმოო სექტორში, ექსპორტი ერთ-ერთ ყველაზე სწრაფად მზარდ და პოპულარულ საქმიანობას წარმოადგენს მსოფლიოში.

ხშირია კამათი იმის შესახებ, თუ ვინ უნდა იყოს წამყვანი ფიგურა ქართულ ეკონომიკაში - მეწარმე, ექსპორტიორი თუ იმპორტიორი. რთულია ამ სამი ცნების ერთმანეთთან დაპირისპირება იმის გამო, რომ ექსპორტიორი შესაძლოა თავად იყოს მეწარმე და, როგორც წესი, ექსპორტიორი იმავდროულად იმპორტიორიც არის, რაკილა იგი საექსპორტო შემოსავალს ხარჯავს საინვესტი-

ციო საქონლის (ჩარხები და დანადგარები) იმპორტში იმ მიზნით, რომ გაზარდოს საკუთარი საექსპორტო შესაძლებლობა, შეამციროს ხარჯები, ამასთან ნედლეულის ან ნახევარფაბრიკატული პროდუქციიდან გადავიდეს მზა ნაწარმზე, საბოლოოდ კი მაღალტექნოლოგიური და მეცნიერებატევადი პროდუქციის ექსპორტზე.

მნიშვნელოვანია იმპორტის როლიც – იმპორტი ქმნის სამუშაო ადგილებს სადისტრიბუციო ქსელში, უფრო სწორად, იმპორტი ჯერ თავადვე ქმნის ამ სადისტრიბუციო-გამანაწილებელ ქსელს, ლოგისტიკურ-სასაწყობო ინფრასტრუქტურას. იმპორტიორი წარმატებული ბაზრის არსებობის შემთხვევაში თავადვე ხდება ჯერ მწარმოებელი – რაკი იგი შორიდან მართვას არჩევს ადგილზე გახსნას საწარმო, შეამციროს ტრანსპორტირების ხარჯები, იყოს მყიდველთან ახლოს, შემდგომ კი იგი, სავარაუდოდ, ექსპორტიორად იქცევა მესამე ქვეყანაში.

რა მდგომარეობაშია ქართული ექსპორტი?

საკმარისია ერთი თვალის გადავლებაც კი ბოლო წლის საექსპორტო მონაცემებისათვის, რომ ცხადი გახდეს, რა სერიოზულ პრობლემასთან გვაქვს საქმე - 2002 წელს საქართველოს ექსპორტმა 325 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, იმპორტმა კი 720 მილიონი დოლარი. ამდენად, უარყოფითი ბალანსი 395 მილიონი დოლარია. წინა წელთან შედარებით ჩვენ 5 მილიონით გაგვეზარდა ექსპორტი, 41 მილიონით კი იმპორტი.

ძირითად საექსპორტო ჯგუფს საფრენი აპარატები წარმოადგენენ – 13,7%, რაც ნიშნავს, რომ თურქმენეთთან კლირინგული გარიგებების არარსებობის შემთხვევაში, ბალანსი მნიშვნელოვნად გაუარესდებოდა. შეიძლება ითქვას, რომ ეს საექსპორტო პოზიცია, თვითმფრინავები და მათი სათადარიგო ნაწილები ნაკლებად ახასიათებს ქართულ ექსპორტს.

შეინიშნება შემდეგი ტენდენცია:

- ძირითადი ნაწილი ქართული ექსპორტისა ნედლეულზე მოდის.
- ძალზე გაჭიანურდა ნედლეულიდან თუნდაც ნახევარფაბრიკატულ პროდუქციაზე გადასვლის პროცესი.
- საქართველო ვერ იყენებს მაქსიმალური ხელშეწყობის რეჟიმს განვითარებულ ქვეყნებთან დაბალი საექსპორტო პოტენციალის გამო.

ზემოთქმულის ილუსტრირებისათვის შეგვიძლია შემდეგი ციფრები განვიხილოთ:

ექსპორტის 9,7% შავი ლითონის ჯართს განეკუთვნება. ძირითადი საექსპორტო პოზიციებია სპილენძის მადნები და კონცენტრატები, ფეროშენადნობები, დაუმუშავებელი და ნახევრადდამუშავებული ოქრო.

თუ შევაჯამებთ ზემონათქვამს, მონაცემები ქართული ექსპორტის შესახებ რამდენიმე მიზეზით იწვევს შეშფოთებას: პირველ რიგში თავად ციფრებია ძალზე მცირე ჩვენი დონის ქვეყნისათვის, რომელსაც გაცილებით მეტის გაკეთება შეუძლია. მეორე მხრივ, ამ ციფრებში პროპორციაც არადამაკმაყოფილებელია – ძალზე დიდია უარყოფითი სალდო. ზოგი თავს იმით იმშვიდებს, რომ არ ენდობა სტატისტიკას და აცხადებს, რომ საგარეო ვაჭრობა რეალურად არ აღირიცხება და რეალური მაჩვენებლები გაცილებით უკეთესია, მაგრამ აქ ორი ფაქტორია გასათვალისწინებელი – პირველი ის, რომ ციფრები გაორმაგების (გასამმაგების) შემთხვევაშიც ძალზე მცირეა, მეორე მხრივ, თუ იმალება, ბუნებრივია, პირველ რიგში დაიმალება იმპორტი, რაკი ექსპორტი ნულოვანი განაკვეთით იბეგრება, იმპორტირებულ საქონელზე კი საერთო ბეგარა ნაზარდი ჯამით დაახლოებით 34,7 %-ს შეადგენს. ცხადია, თუ მეწარმეს დამალვის საშუალება მიეცემა, გადაწყვეტს იმპორტის დროს ისარგებლოს ამით.

აქ ორი აზრი არ არსებობს – ექსპორტის მდგომარეობა ძალზე მძიმეა.

რამ გამოიწვია ეს მდგომარეობა? რამდენად საფუძვლიანია აზრი, რომ იგი ხელოვნურად არის შექმნილი განვითარებული ქვეყნების მიერ, რათა ჩვენ მათი ნაწარმის მომხმარებლად ვიქცეთ? რა მოგვიტანა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებამ? ნაადრევი ხომ არ იყო და ესეც ხომ არ იქცა ჩვენი პრობლემების დამატებით მიზეზად?

საქართველო 2000 წლის ივნისში გაწევრიანდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში, დეკემბერში კი აშშ-მა მოგვიხსნა ჯექსონ-ვენიკის შეზღუდვა, რომელიც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან ზოგიერთი სახის მაღალტექნოლოგიური საქონლის ექსპორტს კრძალავდა და საქართველოს მიანიჭა გენერალური პრეფერენციის

სტატუსი, რაც ვაჭრობისათვის მაქსიმალურ ხელშეწყობას ითვალისწინებს. შეერთებული შტატების საელჩო საქართველოში თავის ყოველწლიურ ანალიზში გაკვირვებას ვერ მალავს, თუ რატომ ვერ სარგებლობს საქართველო ამ პრიორიტეტით.

აშშ-თან ერთად იგივე სტატუსი აქვს საქართველოს ევროგაერთიანებასთან, შვეიცარიასთან, ჩეხეთთან, სლოვაკიასთან, კანადასთან, იაპონიასა და პოლონეთთან. ეს ნაკლებად აისახა ამ ქვეყნებში ექსპორტზე: ისეთ ქვეყანასთან, როგორიც იაპონიაა, ჩვენი ექსპორტი სულ 690 ათასი დოლარია, იმპორტი მხოლოდ 4 მილიონი, კანადასთან ექსპორტი 48 ათასია, პოლონეთთან – 1 მილიონი დოლარი.

მსგავსი სიტუაციაა ავსტრიასთანაც – ექსპორტი 477 ათას დოლარს შეადგენს, იმპორტი კი დაახლოებით 10 მილიონ დოლარს აღწევს. ეს არ არის იმდენად მცირე, როგორც ვთქვათ, ეგვიპტესთან (20 ათასი) ან ჩილესთან (200 დოლარი), მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ავსტრიასთან კულტურული, პოლიტიკური კავშირი მეტი გვაქვს, ამასთან, მეტია პირადი კონტაქტები და ბოლოს და ბოლოს არის რეგულარული პირდაპირი ფრენა, მდგომარეობა მართლაც გასაკვირი და არადამაკმაყოფილებელია.

ამასთან, ექსპორტი 2001 წელთან შედარებით 40%-ით შემცირდა. ასეთი მცირე მოცულობა არ აკმაყოფილებს არც ერთ მხარეს – არც ავსტრიას, რომელიც არ არის დაინტერესებული ასეთი მცირე დადებითი სალდოთი, არც, ცხადია, საქართველოს.

ამის გამო ამ ბოლო წლებში ავსტრიული ფირმების მონაწილეობით ორჯერ ჩატარდა ფართომასშტაბიანი ეკონომიკური მისია (ჯერჯერობით ეს მხოლოდ იმპორტზე აისახა), ასევე, საქართველოდან ექსპორტის წახალისების მიზნით, ჩატარდა მთავრობათშორისი შერეული კომისია. ბუნებრივია, მსგავსი პრობლემები გააჩნიათ სხვა ქვეყნების წარმომადგენლებსაც. საქართველო ვერ ახერხებს პროდუქციის საექსპორტოდ მომზადებას უცხოური ინვესტიციების სიმცირის გამო – ერთი მხრივ, საფინანსო სახსრები გვაქვს არასაკმარისი, მეორე მხრივ კი ტექნოლოგიათა და „ნოუ ჰაუ"-ს შემოსვლა ფერხდება.

აქვე გასათვალისწინებელია, რომ ეს ქვეყანა ძალზე აქტიურად მუშაობს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან. ერთ-ერთი პირ-

ველთაგანი იყო, ვინც დამოუკიდებლობის პირველსავე წლებში დაიწყო ინვესტირება საქართველოში – სამწუხაროდ, გაგრძელება არ მოჰყვა და ვალებს დღემდე ვიხდით.

დადებით ფაქტად შეიძლება ჩაითვალოს საექსპორტო გეოგრაფიის გაზრდა – 2002 წელს 129 ქვეყანაში ჰყავდათ ქართველებს პარტნიორები, ნაცვლად 118-ისა 2001 წელს. ეს ციფრი ქართველ მოვაჭრეთა აქტიურობაზე მეტყველებს.

მდგომარეობა ძალზე წააგავს სიტუაციას საბჭოთა კავშირის დაშლის დროს. დამოუკიდებლობის გარდა, საქართველომ უნდა შეძლოს თავისუფალი, ძლიერი და ღია ეკონომიკის მქონე, შემოქმედ ქვეყნად ჩამოყალიბება. მაგალითის მომცემი ჩვენთვის პოლიტიკაში იმ პერიოდში ბალტიისპირეთის ქვეყნები იყვნენ. იგივე შეიძლება ითქვას ამ პერიოდის ეკონომიკაზეც – ვნახოთ, რა მდგომარეობაა ამჟამად ქვეყნებში, რომლებიც, სამწუხაროდ, მოსწყდნენ ჩვენს ორბიტას, თუმცა, იმედია, დროებით, რაკიღა მათგან ძალზე ბევრი რამ გვაქვს შესასწავლი:

ბალტიისპირეთის სამივე ქვეყანა ევროგაერთიანების წევრ ქვეყნებში, ბოლო ორი წლის მონაცემებით, ყველაზე მაღალი ზრდის ტემპებით გამოირჩევა, ხოლო თუ ბოლო ათი წლის მონაცემებს განვიხილავთ, ბალტიისპირეთი მსოფლიოში ყველაზე სწრაფად მზარდი რეგიონი აღმოჩნდა.

ესტონეთი ევროგაერთიანებაში ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური ქვეყანა იქნება. იგი მეორე ადგილზეა კანდიდატ ქვეყნებს შორის ერთ სულ მოსახლეზე უცხოური ინვესტიციების რაოდენობით და, ქვეყნის რისკის მონაცემების შეფასებით, პირველ ადგილზეა კანდიდატ ქვეყნებს შორის და ზოგიერთი წევრი ქვეყანაც უკან ჩამოიტოვა.

ლატვიამ თავის თავზე ევროგაერთიანებისთვის რუსეთთან დამაკავშირებელი ხიდის როლი აიღო, იგი, გარკვეული აზრით, რუსეთთან ვაჭრობაში ევროპელებისთვის კომპეტენტურ საკოორდინაციო ცენტრის როლს ასრულებს. ექსპერტები აღნიშნავენ საცალო სავაჭრო ქსელის და სასაწყობო-ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის წარმოუდგენელ ზრდას.

ლიტვაში უცხოური კრედიტების მოზიდვამ, ერთი მხრივ, სამომხმარებლო, მეორე მხრივ კი სამშენებლო ბუმი გამოიწვია.

მოდით შევადაროთ ავსტრიასთან ვაჭრობის მათი მონაცემები ჩვენსას:

ესტონეთს ავსტრიასთან ექსპორტი აქვს 69 მილიონი ევრო, იმპორტი კი 23 მილიონი (გავითვალისწინოთ, რომ მოსახლეობა ჩვენზე 2,5-ჯერ ნაკლებია). ამასთან, ესტონელებმა ექსპორტი გაზარდეს 32,6 %-ით, იმპორტი 11,4 %-ით.

ლატვიას ავსტრიასთან ექსპორტი აქვს 80 მილიონი ევრო, იმპორტი კი 20 მილიონი. ლატვიელებმა ექსპორტი გაზარდეს 23,4 %-ით, იმპორტი 0,4 %-ით.

ლიტველებს 70 მილიონი ევრო ექსპორტით და 27,6 მილიონი იმპორტით (შესაბამისად ზრდა +17,5%/-3%) მსგავსი მაჩვენებლები აქვთ.

ამასთან, ავსტრიიდან ექსპორტის ძირითადი ჯგუფი მაღალტექნოლოგიურ მანქანა-დანადგარებზე მოდის.

რა თქმა უნდა, არ შეიძლება პირდაპირი პარალელის გავლება ჩვენსა და მათ შორის, რაკი სასტარტო პოზიციაც განსხვავებული გვქონდა. მხარდაჭერაც მათ უფრო მალე მიიღეს დასავლეთისგან, მაგრამ ძირითადი განმასხვავებელი ფაქტორი, ალბათ, მაინც ჩვენი ქვეყნის მაღალი საინვესტიციო რისკია, რაც საბოლოო ჯამში ასეთ გულდასაწყვეტ სხვაობას იწვევს ეკონომიკურ მაჩვენებლებში.

პარალელი არ გაივლება, ალბათ, არც ილიას დროსთან – ილიას დროს საქართველო გრანდიოზული ეკონომიკური ზრდით ხასიათდებოდა, პრაქტიკულად მის თვალწინ გაშენდა დიდი ნაწილი ჩვენი დედაქალაქისა, მის თვალწინ შეიქმნა წარმოების მთელი დარგები, იმ პერიოდისთვის უნიკალური ნაგებობები – პორტები და სარკინიგზო გვირაბები, არ იყო უცხოური ინვესტიციების ნაკლებობა, მაგრამ არ არსებობდა დამოუკიდებელი სახელმწიფო. ამის გამო ეკონომიკური აზროვნებაც განსხვავებული იყო.

დღევანდელი ეკონომიკა მაღალი საინვესტიციო რისკით ხასიათდება, რაც ხელის შემშლელი ფაქტორია ინვესტიციების მოსაზიდად.

ხშირია სიტუაცია, როდესაც უცხოელი პარტნიორი დაინტერესებულია ადგილზე არსებული ნედლეულის აქვე, საქართველოში გადამუშავებით. იგი დარწმუნებულია, რომ ეს შესაძლებელია, კა-

ყოფილია პარტნიორით, ენდობა მის კომპეტენციას, მაგრამ საქმე ჩერდება ფინანსირების შეუძლებლობის გამო - საქმის გაგრძელების სურვილის შემთხვევაში მან გარიგება საკუთარი სახსრებით უნდა დააფინანსოს, რაც, როგორც წესი, შეუძლებელია. ჭიანურდება საკითხის გადაწყვეტა, რაც საბოლოოდ ჩვენზე აისახება მძიმედ – იკარგება საექსპორტო წარმოების აწყობის შანსი, გვიანდება, ერთი მხრივ, თანხის, მეორე მხრივ კი ცოდნისა და გამოცდილების დაბანდება ჩვენთან.

ამდენად, ექსპორტის დაბალი მაჩვენებლები უცხოური ინვესტიციების ნაკლებობას უკავშირდება – პირველ რიგში კი მცირე და საშუალო ბიზნესში. ამის მიზეზი კი ნდობის ნაკლებობაა ქვეყნისადმი. საქართველოსთვის ამ პრობლემას სასიცოცხლო მნიშვნელობა გააჩნია – რისგან, რა კომპონენტებისაგან შედგება ნდობა ქვეყნისადმი და რა ცვლილების შემთხვევაში რა სახის უპირატესობას მივიღებთ.

დღეისათვის უცხოელი პარტნიორისგან ნაწილობრივი თანადაფინანსების შემთხვევაშიც საქართველო ვერ სარგებლობს ექსპორტზე ორიენტირებული მრავალი საფინანსო ოპერაციით.

საერთაშორისო ვაჭრობაში ფართოდ გამოიყენება საკომპენსაციო გარიგებათა ერთ-ერთი სახე, ე.წ. „უკუშესყიდვა", რომლის არსიც მდგომარეობს შემდეგში – იმპორტიორი, ვთქვათ, ევროპელი პარტნიორი აწვდის სავარაუდო ქართველ ექსპორტიორს საინვესტიციო საქონელს, ვთქვათ, ჩარხს, მანქანა-დანადგარს, ქართველი კი მის ღირებულებას გარკვეულ ვადაში მასზე დამზადებული პროდუქციით აბრუნებს.

ცხადია ამ სახის გარიგების ხელსაყრელობა – ექსპორტიორს არ გააჩნია საკუთარი თანხა, მაგრამ გააჩნია საკმარისი ცოდნა და იაფი კვალიფიციური მუშახელი იმისთვის, რომ აწარმოოს საექსპორტო პროდუქცია. იგი იღებს იმპორტიორისაგან დანადგარს, რომელიც კონტრაქტის ამოწურვისას მისი ხდება, ამასთან პრაქტიკულად გარანტირებული საექსპორტო გარიგება გააჩნია ჩარხის ღირებულების ამოწურვამდე. ძირითადი კი ის არის, რომ გამოცდილ უცხოელ პარტნიორთან თანამშრომლობისას ექსპორტიორი იძენს უმთავრესს – ცოდნას თანამედროვე ტექნოლოგიის და ბაზრის შესახებ.

ეს იქნებოდა შვება ქართული მრეწველობის მრავალი დარგისათვის, განსაკუთრებით კი გადამმუშავებელისათვის, მაგრამ, როგორც წესი, ასეთი გარიგებები ვერ ხორციელდება, რადგან დაფინანსების მიღება ევროპული ბანკიდან არის საჭირო. ხანგრძლივი მოლაპარაკებები ბანკთან კი იმით მთავრდება, რომ ბანკი გააცნობს ევროპელ კლიენტს მონაცემებს საქართველოში რისკების შეფასების შესახებ, ვთქვათ, სენტ-გალენის უნივერსიტეტის შემუშავებულ ბონიტეტების სიას, რომლის თანახმადაც 134-ე ადგილზე ვართ და სთხოვს მას დაანებოს თავი ქართულ პროექტს და სთავაზობს მსგავს პროექტს რუმინეთში ან ბულგარეთში, რომლებიც მცირე ხანში ევროგაერთიანების წევრები გახდებიან და რომელთა გაკონტროლებაც მარტივია. ბანკებს, ცხადია, თავადაც სურთ საერთაშორისო პროექტებში ჩართვა, გააჩნიათ სახსრებიც გაცილებით დაბალი საპროცენტო განაკვეთით, ვიდრე ქართული პროექტის ორგანიზატორები დათანხმდებოდნენ, მაგრამ პოლიტიკურ და ეკონომიკურ რისკს მათთან ერთად არ იზიარებს ავსტრიის კონტროლ ბანკი და ეს კი ბანკისთვის თავშეკავების სიგნალია.

იგივე ითქმის ექსპორტ ლიზინგის შესახებაც – ეს ოპერაცია კიდევ უფრო რთულია, თუმცა უდიდესი სტიმულატორი იქნებოდა ბიზნესის, პირველ რიგში კი ექსპორტის განვითარებისათვის.

ამ ოპერაციას შემდეგი შინაარსი აქვს – ექსპორტის ქვეყანაში სალიზინგო ფირმა დებს ხელშეკრულებას მწარმოებელთან და გადასცემს საქონელს, უმეტეს შემთხვევაში მანქანა-დანადგარს იმპორტის ქვეყანაში მოქმედ სალიზინგო კომპანიას, რომელიც თავის მხრივ მიაქირავებს საქონელს იმპორტიორს. ერთი მხრივ, იმპორტის ქვეყანაში, ამ შემთხვევაში საქართველოში უნდა არსებობდეს სალიზინგო კომპანია, რომელიც იქნება ექსპორტიორისათვის სანდო პარტნიორი, მეორე მხრივ, რაც ძირითადია, ექსპორტის ქვეყანაში ლიზინგის დამფინანსებელი ფონდი უნდა დაეანმდეს ლიზინგის ობიექტის ექსპორტს საქართველოში, რაც ძალზე ძნელი მისაღწევია.

კანონი ლიზინგის შესახებ საქართველოში ერთი წლის მიღებულია და უკვე შეიქმნა სალიზინგო კომპანიები, რომლებიც საკუთარი სახსრებით აფინანსებენ ძალზე მცირე ოპერაციებს, მაგრამ

მათაც უცხოურ ფონდებთან მჭიდრო კონტაქტის გარეშე პრობლემები შეექმნებათ.

არათუ ლიზინგის, არამედ ზოგ შემთხვევაში პარტნიორ კომპანიებს მიმწოდებლის კრედიტზეც უარს ეუბნებიან, რომლის გარეშეც არც ერთი საექსპორტო გარიგება არ სრულდება, თუ საქონლის დანიშნულებას საქართველო წარმოადგენს. ამ სახის კრედიტით ექსპორტიორი (ჩვენთვის იმპორტიორი) აზდენს საქონლის (როგორც წესი, საინვესტიციო საქონლის) წარმოების დაფინანსებას.

რაც შეეხება რეფინანსირებას, აქაც პრობლემებია – ვერ ხორციელდება ფაქტორინგი – მაღალი პოლიტიკური რისკის გამო, ვერც ფორფეტირება – იმის გამო, რომ გარანტიაა საჭირო იმპორტიორის ბანკიდან. რთულია ინფორმაციის მოპოვება პარტნიორ ფირმაზეც, მათ შორის ევროპაში გავრცელებული სანდოობის, ე.წ. ბონიტეტის ცნობის მოპოვებაც.

იმედია, ასეთი მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელდება, რისი ყველა შესაძლებლობაც არსებობს და ერაყის და მასთან დაკავშირებული ბოლოდროინდელი მოვლენები ამის საფუძველს იძლევა. იმედია, ამ შანსს კი სრულად გამოიყენებს საქართველო და თუნდაც პოლიტიკური რისკი უკვე განსაზღვრული გახდება.

რისკის ცნება საგარეო ვაჭრობაში

რისკი საგარეო ვაჭრობაში წარმოადგენს საფრთხეს, რომელიც ემუქრება სამომავლო გაურკვევლობის გამო კომპანიის მიერ უცხო ქვეყანაში ჩადებულ კაპიტალს ან კომპანიის საქმიანობის შედეგად მიღებულ მოგებას. სერიოზული კომპანია უცხო ბაზარზე შესვლისას ცდილობს შეიცნოს რისკები, გააანალიზოს, შეიმუშაოს რისკის მართვის პოლიტიკა და შემდგომ აკონტროლოს ცვლილებანი. რამდენადაც შესაძლებელია, კომპანია შეეცდება რისკი აირიდოს ხელშეკრულების მუხლებით, ან დაზღვევის, ან საგანგებო გარიგებებით, როგორებიცაა ჰეჯირება (ფასდაზღვევა დამატებითი საპირისპირო გარიგების დადების მეშვეობით), სვოპი (კურსის რისკის დაზღვევა) და ა.შ. ვნახოთ, რა შესაძლო რისკების

წინაშე დგას კომპანია საგარეო სავაჭრო გარიგების დადების შემთხვევაში.

ეკონომიკური რისკები

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი ფირმის მიერ ბაზრის არასწორი შეფასების გამო წარმოიქმნება. არსებობს რაოდენობრივი (არასწორი რაოდენობის შერჩევა), ხარისხობრივი (არასწორი ხარისხის შერჩევა), ლოკალური (არასწორი ადგილმდებარეობის შერჩევა) და ტემპორალური (არასწორი დროის პერიოდის შერჩევა) რისკი. ერთი მხრივ, რისკი არ უკავშირდება საქართველოს, როგორც ქვეყანას, რაკი წაგება შეიძლება გამოწვეულ იქნეს იმპორტიორის არასწორი ქმედების გამო, მაგრამ ერთი რამ არის აქ ყურადღებამისაქცევი – იმპორტიორისთვის ძალზე რთულია მიიღოს სტატისტიკური მონაცემები ბაზრის შესახებ, რაც მის მუშაობას სერიოზულად ართულებს. დასავლეთევროპელი, ვთქვათ, ფეხსაცმლის მწარმოებელი მიჩვეულია ზუსტი სტატისტიკური მონაცემების მიღებას თავის ქვეყანაში ბოლო კვირის განმავლობაში განხორციელებული გაყიდვების შესახებ, რაც მას წარმოდგენას აძლევს, ერთი მხრივ, გაყიდული ფეხსაცმელების საერთო რაოდენობაზე, მეორე მხრივ კი იღებს სურათს კონკურენტების მიერ გაყიდული ფეხსაცმლის რაოდენობაზე, რითაც იღებს დაახლოებით ინფორმაციას ბაზრის მიერ მოთხოვნილ ხარისხზე. საქართველოში ასეთი ინფორმაციის არარსებობა, მეტიც, სრული აღურიცხაობა მნიშვნელოვნად ზრდის ოთხივე რისკს და შეცდომის დაშვების ალბათობას. იმპორტიორის ერთადერთი შესაძლო ტაქტიკა არის მცირე რაოდენობით დაწყება და მოსინჯვა.

ფასის რისკი

იმპორტიორს გააჩნია საგარეო ბაზარზე ფასის მატების რისკი, ექსპორტიორს, ერთი მხრივ, საგარეო ბაზარზე ფასის კლების რისკი აქვს, მეორე მხრივ – შიდა ბაზარზე ფასებისა და ხელფასების ზრდის რისკი. აქ ჩანს, რომ პრინციპში იმპორტიორი ქვეყანაში ხელფასის ზრდით არის დაინტერესებული, ექსპორტიორი

კლებით ან ერთ დონეზე შენარჩუნებით. ამის გამოც არ შეიძლება ამ ორი ელემენტის ერთმანეთთან დაპირისპირება, თანაც, როგორც ვთქვით, ძირითადად ერთი და იგივე კომპანია ხან ექსპორტიორია, ხან კი იმპორტიორი.

ეს რისკი ქვეყანას ნაკლებად უკავშირდება, თუ არ გავითვალისწინებთ შემთხვევებს, როდესაც სახელმწიფო ჩარევა მოქმედებს ფასების დაწესებაზე, რაც ნაკლებად ახასიათებს საქართველოს.

საკრედიტო რისკი

ეს რისკი წარმოადგენს იმპორტიორისთვის კრედიტის გადაცემის შემთხვევაში ფულის დაბრუნების უარყოფის, უუნარობის ან დაგვიანების საფრთხეს. ეს მაღალი რისკია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში.

მიღება-მიწოდების რისკი

ეს საქონლის მიწოდების მომენტში მის მიღებაზე უარყოფის რისკია. აქ გადამწყვეტი სწორი კონტრაქტი და შემდგომში დავის შემთხვევაში სასამართლოში ან არბიტრაჟში მისი თავისუფალი და მიუკერძოებელი გარჩევის საშუალებაა. ეს რისკი მაღალია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში სასამართლოების პოლიტიზირების გამო.

კურსის რისკი

ფაქტურირებადი ვალუტის ცვლილების რისკი ნიშნავს, რომ გარიგების აღსრულების მომენტში მყიდველს კურსის ცვლილების გამო შეიძლება მოუწიოს მეტის გადახდა, ვიდრე გარიგების დადების მომენტში იყო გათვლილი, გამყიდველს, ექსპორტიორს კი ნაკლების მიღება. ეს რისკი უფრო მეტად ქართველ პარტნიორს ემუქრება (თუ შიდა ვალუტად ლარს იყენებს, ფაქტურირებას კი უცხოურ ვალუტაზე ახდენს), ვიდრე უცხოელს იმის გამო, რომ სამომავლო საგალუტო გარიგებებს ჯერჯერობით ბანკები ვერ დებენ, თუმცა ქართულმა ბანკებმა არნახული პროგრესი განიცადეს ბოლო წლების განმავლობაში და მომსახურების სრული პაკეტი გააჩნიათ.

სატრანსპორტო რისკი

იგი გულისხმობს სატრანსპორტო გზაზე ტვირთის დაზიანების ან დაკარგვის საფრთხეს. ეს რისკი საქართველოში სრულად იფარება სადაზღვევო კომპანიების მიერ, რომლებიც ძლიერი უცხოური კომპანიების გადამზღვეველები არიან.

ქვეყნის რისკები

საერთაშორისო მონაცემები ბიზნესის კლიმატის შესახებ (ე.წ. ქვეყნის რეიტინგები) იძლევა ქვეყნების ეკონომიკური, სამართლებრივი, სოციალური და პოლიტიკური შეფასების რაოდენობრივ და ხარისხობრივ კრიტერიუმებს.

პოლიტიკური რისკი

ეს არის მტრული აქციების გამო, როგორიცაა ომი, ბოიკოტი ან ბლოკადა ორ ან რამდენიმე ქვეყანას შორის, ან შიდაპოლიტიკური მდგომარეობის გამო, როგორიცაა გაფიცვები, არეულობა ან სამოქალაქო ომი, დანაკარგის წარმოქმნის საშიშროება. სამწუხაროდ, რისკი მაღალია ჩვენს შემთხვევაში.

ანაზღაურების აკრძალვისა და მორატორიუმის რისკი

ეს არის შემთხვევა, როდესაც მევალე მხარეს სურს თანხის გადახდა, აქვს კიდეც საშუალება, მაგრამ ქვეყანა უკრძალავს ამის გაკეთებას ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის გამწვავების გამო. მორატორიუმის დროს პრინციპული აკრძალვა არ არის, მაგრამ უცხოეთში გადარიცხვები კონტროლირდება სახელმწიფოს მიერ – ქვეყნიდან გადის იმდენი, რამდენიც შემოდის.

ეს რისკი საქართველოში ძალზე მცირეა და, საერთოდ, სავალუტო რეგულაცია მას პრაქტიკულად თავისუფალი აქვს, რასაც ყველა უცხოური წყარო ადასტურებს.

ტრანსფერის და კონვერტაციის რისკი

ეს არის სავალუტო სახსრების გატანის და კონვერტაციაზე უარის თქმის რისკი. იგი პრაქტიკულად ჩვენს ქვეყანას არ ახასიათებს.

სამართლებრივი რისკი

სამართლებრივი რისკი წარმოადგენს საფრთხეს, რომ მოხდება სახელმწიფოს მიერ საექსპორტო საქმიანობაში ან დაბეგვრა, ან ლიცენზირების საკითხებში ცვლილებების შემოტანა, რომელიც მნიშვნელოვან უარყოფით ზემოქმედებას მოახდენს ფირმის ფილიალზე, წარმომადგენლობაზე და საწარმოო ადგილებზე.

ამავე რისკს განეკუთვნება საქართველოსთვის და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებისათვის დამახასიათებელი მნიშვნელოვანი საფრთხე – სახელმწიფო ორგანოებისა და მათ მიერ კონტროლირებადი დაწესებულებებისაგან გაცემული ნებართვების შესრულებაზე უარის თქმა სახელმწიფო დაწესებულებების მიერ.

ქვემოთ მოგვყავს საინვესტიციო კლიმატის ძირითადი საერთაშორისო ინდიკატორები:

1. ჰერიტეჯის ფონდის ეკონომიკის თავისუფლების ინდექსი – იკვლევს ეკონომიკის თავისუფლების ხარისხს 161 ქვეყანაში;
2. კორუფციის პროცენტული ინდექსი – კორუფციის შეღწევის დონე მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეებსა და პოლიტიკოსებში;
3. ინსტიტუციონალური ინვესტორების ქვეყნის საკრედიტო რეიტინგი – საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებების, ბანკების, ეკონომისტთა მონაცემების საფუძველზე წელიწადში ორჯერ, მარტსა და სექტემბერში ქვეყნდება მონაცემები ქვეყანათა სანდოობის შესახებ;
4. „ევრომანი“-ს ქვეყნის რისკის რანგი;
5. საერთაშორისო მართვის განვითარების ინსტიტუტის გლობალური საკონკურენტო ანალიზი – ლოზანის ბიზნესსკოლის ყოველწლიური მონაცემები რანგების შესახებ;

6. ბიზნესის ნორმატივები – მონაცემები ბიზნესის განხორციელებისათვის აუცილებელი წესებისა და ნორმატივების სირთულის შესახებ;
7. „პი არ ეს“ ჯგუფის ქვეყნის რისკები – ანალიზი და პროგნოზები ფინანსური, პოლიტიკური და ეკონომიკური რისკების შესახებ;
8. კირნის სანდოობის ინდექსი – პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებული პოლიტიკური, ეკონომიკური და ნორმატიული ცვლილებების შესახებ ინფორმაცია, მსოფლიოს უდიდესი კორპორაციების დასკვნები მათი გეგმებისა და პრეფერენციების შესახებ, რეგიონების ანალიზი;
9. კირნის გლობალიზაციის ინდექსი – ახასიათებს ქვეყნის საერთაშორისო ურთიერთობებში ჩართვის ხარისხს, ახდენს ადამიანთა საზღვარგარეთ პირადი კონტაქტების პერსონიფიცირებას ისეთი მონაცემების მეშვეობით, როგორიცაა ადამიანთა მიერ საზღვრის გადაკვეთათა რაოდენობა, საერთაშორისო სატელეფონო საუბრები, ინტერნეტში ჩართვის ხარისხი.
10. მსოფლიო ბიზნესგარემოს ანალიზი – მსოფლიო ბანკი – მოიცავს რეფორმების განვითარების სისწრაფეს, რეფორმათა პრიორიტეტულობის აღქმას, მათ ზემოქმედებას კერძო ბიზნესზე, ქვეყნის მდგომარეობის ანალიზს ამ მხრივ რეგიონის სხვა ქვეყნებთან შედარებით;
11. საერთაშორისო სამთავრობო კვლევის ინდიკატორი – არის 6 სამთავრობო ინდიკატორის კომბინაცია (ხმა და აღრიცხვიანობა, პოლიტიკური სტაბილურობა, ძალადობის უარყოფა, მთავრობის ეფექტიანობა, ნორმატიული ჩარჩოები და კორუფციის კონტროლი);
12. „პრაის ვოტერჰაუზ კუპერსის“ ინდექსი – კაპიტალის მოპოვების სირთულეების შესწავლა;
13. „სტანდარტული და ღარიბი“ პოლიტიკური რისკების რეიტინგები ქვეყნებში პოლიტიკური რისკის შეფასების ერთ-ერთი გავრცელებული მეთოდია - მონაცემები ყოველკვირეულად ქვეყნდება;

14. მუდის პოლიტიკური რისკების რეიტინგი – ვალუტის, ანაბრების და კაპიტალდაბანდებების მდგომარეობის ანალიზი ქვეყანაში;
15. ფრაზერის ინსტიტუტის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი;
16. ტაკის ბიზნესსკოლის ბაზარზე შეღწევის ინდექსი - საბაჟო რეჟიმი, სატარიფო და სხვა ბარიერები, სავალდებულო სერტიფიკატები და ა.შ.;
17. გარემოსდაცვითი ინდექსი;
18. თავისუფლების სახლის ქვეყნის რეიტინგი – სწავლობს ქვეყნებში პოლიტიკური, სამოქალაქო უფლებების დონეს.

სწორედ ამჟამად მიმდინარეობს მსოფლიო ბანკისა და მსოფლიო საფინანსო კორპორაციის სპეციალური საინვესტიციო რისკების შემფასებელი დაწესებულების – FIAS-ის მიერ საქართველოს ბიზნესკლიმატის შეფასება.

საინვესტიციო კლიმატის შეცვლა ქვეყნის უმნიშვნელოვანესი, აუცილებელი ამოცანაა – ერთი მხრივ, წინაალმდეგ შემთხვევაში ვერ მოვახერხებთ უცხოური საფინანსო სახსრების, გამოცდილებისა და ტექნოლოგიათა მოზიდვას. ამასთან, ეს თუ საქართველომ ვერ შეძლო, ქართული საფინანსო სახსრებიც აუცილებლად გადავლენ შედარებით წარმატებულ ქვეყნებში, მოხდება ისედაც მცირე კაპიტალის გადინება ქვეყნიდან.

ტრანსნაციონალური კომპანიები

ბოლო წლების საერთაშორისო ვაჭრობის პრაქტიკაში ერთი მნიშვნელოვანი ტენდენცია გამოიკვეთა, რომელზეც ბოლოს გვსურს ყურადღების შეჩერება – ტრანსნაციონალური კომპანიების როლის ზრდა.

მნიშვნელოვანია პოლიტიკის შემუშავება ტრანსნაციონალურ კომპანიებთან ურთიერთობაში. გასათვალისწინებელია შემდეგი მონაცემები (გაერო – უნსტად):

დღეს მსოფლიოში 65.000 ტრანსნაციონალური კომპანიაა, 850.000 ფილიალით უცხოეთში.

1990 წლიდან დღემდე მათ უცხოურ ფილიალებში დასაქმებულ თანამშრომელთა რიცხვი 24-დან 54 მილიონ ადამიანამდე

გაიზარდა. 54 მილიონი ადამიანი მუშაობს კომპანიაში, რომელსაც სათავო ოფისი უცხოეთში აქვს.

ეს პროცესი, ცხადია, თანხვედრილია ბოლო 10 წლის განმავლობაში განხორციელებულ ლიბერალიზაციასთან:

1. პოლიტიკის ლიბერალიზაცია – 71 ქვეყანაში 208 კანონი იქნა მიღებული, ან სახეცვლილება იქნა შეტანილი მათში.
2. ტექნოლოგიური პროცესი – სატრანსპორტო და საკომუნიკაციო სერვისის გაუმჯობესებამ, ინტერნეტმა, მანძილის როლის შემცირებამ პროდუქტში შესაძლებელი გახადა წარმოების მთელი მსოფლიოს მასშტაბით გაშლა.
3. კონკურენციის ზრდა – კომპანიები ცდილობენ გააფართოონ გეოგრაფია, რათა შეამცირონ სარჯები.

ეს ტენდენცია მდგრადია. ამასთან იზრდება იაფი და კვალიფიციური სამუშაო ძალის როლი საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებაში, რაც შემდეგში გამოიხატება: მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი მიმღები ინვესტიციებისა განვითარებული ქვეყნები არიან, ეკონომიკის ვარდნისას ინვესტიციების შემცირება ნაკლებად აისახა განვითარებად ქვეყნებზე.

ამდენად, მნიშვნელოვანია ტრანსნაციონალურ კომპანიებთან პოზიციის შემუშავება, კერძოდ, გამოყენება ჩვენი გეოპოლიტიკური უპირატესობისა კავკასიის ბაზარზე რეგიონალური ოფისის შერჩევაში. აქ აშკარად ხელსაყრელი სასტარტო პოზიცია გაგვაჩნია – ერთი მხრივ, ლოგისტიკურად მთელ კავკასიაზე სამუშაოდ ხელსაყრელად ვართ განლაგებულნი, მეორე მხრივ, ნორმალური პოლიტიკური ურთიერთობა აზერბაიჯანსა და სომხეთთან საშუალებას მისცემს უცხოურ კომპანიას სამივე ბაზარზე ქართული ოფისიდან იმუშაოს.

დაბოლოს – ექსპორტის გარემო, საინვესტიციო კლიმატი ქვეყანაში და მთლიანად რეგიონში მუდმივ მეთვალყურეობასა და სამეცნიერო ანალიზს საჭიროებს. ასეთ კვლევას, ვთქვათ, ავსტრიაში საფინანსო დაწესებულებების, პირველ რიგში კი კონტროლბანკის დაკვეთით ვენის ეკონომიკისა და ფინანსების ინსტიტუტი, ასევე შვეიცარიული სენტ-გალენის უნივერსიტეტი ახორციელებს. რა თქმა უნდა, სასურველი იქნებოდა რეგიონალური

კვლევის საკითხებში თბილისის უნივერსიტეტისა და სამეცნიერო დაწესებულებების აზრის ასეთივე ფორმით გათვალისწინება.

ლიტერატურა

1. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა 2002 – საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, თბ., 2003
2. Aussenhandel – Jahrmann,10.Auflage, Verlag Kiehl, 2001, ISBN 3-470-70540-2
3. `Foreign Investment Report~ – Annual Report 2003 United Nations, UNCTAD/WIR/2002 (Overview)
4. Georgia – Investment Climate Statement 2002 – US Embassy in Georgia, Investment Report US Embassy in Georgia
5. International Business – a managerial perspective -Ricky W.Griffin, Michael W. Pustay , Prentice Hall, 2002, ISBN 0-13-032907-X
6. Georgia Investment Profile 2001 – European Bank of Reconstruction and Development , 2002 ISBN 1470-3963

გურამ ძესაძე

პოლიტიკური იდეოლოგიის ფორმირების თავისებურებები თანამედროვე საქართველოში

პოლიტიკური იდეოლოგია არის ფასეულობათა სისტემა, რომელსაც ემყარება ყოველი ერი-სახელმწიფოს პოლიტიკური სისტემა. მის გარეშე შეუძლებელია ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარება და ეროვნული პოლიტიკური კულტურის ფორმირება და ფუნქციონირება. იგი განსაზღვრავს პოლიტიკური სისტემის ეტაპობრივი ტრანსფორმაციისა და ლეგიტიმაციის ფორმებს.

პოლიტიკური იდეოლოგია ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვითმყოფადი განვითარებისა და უსაფრთხოების განმსაზღვრელია. მასზე არის დამოკიდებული კონკრეტულ პოლიტიკურ სიტუაციაში პოლიტიკური ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობა. იგი პოლიტიკურ სისტემაში განსაზღვრავს ფუნქციონალურ პოლიტიკურ წესრიგს. პოლიტიკური იდეოლოგია პოლიტიკური ცნობიერების სისტემური თეორიული კომპონენტია, რომელიც თეორიული კონცეფციების, იდეებისა და შეხედულებების საშუალებით გამოხატავს პოლიტიკური წყობის არსს და მის იდეალებს, ორიენტაციებს, პრიორიტეტებს, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების თავისთავადობას.

იდეოლოგიურ კონცეფციებში აისახება ინდივიდუალური და საერთო-სახელმწიფოებრივი პოლიტიკური შეხედულებები, იდეები, შეფასებები და პრიორიტეტები. ისინი საზოგადოებაში ქმნიან პოლიტიკურ ურთიერთობათა სტაბილურ პოლიტიკურ წესრიგს, პოლიტიკური წესრიგის ფუნქციონალურ თანმიმდევრობას და ამკვიდრებენ პოლიტიკურ-კულტურული თანაცხოვრების გარკვეულ წესსა და მოდელს.

პოლიტიკური ცხოვრების იდეოლოგიზაცია სოციუმისა და პოლიტიკური სუბიექტების აქტიურობის აუცილებელი პირობაა, რომელიც მათ მოღვაწეობას მიზანმიმართულ და ორგანიზებულ ხასიათს ანიჭებს.

ჩვენი განმარტებით, **იდეოლოგია** არის სულიერი შეხედულებების, ფასეულობების, ნორმების, კონცეფციების, თეორიული გააზრების, შეფასებების, განწყობილებების, ორიენტაციებისა და პოზიციების მყარი სისტემა. პოლიტიკური იდეოლოგია კი პოლიტიკური ცნობიერების ძირითადი თეორიული ელემენტია და მას შემდეგი ნიშნები ახასიათებს:

1. თეორიულ-პროგრამული ხასიათი;
2. სისტემურობა და თანმიმდევრობა;
3. გამოკვეთილი ორიენტაციები და შეფასებები;
4. კონკრეტულ პოლიტიკურ სიტუაციაში პრაგმატული მოდელირება;
5. პოლიტიკური ტექნოლოგიების თეორიული პროექტების წინასწარ განსაზღვრა;
6. პოლიტიკური პროცესის ტრანსფორმაციისა და პოლიტიკური სისტემის ეტაპობრივი მოდერნიზაციის შესაბამისად პოლიტიკური მოვლენების განვითარების პროგნოზირება;
7. პოლიტიკური მიზნებისა და ინტერესების ლატენტური ხასიათი.

პოლიტიკური იდეოლოგიის შინაარსი განსაზღვრავს კონკრეტულ საზოგადოებაში პოლიტიკის სტრუქტურულ-ფუნქციონალურ თავისებურებებსა და კანონზომიერებებს, პოლიტიკურ მოქმედებათა ფორმებსა და სტილს, პოლიტიკური ტრანსფორმაციის არსსა და ხასიათს; მასში აისახება პოლიტიკური ინსტიტუტებისა და სტრუქტურების საზოგადოებაში მოღვაწეობის ფორმები და ტექნოლოგიები. მისი ფორმირების თანმიმდევრობა დამოკიდებულია არსებულ პოლიტიკურ სისტემაში პოლიტიკური ინსტიტუტიზაციის დონეზე, პოლიტიკური ტრანსფორმაციის კონკრეტულ-სიტუაციურ თავისებურებებზე.

თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური სისტემის ლიბერალურ-დემოკრატიული ტრანსფორმაცია და პოლიტიკური პროცესიის მართვის სრულყოფა დიდად არის დამოკიდებული პოლიტიკური იდეოლოგიის ფორმების პროცესზე. პოლიტიკური იდეოლოგია პოლიტიკურად სტაბილური ყველა საზოგადოების პოლიტიკური სისტემის აუცილებელი კომპონენტია. მან უნდა განსაზღვროს პოლიტიკური ინსტიტუტების თანამშრომლობისა და მოლ-

ვაწეობის ფორმები და ტექნოლოგიები, საერთო ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესები. ქართულ სინამდვილეში მყარი იდეოლოგიური კონცეფციები და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგია ჯერ კიდევ ფორმირების პროცესშია.

თანამედროვე საქართველოს ტრანსფორმირებადი პოლიტიკური სისტემის სრულყოფის პროცესში იდეოლოგიზაციის ორი ძირითადი პარადიგმა შეინიშნება:

I. ინსტიტუტიზაციის ზრდის კვალობაზე თანდათანობით მიმდინარეობს იდეოლოგიურ კონცეფციათა ფორმირება, რომელშიც ცალკეულ პოლიტიკურ პარტიათა და პოლიტიკურ მოძრაობათა მიზნები და ინტერესები აისახება;

II. ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის განმტკიცების კვალობაზე იზრდება იდეოლოგიის როლი ეროვნულ პოლიტიკურ ცნობიერებასა და პოლიტიკური მენეჯმენტის სისტემაში. თანდათანობით ყალიბდება ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგია, რომელშიც ჩვენი სახელმწიფოს თვითმყოფადი განვითარების თავისებურებები აისახება.

თანამედროვე საქართველოში ჯერ კიდევ სუსტად მიმდინარეობს იდეოლოგიურ კონცეფციათა ფორმირება. იდეოლოგიური პლურალიზმი ლიბერალურ-დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის ფორმირების აუცილებელი პირობაა, მაგრამ ჩვენს სინამდვილეში, პოლიტიკური ცნობიერების დიფერენციულობის გამო, ძალზე დაბალია იდეოლოგიურ კონცეფციათა სტაბილურობა და ფუნქციონალური წესრიგი. ასეთ ნეგატიურ პროცესს შემდეგი ფაქტორები განაპირობებს:

1. პოლიტიკური ინსტიტუტიზაციის პროცესის ადეკვატურად ძალზე დაბალია მისი პოლიტიკური ინტელექტუალიზაციის პროცესი. პოლიტიკური ინტელექტი ჯერ კიდევ აქტიურად არ მონაწილეობს პოლიტიკურ მართვაში. ძალზე ძლიერია ცალკეულ პოლიტიკურ ლიდერთა და მოღვაწეთა პოლიტიკური ამბიციები, რომელსაც ზოგჯერ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესები არ უდევს საფუძვლად. მათ მხოლოდ ვიწრო ჯგუფური ან მაფიოზურ-კლანური ინტერესები ამოძრავებთ, რომელიც მხოლოდ პირად მატერიალურ კეთილდღეობას ისახავს მიზნად და არა საერთო-სახელმწიფოებრივ ინტერესებს. ამის შედეგია ის, რომ იზრდება პო-

ლიტიკურ პარტიათა და მოძრაობათა რაოდენობა, მათ შორის დაპირისპირება, ნეგატიური მიმართულებით იცვლება ურთიერთდამოკიდებულების ფორმები და ტექნოლოგიები, რაც აღრმავებს სოციუმის შიგნით დაპირისპირებას, იწვევს არასტაბილურობას და პოლიტიკურ უწესრიგობას;

2. ქართული პოლიტიკური სინამდვილე, მიუხედავად პოლიტიკური აზროვნების დიდი ტრადიციებისა, **პოლიტიკური კულტურის** დიდ დეფიციტს განიცდის. ძალზე დაბალია ცალკეულ **პოლიტიკურ ლიდერთა** პოლიტიკური კულტურა, ზოგჯერ მათი პოლიტიკური ცნობიერებისა და მოქმედების სტილი არ შეესაბამება დემოკრატიული საზოგადოების პოლიტიკური თანაცხოვრების წესს. ზოგიერთი პოლიტიკური მოღვაწე თავისი ეგოცენტრული აზროვნებით ხელს უწყობს ეროვნულ გათიშულობას, ახდენს პოლიტიკური ძალების დაპირისპირებას, არ გააჩნია პოლიტიკური კომპრომისების უნარი, რაც ძალზე აუცილებელია ტრანსფორმირებად საზოგადოებაში. **პოლიტიკური საზოგადოება** ჯერ კიდევ ვერ ამაღლდა ეროვნულის გაგებამდე. მას ახასიათებს დაბალი პოლიტიკური ცნობიერება, რომელსაც თან ახლავს გაუაზრებელი მოქმედებები, რაც ზიანს აყენებს ჩვენს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას და პოლიტიკური განვითარების სტაბილურობას. ამიტომ, პოლიტიკურმა ელიტამ და პოლიტიკურმა სტრუქტურებმა, ინტელექტუალური ძალების გამოყენების საფუძველზე, განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიანიჭოს მასის პოლიტიკური კულტურის ამაღლების საკითხებს;

3. ქართულ პოლიტიკურ სინამდვილეში მყარი იდეოლოგიური კონცეფციების ფორმირებას ხელს უშლის პოლიტიკაში ვიწრო, **მაფიოზურ-კლანური და კრიმინალური** ელემენტების მომძლავრება. ისინი თავიანთი მატერიალური შესაძლებლობითა და პოლიტიკური ზემოქმედების ფაქტორებით ცდილობენ გააღრმაონ დაპირისპირება საზოგადოებაში და ამით შექმნან რეალური პოლიტიკური სიტუაცია თავიანთი ინტერესების განსახორციელებლად. ზოგჯერ ასეთ პიროვნებებს მოქმედების ფართო ასპარეზს უქმნის თვით პოლიტიკური ელიტის ზოგიერთი წარმომადგენელი, რომელიც თავისი ზეგავლენის გაძლიერებისათვის ხშირად მიმართავს **კლანურ ან კრიმინალურ** ელემენტებს. საქართველოში რამდენიმე წელია

ასეთი პროცესი გრძელდება, ხოლო პოლიტიკურ-კულტურული ინტელექტი მხოლოდ ცალკეულ დაწესებულებებში ან სფეროებში თუ მოქმედებს. ამის შედეგია, რომ საზოგადოებაში სამი სოციალური ფენა გამოიყოფა: ა. მასა, რომელიც სტიქიურად მოქმედებს და თავისი ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობით თავის გადარჩენისათვის იბრძვის. მისი ეროვნულ-პოლიტიკური ცნობიერებისა და თვითცნობიერების გარკვეული დევალვაცია მოხდა; **ბ. მაფიოზურ-კლანური** და კრიმინალური ელემენტები, რომლებსაც მხოლოდ პირადი ინტერესები ამოძრავებთ და მათთვის მხოლოდ პოლიტიკური არასტაბილურობა და უწესრიგობა არის მისაღები; გ. საზოგადოების ინტელექტუალური ნაწილი, რომელმაც, პოლიტიკური სიტუაციის გამო, ჯერ კიდევ ვერ მოძებნა ადგილი საზოგადოებაში და რომელიც მხოლოდ თავისი კრიტიკული აზრის გამოთქმით კმაყოფილდება. სამწუხაროდ, მასა ტრანსფორმაციის პირობებში პოლიტიკურ ინტელექტს სათანადოდ ვერ აფასებს.

4. მყარი იდეოლოგიური კონცეფციების ფორმირებას ხელს უშლის აგრეთვე საგარეოპოლიტიკური ფაქტორი, რაშიც ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, ვგულისხმობთ ორიენტაციის პრობლემას. ქართული ორიენტაცია თავისი შინაგანი განვითარების თავისთავადობით ძირითადად ევროპული იყო. ჩვენი ფასეულობითი სისტემა თავისი ეროვნული თავისთავადობითა და ტრადიციებით დასავლურ, ლიბერალურ-დემოკრატიულ სისტემასთან იყო ახლოს, თუმცა, ცალკეული პოლიტიკური ძალა, მოქმედებს რა ზოგიერთი სახელმწიფოს სასარგებლოდ, გარკვეულ ზეგავლენას ახდენს სოციუმზე, რომელსაც ჯერ კიდევ ვერ გაურკვევია თავისი ფასეულობითი ორიენტაცია.

ასეთ ძალებს მხოლოდ ჯგუფური ან ცალკეულ პიროვნებათა ინტერესები ამოძრავებთ და სრულებითაც არ სურთ გააცნობიერონ ქართული ეროვნული სახელმწიფოს განვითარების თავისთავადობა თანამედროვე მსოფლიო წესრიგსა და გლობალიზაციის პროცესში.

თანამედროვე საქართველოში პოლიტიკური ტრანსფორმაცია და სახელმწიფოებრივი განვითარება დიდად არის დამოკიდებული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის ფორმირებაზე. იგი უნდა ემყარებოდეს ჩვენი თავისთავადი განვითარების ფასეულობებს, ორიენტაციებსა და პრიორიტეტებს. მასში გადმოცემული უნდა

იყოს ზოგადეროვნული და ზოგადსახელმწიფოებრივი განვითარების მიმართულებები, რომელიც საერთო და აუცილებელი იქნება ყველა პოლიტიკური ძალისათვის. ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგია ეს არის ფასეულობითი სისტემა, რომელიც ერმა შექმნა თავისი ისტორიული პოლიტიკური თანაცხოვრების პროცესში და მიზნად ისახავს ერის სასიცოცხლო ინტერესებს. იგი ყველა პოლიტიკურ ძალისათვის ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში გამოდის საერთო მოქმედების ძირითად და განმსაზღვრელ პირობად.

ჩვენი სახელმწიფოს იდეოლოგია ისეთ ინტელექტუალურ ფენომენებს უნდა ემყარებოდეს, როგორებიც იყვნენ ილია ჭავჭავაძე და ივანე ჯავახიშვილი. მისი საფუძველი უნდა იყოს „საერთო ნიადაგის" თეორია, რომლის დებულებებია: „მამული, ენა, სარწმუნოება", „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს" და „მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა". ჯერჯერობით, ეს პრინციპები საზოგადოების ყველა პოლიტიკური ძალისათვის გაცნობიერებული არ არის.

ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგია ეროვნული ინტეგრაციისა და ერთიანობის აუცილებელი პოლიტიკური ფაქტორია, თუმცა, მისი ფორმირება გარკვეულ პერიოდს საჭიროებს. იგი დიდად არის დამოკიდებული პოლიტიკური ტრანსფორმაციის ტემპზე, საზოგადოების პოლიტიკური კულტურის დონეზე, პოლიტიკური ელიტის როლზე და პოლიტიკურ პროცესზე ინტელექტუალური ფაქტორების ზემოქმედებაზე.

ტრანსფორმირებად პოლიტიკურ სისტემაში ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პოლიტიკური იდეოლოგიის ფორმირებაში განსაკუთრებული როლი აკისრია პოლიტიკურ ელიტას. მისი პოლიტიკური აზროვნების სტილსა და უნარზეა დამოკიდებული პოლიტიკური იდეოლოგიის ფორმირების პროცესი, თუ რამდენად ემყარება იგი თანამედროვე ინტელექტუალურ ძალებს. პოლიტიკური იდეოლოგია უნდა გახდეს ინტელექტუალური ორიენტირი პოლიტიკურ ტრანსფორმაციასა და პოლიტიკურ მართვაში და განსაზღვროს ჩვენი ფასეულობითი ინტერესები და მიზნები. თუმცა თანამედროვე პოლიტიკურ სიტუაციაში მის ფორმირებას ჯერ კიდევ ხელს უშლის ჩვენს საზოგადოებაში არსებული ზოგიერთი ნეგატიური ტენდენცია:

1. ქართულ სინამდვილეში დასრულებული არ არის ერთიანი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების ფორმირების პროცესი. ქართველი ერი ამჟამად ფორმირდება როგორც პოლიტიკური ერი და პოლიტიკურ ურთიერთობათა სუბიექტი. პოლიტიკურ ერს განსაზღვრული უნდა ჰქონდეს თავისი პოლიტიკური ორიენტაცია, პრიორიტეტები და დანიშნულება პოლიტიკურ-ისტორიულ პროცესში. ქართველი ერი უნდა გადაიქცეს სახელმწიფოებრივ ერად, რომლის უპირველესი პირობაა სახელმწიფოებრივი ცნობიერებისა და ეროვნული თვითცნობიერების ფორმირება;

2. საქართველოში ჯერ კიდევ არ არის მიღწეული ეროვნული კონსოლიდაცია, ეროვნული თანხმობა და ინტეგრაცია, რასაც ხელს უშლის პარტიულ-კლანური ინტერესების მომძლავრება პოლიტიკაში. ხელისუფლებამ ვერ შეძლო ეროვნული თანხმობის მიღწევა, რაც ყოველთვის ქმნის ეროვნული და სამოქალაქო დაპირისპირების საშიშროებას. ასეთი პოლიტიკური პროცესი აფერხებს ეროვნული სახელმწიფოებრივი ცნობიერებისა და თვითცნობიერების ფორმირებას. ერმა პოლიტიკური თვითშეგნებისა და თვითცნობიერების საფუძველზე უნდა განსაზღვროს თავისი დანიშნულება, სასიცოცხლო ინტერესები, გაიაზროს საკუთარი მეობა და როლი პოლიტიკურ პროცესში;

3. ქართულ საზოგადოებაში კელავ მწვავედ დგას რაციონალურისა და ირაციონალურის თანაფარდობის პრობლემა პოლიტიკაში. ზოგჯერ იგრძნობა ირაციონალური პროცესების მომძლავრება, რაც გამოიხატება მასის გაუაზრებელ, სტიქიურ მოქმედებებში, ფანატიზმში, კერპთაყვანისმცემლობაში, მესიანიზმში. ხელისუფლება არ ცდილობს ინტელექტუალური ძალების გამოყენებას, რომელმაც თავიდან უნდა აგვაცილოს გაუცნობიერებელი პროცესები პოლიტიკაში და ხელი შეუწყოს სახელმწიფოებრივი აზროვნებისა და სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის ფორმირებას;

4. პოლიტიკური ხელისუფლების მიერ არ ტარდება რადიკალური ღონისძიებები კორუფციის, პოპულიზმის და კრიმინალური ელემენტების წინააღმდეგ, რომლებიც თანამედროვე პოლიტიკური მენეჯმენტის ანტიტექნოლოგიებს წარმოადგენენ. იგი განსაზღვრავს ზოგჯერ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური ცვლილებების შინაარსს. ასეთი ნეგატიური ანტიტექნოლოგიები ხელს უშლიან პო-

ლიტიკური პროცესის მართვის ტრანსფორმაციას. ხელისუფლება და პოლიტიკური ელიტის ნაწილი სრულ უუნარობას იჩენს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში, რითაც ხელს უწყობს პოპულიზმს, ეგოცენტრისტული აზროვნების მქონე პოლიტიკური ლიდერების აღზევებას და ზიანს აყენებს ეროვნულ ინტერესებს. ამიტომ თანამედროვე პოლიტიკურ მართვაში ხელისუფლების ლეგიტიმურობის ამოსავალი პრინციპები უნდა გახდეს პროფესიონალიზმი, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობა და პატიოსნება. ლიბერალური დემოკრატიის პრინციპების საფუძველზე ხელისუფლებამ და პოლიტიკურმა ელიტამ უნდა გააკეთოს ის, რაც ერისა და სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარეობს;

5. ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის ფორმირებაში დიდი ადგილი უჭირავს საინფორმაციო საშუალებებს. მათ გარეშე პოლიტიკური მენეჯმენტის სტრუქტურულ-ფუნქციონალური როლი შეუძლებელია. საინფორმაციო საშუალებები ჯერჯერობით ვერ ასრულებენ თავის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ როლს პოლიტიკურ პროცესსა და პოლიტიკურ მართვაში. ზოგჯერ ისინი ცდილობენ დაიცვან ცალკეული პოლიტიკური ჯგუფის ან კლანის ინტერესები და ამით ზიანს აყენებენ საერთო-ეროვნულ საქმეს. პრესისა და სიტყვის თავისუფლება სრულებითაც არ ნიშნავს ყველაფრის თავისუფლებას ან ყველაფრის გამოაშკარავებას, მით უმეტეს პოლიტიკაში. პოლიტიკა თავისი შინაარსით ლატენტურ პროცესებსაც მოიცავს და როდესაც სახელმწიფოებრივი ინტერესი წინა პლანზეა, მისი გამოაშკარავება ან საჯაროდ მისი გამოცხადება არ შეიძლება. საინფორმაციო საშუალებების მიზანი უნდა იყოს ეროვნული თანხმობისა და შერიგების, ერთიანი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერებისა და იდეოლოგიის ფორმირების პროცესის დაჩქარება;

6. ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის უმნიშვნელოვანესი ელემენტია ერი-სახელმწიფოს საერთაშორისო ფუნქციის განსაზღვრა; სოციუმის ნაწილს ჯერ კიდევ გაცნობიერებული არ აქვს ერი-სახელმწიფოს ადგილი თანამედროვე გლობალიზაციის პროცესში. მსოფლიო სისტემის პოლიტიკური ტრანსფორმაციის პირობებში ქართველმა ერმა სწორად უნდა გაიაზროს ეროვნული სახელმწიფოს ადგილი მსოფლიო გეოპოლიტიკურ სივრცეში და

განსაზღვროს თავისი როლი საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში. ერის საერთაშორისო ფუნქციის განსაზღვრის გარეშე არ შეიძლება ჩამოყალიბდეს ერი-სახელმწიფო, რომლის გეოპოლიტიკურ ფასეულობათა სისტემას პოლიტიკური იდეოლოგია იძლევა.

ჩვენი საზოგადოება პოლიტიკურ ცვლილებათა ეპოქაში ცხოვრობს. ქართული პოლიტიკური ცნობიერება პოლიტიკურ ფასეულობათა და ორიენტაციათა ძიებაშია. პოლიტიკური ტრანსფორმაცია და პოლიტიკური სისტემის ადაპტაცია ინტელექტუალური ფენომენის აქტიურ ზემოქმედებას უნდა განიცდიდეს. შეგნებული ელემენტი რაციონალურ-პოლიტიკურ ცვლილებებს აჩქარებს. ასეთ ინტელექტუალურ ფენომენად და ორიენტაციის განმსაზღვრელად ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პოლიტიკური იდეოლოგია მიგვაჩნია. თანამედროვე პოლიტიკური კანონზომიერებაა — პოლიტიკურმა იდეოლოგიამ სათანადო ადგილი დაიჭიროს ჩვენი საზოგადოების შემდგომ ტრანსფორმაცია-სრულყოფაში.

გენდერი და მისი არსი

1. გენდერის ცნება

კაცობრიობა ქალებისა და კაცებისაგან შედგება. საზოგადოებაში მათ სხვადასხვა ადგილი უკავიათ და განსხვავებულ ფუნქციებს ასრულებენ, რაც ამა თუ იმ საზოგადოების განვითარების დონით არის განპირობებული. სქესთან დაკავშირებული პრობლემების შესწავლის გარეშე შეუძლებელია ადამიანისა და საზოგადოების კომპლექსური შესწავლა, ამიტომ დღეს ეს საკითხი სხვადასხვა მეცნიერების შესწავლის ობიექტს წარმოადგენს, სოციალურ მეცნიერებებში კი მას ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უჭირავს.

სქესის სოციალური თეორია სქესთა შორის არსებული ტრადიციული პატრიარქალური ურთიერთობების ეგალიტარული ურთიერთობებით შეცვლას ითვალისწინებს და უმთავრესი პრინციპის – სქესთა თანასწორუფლებიანობის რეალიზაციას გულისხმობს.

თანამედროვე საზოგადოების განვითარებამ მოითხოვა არსებული მასკულინური საზოგადოებრივი მოწყობის სტრუქტურის, სახელისუფლო ინსტიტუტებისა და კულტურული ნორმების შეცვლა, აგრეთვე ქალური საწყისის, როგორც ინერტულისა და დაქვემდებარებულის, ფილოსოფიურად დასაბუთებული სტერეოტიპის ახლებურად გააზრება.

ამ პროცესის დინამიკის ანალიზის, მისი შედეგის განსაზღვრისა და მასზე ზემოქმედების ზომების შემუშავების დროს სოციოლოგები წააწყდნენ სქესის კატეგორიების კონცეპტუალური დასაბუთების აუცილებლობას.

დღეისათვის მიჩნეულია, რომ სქესს აქვს ბიოლოგიური (sex) და სოციალური (gender) კატეგორიები. ბიოლოგიური კატეგორია ადამიანის ბიოლოგიურ და ანატომიურ თავისებურებებს ითვალისწინებს, ხოლო სოციალური, ანუ გენდერული სოციოკულტურულ ასპექტებს მოიცავს. მთლიანობაში სქესი ბიოლოგიურისა

და სოციალურის ერთობლიობაა. ადამიანური ინდივიდის სქესობრივი იდენტიფიკაცია მისი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ყალიბდება. მეცნიერულად დასაბუთებულია, რომ ამ ევოლუციური პროცესის პირველი რგოლი – ქრომოსომული (გენეტიკური) ნაკრები - განაყოფიერებისას იქმნება და ორგანიზმის მომავალ გენეტიკურ პროგრამას განსაზღვრავს. ბავშვის დაბადების შემდეგ სქესობრივი იდენტიფიკაციის ბიოლოგიური ფაქტორები სოციალურით ივსება. არსებული გარემოცვის ზეგავლენით ხდება სრული თვითაღქმა და მასთან დაკავშირებულ ინტერესთა, მოთხოვნილებათა, ღირებულებათა სისტემის ჩამოყალიბება (Judith Lorber. Gender in Dorgatta (eds.). Encyclopedia of Sociology. N.Y. Macmillan Publishing Company, 1982).

ტერმინი „გენდერი" მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან „გენოს" – დაბადება, წარმოშობა, ჯიში, გვარი, შთამომავალი, სქესი (ფორმა Gender მიმღეობის ფორმაა). გენდერი გულისხმობს, რომ მამაკაცების, ქალების და გარემოს ურთიერთკავშირის ანალიზს, უპირველეს ყოვლისა, საფუძვლად უნდა დაედოს არა სქესის, არამედ გვარის გამოცდილება, სადაც ქალის სოციუმი მთლიანი საზოგადოებრივი სისტემის ინტეგრალურ ნაწილად განიხილება. ამასთან, სოციალური გამოკვლევების მეთოდოლოგიის პოზიციიდან, ცნებას „გენდერული ურთიერთობა" ერთმნიშვნელოვანი განმარტება არა აქვს.

დასავლეთის ქვეყნებში „გენდერულ გამოკვლევებს" ხშირად აიგივებენ ცნებასთან „ქალთა პრობლემების გამოკვლევები". ფართო მნიშვნელობით, ცნება „გენდერული ურთიერთობა" სქესთა სოციალურად ორგანიზებულ ურთიერთობას ნიშნავს. გენდერი, როგორც პროცესი და მოვლენა, გულისხმობს სქესობრივი განსხვავების ნიადაგზე მამაკაცის მხრიდან ქალის ყოველგვარი ჩაგვრის ლიკვიდაციას. ფაქტობრივად, ეს ტერმინი ასახავს სოციალურ-ეკონომიკურ ფონზე ქალთა და მამაკაცთა ურთიერთობის ფენომენს და, შესაბამისად, დამკვიდრდა, როგორც გარკვეული დირექტიული მიმართულება ქალთა უფლებების დაცვის სფეროში. გენდერის მიზანია ქალის დაცვა სექსიზმისაგან, რაც სქესობრივ დისკრიმინაციას, ანუ ერთი სქესის მეორეზე ბატონობას ნიშნავს.

გენდერული კვლევები სულ უფრო დიდ ადგილს იკავებს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თეორიებში. საზოგადოებრივ ცხოვრებაში უკვე ჩამოყალიბდა ქალთა მოქალაქეობრივი და პოლიტიკური მონაწილეობისადმი ისეთი მეცნიერული და პოლიტიკური მიდგომები, რომლებიც გენდერული გამოკვლევების და გენდერული პოლიტიკის სახელით არის ცნობილი. გენდერული გამოკვლევები და ტექნოლოგიები არა მხოლოდ ქალთა ფორუმების, არამედ გაეროს კომისიისა და გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებათა დონეზე განიხილება, ხდება მათი ინსტიტუციონალიზაცია და საერთაშორისო აქტებით გამყარება.

ბოლო 20 წლის მანძილზე შეიძლება გენდერული კვლევის სამი ძირითადი ფაზა გამოვყოთ. პირველი ფაზა – ეს არის ფემინისტურად განწყობილი მეცნიერების მიერ ჰუმანიტარულ მეცნიერებებში სინდროცენტრიზმის კრიტიკა და გენდერული კვლევების, როგორც თეორიული ცოდნის სფეროს, დაფუძნების მცდელობა. ამ სტადიაზე მეცნიერთა ძალისხმევა კონცენტრირებული იყო „გენდერული სიბრმავისა" და სინდროცენტრიზმის ახსნაზე ტრადიციულ, სპეციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში.

XX ს-ის 70-იან წლებში ძალიან ბევრი ფემინისტური ნაშრომი დაიბეჭდა. ზოგიერთი მათგანისათვის დამახასიათებელი იყო გარკვეული რადიკალიზმი. ფემინისტური ლიტერატურის მომძლავრებას არც მეცნიერები შეხვდნენ გულგრილად. თუმცა ეს იდეები ყველაზე მეტად შეეხო მათ, ვინც ოჯახის სოციოლოგიის პრობლემებს იკვლევდა. ამავე პერიოდში გამოვიდა სოციოლოგიური, ფსიქოლოგიური და ანთროპოლოგიური შრომები, რომლებშიც გაანალიზებული იყო სქესობრივი როლების დიფერენციაციის პროცესი. კვლევები სქესის სოციოლოგიისა და ფსიქოლოგიის სფეროში პოპულარული გახდა. ეს იყო სიახლე, რომელიც ნოყიერ ნიადაგს ქმნიდა სქესის პრობლემების გასააზრებლად. სოციოლოგიაში განვითარდა სოციალური დიფერენციაციის დასავლური ტრადიციული თეორიების კრიტიკა. პროფესორმა ჯესი ბერიორდმა ამ პერიოდს უწოდა „რევოლუცია სოციოლოგიაში".

ერთ-ერთი პირველი შრომა, რომელშიც წარმოჩნდა გენდერის სისტემის ცნება და ნათლად იქნა მოცემული განსხვავება ბიოლოგიურ სქესსა (sex) და სოციალურ სქესს (gender) შორის,

იყო ჰეილ რაბიის სტატია „ქალებით ვაჭრობა“ (1974 წ.). ამ სტატიაში იგი სქესს (sex) განმარტავდა როგორც ბიოლოგიურ რეპროდუქციულ განსხვავებას. ხოლო სქესი (gender), მისი აზრით, წარმოიშობა მაშინ, როდესაც ბიოლოგიური სქესი განიცდის ტრანსფორმაციას მასკულინური კულტურის ზემოქმედებით და ფემინური კონსტრუქციით.

შემდეგი შრომა, რომელშიც გამოჩნდა ტერმინი „გენდერ“ (gender), იყო ფსიქოლოგ როდა უიგერის სტატია „სქესისა და გენდერის ახალი განსაზღვრა“. იგი 1979 წელს გამოვიდა. ავტორი მასში სიტყვა sex-ს ხმარობდა იმ შემთხვევაში, როდესაც სპეციალურ ბიოლოგიურ მექანიზმებს მიმართავდა, ხოლო სიტყვა gender-ს მხოლოდ მაშინ, როცა სპეციალურ კულტურულ და ფსიქოლოგიურ ასპექტებს განიხილავდა. ეს ასპექტები ტიპური და მისაღებია მათთვის, ვინც საზოგადოებას გარკვეული მახასიათებლების, ნორმების, სტერეოტიპების საშუალებით განმარტავს.

მეორე ფაზას წარმოადგენდა სასწავლო კურსების ფართო ინტეგრაცია ე.წ. „ქალის კვლევების“ (women's studies) დარგში, უნივერსიტეტების სასწავლო პროგრამებში და, მათ საფუძველზე, ქალთა მდგომარეობის გამოკვლევა, ქალთა დამორჩილებული მდგომარეობის შესახებ თეორიების განვითარება. ამ პერიოდის სოციოლოგიური და კულტუროლოგიური კვლევებისათვის დამახასიათებელია „ქალის ფაქტორის“ დამატება და მასზე აქცენტის გაკეთება, სიმონა დე ბოვუარის შრომების, რასიზმის, ფსიქოანალიზისა და პოსტსტრუქტურალიზმის გავლენა.

მესამე ფაზამ მოქმედების სფერო ქალთა საკითხების კვლევებიდან გენდერამდე გააფართოვა. პირველ ადგილზე დააყენა მიდგომები, რომელთა თანახმად, ადამიანთა საზოგადოების ყველა ასპექტი, კულტურისა და ურთიერთდამოკიდებულების თვალსაზრისით, გენდერულია. ამ პერიოდში აქცენტის გადატანა „ქალის ფაქტორიდან“ ხდება იმაზე, თუ როგორ არსებობს და კონსტრუირდება გენდერი ყველა სოციალურ პროცესში.

იმის გამო, რომ ბოლო წლებში განმტკიცდა ახალი დამოკიდებულება სქესისა და გენდერისადმი, მასკულინურისა და ფემინურისადმი, ეს ცნებები უკვე აღარ მიიჩნევა როგორც რაღაც ცხადი, ბუნებრივი მოვლენა, რომელიც ახსნას არ საჭიროებს. დღეს აღია-

რებულია, რომ გენდერული დიფერენციაცია და ასიმეტრია არსებობს ყველა საზოგადოებასა და კულტურაში, თუმცა კონკრეტული წარმოდგენა მასკულინურსა და ფემინურზე სხვადასხვა კულტურაში განსხვავებულია. ამიტომ „გენდერული ურთიერთობა განიხილება, – წერს გიზელა ბოკი, – როგორც სოციალური, პოლიტიკური და კულტურული სიდიდე, რომელიც არც არაისტორიულ ფენომენზე დაიყვანება და არც ერთადერთ „საწყის" ან „იმამენტურ" მიზეზამდე.

2. სქესის დიალექტიკა

როგორც მეცნიერები აღნიშნავენ, ადამიანის ბუნებრივი მონაცემები, აღზრდისა და საზოგადოების ზეგავლენით, სოციალურად რეალიზდება.

სქესს აყალიბებს აღზრდის სისტემა: ოჯახი, განათლება, კულტურა, რელიგია, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, სახელმწიფო პოლიტიკა და სხვ.

თანამედროვე მეცნიერება სქესის პრობლემების შესწავლას სამი მიმართულებით ახორციელებს:

1. სქესობრივი განსხვავების ფსიქომეტრული შესწავლა და ინტელექტის კვლევა.

მაგალითად, ინტელექტის კვლევისას ამერიკელი მეცნიერები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულთა შორის უფრო მეტი მამაკაცია, ვიდრე ქალი, მაგრამ, ამასთან, უფრო მეტი გონებაჩამორჩენილიც.

ამერიკელი ანთროპოლოგი უ. მონტეგიუ თავის წიგნში „ქალის ბუნებრივი უპირატესობა" წერდა, რომ ინტელექტუალობის საშუალო კოეფიციენტი ქალებს უფრო მაღალი აქვთ, ვიდრე მამაკაცებს. ისინი თავიანთ ინტელექტს უკეთ ინარჩუნებენ, უფრო ემოციურები არიან და დიდხანსაც ცხოვრობენ.

2. მამაკაცებისა და ქალების ბიოლოგიური განსხვავება. კოგნიტურ (შემეცნებით) სფეროში გენეტიკური, ჰორმონალური და ნეიროფიზიოლოგიური დეტერმინანტების თავისებურებების გათვალისწინება.

3. სქესობრივ როლებთან დაკავშირებული იმ სოციალურ-ფსიქოლოგიური მექანიზმების ანალიზი, რომლებიც გავლენას ახდენენ შემეცნებით შესაძლებლობებსა და საქმიანობის სფეროს არჩევანზე.

აღნიშნული კვლევები კიდევ ერთხელ ადასტურებენ, რომ სქესის ანალიზს დიალექტიკურად უნდა მივუდგეთ. როგორც ო. ვეინინგერი აღნიშნავს თავის ნაშრომში „სქესი და ხასიათი", ყველა ადამიანში ორი საწყისია, რომ ემბრიონში სქესის გარჩევა შეუძლებელია. მხოლოდ მისი არსებობიდან ხუთი კვირის შემდეგ ჩნდება მამაკაცისა თუ ქალის სქესობრივი თავისებურებები. თუმცა არსებობს ბისექსუალური მიდრეკილებებიც, რომელთა დროსაც მუდმივი ორსქესიანობა ადამიანის აგებულებაში ან მის გონებრივ მოღვაწეობაში ვლინდება. ორსქესიანობის გამოვლინებაა, აგრეთვე, **ჰომოსექსუალობა** და **ლესბოსელობა**. ნორმალურ ადამიანში კი (ქალსა თუ მამაკაცში) ყოველთვის არსებობს საპირისპირო სქესისადმი ლტოლვა.

ორი საწყისის არსებობას ბერძენი ფილოსოფოსი პლატონიც უსვამს ხაზს. თავის ნაშრომში „ნადიმი" იგი აღნიშნავს, რომ ადამიანში ორი — მამაკაცური და ქალური — საწყისია შერწყმული, რომლებიც სხვადასხვა ვითარებაში სხვადასხვანაირად ვლინდება.

ფრანგი სოციალისტ-უტოპისტი სენ-სიმონ კლოდ ანრი დე რუვრუა თავის ნაშრომში „ახალი ქრისტიანობა" (1825 წ.) მოგვითხრობდა მამაკაცისა და ქალის იდეალური წყვილისა და მათი ერთობლივი პოლიტიკური მოღვაწეობის შესახებ. მას აუცილებლად მიაჩნდა, რომ სენ-სიმონისტების სხდომებზე სენ-სიმონის მოწაფე ანაფანტენის სავარძლის გვერდით დაედგათ სავარძელი, რომელიც „უმაღლეს ქურუმ ქალს", მის თანამოაზრეს ეკიდა. წყვილს შეეძლო მიეღო უმაღლესი გადაწყვეტილებები და საზოგადოებაში ქალებისა და მამაკაცების ურთიერთობებში ჩარეულიყო.

სქესის ნებისმიერ კვლევაში აუცილებლად უნდა განვსაზღვროთ, მის რომელ კომპონენტს ვიკვლევთ. ერთგანზომილებიანი კომპონენტების შესწავლა განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა ხდებოდეს. თუ კვლევის მიზანი ქალის და მამაკაცის სტატუსის კვლევაა, შედარების საფუძველი არ უნდა იყოს სქესის ბიო-

ლოგიური კატეგორია, რადგან, მაგალითად, ტრანსსექსუალებს ქალის გენდერული სტატუსი აქვთ, მაგრამ ისინი დაბადებიდან არ მიეკუთვნებიან მდედრობით სქესს. ასე რომ, მიზანი და მიზეზი ამ შემთხვევაში არ შეიძლება იქნეს გაიგივებული.

თუ კვლევის ცენტრში სქესია, როგორც პროცესი, მართებულია შევადაროთ მათი სოციალიზაცია, ვინც დაბადებიდანვე მდედრობით სქესს მიეკუთვნება, იზრდებოდა როგორც ქალიშვილი და მოწიფულობაში ქალის სტატუსი აქვს, იმათ, ვინც მოწიფულ ასაკში კაცის სტატუსი მიიღო (მაგალითად, იმიტომ, რომ მამაკაცის სამუშაო მიეღო, ან სქესის შეცვლის მიზნით ოპერაცია გაიკეთა). ზუსტად ასევე უნდა შევადაროთ ინდივიდები, რომლებიც დაბადებიდან მამრობითი სქესის არიან, იზრდებოდნენ როგორც ბიჭები, ხოლო მოწიფულობაში მამაკაცის სტატუსი მიიღეს, მათ, ვინც მოწიფულ ასაკში ქალის სტატუსი მიიღეს (მუდმივი ტრანსვესტიტები და ტრანსსექსუალები). ამის შემდეგ ყველა აღნიშნული ჯგუფი შეიძლება ერთმანეთს შევადაროთ. ასეთი მიდგომისას აღმოჩნდება არა ორი, არამედ ოთხი ან ექვსი სახის სქესი.

გენდერული სტატუსის გადაჯაჭვის და იმ სოციალური ინსტიტუტების კვლევა, რომლებისთვისაც სქესობრივ განსხვავებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, შეიცავს იმ მამაკაცებისა და ქალების კარიერის შედარებით ანალიზს, რომლებიც არ შეესატყვისებიან თავიანთ გენდერულ სტატუსს. აღნიშნული ანალიზი საშუალებას გვაძლევს გამოვიკვლიოთ ერთი და იგივე ან განსხვავებული პროცესები, რომლებმაც განაპირობეს მათ მიერ პროფესიის არჩევა და, შესაბამისად, პროფესიული წარმატებები. (Epstein E.F., Deceptive Distinctions: Sex, Gender and the Social Order, New Haven (CT): Yale University Press, 1988., Kanter R.M, Men and Women of the Corporation., New York: Basic Books, 1977; Lorber J., Women Physicians: Careers, Status, and Power, New York and London: Tavistook, 1984).

3. ქალისა და მამაკაცის, როგორც ბიოსოციალური ფენომენის, მახასიათებლები

როგორც მეცნიერები აღნიშნავენ, ქალებისათვის დამახასიათებელია სიკეთე, ხასიათის სირბილე, ჰუმანურობა, დემოკრა-

ტიზმი. ისინი ბუნებასთან უფრო ახლოს არიან, უარყოფითი განწყობა აქვთ ძალადობის მიმართ, ვერ ეგუებიან უხეშობას, სხვათა გაჭირვება გულთან ახლოს მიაქვთ, ადვილად ექვემდებარებიან აღზრდას, ადაპტაციას, მკვეთრად საზღვრავენ თავის ფუნქციას ოჯახში, ბავშვების მიმართ. ქალებში, მამაკაცებთან შედარებით, უფრო ძლიერად ვლინდება გონიერი, უხეში ძალადობის, როგორც ცხოველური ინსტინქტის გამოვლინების (მათ შორის სექსუალური) საწინააღმდეგო გრძნობა. ქალი გაცილებით უფრო მიჯაჭვულია კაცზე და მუდმივად თხოულობს მისგან სიყვარულის დადასტურებას, წინააღმდეგ შემთხვევაში სულიერ წონასწორობას კარგავს. ქალებისათვის დამახასიათებელია გონიერული ზომიერება, აქტიური ურთიერთობებისაკენ სწრაფვა. მოკლედ რომ ვთქვათ, ქალი ცივილიზაციის სტაბილურობის გარანტია). მაგრამ იგი მოკლებული არ არის ნეგატიურ თვისებებსაც, რომელთა შორის აღსანიშნავია: გულმავიწყობა, თავშეუკავებლობა, ისტერიულობა, ნევროზულობა, დეპრესიული მდგომარეობის მკვეთრი გამოვლინება, შურიანობა, ბევრი ლაპარაკი.

კაცობრიობის ნახევარს, მამაკაცებსაც, ახასიათებს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი თვისებები. ეს თვისებებია: საზრიანობა, მოხერხებულობა, გამომგონებლობა, ახალ გარემოსთან ადაპტირების უნარი, ფსიქიკური საქმიანობის აქტიურობა, რომელიც მის თვითდამკვირებასა და თვითრეალიზაციაში ვლინდება. ყველა ეს თვისება დადებით კატეგორიას შეიძლება მივაკუთვნოთ. მამაკაცების აზროვნება ქალებისაგან მეტი აბსტრაქტულობით განსხვავდება. მამაკაცები ძირითადად სამსახურზე არიან კონცენტრირებულნი და არა ოჯახზე. ხშირად სიმამაცე მათთვის შიშის დაძლევას უკავშირდება, ხოლო აქტიურობა საშუალებას აძლევს მათ თავი უფრო მამაკაცებად შეიგრძნონ. ნეგატიურ თვისებებს შეიძლება მივაკუთვნოთ: აგრესიულობა, ძალაუფლებისაკენ სწრაფვა, ავანტიურიზმი, სიმკაცრე, სარკაზმი, თავის თავზე დიდი წარმოდგენა, ემოციების გამოვლენისაგან, როგორც სისუსტისაგან, თავის შეკავება. ქალების მხრიდან სიყვარულის დასადასტურებლად ისინი ფიზიკურ სიახლოვეს ითხოვენ. მათ უყვართ კომფორტი, ერთმანეთთან საუბრისას ხშირად ლაპარაკობენ სამსახურებრივ საქმია-

ნობაზე, სპორტზე და არა სახლზე, ოჯახზე, ხელოვნებაზე. განაწ-ყენებისას ხშირად იცვლიან თავიანთი გატაცების ობიექტს.

ბიოლოგიურად განსხვავდება აგრეთვე მამაკაცისა და ქალის კუნთოვანი სისტემა. ქალთა კუნთოვანი სისტემა ახალგაზრდა ასაკში მამაკაცთა კუნთოვანი სისტემის 65%-ს უტოლდება, ხოლო ხანშიშესულობაში კიდევ უფრო ნაკლებია. ქალების გული უფრო პატარაა და სისხლის რაოდენობაც ნაკლებია, სასუნთქი ორგა-ნოებიც უფრო სუსტია, განსხვავებულია კუნთების ბიოქიმიური შედგენილობა. მათ ჩონჩხს სპეციფიკური კონსტრუქცია აქვს.

ქალები მამაკაცებს უსწრებენ მოძრაობის ტემპით, მაგრამ უფრო მალე იღლებიან. ისინი უფრო რეაგირებენ გარემოს გამღი-ზიანებლებზე, ნაკლებად მდგრადი ნერვული სისტემა აქვთ და ფსიქოლოგიურად მომენტალურად გარდაიქმნებიან. საშუალოდ, ქა-ლებისა და მამაკაცების გონებრივი მონაცემები ერთნაირია. ინგლი-სელი მეცნიერი ენტონი ბარნეტი წერდა, რომ გაცილებით უფრო მეტია საშუალო განვითარების ქალები, ვიდრე მამაკაცები. მამაკა-ცებში უფრო ხშირად ვხვდებით უკიდურეს გამოვლინებებს – ან ძალიან მაღალ ან დაბალ ინტელექტს (Барнетт А. Род человеческий. М., 1968. с. 169).

მეცნიერის მტკიცებით, 40 წლის შემდეგ ქალები თავიანთ ინტელექტს უკეთესად ინარჩუნებენ. ე. მონტეგიუ აღნიშნავს, რომ კაცები უფრო ხშირად ავადმყოფობენ. მათ უფრო სუსტი ფსიქიკა აქვთ და უფრო ხშირად ხვდებიან ფსიქიატრიულ დაწესებულებებ-ში. ისინი ქალებზე უფრო ხშირად ასრულებენ სიცოცხლეს თვით-მკვლელობით.

თუმცა სრულიად მართებულია შენიშვნა იმის თაობაზე, რომ გონმა, როგორც უნივერსუმმა, არ იცის სქესობრივი განსხვავება. ყველაფერი იმის გაკეთება, რაც შეუძლია მამაკაცს, შეუძლია ქალ-საც.

4. სექსიზმი და მისი არსი

ცნება სექსიზმი იუნესკოს მიერ იქნა შემოღებული 1981 წელს. იგი სქესობრივ დისკრიმინაციას, ანუ ერთი სქესის მეორეზე ბატონობას ნიშნავს. იუნესკოს მიერვე ახსნილია მისი რეაქციული არსი, რაც ზღუდავს ქალის პიროვნებას, აკნინებს მის როლს სა-

ზოგადოებაში, ქმნის ქალის ნეგატიურ სახეს. ეს კი თავისთავად არღვევს თანასწორუფლებიანობის პრინციპს და ადამიანური ღირსების დაქვეითებას იწვევს.

სექსიზმის შედეგად სათანადოდ არ ხდება ქალის შემოქმედებითი პოტენციალის გათვალისწინება და მისი შეფასება მხოლოდ ბიოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით მიმდინარეობს.

სექსიზმის თანახმად, საზოგადოებაში შენარჩუნებული უნდა იყოს ბუნებრივი წესრიგი, რომლის მიხედვითაც ქალებსა და მამაკაცებს სხვადასხვა ფუნქცია და როლი აქვთ. სოციოლოგ ანდრე მიშელს, რომელიც პარიზის ეროვნული კვლევების ცენტრის სამეცნიერო ხელმძღვანელია, მიაჩნია, რომ „სექსიზმი – ეს არის პოზიცია ან მოქმედება, რომელიც ადამიანებს სქესის მიხედვით ამცირებს, უარყოფს, სათანადოდ არ აფასებს, მათ სტერეოტიპებად დაყოფას ახდენს".

სექსისტური მოდელი ქალს, მამაკაცთან შედარებით, ისეთი უარყოფითი მახასიათებლებით ახასიათებს, რომლებიც კაცს თითქოს არ გააჩნია. ამ მოდელის თანახმად, მამაკაცს გაცილებით უფრო მეტი დადებითი თვისებები (ვაჟკაცობა, ჭკუა, თვითდამკვიდრების უნარი, პროფესიული კომპეტენტურობა, რისკისა და თავგადასავლებისადმი მიდრეკილება, ინიციატივიანობა და ეფექტიანობა) აქვთ. ანდრე მიშელის აზრით, სექსისტური შეხედულებები ყალიბდება ოჯახში, სკოლაში, მოზარდთა ურთიერთობებში, შრომის ბაზარზე, პოლიტიკაში, მასობრივი ინფორმაციების საშუალებებით. სტერეოტიპული აზროვნების შედეგად ქალებს უჩნდებათ ეჭვი საკუთარი შესაძლებლობების, დამოუკიდებლობის შესახებ, რაც, თავისთავად, გავლენას ახდენს სქესთა თანასწორობაზე, რომელიც დეკლარირებულია საერთაშორისო, რეგიონული და ეროვნული დეკრეტებით, კონვენციით ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის ლიკვიდაციის შესახებ (გაერო, 1977წ.).

სექსიზმის თეორია საზოგადოებაში არსებული ბევრი პრობლემის გადაჭრაში ქალების მონაწილეობის შეზღუდვის საფუძველს ქმნის. ამით საზოგადოება მნიშვნელოვან ადამიანურ რესურსს კარგავს.

ბიოლოგიური და სოციალური განსხვავების გარდა, სექსიზმი სქესს კულტურულ დონეზეც განიხილავს. ამ თეორიის თანახმად, მამაკაცური საწყისი რაციონალური, სულიერი, ღვთაებრივი და კულტურულია, ხოლო ქალური – გრძნობაზე აგებული, ხორციელი, მიწიერი და ბუნებრივი. ყველაფერი ისიც კი, რაც სქესთან არ არის დაკავშირებული (ბუნება და კულტურა, გრძნობა და რაციონალიზმი, ღვთიური და მიწიერი) მამაკაცურ საწყისთან არის გაიგივებული (Феминизм: перспективы социального знания. М., с. 11). ფემინიზმი სექსიზმის მწვავე კრიტიკით გამოდის, განსაკუთრებით კულტურის სფეროში და სრულიად სამართლიანად ავითარებს იმ აზრს, რომ მასკულინური კულტურა არა მარტო ქალების, არამედ მამაკაცების დეგრადაციასა და აქტიურობის ჩახშობას უწყობს ხელს.

სექსიზმის ძირები სქესობრივი განსხვავების აბსოლუტიზაციასა და ბიოლოგიზაციაში უნდა ვეძებოთ, რომელთაგან ბევრი მათგანი სინამდვილეში კონკრეტული სოციალური პირობებიდან და კულტურული ნორმიდან მომდინარეობს, მრავალწახნაგოვანი და მრავალფენოვანია, ზოგიერთი კი, საერთოდ, ილუზორულია და მხოლოდ წარმოსახვის პროდუქტია.

უკანასკნელ პერიოდში ცივილიზებულ სამყაროში გაძლიერდა ბრძოლა სექსიზმის წინააღმდეგ, ამასთან, წინა პლანზე წამოვიდა ბევრი ფემინისტური იდეა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მიმდინარეობს მთელი რიგი შეხედულებების, თეორიების რევიზია და ახალი, სექსიზმისაგან თავისუფალი ნორმების დამკვიდრებისათვის ბრძოლა.

ამერიკელ მეცნიერს ი. ჰოფმანს მიაჩნია, რომ რელიგია კი არა, სწორედ სქესია ხალხის ოპიუმი, ხოლო კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორი, ფსიქოლოგი ე. გოლდბერგი თავის ტრილოგიაში „რისკია იყო მამაკაცი", „ახალი მამაკაცი", „მამაკაცისა და ქალის ახალი დამოკიდებულებები" (1965 წ.) აღნიშნავს: „კომფორტულობა სქესთა შორის თვითგამოხატვის საშუალებას იძლევა. მალე სქესთა ანტაგონიზმი, როგორც წარსულის გადმონაშთი, ისე აღიქმება".

ლიტერატურა

1. გენდერის აქტუალური საკითხები, თბ., 1977.
2. გენდერული თეორიების ანთოლოგია, თბ., ბაკურ სულაკაურის გამოცემა, 2002.
3. „გენდერის აქტუალური საკითხები". გაეროს განვითარების პროგრამა, თბ., 1998.
4. თ. კიკნაძე, ქალი და პოლიტიკა, პოლიტოლოგია (ლექციების კურსი), თბ., 2001.
5. Г.Г Силласте, Гендерная социология как частная социологическая теория // Социс. № 11, 2000.
6. Н. Элиас, Отношения между мужчиной и женщиной: изменение установки. THESIS. № 6. М., 1994.
7. Дж. Лорбер, Пол как социальная категория . THESIS. № 6, М., 1994.
8. Е.А. Здравомыслова, Темкина А.А., Социология гендерных отношений и гендерный подход в социологии // Социс. №11, 2000.
9. Биологическое и социальное в развитии человека. М., 1977.
10. Л. Заводская. О равенстве прав и обязанностей мужчин и женщин //Человек и труд. 1995 № 8
11. Кикнадзе Т. Р. Социально-культурная и духовная трансформация современного общества: Гендерный аспект. Социально-гуманитарные знания, М., 2002.
12. Lorber J. Gender Inequality. Feminist Theories and Politics. Roxbary Publishing Company. Los Angeles, California.
13. Lorber J., Women Physicians: Careers, Status, and Power., New York and London: Tavistook, 1984.
14. L.L. Lindsey Gender Roles. A Sociological Perspective.Prentice Hall, Upper Saddle River, New Jersey 07458.
15. Women, Culture and Society. A Reader, Edited by B.B Baliet, P. McDaniel. for The Women's Studies Program. Rutgers University – New Brunswick.
16. Epstein E.F. Deceptive Distinctions: Sex, Gender and the Social Order., New Haven (CT): Yale University Press, 1988.,
17. Kanter R.M., Men and Women of the Corporation., New York, Basic Books, 1977.

ახალი მსოფლიო წესრიგი და ეროვნული, რეგიონალური და გლობალური უსაფრთხოება

თანამედროვე მსოფლიო მუდმივ და რადიკალურ ცვლილებებს განიცდის და ეს პოსტკომუნისტური ქვეყნებისათვის სრულიად ახლებურად აყენებს უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემას. განსაკუთრებით ისეთ პატარა ერებსა და ქვეყნებს ეხებათ ეს, რომლებიც სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით სრულიად დაუცველნი არიან შესაძლო აგრესიისა და გარესაფრთხეებისაგან. ამას თუ დავამატებთ იმ ობიექტურ ფაქტორსაც, რომ სახელმწიფოებრიობის თვალსაზრისით ჩვენ ქვეყანას ბოლო ორი საუკუნის მანძილზე სრულად დაკარგული ჰქონდა დამოუკიდებელი თავდაცვითი პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების ფუნქცია, ნათელი გახდება, თუ რა პრობლემები დგას გარდამავალი პერიოდის ქართული სახელმწიფოს წინაშე უშიშროების უზრუნველყოფის ეფექტური ერთიანი სახელმწიფოებრივი სისტემის ფორმირების თვალსაზრისით.

ეს სისტემა თანაბრად უნდა მოიცავდეს როგორც გარე, ისე შინაგანი უსაფრთხოების პრობლემათა მთელ კომპლექსს და, ამასთან, სამხედრო და არასამხედრო სფეროებს. უკანასკნელი წლების პრაქტიკამ აჩვენა, რომ ქვეყნის ნამდვილი უსაფრთხოება მხოლოდ ასეთი კომპლექსური გზით მიიღწევა. ეს განსაკუთრებით ნათლად გამოიკვეთა 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ, როცა საქართველო აქტიურად ჩაება აშშ-ის ხელმძღვანელობით დაწყებულ გლობალურ ანტიტერორისტულ კამპანიაში. ანტიტერორისტული ომი, რომელიც სულ უფრო მეტ გაქანებას და მასშტაბებს იღებს, გვავალებს ახლებურად გავიაზროთ და გადავწყვიტოთ ეროვნული, რეგიონალური და გლობალური უსაფრთხოების პრობლემები ფორმირების პროცესში მყოფი ახალი მსოფლიო წესრიგის პირობებში. ამ თვალსაზრისით, პრინციპულ გადასინჯვას მოითხოვს ეროვნული უშიშროების კონცეფციაც, რომლის შემუშავება ჯერ კიდევ 11

სექტემბრის მოვლენებამდე დაიწყო. მან თავისი ასახვა უნდა პოვოს უშიშროების მთელი სისტემის რეორგანიზაციაშიც.

გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, ეს, პირველ რიგში, ნიშნავს საქართველოს ადგილისა და როლის ახლებურ გააზრებას როგორც რეგიონალური, ისე გლობალური პოლიტიკის გათვალისწინებით. მით უმეტეს აქტუალური ხდება ქვეყნის ეს გეოპოლიტიკური სახეცვლილება ნოემბრის მოვლენების შემდეგ, რამაც არ შეიძლება რადიკალური ცვლილებები არ გამოიწვიოს როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით. აქ ჩვენ მარტო ორიენტაციის პრობლემა არა გვაქვს მხედველობაში, თუმცა, ცხადია, რომ ამიერიდან საქართველოს დასავლური ორიენტაციის პრიორიტეტი სულ უფრო უალტერნატივო პოლიტიკური სტრატეგია გახდება. ამასთან ერთად, ჩვენ ამ რადიკალურ ცვლილებებში ვგულისხმობთ ქვეყნის შინაგანი განვითარების ისეთ კარდინალურ პრობლემებს, რომლებსაც არანაკლები მნიშვნელობა აქვს ეროვნული უსაფრთხოების ზემო აღნიშნული ეფექტური ერთიანი სახელმწიფოებრივი სისტემის ფორმირებისათვის.

ცხადია, ამ სისტემის შექმნა არ შეიძლება რაიმე ერთჯერადი აქტით განხორციელდეს. ჩვენ ეს გვესახება როგორც სამართლებრივი, პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური კომპლექსური ღონისძიებების უწყვეტი პროცესი ქართული სახელმწიფოს მშენებლობის მთელ გარდამავალ პერიოდში. ეს, პირველ რიგში, ქვეყანაში წესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის არის მოწოდებული და ამ მიმართებით გარდამავალი პერიოდიც ალბათ მაშინ დამთავრდება, როცა ჩვენს ქვეყანაში სტაბილური წესრიგი, კანონისა და სამართლის უზენაესობა და, ამის საფუძველზე, პიროვნებისა და მთელი საზოგადოების უსაფრთხოება იქნება უზრუნველყოფილი. ეროვნული უშიშროების სისტემაც მხოლოდ მაშინ ჩამოყალიბდება. მთავარია, რომ პროცესი ამ გზითა და ამ მიზნით წარიმართოს.

მაგრამ ეს პროცესი თავისთავად არ მოხდება და მისი საბოლოო შედეგიც ავტომატურად არ განხორციელდება, თუ თავიდანვე არ იქნა განსაზღვრული გარკვეული პრიორიტეტები. ჩვენი აზრით, დღევანდელ ეტაპზე შეიძლება გამოიყოს 3 ასეთი პრიორიტეტი: 1. კორუფციასთან ბრძოლა და მმართველობის სახელმწი-

ფო აპარატის სრულყოფა; 2. ნარკობიზნესსა და ტერორიზმთან ბრძოლის გაძლიერება; 3. სოციალური და ეკონომიკური კრიზისის დაძლევა.

როგორც ვხედავთ, სამივე ეს მიმართულება, ერთი შეხედვით, თითქოს ქვეყნის უშიშროების არასამხედრო სფეროებს განეკუთვნება, მაგრამ ობიექტურად ისინი ორგანულად უკავშირდებიან ქვეყნის თავდაცვის განმტკიცების სამხედრო სფეროსაც. ეს იმიტომ, რომ ჯანსაღი სოციალურ-ეკონომიკური ბაზის გარეშე შეუძლებელია ძლიერი და ბრძოლისუნარიანი არმიის და სხვა დანარჩენი ძალოვანი სტრუქტურების ჩამოყალიბება და ნორმალური ფუნქციონირება. გარდა ამისა, არც ის არის დასამალი ფაქტი, რომ კორუფციამ და კრიმინალიზაციამ ყველაზე მეტად სწორედ ამ სტრუქტურაში გაიდგა ფესვი, რაც ძირს უთხრის ქვეყნის უსაფრთხოებას. ისე რომ, არ არსებობს რაღაც მკვეთრი გამყოფი ზღვარი უსაფრთხოების სამხედრო და არასამხედრო სფეროებს შორის. შეიძლება მეტიც ითქვას, ქვეყნის ნამდვილი უსაფრთხოება ჯერ სწორედ ამ ე.წ. „არასამხედრო სფეროებიდან" იწყება იმიტომ, რომ სტაბილური საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარება მათ გარეშე გამორიცხულია. მოკლედ მიმოვიხილოთ გარდამავალი პერიოდის საქართველოს უსაფრთხოების ეს სამი პრიორიტეტი.

I

„კორუფცია" ლათინური სიტყვაა და, ძველი რომაულ-ბერძნული ეპოქიდან მოყოლებული, როცა კი კლასიკური ფორმით ჩამოყალიბდა პირველი სახელმწიფოები, როგორც მოცემული ხალხისა და ქვეყნის პოლიტიკური ორგანიზაცია, სახელმწიფოს თანამდებობის პირთა, პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეთა მოსყიდვას ნიშნავს. როცა ეს მოვლენა სახელმწიფო მართვა-გამგეობის და საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების ნორმა და ჩვეულებრივი მოვლენა ხდება, მისი ამოძირკვა მხოლოდ რადიკალური, უკომპრომისო ბრძოლით შეიძლება. სხვათა შორის, ასეთი რადიკალიზმით შეძლო დავით აღმაშენებელმა მამის, გიორგი II-ის დროს დამკვიდრებული კორუფციის აღმოფხვრა, როცა რუის-ურბნისის საეკლესიო კრებაზე მიღებული სამართლებრივი ნორმებით აკრძალა გვაროვნულ-კლანური ნიშნით სახელმწიფო და საეკლესიო თა-

ნამდებობაზე დანიშვნის ძველი მანკიერი პრაქტიკა. როგორც წესი, კორუფცია სისტემად ყალიბდება და ამ სისტემას ვერ აღმოვფხვრით, თუ მას ჯანსაღი მმართველობითი სისტემით არ დავუპირისპირდებით. ისევ დავით აღმაშენებლის „ოქროვანი ხანის" ქართულ სახელმწიფოს თუ გავიხსენებთ, როგორც ივანე ჯავახიშვილი წერს „ქართული სამართლის ისტორიაში", ეს სისტემა ისეთი მოქნილი და ეფექტური აღმოჩნდა, რომ ქვეყანა „ერთიან მიზანმიმართულ ორგანიზმად შეიკრა" თავისი 5 ცნობილი სახელისუფლო სტრუქტურით. ვფიქრობთ, რომ დღესაც მმართველობითი სისტემის რეორგანიზაცია უნდა დაედოს საფუძვლად კორუფციული სისტემის აღმოფხვრას.

მაგრამ როგორი უნდა იყოს ეს რეორგანიზაცია, რომ მან მიაღწიოს თავის მიზანს? იგი, ალბათ, ორი ძირითადი მიმართულებით უნდა წარიმართოს: პირველ რიგში უნდა გაიაზდეს სახელმწიფო მართვა-გამგეობის სამივე სფერო — აღმასრულებელი, საკანონდებლო და სასამართლო ხელისუფლება. ქართული სახელმწიფოს ძველი ტრადიციული „იაფი მთავრობისა" და „სწრაფი სამართლის" პრინციპი იქნება, ჩვენი აზრით, ობიექტური წანამძღვარი და საფუძველი კორუფციისაგან თავისუფალი მართვა-გამგეობის დასამკვიდრებლად. მეორე მიმართულებად, ჩვენი აზრით, უნდა განისაზღვროს ფართო ადგილობრივი თვითმმართველობის დამკვიდრება და ამ საფუძველზე ცენტრალიზებული ბიუროკრატიული მმართველობის შეზღუდვა იმ სფეროში, რომელიც უშუალოდ ადგილობრივი საქმეების წარმოებას და გადაწყვეტას ეხება. უზომოდ გაბერილი ბიუროკრატული აპარატის შეზღუდვა და შემცირება იქნება მეორე დიდი დარტყმა კორუფციული სისტემისათვის, რაც, საბოლოო ჯამში, გააადვილებს მის საბოლოო დაძლევას, რამეთუ ცენტრალიზმი და ბიუროკრატია ყოველთვის მჭიდროდ არიან გადანასკვული კორუფციული სისტემის ფორმირებასთან და მის თავისებურ მკვებავ წყაროს წარმოადგენენ.

II

ჩვენ ადრეც არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ ნარკობიზნესი და ტერორიზმი, თანამედროვე მსოფლიოში არსებული ეს ორი დიდი საფრთხე, ერთმანეთს განაპირობებენ თავისებური მიზეზ-შე-

დეგობრივი კავშირებით: სადაც ნარკობიზნესი ყვავის, ჩვეულებრივად, იქ ტერიტორიზმიც იკიდებს ფეხს. ასეა მსოფლიოში და, სამწუხაროდ, ასე გამოიკვეთა ეს ქართულ სინამდვილეშიც. ამიტომ ჩვენ მიგვაჩნია, რომ მათ წინააღმდეგ წარმატებითი ბრძოლისათვის უნდა შეიქმნას ერთიანი სპეციალური სამსახური არა მარტო ყველა ძალოვანი სტრუქტურების, არამედ საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების გაერთიანებული ძალისხმევით.

აქედან გამომდინარე, ჩვენ შემოგვაქვს დღევანდელი ვითარების შესატყვისი ახალი იურიდიული დეფინიცია და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი ნორმა — „ნარკოტერორიზმი", რომელიც, ვფიქრობთ, დაგვეხმარება ამ ორ დიდ საფრთხესთან ბრძოლაში. ეს ბრძოლა უნდა წარიმართოს როგორც ეროვნული, ისე რეგიონალური და გლობალური უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ რეალობას, რომ გლობალიზაციისა და ახალი მსოფლიო წესრიგის პირობებში, ნებისმიერი ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოება პირდაპირ და უშუალოდ უკავშირდება რეგიონალური და გლობალური უსაფრთხოების პრობლემას. ისინი ერთმანეთის გარეშე და ერთმანეთისაგან მოწყეტით ვერ განხორციელდებიან.

საქართველო და კავკასია დღეს თანდათანობით დიდ სახელმწიფოთა გლობალური პოლიტიკის ეპიცენტრში ხვდება. ევრაზიული ინტეგრაციის პირობებში, ალბათ, ჩვენი ქვეყნის ეს გეოპოლიტიკური ვითარება კიდევ უფრო გამოკვეთილ ხასიათს მიიღებს. როგორც ცნობილია, აშშ-ის კონგრესმა 1999 წლის ივნისში მიიღო ცნობილი კანონი — „აბრეშუმის გზის სტრატეგია", სადაც ჩამოყალიბებულია ამერიკის გეოპოლიტიკური ინტერესები ამ რეგიონში. ევრაზია კი ლამის ნახევარი მსოფლიოა თავისი უდიდესი სამრეწველო და სანედლეულ-ენერგეტიკული რესურსებით. ჯერ კიდევ კარლ კაუცკი უწოდებდა საქართველოს „დასავლური ცივილიზაციისა და კულტურის გამტარებელს აღმოსავლეთში" და, ამ თვალსაზრისით, ჩვენი ქვეყნის როლი კიდევ უფრო იზრდება პოსტკომუნისტური ეპოქის ახალ მსოფლიო წესრიგში. „ვარდების რევოლუციამ" აჩვენა, რომ ის, რაც ხდება საქართველოში, შეიძლება მისაბაძი მაგალითი გახდეს აღმოსაელეთ ევროპისა და აზიის

პოსტკომუნისტური ქვეყნებისათვის. ამაზე ბევრი იწერება პრესასა და სპეციალურ პოლიტოლოგიურ ლიტერატურაშიც. ეს დემოკრატიული გარდაქმნები, ბუნებრივია, თავის გავლენას მოახდენს ზემოაღნიშნულ მთელ ევრაზიულ ინტეგრაციულ პროცესებზეც.

მაგრამ არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენი ქვეყნის ე.წ. „გეოპოლიტიკური კოზირები", რაც თან ახლავს მის განვითარებას ჯერ კიდევ „აბრეშუმის დიდი გზის" ისტორიული ეპოქიდან და რასაც ყოველთვის ხაზს უსვამდა ივანე ჯავახიშვილი, ბევრ მნიშვნელოვან პრობლემასაც წარმოშობს. ივანე ჯავახიშვილი იმასაც უსვამდა ხაზს, რომ ევროპასა და აზიას შორის ქვეყნის ეს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა ხშირად უარყოფითადაც მოქმედებდა ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების მთელ ისტორიულ პროცესზეც. ეს გამოიხატება არა მარტო მეზობელი ძლიერი სახელმწიფოების აგრესიულ მისწრაფებებში, კონტროლი დაეწესებინათ მათთვის დიდმნიშვნელოვან ამ სტრატეგიულ ტერიტორიაზე, არამედ სხვადასხვა ხასიათის ნეგატიურ მოვლენებში. ჩვენი ქვეყანა კი, ამ სტრატეგიული მოსაზრებებით, ევრაზიის 4 დიდმნიშვნელოვან რეგიონს შორის (კავკასია, შავიზღვისპირეთი, ახლო აღმოსავლეთი და კასპიისპირეთი) სტრატეგიულ სივრცეთა თავისებურ ბუფერს წარმოადგენს, რამაც ქვეყნის უსაფრთხოების თვალსაზრისით არ შეიძლება თავისი როლი არ შეასრულოს ასეთი ნეგატიური მოვლენების წარმოშობის თვალსაზრისითაც.

დღევანდელ ეტაპზე ასეთ ნეგატიურ გამოვლინებად უნდა ჩაითვალოს ნარკობიზნესთან დაკავშირებული მწვავე კრიმინალური ვითარების შექმნა. რაც წლები გადის ეს საკითხი კიდევ უფრო საშიშ ხასიათს იღებს და ამიტომ იგი ჩვენგან თხოულობს დიდ ყურადღებას და პასუხისმგებლობას, რამეთუ საქართველოს ემუქრება აშკარა საფრთხე გადაიქცეს აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ მიმავალი ნარკობიზნესის სატრანზიტო ქვეყნად. ზევითაც ითქვა, რომ ეს საფრთხე დღეს მჭიდროდ გადაეჯალა საერთაშორისო ტერორიზმს და ამიტომ ნარკობიზნესთან ბრძოლა უნდა განხილულ იქნეს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან მიმართულებად. სწორედ ამას ვისახავთ მიზნად, როდესაც ვაყენებთ საკითხს, რომ პრაქტიკაში შემოვიღოთ და დავამკვიდროთ ახალი ცნება და, ამასთან, სამართლებრივი დეფინიცია — „ნარკოტერორიზმი".

ნარკოტერორიზმის ახალი სამართლებრივი ნორმის შემოღება, ვფიქრობთ, უფრო გამოკვეთილად აჩვენებს ამ საერთაშორისო დანაშაულის ბუნებას და მსოფლიო თანამეგობრობის მიერ მასთან ბრძოლის აქტუალობას. ამ ბრძოლაში უნდა გაერთიანდეს როგორც ეროვნული, ისე რეგიონალური და გლობალური უსაფრთხოებისთვის მოწოდებული სამსახურები. მსოფლიო დღეს მივიდა იმ ზღვრამდე, როცა ასეთი კოორდინირებული მოქმედების გარეშე ამ პრობლემას ცალ-ცალკე ვერავინ ვერ გადაწყვეტს, რაგინდ ძლიერი და მდიდარი „ზესახელმწიფო" არ უნდა იყოს იგი. ეს არაერთხელ გაცხადდა დიდ საერთაშორისო ფორუმებზეც და ამიტომ, ვფიქრობთ, დადგა დრო, როცა შემუშავებულ უნდა იქნეს ნარკოტერორიზმის მიმართ ერთიანი კონცეფტუალური მიდგომა ანტიტერორისტული კოალიციის ფარგლებში. სამართლებრივი კუთხით აუცილებელია ნარკობიზნესში ჩაბმული ყველა დამნაშავისა და მაფიოზური კლანის მიმართ გატარებულ იქნეს ყველაზე მკაცრი სასჯელი, რომლითაც ისინი საბოლოოდ და სამუდამოდ უნდა იქნან იზოლირებულნი საზოგადოებისაგან. საქართველოს დღევანდელი დემოგრაფიული და საერთო-სოციალური მდგომარეობა გვაიძულებს ასეთი მკაცრი სამართლებრივი ნორმის დაწესებას, თუ გვინდა, რომ აღმოვფხვრათ ნარკობიზნესის ეს მომაკვდინებელი საფრთხე ჩვენს ქვეყანაში, ვიხსნათ ახლანდელი და მომავალი თაობები სრული ფიზიკური და სულიერი დეგრაციისაგან.

III

ეს საფრთხე და მასთან ბრძოლა ორგანულად უკავშირდება წლების მანძილზე მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის დაძლევას. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემდეგ, ეს ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფის უპირველეს პრობლემად უნდა ჩაითვალოს. ამასთან, ქვეყნის უსაფრთხოების ორივე ეს პრობლემა, მიუხედავად ერთი შეხედვით ერთმანეთისაგან განსხვავებული ხასიათისა, ორგანულად არიან ერთმანეთთან გადაჯაჭვულნი: თუ ჩვენ წლების მანძილზე გაჭიანურებული სოციალურ-ეკონომიკურ კრიზისს არ დავძლევთ, ქვეყანას ნორმალურ ბიუჯეტს და სტაბილური განვითარების პერსპექტივას არ მივცემთ, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საქმესაც წინ ვერ წავწევთ.

ამასთან ერთად, ორივე ეს პრობლემა გარკვეულწილად უკავშირდება რუსეთთან ნორმალური და კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენისა და შემდგომი განვითარების პრობლემასაც, რომელიც, ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით, ჩვენგან განსაკუთრებულ ყურადღებას ითხოვს. ერთი ბრძნული თქმისა არ იყოს, მეზობლებს არ ირჩევენ და ჩვენც ვალდებული ვართ ჩვენს დიდ ჩრდილოელ მეზობელთან არსებული ყველა პრობლემა მოვაგვაროთ პოზიტიურ ჭრილში, რაც საქართველოს უსაფრთხოების აუცილებელ წინაპირობად უნდა იქნეს განხილული.

ეს განსაკუთრებით პოზიტიურ მოვლენად მოჩანს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით. საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქციისათვის რუსული ბაზარი ყოველთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა და ამით ჩვენი გლეხობაც ყოველთვის დიდ სარგებლობას ნახულობდა. თვით საბჭოთა კავშირის დროსაც კი, მიუხედავად ცენტრალიზებული სახელმწიფო ეკონომიკისა, ქართველი გლეხობა ყოველთვის ახერხებდა თავისი პროდუქცია გაეტანა რუსეთის როგორც ევროპული, ისე აზიური ნაწილის თითქმის ყველა რეგიონში, რის შედეგადაც მილიარდობით მანეთის შემოსავალი შემოდიოდა ქვეყანაში. ვფიქრობთ, რომ რაც შეიძლება დროზე უნდა გაფორმდეს ე.წ. „ჩარჩო-ხელშეკრულება“ და ამასთან გაუქმდეს საბაჟო რეჟიმიც, რაც გზას გაუხსნის ქართულ პროდუქციას ჩვეულ რუსულ ბაზარზე. მიგვაჩნია, რომ ასეთი მიდგომა უნდა გადაიქცეს ქართული სახელმწიფოს პოლიტიკურ სტრატეგიად, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის დაძლევასაც და რუსეთთან კეთილმეზობლური უსაფრთხოების აღდგენასაც.

სოციალურ-ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი მომენტია ენერგეტიკული პრობლემის გადაწყვეტა და ამით ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყობა. საქართველოს გააჩნია სრული ობიექტური წანამძღვრები, რათა საკუთარი რესურსით გადაწყვიტოს ეს პრობლემა. თანამედროვე პირობებში კი ენერგეტიკული თავისთავადობა ქვეყნის უსაფრთხოების ერთ-ერთი წამყვანი კომპონენტია. სპეციალისტების გაანგარიშებით, საქართველოს მარტო ჰიდრორესურსებით შეუძლია ამ პრობლემის გადაჭრა. კავკასიიდან წყლის ნაკადების დიდი ნა-

წილი სწორედ სამხრეთით მოედინება, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე მათზე ჰესების სისტემის შექმნა ქვეყნის ყველა მხარეს დააკმაყოფილებს ელექტროენერგიით. დიდ პერსპექტივებს შეიცავს ქარისა და მზის ენერგიის ათვისება როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში. ცნობილია, მაგალითად, რომ შვეიცის, დანიისა და ჰოლანდიის ელექტროენერგიის ნახევარზე მეტი ქარის გენერატორზე მოდის. მთავარი ამ შემთხვევაშიც ისაა, რომ შემუშავებულ იქნეს სწორი ენერგეტიკული პოლიტიკა ქვეყნის სამომავლო განვითარების გათვალისწინებით.

* * *

ფორმირების პროცესში მყოფი ახალი მსოფლიო წესრიგი სულ სხვაგვარ მიდგომას თხოულობს ჩვენისთანა პატარა ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. შინაგანი ფაქტორების გარდა, აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული როგორც რეგიონალური, ისე გლობალური ფაქტორებიც. მათ დიალექტურ მთლიანობაში უნდა გადაწყდეს საბოლოოდ ქვეყნის უსაფრთხოების მთელი კომპლექსი და ამ ერთიან დიალექტიკურ პროცესში არ უნდა გამოგვრჩეს არც შინაგანი და არც გარეშე ფაქტორების მნიშვნელობა ეროვნული უსაფრთხოების მიღწევაში. სწორი პოლიტიკური ხელმძღვანელობაც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ქვეყნის უსაფრთხოების ამ მრავალფეროვან სპექტრში არ იქნეს უყურადღებოდ დატოვებული ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის, მისი მთელი საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების არც ერთი მნიშვნელოვანი მომენტი.

თანამედროვე ინტეგრაციული პროცესები და ახალი მსოფლიო წესრიგი იმითაცაა ნიშანდობლივი, რომ მოვლენები დღეს კალეიდოსკოპური სიჩქარით იცვლება, ხოლო გლობალიზაციამ დედამიწა გეოგრაფიულად ისე „დაავიწროვა", რომ მის ნებისმიერ წერტილში მომხდარი ცვლილებები ჯაჭვური რეაქციით ვრცელდება სხვა ქვეყნებსა და რეგიონებშიც. ამიტომ აუცილებელია სწრაფი და ოპერატიული რეაგირება, რათა ზიანი არ მიადგეს ქვეყნის უსაფრთხოების ინტერესებს სხვადასხვა — პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ, დემოგრაფიულ, ეკოლოგიურ და ა.შ. სფეროებში.

ყოველივე ეს თხოულობს ქვეყნის შიდა თუ გარე ფაქტორების სისტემურ და ყოველმხრივ ანალიზს მისგან გამომდინარე დასკვნებითა და რეკომენდაციებით. ამ მიზნით კარგი იქნება, თუ ხელისუფლების დონეზეც და საზოგადოებრივ საწყისებზეც შეიქმნება გარკვეული „სტრატეგიული კვლევის პოლიტოლოგიური ცენტრები", რომლებიც ხელისუფლებასთან და ერთმანეთთან კოორდინაციით შეძლებენ თვალი მიადევნონ და შესაბამისი პოლიტოლოგიური ანალიზი გაუკეთონ ქვეყნის შიგნით თუ მის ფარგლებს გარეთ მიმდინარე სხვადასხვა ხასიათის მოვლენებს.

ამ გზით შეგროვილი და გაანალიზებული მასალა დაეხმარება ქვეყნის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას მიიღოს სწორი გადაწყვეტილებანი. ამასთან, ეს იქნება ახალი იდეების გენერაციის საშუალება ქვეყნის საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების დასაჩქარებლად. პოლიტოლოგიური კვლევის ასეთი სისტემა ბევრგანაა აპრობირებული და პრაქტიკამ აჩვენა, რომ ისინი მართლაც ასრულებენ სტრატეგიული კვლევისა და ამით საზოგადოებრივი პროგრესის დამაჩქარებლის ფუნქციას თავიანთ ქვეყანაში. „ახალ იდეათა გენერატორები" — ასე უწოდებენ განვითარებულ ქვეყნებში სტრატეგიული დანიშნულების ასეთ პოლიტოლოგიურ ცენტრებს და, ვფიქრობთ, რომ მათ შეუძლიათ კეთილი სამსახური გაუწიონ სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის საქმეს გარდამავალი პერიოდის საქართველოშიც.

მთავარია, რომ უზრუნველვყოთ მათი კოორდინირებული და მიზანმიმართული მუშაობა, რითაც ქვეყნის უსაფრთხოებაში სახელმწიფოსთან ერთად აქტიურად ჩაერთვება მთელი ჩვენი საზოგადოებაც. ეს იქნება თავისებური გარანტი და ქვეყნის უსაფრთხოების უმთავრესი წინაპირობა სტაბილური პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად. ახლა მთავარია, რომ უსაფრთხოების სამივე ამ პრიორიტეტის ჩარჩოებში შემუშავდეს და ცხოვრებაში გატარდეს სტრატეგიული დანიშნულების ისეთი სამუშაო პროგრამა, რომელიც რადიკალურად შეცვლის ქვეყანაში არსებულ ვითარებას. ჩვენი ერის სამომავლო განვითარების ერთ-ერთი დიდი პოტენციალი ინტელექტუალური პოტენციალია და იგი რაც შეიძლება მეტი ეფექტურობით უნდა იქნეს გამოყენებული მთელი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ელბერდ ბატაშვილი

„საერთო ნიადაგის“ თეორია და ქართული სახელმწიფო

„საერთო ნიადაგის“ თეორიის და ილიას მთელი პოლიტიკური მემკვიდრეობის მთავარი არსი და მიზანი „ოქროვანი ხანის საქართველოს აღდგინებაა“, „დავითის სათნოების ხაზისა და თამარის სათნოების ხაზის გამთლიანება“. მკითხველმა შეიძლება იფიქროს – ილიას საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნება, მომავალი საქართველოს მისეული ხედვა ყოველთვის რეალიზმს ეფუძნებოდა და საიდან რომანტიკა? სიცოცხლე ისე დაამთავრა, საქართველოს ავტონომიის პოლიტიკური მოთხოვნის იქით არ წასულა (იცოდა ვისთან და რასთან ჰქონდა საქმე), და ახლა მისი „კარგი ქვეყნის“ ასეთი იდეალიზაცია და მეცხრე ცაზე ასვლა? უნივერსიტეტის გახსნასა და აშენებაზე ოცნებობდა და ახლა უცბად ქვეყნის ახალი „ოქროს ხანა?“...

დიახ, „ჩვენი თავის ჩვენადვე ყუდნების“ დიდი ქართული ფორმულის ავტორს არცთუ იშვიათად ჰქონდა რეალიზმიდან ასეთი რომანტიკული გადახრები, განსაკუთრებით, როცა საქმე საქართველოს „დიდებულს წარსულს“ და მისგან „ახალი საქართველოს აღმოშობას“ ეხებოდა. და საერთოდაც, ღირს, ალბათ, დავსვათ კითხვა – შეიძლება თუ არა არსებობდეს რომანტიზმი პოლიტიკაში?

თითქოსდა, უარყოფითი პასუხი უნდა გავცეთ, მაგრამ თუ გავიხსენებთ, რომ პოლიტიკა და პოლიტოლოგია ისტორიის ფილოსოფიაა, იმ კითხვაზე პასუხის გაცემაა, თუ „რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შეიძლება ვიქმნეთ“, მაშინ უნდა ესეც ვთქვათ: Real Politic-ას არაიშვიათად Roman Politic-აც მისდევს თან. აქაც თავისებური „ბედნიერი მორიგება“ არის საჭირო, რომ ოცნებამ და რომანტიკულმა აღმაფრენამ რეალიზმის ფრთები შეისხას ბოლოს. არაერთ მაგალითს მოვიყვანთ ამისას მაკედონელის ინდოეთში ლაშქრობიდან მოყოლებული და ევროპელთა მიერ ამერიკის კოლონიზაციით დამთავრებული.

მაგრამ მაკედონელიც და ამერიკაც იქით იყოს, ილიას და მის „კარგ ქვეყანას“ მივუბრუნდეთ და ვნახავთ: ოცნება და რომანტიზმი, „თხა და მგლის ერთად ძოვა“ დამახასიათებელ თვისებად გასდევს ქართულ პოლიტიკურ აზროვნებას. ამან ააღებინა ჯოხი სულხან-საბას იტალია-საფრანგეთისაკენ. „ევროპული ილუზიები“ ძნელბედობის თითქმის ყველა ჩვენს მოღვაწეს ახლავს თან გიორგი ბრწყინვალიდან პატარა კახამდე. დღეს კი ეს ილუზიები და რომანტიკა, როგორც ვხედავთ, ფრთებს ისხამს.

ისე რომ, რომანტიკა პოლიტიკაში შორსგამიზნული სტრატეგიული ხედვაა, თავისებური „ალოგიკური აზროვნებაა“, რომელიც გზას გვინათებს სამომავლო იდეალებისაკენ. ილიას პოლიტიკური მემკვიდრეობაც სწორედ ასეთ ხასიათს ატარებს. იგი მომავლის პოლიტოლოგიაა და არა დღევანდელი დღის, პროგნოზირება და მონახაზია ახალი საუკუნის და ახალი ათასწლეულის ქართული პოლიტიკისა და ქართული სახელმწიფოსი.

ეს, ბუნებრივია, ერთი და ორი თაობის საქმე არაა და „საერთო ნიადაგის“ თეორია, მისი სამართლებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პრინციპები და მათზე დაფუძნებული ალტერნატიული კონსტიტუციაც შორეულ პერსპექტივებზეა გათვლილი. თუმცაღა, არც ისაა გამორიცხული, რომ ბევრი რამ უკვე რეალობად იქცეს უახლოეს ხანს. მთავარი მაინც ისაა, რომ ახალი ქართული სახელმწიფოებრიობა, მისი ძირითადი სტრატეგიული მიმართულებანი „ეროვნულ თარგზედ აეჭრათ“. აი, მაშინ შეძლებთ „ვიყუდნოთ ჩვენი თავი ჩვენად“...

კაცობრიობის ისტორიაში ყველა მოვლენათა შორის ყველაზე რთული და ყოვლისმომცველი მოვლენა სახელმწიფო და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი, პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებია. ეს განსაკუთრებით ითქმის იმ ერსა და ქვეყანაზე, სადაც სახელმწიფოებრივი ცხოვრების პრინციპები და ტრადიციები საუკუნეთა მანძილზე მივიწყებული და გაუკულმართებულია. ქართული სახელმწიფოს მშენებლობის სირთულეც, პირველ რიგში, მისი კომპლექსურობით აიხსნება: იგი ფაქტობრივად ხომ ადამიანის სულიერი და მატერიალური ცხოვრების უკლებლივ ყველა მხარეს, საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების უკლებლივ ყველა სფეროს მოიცავს.

სახელმწიფოებრივი მშენებლობის წარმატება-წარუმატებლობაც იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად შესძლებს საზოგადოება და მისი პოლიტიკური ელიტა სწორი პასუხი მისცეს გარდამავალი პერიოდის ამ რთულ და კომპლექსურ გარდაქმნებს. პრაქტიკა — ჭეშმარიტების ეს უმთავრესი და უტყუარი საზომ-საწონი — გვიჩვენებს, რომ დღეს კრიზისის მარწუხებში მოქცეულ საქართველოში სახელმწიფოებრივი მშენებლობა არასწორი გზით მიიმართება. ჩვენი აზრით, თვითონ ამ პროცესის სირთულისა და წარუმატებლობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი და არსი სახელმწიფოებრივი მშენებლობის მეთოდში არის საძიებელი.

პრაქტიკა იმასაც გვიჩვენებს, რომ პოსტკომუნისტური ეპოქის ნებისმიერი ქვეყნის გარდამავალი პერიოდის სახელმწიფოებრივი მშენებლობა ორ ძირითად მეთოდოლოგიურ და პოლიტიკურ საწყისს ეფუძნება — საერთაშორისო გამოცდილებას და მის საკუთარ ეროვნულ-ისტორიულ მემკვიდრეობას, მათ შორის თანაფარდობის და პრიორიტეტის დაცვას არსებითი მნიშვნელობა აქვს.

ამასთან, ისიც გასათვალისწინებელია, რომ იგივე მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, სახელმწიფოებრივი მშენებლობის წარმატებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თანაფარდობის დაცვას სახელმწიფოებრივი მშენებლობის ორი საპირისპირო მიმართულებით — ცენტრიდან ადგილობრივი მმართველობისაკენ და პირიქით — ადგილობრივიდან ცენტრალური მმართველობისაკენ. ივანე ჯავახიშვილი სამართლიანად უსვამს ხაზს იმ ფაქტს, რომ „ოქროვანი ხანის" კლასიკური ქართული სახელმწიფოს ფორმირებასა და განვითარებაში განსაკუთრებული როლი შეასრულეს „საქვეყნოდ გამრიგე მოხელეებმა", ანუ ცალკეული „ქართული ქვეყნების ერისმთავრებმა", რომლებიც ცენტრალური ხელისუფლების მსგავსი „ადგილობრივი მთავრობით" განაგებდნენ თავიანთ „ქვეყნებს".

რეგიონიზმი და ადგილობრივი თვითმმართველობა ქართული სახელმწიფოს ერთ-ერთი ყველაზე არსებითი ნიშანი იყო, რითაც მაქსიმალური ეფექტურობით რეალიზდებოდა ჩვენი ქვეყნის მთისა და ბარის ცალკეული მხარეების მართლაც რომ უნიკალური მრავალფეროვნება. ეს მომავალი ქართული სახელმწიფოს ფუნდამენტია — სახლისა არ იყოს, სახელმწიფოც ჯერ საძირკვლიდან იწ-

ყება... დემოკრატიის ნამდვილი გამარჯვებაც აქედან იწყება — უშუალოდ ხალხიდან...

ქართველი ხალხის, მისი მთისა და ბარის ისტორიულად ფორმირებულ ამ მრავალფეროვნებას „ბედნიერი მორიგება" სჭირდება. სხვანაირად ერთიანი და ძლიერი ქართული სახელმწიფო არ წარმოიშობა. აბა, გადავხედოთ უკანასკნელ 10-15 წელს, თუ 9 აპრილის მარადსახსოვარ დღეებს არ გავიხსენებთ, რა მოვარიგეთ ერთმანეთში „ბედნიერად" ქართველებმა დღემდე? რა გზას და მაგალითს ვაძლევთ ხალხს სამომავლო გზის გასაკვალად, გარდა ძველებური ძნელბედური ერთმანეთის მტრობისა და „ქვეყნის მოოხრებისა"? ქვეყნის რეგიონალური მრავალფეროვნება ხომ ერთ-ერთი წინაპირობა და საფუძველია ძლიერი და მდგრადი, მრავალ-ფეროვანი და მუდმივადგანვითარებადი ეროვნული ეკონომიკის ფორმირებისა — გვაქვს კი ასეთი რამ? კონცეფციის დონეზე მაინც თუ გვაქვს რაიმე ნაფიქრი და მონახაზის მსგავსი, ეროვნულ ეკონომიკას რომ შეგვიქმნიდა ხვალ და ზეგ მაინც?..

არა და არა — არც ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგია და არც ეროვნული ეკონომიკა. მაშ, საიდან შეიძლება გვქონდეს ეროვნული სახელმწიფო?!

ქართულ სახელმწიფოს ხომ ქართული ძირი, ქართული ფესვი, ქართული ნიადაგი უნდა ჰქონდეს?!..

აი, კითხვები, რომლებზეც პასუხი ამ 100 წლის წინ ილია ჭავჭავაძემ — მისი „საერთო ნიადაგის" თეორიის სამართლებრივმა, პოლიტიკურმა და სოციალურ-ეკონომიკურმა პრინციპებმა გაგვცა. ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგია, ეროვნული ეკონომიკა, ეროვნული სახელმწიფო დღეს ამ თეორიით ამოხსნილია. ახლა საჭიროა მხოლოდ ამ თეორიის, მისი შემადგენელი ძირითადი იდეებისა და პრინციპების გაგება და, რაც მთავარია, საქმედ ქცევა. სხვანაირად ხომ, ნებისმიერი თეორია, ნებისმიერი ცოდნა და მეცნიერება „უქმის ჭკვის უქმი ვარჯიშია".

დღეს ერის ინტელექტუალურ ძალებს იმაზე დიდი და, ამასთან, გადაუდებელი საქმე არა აქვთ, ვიდრე ეს „საერთო ნიადაგის" თეორიის კვლევა და პრაქტიკაში დანერგვაა. რაც მალე მოვკიდებთ ხელს ამ საქმეს, მით უკეთესი იქნება ისტორიულ გზაჯვარედინთან მდგარი ქართველობისთვის. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ

იმ თეორიის კვლევა და გათანამედროვება, მისთვის გამოყენებითი პოლიტოლოგიური ხასიათის მიცემა გლობალიზაციის დღევანდელ ეპოქაში არ არის ადვილი საქმე.

მარქსიზმის მსგავსად, გლობალიზაციაც დღეს კოსმოპოლიტიზმისკენ მიგვაქანებს დიდ-პატარას. ისე როგორც მაშინ, დღესაც ხსნა ილიას მემკვიდრეობა, მისი „საერთო ნიადაგის" თეორიაა, თეორია, რომელიც ჩვენი ეროვნული მემკვიდრეობის ყველაზე სიღრმისეულ ფესვებს სწვდება.

მის სრულყოფილ კვლევას და წარმოჩენას ტომები დასჭირდება. ჩვენ აქ თეზისების სახით მოკლედ ჩამოვთვლით „საერთო ნიადაგის" თეორიის ძირითად პრინციპებს და კონსტიტუციურ ნორმებს:

I. „საერთო ნიადაგის" თეორიის უმთავრესი ზოგადსოციოლოგიური პრინციპია ქვეყნის ბუნებრივ-ისტორიული განვითარების შეწყვეტილი პროცესის აღდგენა და მისი შემდგომი განვითარება. ილიასთვის ისტორია „ღვთის ნების გამოვლენაა", ისტორიული პროგრესი კი — მისი ასახვა დროსა და სივრცეში. ამიტომ ბუნებრივ-ისტორიულ პროცესს ილიასთან ალტერნატივა არა აქვს.

„ცხოვრება თვითრეალია — იგი არ გამოიჭრება კაცისაგან მოგონილს რიკრიკაზედ".

II. პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს არსებობისა და განვითარების უმთავრესი მამოძრავებელი ძალაა „დაპირისპირებულთა ბედნიერი მორიგება ერთმანეთის დაუმონებლად და შეუბღალავად". ილიამ შემოქმედებითად განავითარა დიალექტიკის ჰეგელისეული „დაპირისპირებულთა ერთიანობისა და ბრძოლის კანონი" და მას, რევოლუციურის ნაცვლად, ევოლუციური, მშვიდობიანი ხასიათი მისცა გარემომცველი სინამდვილის სამივე სფეროს — აზროვნების, საზოგადოებისა და სამყაროს მიმართებაში. ამიტომ „დაპირისპირებულთა ბედნიერი მორიგება" ილია ჭავჭავაძის „საერთო ნიადაგის" თეორიის უნივერსალური პრინციპი და, ერთდროულად, მეთოდიცაა.

„სისხლი და მახვილი ვერაფერი მეგზურია კაცთა ცხოვრების განკარგებისათვის — მხოლოდ დაპირისპირებულ იდეათა და

ძალთა ბედნიერი მორიგება მისცემს კაცსაც და კაცობრიობასაც სიკეთეს“.

III. სულიერისა და ფსიქიკურის, იდეის, სიტყვის, აზრის პირველადობასა და დიდ გარდამქმნელ ძალაში ხედავდა ილია ქვეყნის ხსნასა და ქართველი ერის სამომავლო გზასაც. ეროვნული სული, მისი ფსიქო-გენეტიკური კოდი უნდა დაედოს „ბალავრის ქვად“ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ იდეოლოგიას — ქართული სახელმწიფოს მშენებლობის საფუძველსა და უპირველეს წინაპირობას.

„ყველა გმირობა და დიდნი საქმენი მარტო სულის ღონეა და სხვა არაფრის“.

IV. ქართველ ერს გენეტიკურად თანდაყოლილი და ქვეყნის ბუნებრივ-ისტორიული განვითარებით განმტკიცებული საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების თავისი ეროვნული თავისებურებანი, ისტორიული გამოცდილება და ტრადიციები გააჩნია, რაც აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობაში. ეროვნული მემკვიდრეობის გათვალისწინება-გამოყენებას ალტერნატივა არა აქვს ერის სულიერი და მატერიალური ყოფის არც ერთ სფეროში.

„ახალი საქართველო მხოლოდ ძველითგან შეიძლება აღმოვშობით მკვიდრად და არა სხვათა და სხვათა ბაძით“.

V. „ქართული წეს-წყობის“ ერთ-ერთი ყველაზე დიდმნიშვნელოვანი ელემენტი ქართული სამართალია. ქართული სახელმწიფო, უპირველეს ყოვლისა, უნდა დაეყრდნოს არა უცხო ქვეყნების სამართლიდან ნათარგმნ და გადმოქართულებულ კანონებს, არამედ საუკუნეებში გამომუშავებულ სამართლებრივ ნორმებს და კანონებს. სამართლის წარმოებაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ჩვეულებით სამართალს, რომლიდანაც ამოზრდილია, საერთოდ, ქართული სამართალი.

„ჩვეულებითი, ანუ ბუნებითი სამართალი უფრო მისაღებია ხოლმე ხალხისათვის, რადგან იგი თვითონ ხალხისაგან არის დადგენილი და დაკანონებული“.

VI. „ერი, როგორც ისტორიით შედეულებული ერთსულ და ერთხორც მკვიდრთა კრებული“, მაშინ მიაღწევს სულიერ და მატერიალურ აღმატებულებას, როცა ერთიან პოლიტიკურ და სო-

ციალურ ორგანიზმად გაერთიანდება. ეს ქართველი ერის ისტორიული განვითარების სტრატეგია და მაგისტრალური გზაა.

„ერი უძლეველია საერთო ნიადაგზე დგომით, ერთნებობითა და თანადგომით“.

VII. ქართული სახელმწიფოებრიობის იდეალი „ოქროვანი ხანის საქართველოა“. მისი სამართლებრივი, პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პრინციპების აღდგენა-აღორძინება-გათანამედროვეობა გარდამავალი პერიოდის სტრატეგიული ამოცანა და უმთავრესი პოლიტიკური მიზანია. პოეტური სახით ეს იდეალი გადმოცემულია პოემაში — „მეფე დიმიტრი თავდადებული“.

„რაც ვყოფილვართ, ის აღარ ვართ,
რაც ვართ, ის ნულარ ვიქნებით.
ღმერთი გვიხსნის, თუ შვილთ მაინც,
გზად და ხიდად გავედებით!“

VIII. **„საქართველოს დიდების დღენის აღდგენას“** მაშინ შევძლებთ, მაშინ ექნება ჩვენს ქვეყანას მომავალი, როცა ყველას ამ ძველი დიდების დღენის ნოსტალგია-მონატრების „სენი შეგვეყრება“, მისი „სურნელებით ვისუნთქებთ, მისით ვიარსებებთ და ვისულდგმულებთ“. მხოლოდ დავითის „ძალისხმევის“ და თამარ მეფის „სათნოების ხაზის“ გამთლიანება-გათანამედროვეობით შევძლებთ ქართული სახელმწიფოს ფორმირებას და მის შემდგომ სტაბილურ განვითარებას. ეს კი ხალხის და ხელისუფლების „ერთ უღელში შებმით“ არის შესაძლებელი.

„ყველა ადამიანი, ერი და ბერი, თავისი დიდი წინაპრების გზა-კვალს უნდა ერთგულებდეს“.

IX. **„ძნელბედობით წარხდენილი ქართველთა სახელისა და ქართული წესწყობის აღდგენა“** გარდამავალი პერიოდის სტრატეგიაა. მხოლოდ ხალხის დიდი პოტენციური ენერგიის ამოქმედებით და მიზანმიმართული წარმართვით შევძლებთ წინსვლას ეროვნული ცხოვრების ყველა სფეროში. ამის მიღწევის ერთადერთი გზა თვითმმართველობაა.

„ჩვენი ხსნა ხალხის თვითმოქმედებასა და თვითმართველობაშია“.

X. „ქართული წეს-წყობის“, მომავალი ქართული სახელმწიფოს პოლიტიკური იდეალი **„ხმლისა და გუთნის საქართველო და**

სამეფო გვირგვინია“. კონსტიტუციური მონარქიის საპარლამენტო სახელმწიფო წყობილების დამყარება ეს საქართველოს ბუნებრივ-ისტორიული განვითარების, „ისნის კარავის“ ინსტიტუტის თავისებური აღდგენა და გაგრძელებაა. მსოფლიოში არსებული სხვა კონსტიტუციური სახელმწიფოების მსგავსად, კონსტიტუციური მონარქია საქართველოში ეროვნული ერთობის მიღწევის, ძველ ისტორიულ ფესვებთან — „თავის თავთან დაბრუნების“, ეროვნული ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების განმტკიცების, ქვეყნის სტაბილური და მშვიდობიანი განვითარების გარანტიაა. გლობალიზმის სულ უფრო მზარდი პროცესი ქართველობას თვითონ გვკარნახობს ეროვნული თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად კონსტიტუციური მონარქიის დამკვიდრებას.

„ბაგრატიონები ყოველთვის ქვეყნის ერთგულნი შვილნი იყვნენ ჭირსა თუ ლხინში“.

XI. უნდა აღსდგეს საქართველოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის ძველი ისტორიული სქემა, საუკუნეებში ფორმირებული ქვეყნის ბუნებრივ-ისტორიული დარეგიონება: სოფელი — თემი — მხარე, აი, ქვეყნის ბუნებრივ-ისტორიული განვითარებით შობილი ყველაზე ოპტიმალური ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დარეგიონება, რაც ბოლოს მოუღებს ახლო წარსულის მეტროპოლიისაგან თავსმოხვეულ მკაცრად ცენტრალიზებულ ბიუროკრატიულ სტრუქტურებს და მმართველობას — კორუფციისა და მაფიოზური კლანების მთავარ წარმომშობ წყაროს ჩვენს ქვეყანაში.

„კარგად უნდა გავიგოთ და დავიმახსოვროთ — ყველა სოფელს, თემსა და მხარეს თავისი განუმეორებელი იერ-სახე აქვს და ამების დაკარგვა სიკეთეს არას მოგვიტანს“.

XII. ქართული სახელმწიფოს მმართველობითი სისტემა უნდა აიგოს უნიტარიზმის და ფედერალიზმის პრინციპთა გარკვეული გასაშუალებით, მათ შორის თავისებური „ბედნიერი მორიგებით“. უნიტარიზმი და ფედერალიზმი ურთიერთგამომრიცხავი პრინციპები კი არ არიან, არამედ ურთიერთშეთავსებადნი. ადგილობრივ თვითმმართველობასა და მხარეთა ავტონომიურ მმართველობასთან ერთად, მკაცრად და ნათლად უნდა განისაზღვროს საერთო-ეროვნული ინტერესები და ფუნქციები — ქვეყნის უსაფრთხოება და თავდაცვა, საგარეო პოლიტიკა, საფინანსო-საგადასახადო, საბაჟო,

ეკოლოგიური და დემოგრაფიული პოლიტიკა ცენტრალური ხელისუფლების პრეროგატივაა.

„ყველა ადგილობრივნი საქმენი ადგილზევე უნდა წყდებოდეს, გარდა საერთო-საქვეყნოისა“.

XIII. ქართული სახელმწიფოს საკანონმდებლო ხელისუფლება შედგება ორპალატიანი „ერთა საბჭოსაგან“. „ერთა საბჭოს“ პირველ პალატას ქვეყნის მთელი მოსახლეობის, ხოლო მეორეს — მხარეთა დეპუტატები წარმოადგენენ. „ერთა საბჭოს“ ორივე პალატის დეპუტატთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 100-120 კაცს. ქვეყნის ცალკეულ მხარეებს ჰყავთ ერთპალატიანი „ერთა საბჭო“ სოფლისა და თემების პროპორციული წარმომადგენლობით.

„საპარლამენტო მართველობა არის ყველაზე უპრიანი ქვეყნის და ხალხის კეთილდღეობისათვის. ინგლისი ამ მხრივ ყველასათვის მისაბაძია“.

XVI. ქართული სახელმწიფოს აღმასრულებელ ხელისუფლებას წარმოადგენს „ერთა საბჭოს“ მიერ დამტკიცებული მთავრობა, რომელიც ანგარიშვალდებულია მხოლოდ და მხოლოდ მის წინაშე. მხარეთა მთავრობებს ირჩევს მხარეთა „ერთა საბჭო“, ხოლო თემისა და სოფლის ხელისუფლებას — ადგილობრივი საბჭოები.

„ერთა საბჭო ერს ერთიან ძალად და ორგანიზმად ჰკრავს“.

XV. სასამართლო ხელისუფლებას ადგილებზე წარმოადგენენ მოსახლეობის მიერ არჩეული მოსამართლენი. თითოეულ სოფელს თავისი მოსამართლე და აღმასრულებელი (მამასახლისი) ჰყავს, რომლებიც, ისე როგორც მასწავლებლები, ექიმები, პოლიციელები, გადასახადის ამკრეფნი ხელფასს ადგილობრივი ბიუჯეტიდან იღებენ.

„ადგილზე ყველაზე უკეთ იციან თავიანთი სალხინებელი და საჭირველელიც“.

XVI. ქართული სახელმწიფოს ეკონომიკური საფუძველია შერეული ტიპის სამეურნეო წყობა მიწაზე საკუთრების 5 ტრადიციული ეროვნული ფორმით: 1. კერძო-საკომლო; 2. სასოფლო-სათემო; 3. სახელმწიფო-სახაზინო; 4. საეკლესიო-სამონასტრო და 5. ხაზნური (დროებითი) მიწათმფლობელობა. მიწაზე გადასახადე-

ბის, ისე როგორც სხვა მოსაკრებლების ორი მესამედი ადგილზე რჩება, დანარჩენი კი ცენტრალურ ბიუჯეტში ირიცხება.

„მიწა ქართველი კაცის სიმდიდრისა და სიძლიერის უპირველესი წყაროა. ქართული სოფელი და ქართველი გლეხობა — ჩვენი ეროვნულ იმედების სული და გული“.

XVII. ეროვნულ ეკონომიკას, როგორც რეგიონალურ ეკონომიკათა თავისებურ კონგლომერატს, თავისი პრიორიტეტები და ეკონომიკური სტრატეგია უნდა გააჩნდეს. ჩვენი ეროვნული ხასიათისა და ცხოვრების წესის პირობებში ეს ქვეყნის საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების აგრარულ-ინდუსტრიული სტრატეგიაა.

„როგორც გინდა არ უნდა მოეძალოს ინდუსტრია საქართველოს, იგი მაინც „მიწისა და გუთნის“ ქვეყნად უნდა დარჩეს“.

XVIII. ქართული სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა იქითკენ უნდა იყოს მიმართული, რომ ყოველნაირად შეეუწყოთ ხელი სოფელთან და სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული სამრეწველო დარგების (გადამამუშავებელი მრეწველობა, ენერგეტიკა, სამშენებლო მრეწველობა სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა, ელექტრომრეწველობა, მცირე და სამთო მექანიზაცია) განვითარებას.

„მანქანები და ელექტრონი საქართველოს სამოთხედ გადააქცევს“.

XIX. მთა ისტორიულად ყოველთვის იყო საქართველოს პანაცეა — ქართველი ერის გადამრჩენი პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობითაც. მთის სოციალურ-ეკონომიკური აღორძინება და შემდგომი განვითარება ქართული სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ამოცანაა. ქვეყნის ტერიტორიის 80% მთაგორიანია და დღეს აქ შექმნილმა ვაკუუმმა, მისი განქართულების პროცესის შემდგომმა გაგრძელებამ და ურბანიზაციამ შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს საქართველოს და ქართველის ერის სამომავლო განვითარებას.

„მთა მარად იყო და კვლავაც უნდა დარჩეს ქართული წესწყობის ბალავრის ქვად“.

XX. **„კომლი ძველ საქართველოში წარმოადგენდა არამცოუ სამეურნეო სხეულსა, არამედ საზოგადოებრივსაც. ყოველფერი —**

შრომა, ბეგარა, გადასახადები, სოფლის მართველობა, ჯარში გაწვევა კომლზე იყო გათვლილი".

დედმამიშვილობის სისხლის ნათესაობაზე დაფუძნებული კომლის ინსტიტუტის სამეურნეო და საზოგადოებრივი ფუნქციის, **„კომლის თავის", „გუთნის დედის", „კომლეულთა"** და **„ხოდაბუნების"** ძველი საამხანაგო-კორპორაციული ტრადიციების აღდგენა და გათანამედროვეობა წარმოადგენს სოფლის თვითმმართველობის, მისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, მართლწესრიგის, განათლების, ჯანმრთელობისა და **სოციალური** დაცვის **პრობლემათა** გადაწყვეტის აუცილებელ **წინაპირობას.**

„კომლი და ხოდაბუნების საამხანაგო გაერთიანებანი კაპიტალიზმის ქართული ალტერნატივაა".

XXI. საქართველო აქტიურად უნდა ჩაებას გლობალური და რეგიონალური ინტეგრაციის მიმდინარე პროცესებში, „ახალი მსოფლიო წესრიგის" ფორმირებაში.

„ჩვენდა სასახელოდ, ქართველი კაცისთვის არასოდეს უცხო რამ ხილი არ ყოფილა ზოგადკაცობრიული იდეალები და ღირებულებანი. „ვეფხისტყაოსანი" დადასტურებაა ამისა".

XXII. ეროვნული და რელიგიური შემწყნარებლობა ჩვენი ქვეყნის ისტორიული განვითარების და ეროვნული ხასიათის ორგანული ნაწილია. „ოქროვანი ხანის საქართველოს" იმანაც მოუპოვა პრესტიჟი და ძლიერება, რომ იგი სხვა ქვეყნებიდან დევნილთა საიმედო თავშესაფარი გახდა.

„ქართველს მისდა სასახელოდ, სიბულვილი არ შეუძლია... სიბულვილის წილ სიყვარული — ქართველი კაცის დიდბუნებოვანობის არსია".

XXIII. ქართულ სახელმწიფოს კეთილმეზობლური ურთიერთობა უნდა ჰქონდეს მსოფლიოსა და ევრაზიული სივრცის ყველა ქვეყანასთან, მაგრამ მათგან განსაკუთრებით კავკასიის ხალხებსა და ქვეყნებთან. ისტორიულადაც იგი ხომ, ფაქტობრივად, კავკასიური სახელმწიფო, თავისებური **„კავკასიის** შეერთებული **შტატები"** თუ შვეიცარიის **კონფედერაციის** მსგავსი პოლიტიკური წარმონაქმნი იყო. პოემაში „ქართლის დედა" ილიამ შესანიშნავად გამოხატა კავკასიელ ხალხებთან ქართველი ხალხის სოლიდარობის იდეა.

„საქართველოსა და მთელი კავკასის თავისუფლება“ — ასეთი უნდა იყოს დღესაც ჩვენი იდეალი.

ვფიქრობთ, რომ გლობალიზაციის პირობებში შეიქმნება ხელსაყრელი წანამძღვრები ევროპის „საერთო ბაზრის“ მსგავსი პოლიტიკური და ეკონომიკური გაერთიანებისათვის კავკასიაში. ასეთი პოლიტოლოგიური პროგნოზირება დღეს შეიძლება უტოპიად და რომანტიზმად მოეჩვენოს ბევრს, მაგრამ კავკასიაში რუსეთის დღევანდელ აგრესიულ პოლიტიკას საქმე სწორედ აქეთ — „მთელი კავკასიის თავისუფლების“ ილიასეული იდეალისკენ მიჰყავს. ნორმალურ პირობებში თვითონ რუსეთსაც უნდა აწყობდეს ერთიანი და ძლიერი კავკასია, როგორც გარკვეული ბუფერული ზონა ევრაზიულ სივრცეში. მაგრამ სადაც რუსეთია, იქ ნორმალურ პირობებსა და ნორმალურ ურთიერთობებზე ლაპარაკი რეალიზმის ფარგლებს სცილდება. ილია არაერთგზის მიუთითებდა რუსეთის და „რუსული ხასიათის“ ასეთ ორმაგ ბუნებასა და სტანდარტებზე. სწორედ ეს გვაიძულებს ფრთხილ პოლიტიკას მასთან.

XXIV. ეროვნული სახელმწიფოს შექმნა ისედაც რთული და წინააღმდეგობებით სავსე პროცესია და ეს მით უმეტეს გლობალიზაციის პირობებში, როცა უმსხვილესი საერთაშორისო კორპორაციები მიისწრაფვიან მთელი მსოფლიო თავის მსგავსად და ხატად აქციონ, თავის ვოტჩინად და გასაღების ბაზრად. ეს კანონზომიერება ილიას დროსვე ჩაისახა და მის ალტერნატივად იგი „ქართულ წესწყობას“ სახავდა.

„ჩვენს იქით ჩვენი ხსნა მხოლოდ ტკბილი სიზმარია“ — ასე აფრთხილებდა იგი მაშინდელ ჩვენს კოსმოპოლიტებს, რომლებსაც ეროვნულისა არაფერი გაეგებოდათ და არც არაფერი სწამდათ. ამიტომაც სხვა ქვეყნებთან ინტეგრაციასა და „უცხო ბაძში“ ეძებდნენ ხსნას.

* * *

დღესაც დაახლოებით იგივე ვითარებაა. საქართველოს კაპიტალისტური განვითარება და დღევანდელი გლობალიზაცია კიდევ უფრო დიდ საფრთხეს უქმნის ჩვენს ეროვნულ თვითმყოფადობას. ეს საფრთხე ჩვენს თვალწინ სულ უფრო რეალურ სახეს იღებს. ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად სამებასავით სამი დიდი ამოცანაა გადასაჭრელი: ჩვენს ძველ ისტორიულ მემკვიდრეობაზე და-

ფუძნებული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის შექმნა და ამ საფუძველზე ეროვნული სახელმწიფოსა და ეროვნული ეკონომიკის ფორმირება. რაც მალე დავიწყებთ ამაზე ფიქრსა და განსჯას და, რაც მთავარია, მათ განხორციელებას, მით უკეთესი ჩვენთვის და ჩვენი ქვეყნის მომავლისთვის.

კონსტიტუცია და სახელმწიფოებრივი წყობა ერთ კაცს კი არ უნდა მოვარგოთ, არამედ მთელ ქვეყანას, მის ისტორიულ განვითარებას, ერის ფსიქიკას და ტრადიციებს. სხვანაირად კონსტიტუცია არც იქნება ქვეყნის ძირითადი კანონი. უნდა განვთავისუფლდეთ ბელადმანიაობისა და „მამა-მარჩენალის" ძველი მესამედასური სინდრომისაგან. საქართველოს მომავალი თვითონ მისივე ხალხის, მისი ინტელექტუალური და მწარმოებელი ძალების, ერის სულიერი და მატერიალური პოტენციალის ამოქმედებაშია საძიებელი. მთავარია, რომ სწორი ორგანიზაცია მიეცეს ყველაფერს ამას.

გლობალიზაცია სიკეთეცაა და ბოროტებაც. იგი დღეს ძლევამოსილად დააბიჯებს დედამიწაზე და მისი შემჩერებელი ძალა არაა. მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული, რომ მან სიკეთე მოუტანოს ჩვენს ხალხს და ქვეყანას. გლობალიზაციას თავისი არსით, რა თქმა უნდა, სრულებითაც არ აწყობს ძლიერი ეროვნული სახელმწიფოს შექმნა და თუ ჩვენ დავყევით ამ ნებას, ვერასოდეს ვეღირსებით მას. საქმეც ისაა, რომ გლობალიზაციის და „უსაზღვრო მსოფლიოს" ფორმირების მიმდინარე პროცესებში შევძლოთ „მზის ქვეშ ჩვენი კუთვნილი ადგილის შენარჩუნება". ამისათვის დღეს მაინც უნდა გავუგოთ ილიას – ქართული აზრის და ქართული საქმის ამოუწურავ სიბრძნის წყაროს. თითქოსდა, ჩვენს დღევანდელ ვითარებაზე წერდა ამ ასი წლის წინ:

„არ ვიცით – რანი ვყოფილვართ, არ ვხედავთ – რანი ვართ, ვერ გამოგვისახია – რანი ვიქნებით! ყურებში ბაბა გვაქვს დაცული და თვალებზე ხელი აგვფარებია – არც არაფერსა ვხედავთ, არც არაფერი გვესმის– უზარმაზარი ხრამია ჩვენს, ქართველების წინ და საკმაოა ხელი გვკრან და შიგ გადავიჩეხებით დედა-ბუდიანად".[1]

---

[1] ილია ჭავჭავაძე. „რა გითხრათ? რით გაგახაროთ?", თხზ. კრებული, თბ., 1989, გვ. 681.

ეს შეგონება და გაფრთხილება იქითკენ მოგვიწოდებს გლობალიზაციის პირისპირ მდგარ დღევანდელ ქართველებს, რომ რაც შეიძლება დროზე გამოვეფხიზლდეთ კოსმოპოლიტური ძილ-ბურანისაგან და ხელი მოვკიდოთ საკუთარ ეროვნულ ფუნდამენტზე საკუთარი ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობის საქმეს. სხვა ალტერნატივა დღევანდელ ქართველებს არა გვაქვს. პოლიტიკა ჭადრაკს ჰგავს და ბოლოს იმარჯვებს მხოლოდ ის, ვინც ყველაზე შორს და სწორად გათვლის. ისეთი გათვლები კი მხოლოდ ეროვნული მემკვიდრეობის სრულყოფილი დაუფლებით არის შესაძლებელი.

ეს რომ არ არის ადვილი საქმე, კარგად ესმოდა თვითონ „საერთო ნიადაგის" თეორიის ავტორსაც, მაგრამ ესეც მან დაგვიტოვა ანდერძად: მით უფრო სასახელო და საამაყოა ქართველთათვის იმის აღდგენა, რაც „უწყალო დროთა ბრუნვით დანთქმულა". მთავარია, რომ ამისათვის განვეწყოთ მთელი ერი „ყველა საზოგადოებრივ ძალთა ერთ კვალში ჩაყენებით".

ზვიად ანანიძე

ესპანური რეგიონალიზმი და საქართველო

შესავალი

მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირის რღვევის შედეგად საქართველომ მოახერხა თავისი მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის აღდგენა, გაჩნდა იმედი, რომ იგი სწრაფად შეძლებდა თავისუფალი საზოგადოებისა და დემოკრატიული სახელმწიფოს აშენებას. მრავალი ქართველი მოაზროვნე ამის წინაპირობად იმ „ისტორიულ განვითარებას" ასახელებდა, რომლის მიხედვითაც „საქართველო ევროპული ცივილიზაციის ნაწილი" იყო, და რომელიც გარკვეულმა „დაბალი კულტურის მქონე ხალხებმა" და „სახელმწიფოებმა" მას ძალით მოსწყვიტეს. თანაც ქართველები ხომ „მრავალსაუკუნოვანი ერთიანი მონოლითური ერი" ვართ, რომლის „ისტორიულად გამობრძმედილ" საერთო იდენტობას საფრთხე არ ემუქრებოდა.

ამგვარი ოპტიმიზმის მიუხედავად, პოსტსაბჭოურ ეპოქაში განვითარებულმა მოვლენებმა ქართული რეალობის მრავალი ისეთი ნაკლოვანება წარმოაჩინა, რომელთა დაძლევა არცთუ იოლი აღმოჩნდა. ზოგიერთი მათგანი ფრიად საბედისწეროდაც კი იქცა თანამედროვე ქართული სახელმწიფოებრიობისათვის. მათ შორის კი უპირველესი ქვეყნის ფაქტობრივი ტერიტორიული რღვევა გახლავთ, რომლის მომავალში წარმატებით დაძლევის პერსპექტივა არცთუ ისე საიმედოდ გამოიყურება. აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ფაქტობრივმა ჩამოშორებამ ერთიანი ქართული პოლიტიკური სივრციდან განსაზღვრა კიდეც 1995 წლის კონსტიტუციის ნაკლოვანება. ეს ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის საკითხია, რომელიც სამომავლო საქმედ არის გამოცხადებული. კონსტიტუცია მიიჩნევს, რომ პრობლემა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემდგომ უნდა გადაწყდეს. ამასთანავე, აღნიშნული ორი რეგიონის პრობლემას ემატება აჭარის ავტონომიური წარმონაქმნის არსებობაც. ცენტრალურ ხელისუფლებასთან მისი ურთიერთობების

დარეგულირების საკითხის მოუგვარებლობა დიდწილად კონსტიტუციურმა ვაკუუმმა განაპირობა.

თქმულიდან გამომდინარე, ხშირია ქართულ ინტელექტუალური და პოლიტიკური ელიტის ავანსცენაზე დისკურსი ქვეყნის მომავალი ტერიტორიული მოწყობის შესახებ. ამგვარ დისკურსს პირობითად „ფედერალიზმისა" და „უნიტარიზმის" დილემა შეიძლება ვუწოდოთ.

მოაზროვნეთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ საქართველო განწირულია მკვეთრი დეცენტრალიზაციისათვის, რომელიც შესაძლოა ფედერალიზმამდეც კი მივიდეს, რადგანაც სხვაგვარად ვერ წარმოუდგენიათ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ერთიან ქართულ პოლიტიკურ სივრცეში დაბრუნების პერსპექტივა. უფრო მეტიც, ისინი მიიჩნევენ, რომ ფედერალიზმი და დეცენტრალიზაცია ქართული პოლიტიკური კულტურის განუყოფელი ნაწილია და მასზე უარის თქმა „ისტორიული სამართლიანობის" უარყოფა იქნებოდა. ამასთანავე ფედერალიზმზე უარის თქმა ხომ ჩვენი „დემოკრატიული გენოტიპიდან" გადახვევა იქნებოდა.

„უნიტარისტებს" მიაჩნიათ, რომ ფედერალიზმი და მკვეთრი დეცენტრალიზაცია ქვეყნის შემდგომი რღვევის საფუძველია და მისი დამკვიდრებით აღვადგენთ „შუა საუკუნოებრივ ფეოდალურ გახლეჩილობასა და დაქუცმაცებულობას". პირიქით, მათი აზრით, მხოლოდ დემოკრატიულ ცენტრალიზმში ძევს გასაღები მომავალი „ქართული სახელმწიფოს ძლიერებისა".

ასეა თუ ისე, დღემდე არ წყდება კამათი აღნიშნულ საკითხზე და არც შეწყდება მანამ, სანამ არ მოხდება პრობლემის შეძლებისდაგვარად გადაწყვეტა. ამიტომაც არსებობს მრავალი პროექტი, თუმცა დაუსრულებელი სახის, რომელნიც განხორციელებას ელიან.

ნებისმიერი დემოკრატიული სახელმწიფოს სისტემა მოითხოვს იმ სიდიდის განსაზღვრას, რომელიც მოცემული სახელმწიფოს „დემოსი" უნდა გახდეს, ეი. უნდა იქცეს იმ ადამიანთა ერთობად, რომლის ნებასაც უნდა აღასრულებდეს მოცემული პოლიტიკური ინსტიტუტები. როგორც მოაზროვნენი მიუთითებენ, თანამედროვე ეპოქამ ამგვარ „დემოსად" აქცია „ერი", „ნაცია". ამიტომაც თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოებს „ერი-სა-

ხელმწიფოებს“ ანუ „ეროვნულ-სახელმწიფოებს“ უწოდებენ ხოლმე, სადაც „ერია“ უმაღლესი სუვერენიტეტის წყარო.

თითქოსდა აქ საკამათო არაფერია. ეს ხომ ბანალური ჭეშმარიტებაა, რომ სახელმწიფო ერის კუთვნილებაა და მხოლოდ მის საყოველთაო ნებას ხელეწიფება ქვეყნის სვე-ბედის განსაზღვრაც. მაგრამ პრობლემაც ისაა, თუ ვისგან შედგება მოცემული „ერი“ და რომელი მოქალაქე უნდა ჩაითვალოს მის ნაწილად და ვინ არა. ამგვარი დილემის გადაუწყვეტობის პირობებში საუბარიც კი ზედმეტია სახელმწიფოს რაიმე ტერიტორიულ მოწყობაზე. თუ არ განვსაზღვრავთ, ვისგან ვადგენთ „დემოსს“, ვერც მის შემდგომ შიდა შრომის დანაწილებას უზრუნველვყოფთ.

მოცემულ სტატიაში შეეცდებით წარმოვადგინოთ, ჩვენი აზრით, ფრიად საინტერესო ტერიტორიული მოწყობისა და ერის ჩამოყალიბების მოდელი, როგორიცაა ესპანური ე.წ. „ავტონომიათა სახელმწიფოს“ და „განუყოფელი ერის“ პოლიტიკური პროექტი. ვფიქრობთ, რომ ესპანეთის გამოცდილების გათვალისწინება ბევრ რამეში წაადგება დღევანდელ თუ მომავალ ქართულ სახელმწიფოს და მრავალ კითხვასაც გასცემს პასუხს. თანაც აღნიშნული პოლიტიკური პროექტი არცთუ ისე ხშირად ჟღერს ხოლმე ზემო აღნიშნულ პოლიტიკურ დისკურსში და თავისებურ სიახლესაც წარმოადგენს არსებული პრობლემების კიდევ ერთხელ გადასააზრებლად.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ ისიც, რომ მოცემულ სტატიაში, მისი მოცულობისდა გამო, სრულად ვერ წარმოვსახავთ იმ მექანიზმს, თუ როგორ შეიძლება ესპანური მოდელის საქართველოს თარგზე მორგება. ეს სტატიის ერთგვარი ნაკლოვანებაა, რომელიც, შესაძლოა, მომავალმა მსჯელობებმა, თუკი ამის საშუალება იქნება, ერთგვარად აღმოფხვრას.

1. ორიოდე სიტყვა „ერის“ დისკურსის შესახებ

სანამ უშუალოდ ესპანეთის მოდელის განხილვაზე გადავიდოდეთ, ორიოდე სიტყვით შევეხებით დასავლურ სამყაროში არსებულ დისკურსს „ერის“ შესახებ, რომლის საკითხიც, ჩვენი არ იყოს, არც მათ აქვთ მარტივად გადაწყვეტილი. რატომ და რის-

თვის ეს სხვა საუბრის თემაა და ამჯერად ჩვენ მასზე არ შევჩერდებით.

დასავლურ პოლიტიკურ ლიტერატურაში „ერის" განსაზღვრების ორ ძირითად მიდგომას განასხვავებენ. ესენია ერის „ფრანგული" და „გერმანული" კონცეფციები.

ფრანგული მიდგომა 1789 წლის რევოლუციის შემდეგ ჩამოყალიბდა და „ერში" ყველა იმ ინდივიდს აერთიანებდა, რომელიც რევოლუციური იდეებისადმი ამყოლავნებდა ერთგულებას, მიუხედავად მისი ეთნიკური წარმომავლობისა. ფრანგული რევოლუციისათვის „ერი" თანასწორუფლებიან მოქალაქეთა ერთობად იქცა, რომელიც შემდგომში მოცემული ქვეყნის დემოკრატიული სისტემის ერთ-ერთი ქვაკუთხედი გახდა. როგორც დიდი გერმანელი ფილოსოფოსი იურგენ ჰაბერმასი აღნიშნავს: „ეროვნული სახელმწიფო და დემოკრატია ტყუპები არიან, რომელიც ფრანგულმა რევოლუციამ წარმოშვა".[1] ე.ი. მოცემულ შემთხვევაში „ერის" ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა მოქალაქეობრივ, სახელმწიფოებრივ კუთვნილებას მიენიჭა, რომლითაც ე.წ. „ასიმილაცია" განხორციელდა. სხვაგვარად მას ხშირად „ინკლუზივისტურსაც" უწოდებენ, ანუ ეს არის მოდელი, რომელიც უზრუნველყოფს ე.წ. „ჩართულობის" პროექტს. ამდენად, ნაციონალიზმის ცნობილი მკვლევრის ბენედიქტ ანდერსონის ტერმინი რომ ვიხმაროთ, საფრანგეთში „ერი" შეიქმნა „წარმოსახვით პოლიტიკურ ერთობად"[2] .

გერმანულ მიდგომაში ჭარბობს „ექსკლუზივისტური" კონცეფცია, ანუ როცა სახეზეა გარიყულობის პროცესი. სხვა სიტყვებით, მას „დიფერენციაციადაც" მოიხსენიებენ ხოლმე. ამგვარი კონცეფციის ჩამოყალიბება დიდწილად გერმანულმა რომანტიზმმა განსაზღვრა, სადაც უპირატესი როლი არა მოქალაქეობრივ, არამედ პიროვნების კულტურულ და ეთნიკურ კუთვნილებას მიენიჭა. „ერის" საკითხი კლასიკური გერმანული ფილოსოფიისათვის და სოციალური მეცნიერებისათვის ზოგადად გარკვეულ „სულიერ მისიად" და აზროვნების შთაგონების წყაროდ იქცა. ამიტომაც ჩა-

---

[1] Юрген Хаббермас, Демократия, разум, нравственность, Москва, 1995, стр. 212

[2] Бенедикт Андерсон, Воображаемые сообщества, Москва, 2001, стр. 5

მოყალიბდა „ერის“ კულტურული კონცეფცია.[1] როგორც ჰაბერმასი შენიშნავს სამართლიანად, ამგვარი რამ გერმანიაში ცენტრალიზებული სახელმწიფოს გვიან ჩამოყალიბებამ განაპირობა.[2]

ქართულ რეალობაში, ფრანგულთან შედარებით, გერმანული მიდგომა უფრო დომინანტობს. მაგრამ, გერმანიისაგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში „ერის“ ეთნიკური დისკურსის ჩამოყალიბება. ერთი მხრივ, საქართველოში გერმანული ფილოსოფიისა და ისტორიული სკოლის პოპულარობამ, ხოლო, მეორე მხრივ, რაც მთავარია, საბჭოთა მემკვიდრეობის ფაქტორმა წარმოშვა. როგორც ცნობილია, საბჭოთა ფედერალიზმისა და ეროვნების მოდელი სტალინის მიერ ჩამოყალიბებულ „ერის“ კონცეფციას დაეფუძნა, რომელმაც „ერი“ ეთნიკური განვითარების უმაღლეს ფორმად გამოაცხადა. ამასთანავე, რაც მთავარია „მოქალაქეობა“ და „ეროვნულობა“ / „ნაციონალობა“ იმთავითვე ერთმანეთისაგან მჭიდროდ იქნა გამიჯნული. თანაც, ოფიციალურად დეკლარირებული სოციალური ეგალიტარიზმის პირობებში, სსრკ-ში შემავალი ხალხებისაგან ერთგვარი ახალი სოციალური იერარქია შეიქმნა, რომელმაც, ფაქტობრივად, სოციალური კლასების ადგილი დაიჭირა. ამით ქვეყნის მასობრივი ეთნიზაცია განხორციელდა. სწორედ ამგვარი მიდგომის საფუძველზე მოხდა ჩვენი ქვეყნის „ავტონომიზაცია“ და პასპორტიზაცია, რამაც, თავის მხრივ, გადამწყვეტი როლი შეასრულა საქართველოში სამოქალაქო გახლეჩილობის წარმოშობაში. ამგვარი მემკვიდრეობის გამოძახილია ამჟამად არსებული აბსურდული დავა პირადობის დამადასტურებელ მოწმობაში, ეროვნების ჩაწერა-არჩაწერის საკითხზე (როგორც წესი, ამგვარ დისკურსში ჩართული ორივე მხარე „ერის“ ცნებაში a priori ეთნიკურ ერთობას გულისხმობს).

„ერისა“ და ფედერალიზმის ამგვარმა დისკურსმა კი თავისი ნეგატიური შედეგები პოსტსაბჭოურ ეტაპზე გამოამჟღავნა, სისხლიანი „ეთნოკონფლიქტების“ სახით. რიჩარდ საკვამ საბჭოთა

---

[1] Урс Альтерматт, Этнонационализм в Европе, Москва, 2000, стр. 41-43

[2] Юрген Хаббермас /Вовлечение другого, очерки политической теории./ С.- Пб., 2001, стр.211-212

ეთნოფედერალიზმი „ყველაზე უფრო მოწამლულ სასმისად“ მოიხსენია „სხვა ყველა საბჭოურ მოწამლულ სასმისებს შორის“.[1]

გერმანული და ფრანგული მიდგომებისაგან განსხვავებით, ესპანეთმა საკუთარი „ეროვნული“ და „რეგიონული“ შუალედური მოდელი ჩამოაყალიბა, რომელსაც „ინტეგრაციული“ შეიძლება ვუწოდოთ. სწორედ ამგვარმა ოქროს შუალედმა იხსნა ესპანეთი ტერიტორიული დეზინტეგრაციისაგან და განსაზღვრა კიდეც მისი წარმატებული დემოკრატიზაცია. ამიტომაც მივიჩნევთ მას ერთგვარ მაგალითად, რომელშიც ეთნიკური ელემენტი სამოქალაქოს შეერწყა და წინა პლანზე სამოქალაქო წამოსწია. თანაც, ვფიქრობთ, რომ ესპანეთსა და საქართველოს შორის, მიუხედავად მათი განვითარებისა და განფენილობის დიდი სხვაობისა, მრავალი მსგავსებაც არსებობს და, შესაბამისად, მათ პოლიტიკურ კულტურებს შორის პარალელების გავლებაც ხშირად დიდ პრობლემას არ წამოადგენს ხოლმე.

2. „ავტონომიათა სახელმწიფოსა“ და „ეანუყოფელი ერის“ ჩამოყალიბების წანამძღვრები

ესპანეთის რეგიონალიზმი სათავეს შუა საუკუნეებიდან იღებს და მრავალწლიანი განვითარების შედეგს წარმოადგენს.

მას შემდეგ, რაც 711 წელს არაბებმა იბერიის ნახევარკუნძული დაიპყრეს, მასში ორი პოლიტიკური ღერძი წარმოიქმნა – ჩრდილოეთში უმცირესობაში მყოფი ქრისტიანებისა და სამხრეთში არაბულ-მუსლიმური სახელმწიფოს კორდოვას სახით. მათ შორის არსებულ 700 წლიან კონფრონტაციას ე.წ. „რეკონკისტას“(Reconquista) ქრისტიანული ესპანეთის მხრიდან კასტილიის სამეფო ჩაუდგა სათავეში.

ძლიერდებოდა რა კასტილიის სამეფო, თავის გარშემო იკრებდა დანარჩენ ქრისტიანულ სამეფო-სამთავროებს. მორჩილების სანაცვლოდ, კასტილიის მეფე გასცემდა ხოლმე მათი შიდა სტრუქტურული ხელშეუხებლობის ქარტიებს „ფუეროსს“, რითაც ახლად შემოერთებული პოლიტიკური ერთეულები ინარჩუნებდნენ

---

[1] ციტირებულია : Бруно Коппитерс /Политика Запада в области безопасности и грузино-абхазский конфликт/ Практика федерализма, М., 1999.

ავტონომიასა და იმუნიტეტს, ძველ ადათობრივი სამართალის საფუძველზე.[1] ამგვარი „საერთო მოქმედების ნიადაგის“ საფუძვლად „საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლის“ იდეოლოგია იქცა. როგორც გამოჩენილი ესპანელი მოაზროვნე ხოსე ორტეგა ი გასეტი მართებულად მიუთითებდა: „გაერთიანების საფუძვლად გრანდიოზული აღმშენებლობის საქმე გადაიქცა, რომელიც საყოველთაო მონაწილეობას მოითხოვდა“.[2]

1469 წელს ფერნანდო არაგონელისა და ისაბელ კასტილიელის ქორწინებამ სათავე დაუდო ცენტრალიზებული ესპანეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბებას. კასტილიის დროშის ქვეშ მრავალი ესპანური პოლიტიკური წარმონაქმნი გაერთიანდა. კასტილია კი მის ერთგვარ „ჰართლენდად“ (მაკინდერის ტერმინი) გადაიქცა.

პირენეის არაბებისაგან გათავისუფლება 1492 წლის გრანადის აღებით დასრულდა, რომლის შემდეგაც ერთიანი ესპანური სახელმწიფოს მთელი პოლიტიკური კურსი იმპერიის მშენებლობისკენ წარიმართა.

მიუხედავად იმისა, რომ ესპანურ ერთობას გარკვეული მსოფლმხედველობა ედო საფუძვლად, რომლითაც მართლდებოდა კიდეც სახელმწიფოებრივი ცენტრალიზმი და სტანდარტიზაცია, იგი ვერ უზრუნველყოფდა სახელმწიფოს ჰომოგენიზაციას. მას უპირატესად ორი ძირითადი მიზეზი განაპირობებდა: შიდა სახელმწიფო ეთნოკულტურული დიფერენციაცია (იგულისხმებიან უპირველესად ბასკეთი და კატალონია) და ეკონომიკური ცენტრის ფუნქცია. როგორც გამოჩენილი ნორვეგიელი პოლიტოლოგი შტაინ როკანი აღნიშნავდა, მიუხედავად იმისა, რომ მადრიდი ყოველთვის წარმოადგენდა ესპანეთის პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ცენტრს, იგი ვერ იქცა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ცენტრად. ბარსელონა და ბილბაო, განსაკუთრებით მოდერნიზაციის ხანაში,

---

[1] Europe since 1945, Encyclopedia; Volum II K-Z, edited by Bernard Cook; New York, 2001, p.283

[2] Хосе Ортега-и-Гассет; Бесхребетная Испания, Восстание масс, Москва, 2001, стр. 282

ეკონომიკური სიმძლავრით ყოველთვის სჯობდნენ მადრიდს.[1] ამას ემატებოდა ესპანეთის დანაწევრებული მთავარიანი გეოგრაფიული აგებულებაც, რომელიც რეგიონებს შორის მტკიცე კომუნიკაციური ქსელის განვითარებას აფერხებდა და ამით მტკიცე რეგიონულ იდენტობის ჩამოყალიბებას კიდევ უფრო აძლიერებდა. ამდენად, ესპანეთში სახელმწიფო კი არ ქმნიდა რეგიონებს, არამედ რეგიონები ქმნიდნენ სახელმწიფოს, ე.ი. ესპანეთის შექმნის პოლიტიკური პროექტის ტრაექტორია ქვემოდან ზემოთ იყო მიმართული. ძირითადად, სწორედ აღნიშნული ფაქტორები იქცა თანამედროვე ესპანური რეგიონალიზმის წანამძღვრებად.

1714 წელს ესპანეთის სამეფო ტახტი ფრანგული წარმოშობის ბურბონთა საგვარეულომ დაიკავა და ესპანური ცენტრალიზაციის კურსიც ფრანგული სტანდარდიზაციისა და ცენტრალიზმის თარგს მოერგო. მეფე ფილიპე V-ემ გააუქმა კატალონია-არაგონის სამეფო, რადგანაც მხარს უჭერდა ჰაბსბურგებს ტახტის მემკვიდრეობისათვის ბრძოლაში.

თანამედროვე ესპანური ნაციონალიზმის „ესპანიოლისმოსა" (Españolismo) და „ერის" ჩამოყალიბებას 1808 წლიდან, ნაპოლეონის წინააღმდეგ მიმართულმა ბრძოლამ, „გერილამ" და ურბანიზაცია-ინდუსტრიალიზაციის განვითარებამ დაუდო სათავე. 1812 წელს კადისში ხელმოწერილმა პირველმა ლიბერალურმა კონსტიტუციამ, თანახმად ლიბერალური პოლიტიკისა, მოსპო ტრადიციული რეგიონული პრივილეგიები – „ფუეროები", რომლებიც ესპანეთის მეფესა და ბასკების ქვეყანას შორის ურთიერთობებს არეგულირებდნენ. ესპანური სახელმწიფო ნაციონალიზმი და ცენტრალიზმი მისი იმპერიის სტატუსის (1892) დაკარგვამ უფრო გაამძაფრა. ე.წ. „ესპანურმა პრობლემამ" არა მარტო პოლიტიკური, არამედ ინტელექტუალური წრეებიც მოიცვა. მასში ჩართულნი იყვნენ ისეთი ცნობილი მოაზროვნენი, როგორებიც იყვნენ ხოსე ორტეგა ი გასეტი, მიგელ დე უნამუნო და მრავალი სხვა. „ევროპეისტებსა" და „იბერიანისტებს" შორის ცნობილი დავა აღნიშნული ეპოქის კრიზისულობის ყველაზე უფრო რელიეფური გამოვლი-

[1] The theory of Stein Rokkan; State formation, nation-building and mass politics in Europe; Comparative European politics; Edited by Peter Flora; Oxford University Press. 1999

ნებაა.[1] ამგვარი კრიზისული ვითარება კი ესპანეთში 1936-1939 წლების სამოქალაქო ომმა, მონარქიის გაუქმებამ და გენერალისიმუს ფრანკოს დიქტატურის დამყარებამ დაასრულა. [2]

ფრანკოს რეჟიმი ტრადიციული ესპანური ცენტრალიზმის ანალოგად გადაიქცა. მისმა დიქტატურამ, ერთი მხრივ, თითქმის ნულამდე დაიყვანა სამოქალაქო თავისუფლების ხარისხი ესპანეთში, ხოლო მეორე მხრივ, მოხდა ქვეყნის სრული უნიფიკაცია, ოფიციალურად აიკრძალა რა ყველა ლოკალური ენის ხმარება (როგორებიც იყო ბასკური და კატალონიური), გარდა ოფიციალურად დეკლარირებული სახელმწიფო, კასტილიური ენისა (რომელსაც არაესპანელები ხშირად ესპანურს უწოდებენ).

ფრანკოს მიერ განხორციელებულმა პოლიტიკამ და რეპრესიებმა საფუძველი შექმნა წარმოშობილიყო სეპარატიზმისა და ნაციონალიზმის ძლიერი კერები ბასკეთსა და კატალონიაში. როგორც ესპანური პოლიტიკის ცნობილი თანამედროვე მკვლევარი დანიელე კონვერსი სამართლიანად მიუთითებს, კატალონიისა და ბასკეთის ნაციონალიზმი ესპანეთის სახელმწიფო ელიტის მოღვაწეობის პირდაპირ გამოძახილს წარმოადგენდა. პერიფერიული რადიკალური მოძრაობების შენელება-გამძაფრება დიდწილად იყო დამოკიდებული ცენტრალური ხელისუფლების შემწყნარებლობასა თუ შეუწყნარებლობაზე.[3]

ბასკეთსა და კატალონიაში მე-19 საუკუნეში უკვე შექმნილი იყო რეგიონული ნაციონალიზმის თეორიული საფუძვლები. კატალონიაში ეს გააკეთეს ფრანსისკო პი ი მარგალმა, პრატ დე ლა რივამ და განსაკუთრებით კი ვალენტი ალმირალმა, რომელთაც სათავე დაუდეს პოლიტიკურ კატალონიზმს. ბასკეთში ამგვარი მისია ბასკეთის ეროვნული პარტიის (El Partido Nacionalista de Vasco) დამფუძნებელმა საბინო ი არანა დე გოირიმ შეასრულა. მან პირველად იხმარა ბასკეთისა და ბასკური ენის თანამედროვე

---

[1] Enciclopedia de Historia de España; dirigida por Muigel Artola; Alianza editorial, 1996, pp.196, 199

[2] Historia contemporanea de España (1808 1939); Javier Pareges (coordinador); Editorial Ariel; S. A. Barcelona 1996, p. 435

[3] Danicle Conversi // The Spanish federalist tradition and the 1978 Constituion / TELOS; number 112, summer, p. 132

ბასკური უნიფიცირებული წოდებები: „ეუშკადი“ (Euskadi) და „ეუშკარა“ (Euskara).

ნაციონალიზმის ორივე თეორეტიკოსმა ერთმანეთისაგან მკეთრად გამიჯნა ესპანელი ერი და სახელმწიფო კატალონიური და ბასკური ერისაგან. ამ უკანასკნელთ მათ უფრო ეთნო-კულტურული და რასობრივი მნიშვნელობა მიანიჭეს. განსაკუთრებით თვალში საცემი გახლდათ ე.წ. „კატალონიური რენესანსი“ – ის მაორგანიზებელი ძალა, რომელიც ძლიერ კულტურულ იმპულსებს გადასცემდა კატალონიურ პოლიტიკურ მოძრაობას. ამ მხრივ ბასკეთი უფრო მოიკოჭლებდა. იგი უფრო იყო მოქცეული სტანდარტული ესპანური-კასტილიური კულტურის გაელენის ქვეშ. სამაგიეროდ, მათი მოთხოვნების „ისტორიული სამართლიანობა“ ბასკების არაინდოევროპულ წარმომავლობასა და მითიურ ისტორიაზე იყო დაფუძნებული.

კულტურული განვითარების გარდა, კატალონია და ბასკეთი სამრეწველო-ეკონომიკური კუთხით ყველაზე უფრო განვითარებულ და „ევროპულ“ რეგიონებს წარმოადგენდნენ, რაც ერთიორად აძლიერებდა მათ მოძრაობას.

პერიფერიული მოძრაობები არსებობდა გალისიასა და ანდალუსიაშიც, მაგრამ მათი წანამძღვრები გაცილებით სუსტი იყო, რის გამოც გალისიური და ანდალუსიური რეგიონული ნაციონალიზმი ნაკლები რადიკალიზმით გამოირჩეოდა.

ამგვარი მოძრაობები ვითარდებოდა მაშინ, როდესაც ძლევამოსილი ხდებოდა ესპანეთის იმპერიული ლოზუნგი: ერთი ენა, ერთი ხალხი, ერთი სახელმწიფო.

ეს პოლიტიკური ტრადიცია არც ფრანკოს დაურღვევია. მისმა რეპრესიულმა პოლიტიკამ გამოიწვია ის, რომ 1959 წელს ბასკეთში იშვა რადიკალურად განწყობილ ახალგაზრდათა ორგანიზაცია „ეტა“ (ETA, Euskadi ta Askatasuna – ბასკეთი და თავისუფლება), რომელიც დღემდე მრისხანე არაფორმალურ შეიარაღებულ დაჯგუფებად რჩება. ფრანკოს მმართველობისას, ეტას მიერ ჩადენილი ყველაზე უფრო გახმაურებული აქტი ფრანკოს მიერ მემკვიდრედ გამოცხადებული გენერალ ბლანკოს 1973 წლის

მკვლელობა გახლდათ. ბასკი რადიკალები არათუ ავტონომიას, არამედ ბასკეთის სრულ თავისუფლებას მოითხოვდნენ.[1]

ბასკური ნაციონალიზმისაგან განსხვავებით, გაცილებით მშვიდობიანი ფორმებით ვითარდებოდა კატალონიური ნაციონალიზმი. მისთვის უცხო იყო ძალადობრივი მოქმედებანი და უფრო რაციონალისტურ ხასიათს ატარებდა. კატალონიელებისათვის ნაციონალიზმი უფრო ყოველდღიური ცხოვრების წესის დეკლარირებით მეღავნდებოდა. ამგვარი თვისების გამო, კატალონიურ ნაციონალიზმს ხშირად ნაციონალიზმის ლიტერატურაში „ბანალური ნაციონალიზმის" სახელითაც კი მოიხსენიებენ.[2]

როგორც დ. კონვერსი აღნიშნავს, ამგვარი სხვაობა ბასკურ და კატალონიურ ნაციონალიზმს შორის დიდწილად განაპირობა ენობრივმა საკითხმა. კატალონიური ენა თაობათა შორის კომუნიკაციის საშუალებად უცვლელად იყო შენარჩუნებული, მაშინ როცა ბასკეთში ბასკური ენა ამგვარ ფუნქციას ველარ ასრულებდა. საინტერესოა, რომ თავდაპირველად ეტა-ს წევრების შეკრების მიზანიც ბასკური ენისა და კულტურის უკეთ გაცნობა და შესწავლა იყო. ფრანკოს რეჟიმმა იგი შემდგომში ტერორისტულ დაჯგუფებად აქცია, რომელიც მისი ზომიერი პოლიტიკის გამო გამოეყო ბასკეთის ეროვნულ პარტიას.[3]

3. ესპანეთის დემოკრატიული გარდაქმნა და რეგიონალიზაცია

1975 წელს გარდაიცვალა გენერალისიმუსი ფრანსისკო ფრანკო და ქვეყნის სათავეში მის მიერვე მემკვიდრედ არჩეული მეფე ხუან-კარლოს ბურბონი მოვიდა. ესპანეთი რთული გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა. ბუნდოვანი იყო, თუ რამდენად მოახერხებდა ესპანეთი გამკლავებოდა მის წინაშე არსებულ პრობლემებსა და შესძლებდა წარმატებულ დემოკრატიზაციას.

როგორც ცნობილი დასავლელი პოლიტოლოგები ხუან ლინცი და ალფრედ სტეფანი აღნიშნავენ, ესპანეთი დემოკრატიაზე გა-

---

[1] Ibid: p. 150

[2] Benito Giordano and Elisa Roller // A comparison of Catalan and "Padanian" nationalism: More similarities or differences? / Journal of Southern Europe and Balkans; vol.3, number 2, 2001, pp.115-116

[3] D.Conversi; ibid. P. 131

დასვლის პროცესში, ლათინური ამერიკის, აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი სსრკ-ის ბევრი ქვეყნისაგან განსხვავებით, არ განიცდიდა მძიმე ეკონომიკურ კრიზისსა და საერთაშორისო ვითარებაც მისთვის ბევრად ხელსაყრელი იყო.

როცა ესპანურ დემოკრატიულ გარდაქმნაზე საუბრობენ, მხედველობაში 2 ძირითადი ფაქტორი აქვთ: დიქტატურიდან პარლამენტარიზმზე გადასვლა და ცენტრალიზმიდან დეცენტრალიზმზე გადასვლა.[1]

როგორც კი დემოკრატიზაციის პროცესი დაიწყო, მაშინვე თავი იჩინა რეგიონების ძლიერმა პერიფერიულმა მოძრაობებმა, რომელნიც კვლავინდებურად ძლიერი იყო ბასკეთსა და კატალონიაში. მათ ანდალუსია და გალისიაც დაემატნენ, მაგრამ მათ მოძრაობას უფრო ეკონომიკური სიდუხჭირე და ჩამორჩენილობა განაპირობებდა. გალისიისა და ანდალუსიისათვის ავტონომიის მოთხოვნა ეკონომიკური განვითარების პანაცეას წარმოადგენდა. [2]

ესპანეთის ცენტრალურმა ხელისუფლებამ პრობლემების გადასაჭრელად მოლაპარაკებებისა და კომპრომისების გზა აირჩია. თავდაპირველად რეგიონების წინასწარი ავტონომიები აღადგინეს, რამაც შექმნა საფუძველი რეგიონების ლიდერებთან კომპრომისების მიღწევისა.

პრემიერ-მინისტრმა სუარესმა 1976 წელს პოლიტიკური რეფორმების პაკეტი რეფერენდუმზე გაიტანა, რომლის მიღებითაც ქვეყანაში აღდგა დემოკრატიული ფასეულობები და გაათავისუფლეს პოლიტიკური პატიმრები.

კონსტიტუციური პროცესი 1977 წლის 15 ივნისს დაიწყო, როცა პოსტფრანკისტული დროის პირველი ღია და დემოკრატიული არჩევნები ჩატარდა. კონსტიტუციის პროექტი 7 დეკემბერს რეფერენდუმმა მოიწონა და, შესაბამისად, 26 დეკემბერს მეფემ მას ხელი მოაწერა.

---

[1] J.Linz and A. Stephen/Problems of democratic transition and consolidation: Southern Europe, South America and Post-Communist Europe, John Hopkins University Press 1996 p.88

[2] Fred A. Lopes ; Burgoisis state and rise of social-democracy in Spain // Transitions from dictatorship to democracy / New York 1990, pp.51-52

ახალი კონსტიტუციით, ესპანეთი ორპალატიან საპარლამენტო მონარქიად იქცა. გენერალური კორტესების გახსნისას, მეფე ხუან-კარლოსმა განაცხადა, რომ: „ითვალისწინებს კორტესების თხოვნასა და ინტერესებს; და რომ კონსტიტუცია იძლევა ჩვენი ხალხის ინდივიდუალობის, მისი ისტორიული და ამჟამინდელი უფლებების დაცვის გარანტიას."[1]

ამის შემდგომ, კომპრომისების მიღწევის შედეგად, ბასკეთსა და კატალონიაში გამართულმა რეფერენდუმებმაც მოიწონეს კონსტიტუცია. შედეგად მას ხელი კორტესებმაც მოაწერეს. კონსტიტუციით, ესპანეთი კონსტიტუციურ მონარქიად გადაიქცა, ხოლო ტერიტორიული მოწყობის მკვეთრი დეცენტრალიზაციის პროექტით შეიქმნა „ავტონომიური ერთობები" (Comunidades autonomas).

შემდგომში, კატალონიასა და ბასკეთში ადგილობრივი რეგიონული სტატუტები გაიტანეს რეფერენდუმზე, რომელნიც ასევე მოწონებულ იქნა. მოცემულ ვარიანტს ბასკეთის რადიკალური ძალებიც დაეთანხმნენ. ახალი სტატუტით, ბასკეთს ფორმალური უფლება მიენიჭა საკუთარი გადასახადები თვითონ აეკრიფა და იქიდან გადაეხადა პროცენტი ცენტრალურ ბიუჯეტში.[2]

1978 წლის კონსტიტუცია ესპანეთის ორი ისტორიული ელემენტის – ფედერალიზმისა და ცენტრალიზმის რთულ ბალანსს წარმოადგენს. იგი ეყრდნობა პერიფერიების პლურალისტულ ხედვას და ამასთანავე ინარჩუნებს ესპანელობის ძველი მტკიცე ერთობის განცდას. იმისდა მიუხედავად, რომ შენარჩუნებულია ესენციალიზმის ელემენტები, უარყოფილია ჰომოგენობის იდეა. მის ადგილს იკავებს რეგიონული დიფერენციაციის ახალი შეფასება, ზეეთნიკური სიმბოლოს – მონარქის სახით. სამხარეო დიფერენციაცია მიღებულია ეროვნული ქსოვილის გამამდიდრებლად და არა საფრთხედ, როგორც ამას ფრანკო მიიჩნევდა. ესპანური პოლიტიკური ფორმულა მოკლედ ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: ერთიანობა მრავალფეროვნებაში.[3] ამგვარი ფორმულა განსაკუთრებით

---

[1] D.Conversi ; Autonomous communities and ethnic settlement in Spain // An autonomy and ethnisity/ edited by Yash Gray; Cambridge University Press 1999, p.125

[2] J. Linz and A. Stephen... ibid. pp. 95-126

[3] D. Conversi; Autonomous communities.... p.126

კონსტიტუციის შესავალ ტექსტში გამოსჭვივის: „კონსტიტუცია ეფუძნება ესპანელი ერის განუყოფელ ერთობას, ყველა ესპანელის საყოველთაო და დაუნაწევრებელ სამშობლოს. იგი აღიარებს და რეგიონებისა და ნაციონალობების ავტონომიის გარანტიას იძლევა, რომელნიც ურთიერთსოლიდარობით უნდა შეიქმნან".[1]

ამ შემთხვევაში მთავარი ნაწილი მაინც „ესპანელი ერის" შემადგენლობაში „სხვა ნაციონალობების" მოხსენიებაა. ტერმინ „ნაციონალობის" ჩაწერის მიღწევა რთული აღმოჩნდა. პოლიტიკური სპექტრის დიდი ნაწილი ამგვარი ფორმულირების წინააღმდეგი იყო. თუმცა კატალონელი მოღვაწეებისა და კომუნისტების ძალისხმევის შედეგად მოხდა ტერმინის კონსტიტუციური აღიარება. არადა, ამგვარი პროცესი 6 თვის განმავლობაში გაგრძელდა.

ჰართლენდ კასტილიის გარდა, კიდევ ოთხი ეროვნულ-კულტურული ერთეული გამოიყო ერთიანი ესპანეთის შემადგენლობაში. ესენია: კატალონია, ბასკთა ქვეყანა, გალისია და ანდალუსია. ამათგან კატალონია და ბასკეთი განსაკუთრებული პრივილეგიებით სარგებლობენ. ამგვარი დეცენტრალიზაციის მოთავენი კი, რა თქმა უნდა, კატალონია და ბასკეთი იყვნენ. მიუხედავად რეგიონალიზმის კონსტიტუციური აღიარებისა, კონსტიტუცია არ მიუთითებს კრიტერიუმებზე, რომლის საფუძველზედაც შეიძლება შეიქმნას რეგიონული ავტონომია.[2]

კონსტიტუციის 144-ე თავი კრძალავს „ავტონომიურ ერთობათა ფედერაციას"[3], მხარეების უნიფიკაციის შესაძლებლობებს, რითაც სპობს ირედენტიზმის წარმოშობის საფრთხეს. საქმე ის იყო, რომ პანკატალონიზმი ძლიერი იყო ვალენსიასა და ბალეარის კუნძულებზე, ხოლო ბასკეთი ნავარის შემოერთებას ლამობდა. მიუხედავად ამისა, რომ რეგიონული ნაციონალიზმის მესვეურები დღემდე უკმაყოფილებას გამოთქვამენ მათი ამგვარი დანაწევრების გამო, ფაქტია, რომ იგი დღემდე ასე თუ ისე ანელებს სამხარეო ნაციონალიზმის საფრთხეს. როდესაც კონსტიტუციური პროცესი დასრულდა, ესპანეთის პოლიტიკურ რუკაზე 17 „ავტონომიური

---

[1] Constitucion Española; Madrid, 1978, articulo 2
[2] D. Conversi, ibid. P.127
[3] Constitucion Española; ibid. articulo 145

ერთობა“ წარმოიშვა, რომელთაგანაც მრავალი სრულიად ახალი წარმონაქმნი გახლდათ.

კონსტიტუცია, სახელმწიფო ენის გარდა, სხვა ენების დაცვისა და არსებობის საშუალებასაც იძლევა. იგი ნებას რთავს ლოკალური ენები გამოიყენონ მასმედიის სხვადასხვა საშუალებების საწარმოებლად. რაც მთავარია, რეგიონების ტერიტორიებზე, კასტილიურთან ერთად, ადგილობრივი ენები სახელმწიფო ენის სტატუსით სარგებლობენ. ამით ესპანეთმა უარყო ძველი ცენტრალიზმის კონცეფცია, რომლის მიხედვითაც ერთი სახელმწიფო ერთ ენას უნდა ემთხვეოდეს. ამასთანავე სახალხო სუვერენიტეტის ლიბერალური კონცეფციის ფართო გამოყენებით, ესპანეთი მაქსიმალურად შეეცადა ტერმინი „ერი“ და „ნაციონალობა“ ეთნიკურიდან სამოქალაქო საწყისებზე გადაეწყო, რაც პრინციპში შეძლო კიდეც.

როგორც კონსტიტუცია მიუთითებს, ესპანეთი არ არის ფედერალური სახელმწიფო. თუმცა მისი გახსნილი ხასიათი იძლევა შესაძლებლობას სამხარეო ავტონომიები ფედერალიზმისკენ წავიდნენ. მისი ამგვარი ღია თვისება იძლევა საშუალებას ვისაუბროთ ცენტრსა და რეგიონს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ. კონსტიტუციის ღიაობა ნიშნავს იმასაც, რომ არსებული სისტემა მთლიანად დამოკიდებულია მმართველ პოლიტიკურ პარტიაზე. კერძოდ, ზედა პალატა არ ფუნქციონირებს თანაბარი რეგიონული წარმომადგენლობის ორგანოდ, როგორც ეს კლასიკურ ფედერალიზმშია მიღებული. სალვადორ ხინერი და ლუის მორენო ესპანური კონსტიტუციის კიდევ ერთ არაფედერაციულ ხასიათზე მიანიშნებენ. კონსტიტუცია ამბობს, რომ ავტონომიური რეგიონები პროვინციებად იყოფიან, რომელნიც შუალედურნი არიან ავტონომიურ ერთობებსა და საქალაქო მუნიციპალიტეტებს შორის. შესაბამისად, ზედა პალატაში წარმომადგენლობაც სწორედ პროვინციებს ხელეწიფებათ. როგორც სოლე ტურა შენიშნავს: „ავტონომისტების მთავარ მარცხს პროვინციების კონსტიტუციური აღიარება წარმოადგენდა.“[1]

---

[1] D. Conversi.. ibid. p.130

დ. კონვერსი მიიჩნევს, რომ ტრადიციული პროვინციების ინსტიტუტების შესანარჩუნებლად შემდეგი სირთულეები არსებობს:

1. განუზომლად დიდი ბიუროკრატია;

2. ზოგიერთ ავტონომიას მხოლოდ ერთი პროვინცია გააჩნია და ამდენად ხშირად წარმომადგენელთა არჩევისას პრივილეგიურ მდგომარეობაში არიან. ზოგიერთი მათგანი კი სრულიად ახალი შექმნილია და ამიტომაც ხშირად ცენტრალიზმის პროდუქტად აღიქმება. სენატორები კი პროვინციებიდან ირჩევიან, მაშინ როცა კონსტიტუცია სენატს ტერიტორიული წარმომადგენლობის ორგანოდ აღიარებს.[1]

მაგრამ ესპანეთის წარმატებული დემოკრატიული გარდაქმნა საყოველთაო პოლიტიკურმა შერიგებამ გახადა შესაძლებელი, რომელიც მანკლოაში დაიდო და „მანკლოას პაქტის" სახელით არის ცნობილი. პაქტმა უზრუნველყო პოლიტიკური წესრიგის ლეგიტიმობა ესპანეთში. როგორც ხ. ლინცი და ა. სტეფანი აღნიშნავენ: „ეს იყო არაპოლიტიკური და არასოციალური პაქტი".[2]

აღნიშნულ პროცესში ერთ-ერთი მთავარი როლი მონარქის ინსტიტუტმაც შეასრულა, რომელიც არა მხოლოდ ფორმალურად, არამედ პრაქტიკულად იქცა ეროვნული ერთობის სიმბოლოდ. ეს განსაკუთრებით 1981 წლიდან მოხდა, როდესაც მეფემ მხარი არ დაუჭირა პოლკოვნიკ ტეხეროს მიერ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობას. ხუან-კარლოსის ამგვარმა ნაბიჯმა დიდად განაპირობა მონარქის ინსტიტუტის ლეგიტიმობის ზრდა. როგორც მიანიშნებენ ხოლმე, მონარქის ინსტიტუტმა კი არ მოახდინა ხუან-კარლოსის ლეგიტიმაცია, არამედ, პირიქით, „მისი უდიდებულესობა" ამგვარი მოღვაწეობის გამო აღიარეს როგორც "Pilot del Cambio" (ცვლილებათა მესაჭე).

მეფესთან ერთად, გადამწყვეტი როლი პრემიერ-მინისტრმა სუარესმაც შეასრულა, რომლის მიერ განხორციელებული მოლაპარაკებები და პოლიტიკური რეფორმები ეკონომიკური რეფორმების საფუძვლად იქცა.[3]

---

[1] D. Conversi. Ibid. p.132

[2] J. Linz and A. Stephen... p.89

[3] Ibid, p. 89

ამგვარად, ესპანეთმა სამოქალაქო შერიგების გზით წარმატებით მოახდინა დემოკრატიაზე გადასვლა. რაც მთავარია, ესპანეთმა სახელმწიფოებრიობის საკითხი ტერიტორიული დეევოლუციით მოაგვარა, რომლის საშუალებითაც შეძლო ხელისუფლების ლეგიტიმაცია რეკრუტირებული პოლიტიკური წესრიგის ჩარჩოებში.[1]

და კიდევ ერთი. მიუხედავად იმისა, რომ ბასკეთში დღესაც მოქმედებს ეტა, რომელიც საფრთხეს უქმნის ქვეყნის უსაფრთხოებას, ესპანეთმა შეძლო „ავტონომიათა სახელმწიფოს" საზღვრების შენარჩუნება, რომელშიც დიდი წვლილი ევროგაერთიანებაში მისმა ინტეგრაციამ და „რეგიონთა ევროპის" საერთო ევროპულმა კონცეფციამაც შეიტანა. მაგრამ ამჯერად ეს უკვე საუბრის სხვა თემაა და ჩვენი მსჯელობის საზღვრებს სცილდება.

დასკვნა

როგორც ვნახეთ, ესპანეთმა წარმატებული რეგიონალიზმისა და ერის, როგორც პოლიტიკურ-კულტურული ერთობის აგების საკუთარი, ფრიად ორიგინალური მოდელი აირჩია, რომლითაც შეძლო კიდეც წარმატებული დემოკრატიზაცია და სხვადასხვა ეთნოკულტურულ სეგმენტთა ერთ პოლიტიკურ სივრცეში გაერთიანება. თუმცაღა, ამისათვის მას ერთობ დიდი ძალისხმევა დასჭირდა. ამგვარი პროცესით მან სათავე დაუდო უნიტარული და ფედერაციული სისტემების შეხამების საინტერესო პოლიტიკურ პროექტსა და ერის იმგვარ კონცეფციას, რომელსაც პირობითად „ინტეგრაციული" შეგვიძლია ვუწოდოთ. ეს არის რთული, მაგრამ „მუშა" პროექტი, რომელიც ითვალისწინებს „ერის" ეთნიკურ და სამოქალაქო მიდგომათა შერწყმას, რომელშიც სამოქალაქო მიდგომა დომინანტობს. ეს არის მოდელი, რომელიც გზას უხსნის შემდგომ სრულყოფილ ფედერალიზაციას, თუკი გაჩნდება ამის საჭიროება.

საქართველოსთვის, რომელიც დემოკრატიული გარდაქმნების რთულ პროცესებს განიცდის და ახალი პოლიტიკური პროექტის ძიებაშია, ერთობ სასარგებლო იქნებოდა ესპანური გამოცდილების

[1] ibid. p.99

გათვალისწინება. ფაქტია, რომ ქვეყანა აშკარად ვერ ააშენებს ფრანგული ტიპის უნიტარიზმს. იგი მართლაცდა მკვეთრი დეცენტრალიზაციისათვის არის განწირული. მაგრამ იმისათვის, რომ თავი დააღწიოს საბჭოურ ეთნოფედერალიზმისა და ერის ეთნოკონცეფციას, მას ესაჭიროება რაიმე ახალი პოლიტიკური პროექტი.

ისიც ფაქტია, რომ ბოლომდე ვერ იქნება თავიდან აცილებული მომავალი პოლიტიკური სისტემისა და თანაცხოვრების ეთნიკური ელემენტები. მაგრამ აუცილებელია პოლიტიკა მაქსიმალურად განიწმინდოს ეთნიკური კატეგორიებისაგან. სხვა შემთხვევაში გარდუვალია ახალგაზრდა „ქართული დემოკრატიის" შემდგომი დეგრადაცია, რომ აღარაფერი ვთქვათ მისი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პერსპექტივაზე.

მივიჩნევთ, რომ ერთბაშად სრულ ფედერალიზმზე გადასვლაც ვერ უზრუნველყოფს ქვეყნის შემდგომ წარმატებას. შესაძლოა, მას უკურეაქციაც კი ჰქონდეს. საქართველოში არსებულ „ფედერალიზმის სკეფსისში" მართლაც არის ჭეშმარიტების მარცვალი, რადგანაც მოსალოდნელია ერთბაშად სრულმა ფედერალიზმმა მტკიცე რეგიონული ოლიგარქიები წარმოშვას, რომელიც ნოყიერი საფუძველი იქნება მომავალი რეგიონული ურთიერთშეუთავსებლობებისთვის. ყოველი წარმატებული ფედერალიზმის წყარო ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება და სამართლებრივი სახელმწიფოა.

ამდენად, მიგვაჩნია, რომ ესპანური „ინტეგრაციონიზმი" და რეგიონალიზმი არის ერთი საუკეთესო მაგალითთაგანი, რომლის პრინციპთა გადააზრება ნამდვილად არ აწყენდა ჩვენს პოლიტიკას. ეს არის ერთგვარი „ოქროს შუალედი" სრულ ცენტრალიზმსა და სრულ დეცენტრალიზმს შორის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Бенедикт Андерсон, Воображаемые сообщества, Москва, 2001
2. Бруно Коппитерс /Политика Запада в области безопасности и грузино – абхазский конфликт/ Практика федерализма, М., 1999
3. Юрген Хаббермас, Демократия, разум, нравственность. Москва, 1995

4. Юрген Хабермас /Вовлечение другого, очерки политической теории./ С. П.2001
5. Урс Альтерматт, Этнонационализм в Европе, Москва, 2000
6. Хосе Ортега-и-Гассет; «Бесхребетная Испания», Восстание масс Москва 2001
7. Benito Giordano and Elisa Roller // A comparison of Catalan and «Padanian» nationalism: More similarities or differences? / Journal of Southern Europe and Balkans; vol.3, number 2, 2001
8. Daniele Conversi // The Spanish federalist tradition and the 1978 Constituion / TELOS; number 112, summer
9. D.Conversi ; Autonomous communities and ethnic sattlement in Spain // An autonomy and ethnisity/ edited by Yash Gray; Cambridge University Press 1999
10. Fred A. Lopes ; Burgoisis state and rise of social-democracy in Spain // Transitions from dictatorship to democracy / New York 1990
11. Europe since 1945, Encyclopedia; Volum II K-Z, edited by Bernard Cook; New York 2001
12. The theory of Stein Rokkan; State formation, nation-building and mass politics in Europe; Comparative European politics; Edited by Peter Flora; Oxford University Press. 1999
13. J.Linz and A. Stephen/Problems of democratic transition and consolidation: Southern Europe, South America and Post-Communist Europe, John Hopkins University Press 1996
14. Enciclopedia de Historia de España; dirigida por Muigel Artola; Alianza editorial, 1996
15. Historia contemporanea de España (1808 1939); Javier Pareges (coordinador);
16. Editorial Ariel; S. A. Barcelona, 1996
17. Constitucion Española; Madrid, 1978

ჯეინ ოქრუაშვილი

საქართველოს ადგილი ახალ გეოპოლიტიკურ სივრცეში

ტერორიზმი ჩვენს თვალწინ XXI საუკუნის გლობალურ სენად იქცა. თითქმის მას შემდეგ, რაც „ცივი ომი" დასრულდა და კომუნიზმის იდეოლოგია დაემხო, გაჩნდა ახალი პრობლემა – როგორი იქნებოდა მსოფლიოს მომავალი, დემოკრატია იქცა მსოფლიო თანაცხოვრების ამოსავალ წერტილად. გამოითქვა აზრი, რომ დღეს ძალადობის გამოყენება წარსულს ჩაბარდა და დიპლომატია სწორედ ის საშუალებაა, რომლითაც მიიღწევა შეთანხმება და ზრუნვა მსოფლიო უსაფრთხოებაზე, რასაც ზეგიგანტი სახელმწიფო იღებს საკუთარ თავზე.

აშშ იყო და არის მშვიდობიანი თანაცხოვრების აქტიური ინიციატორი. მთელი მსოფლიოს ყურადღება „თავისუფალი ბაზრის" ცნებამ მიიპყრო, რომელიც უზრუნველყოფს მსოფლიო ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებასა და წინსვლას. მაგრამ დედამიწაზე, სადაც სხვადასხვა დიდი ცივილიზაციები არსებობს, შეთანხმება უფრო რთულია, განსაკუთრებით როცა ისინი განსხვავებულ კულტურებს წარმოადგენენ, როგორც ეს დასავლური და აზიური სამყაროს შემთხვევაშია.

უნდა აღინიშნოს, რომ, იაპონელი პოლიტოლოგის ფუკუიამას აზრით, „ლიბერალურ დემოკრატიას მომავალში უთუოდ გამოუჩნდება მოცილე და სერიოზული მეტოქე, რომელიც სწრაფად იკრებს ძალას და მოსალოდნელია, მისსავე მოედანზე შეებრძოლოს დემოკრატიას... ამ მეტოქეობის საფუძველი, მისი აზრით, კულტურის დონეზეა საძიებელი. ეს ყველაზე ღრმა დონეა, რომელიც მოიცავს ოჯახის სტრუქტურას, რელიგიას, მორალურ ღირებულებებს, ეთნიკურ ცნობიერებას, „მოქალაქეობრიობასა" და ისტორიულ ტრადიციებს"[1]. დაპირისპირება საუკუნეების მანძილზე ხდებოდა სხვადასხვა ცივილიზაციებს შორის და იგი, როგორც ჩანს, დღემდე გრძელდება. უთანხმოება წარმოიშობა კულტურების სხვა-

[1] კონფლიქტოლოგიის საკითხები, №2, 2001 წელი.

დასხვაობიდან გამომდინარე, რომელთა ჩვევებიც თვით ხალხის ტრადიციებიდან მიმდინარეობს. ცივილიზაციის კულტურული სხვაობა წარმოშობს მეორე მხარესთან კონფლიქტს, რაც ხშირად განსაკუთრებული აგრესიით ხასიათდება. პოლიტოლოგთა ვარაუდით, სწორედ ასეთად წარმოდგება აზიური მხარე, რომელიც დაბრკოლებას შეუქმნის დასავლურ დემოკრატიას.

„სამუელ ანთინგტონის თანახმად, ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ახალი მსოფლიოსათვის კონფლიქტების წყარო იქნება არა იდეოლოგია და ეკონომიკა როგორც მანამდე, არამედ სხვადასხვა ცივილიზაციისადმი კუთვნილება. კაცობრიობისათვის გამყოფი უმნიშვნელოვანესი საზღვრები და კონფლიქტთა უმთავრესი წყაროები განპირობებული იქნება კულტურული სხვაობით... გლობალური პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი კონფლიქტები გაიშლება ერებსა და ჯგუფებს შორის, რომლებიც სხვადასხვა ცივილიზაციებს ეკუთვნიან".[1]

ცივილიზაციები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ენით, ზნეჩვეულებებით, რომელთა სხვადასხვაობაც იწვევს მძაფრ დაპირისპირებას. რადგანაც მსოფლიო ცივილიზაციათა ბრძოლა მუდმივი თანმდევი პროცესია, იგი დროდადრო აქტიურ ფაზაში შედის, განსაკუთრებით მაშინ, როცა ევროპის ინტეგრაცია თითქმის დასრულებულად ცხადდება, სადაც დასავლეთი შეთანხმებულია და გლობალიზაციური პროცესები უფრო აქტიური ხდება. დასავლური ინტერესები კიდევ უფრო ფართოვდება და ცდილობს მთელს მსოფლიოში დემოკრატიული თანაცხოვრების დამყარებას; მსოფლიოს კულტურულ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ ინტეგრაციაზე საუბარი გაცილებით უფრო ხშირია, რასაც ემსახურება ხელოვნება და კულტურული მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროები. მაგრამ საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მსოფლიო დასახლებულია სხვადასხვა ერებით, მათ შორის არსებობს ენობრივი, კულტურული, ტრადიციული და რელიგიური განსხვავებანი, რაც წარმოშობს განსხვავებულ ცივილიზაციებს.

უნდა აღინიშნოს, რომ მათ შორის იმდენად დიდია განსხვავება, რომ მშვიდობიანი თანაცხოვრების შანსი გაცილებით

---

[1] კონფლიქტოლოგიის საკითხები, №2, 2001 წელი.

უფრო დიდია, ვიდრე ინტეგრაციაზე საუბარი. დასავლეთის ქვეყნებს უამრავი რამ აქვთ საერთო. მათ განსხვავება უფრო ნაკლები აქვთ, ვიდრე მსგავსება, ამიტომ მათი პოლიტიკის დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარება თითქმის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს, განსაკუთრებით მაშინ, როცა დემოკრატია, ადამიანის უფლებების დაცვა, თანასწორობა, კანონის უზენაესობა... მთლიანად მათ მენტალიტეტს შეეხება. აქედან გამომდინარე, ამერიკული ინიციატივა გლობალურ საკითხებში განსხვავებული ცივილიზაციებისათვის მიუღებელი აღმოჩნდა, რამაც გამოიწვია 11 სექტემბრის ტერორისტული აქტი.

მკვლევართა თვალსაზრისით, დასავლური ცივილიზაცია ყველასათვის მისაღებია. მან ფართო მასშტაბები მიიღო მსოფლიოში, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ისეთი ღირებულებები, როგორიცაა ადამიანის უფლებები, თანასწორობა, თავისუფლება, დემოკრატია, კანონის უზენაესობა, უცხოა აზიური კულტურებისათვის. მით უფრო მიუღებელია ეკლესიის გამოყოფა სახელმწიფოსაგან, რამდენადაც ეროვნება და სარწმუნოება გადაჯაჭვულია და ერთსა და იმავეს ნიშნავს. უნდა აღინიშნოს, რომ ეს საკითხი ევროპული ორიენტაციის საქართველოსათვის საჭირბოროტოა და რელიგიის შესახებ კანონის მიღების საკითხი მძაფრ დაპირისპირებას იწვევს ქვეყნის შიგნით არსებულ დაინტერესებულ ჯგუფებს შორის. მაგრამ, თუკი კავშირი ცივილიზაციებს შორის მხოლოდ ეკონომიკურ დონეზე იქნება დაყვანილი, მაშინ მსოფლიო უსაფრთხოებას გაცილებით მეტი შანსი ექნება, მაგრამ იგი, შესაძლოა, დროებითი აღმოჩნდეს და დასავლეთის მცდელობამ, თავისი ღირებულებები გაავრცელოს სხვა ცივილიზაციებში, გვიან, მაგრამ მაინც გამოიწვიოს დაპირისპირება. ასეთ შემთხვევაში მსოფლიო კონფლიქტის გამომწვევი მიზეზები, შესაძლოა, დასავლეთს დაბრალდეს. აზიური სამყაროსათვის დემოკრატიული ღირებულებების გაგება რთულია, უფრო მეტიც — მიუღებელია.

ეს არის ერთი დიდი სამყარო, რომელიც გაჯერებულია რელიგიური რწმენითა და თავისებური კულტურული ჩვევებით. ეს არც ერთ შემთხვევაში არ უთანხმდება ევროპას, განსაკუთრებით მაშინ, როცა ინტეგრაციული და გლობალური პროცესები აქ გაცილებით უფრო აქტიურად მიმდინარეობს, ვიდრე ოდესმე. ხან-

გრძლივი მცირე კონფლიქტები კი გაცილებით უფრო დიდ ძალასა და უნარს შესძენს მუსულმანურ სამყაროს დასავლეთთან გადამწყვეტი კონფლიქტისათვის, რადგან ყოველი მათი მოქმედება რელიგიური საფუძვლიდან იღებს სათავეს. ასე რომ, დასავლეთის ინიციატივა და ხანგრძლივი მუშაობა მშვიდობიანი მსოფლიო თანაცხოვრებისათვის წარმოშობს მძაფრ დაპირისპირებას და კონფლიქტს, რამაც შესაძლოა ყველაზე მშვიდობიან ქვეყნებშიც იჩინოს თავი.

ისმება კითხვა, თუ რა როლის შესრულება ეკისრება კავკასიას, კერძოდ კი საქართველოს ისეთ მსოფლიო პოლიტიკურ ვითარებაში, რომელიც წარმოადგენს „ცივილიზაციათა კონტრაქტისა და მათი შეჯახების ზონას. აქ ერთმანეთის პირისპირ დგანან მართმადიდებლური ქრისტიანობა და ისლამი, რასაც ემატება დასავლეთის ამბიციები. მის შედეგსა და გამოძახილს წარმოადგენს კავკასიური კონფლიქტები... ჰანთინგტონის თანახმად, მსოფლიოში ყველაზე სისხლისმღვრელი კონფლიქტები სწორედ ცივილიზაციათა გამყოფ მიჯნებზე წარმოიშობა...".[1]

უნდა აღინიშნოს, რომ ეს რეგიონი ასეთ პოლიტიკურ ვითარებაში საფრთხის წინაშე დგას. შესაძლოა, აქ უფრო ძლიერად განვითარდეს კულტურათა ბრძოლა. რა პერსპექტივები ელის საქართველოს ანტიტერორისტულ კამპანიაში მონაწილეობის მიღების შედეგად? როგორ შეიძლება იქნეს გამოყენებული სამხედრო მომზადება ჩვენი ეროვნული ინტერესებისათვის?

აბრეშუმის გზის აღდგენის იდეას, რომელიც მივიწყებული იყო საბჭოთა კავშირის და წითელი ჩინეთის არსებობის პერიოდში, საბჭოთა სისტემის დაშლამ რეალიზაციის შესაძლებლობები დაუბრუნა. უნდა აღინიშნოს, რომ აბრეშუმის გზის პროექტის გამოყენება სასიკეთო ეკონომიკურ წინსვლასა და განვითარებასთან ერთად შეიძლება არასწორადაც იქნეს გამოყენებული. მსოფლიოში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ამ რეგიონში გარდა ნავთობისა, ხორციელდება იარაღითა და ნარკოტიკებით ვაჭრობა, რაშიც თავისთავად ჩართული იქნება საქართველოც, რადგან სწორედ იგია ევროპისა და აზიის გეოპოლიტიკური „ელჩი", რითაც შესაძ-

---

[1] კონფლიქტოლოგიის საკითხები №2, 2001 წელი.

ლოა ნარკოტიკების სავაჭრო ცენტრად იქცეს. ეს კი ნიშნავს ინ-ტერესთა ჯგუფების დაპირისპირებას, რაც გამოიწვევს სისხლის-ღვრასა და ბინძურ გარიგებებს. ასეთ შემთხვევებში მოსახლეობა გაცილებით უფრო მეტად ზარალდება, ვიდრე ბინძურ თამაშებში მონაწილე ობიექტები. საბოლოო ჯამში კი მიღებული ნეგატიური შედეგების აღკვეთა შეუძლებელი აღმოჩნდება.

საყოველთაოდ ცნობილი პანკისის პრობლემამ კიდევ უფრო გააღრმავა ამერიკა-საქართველოს ურთიერთობები, რამაც რეგიონა-ლური უსაფრთხოების შედარებით მეტი გარანტიები შექმნა. არსე-ბობს აზრი იმისა, რომ პანკისის ხეობის პრობლემა ხელოვნურად იქნა გამუქებული, რათა ამერიკა-საქართველოს სამხედრო თანამ-შრომლობის შედეგები პრაქტიკულად იქნეს გამოყენებული საკუთა-რი ტერიტორიული უსაფრთხოების დასაცავად. ასევე შესაძლე-ბელია, იგი იქცეს ნატოს საყრდენ წერტილად კავკასიაში. ნა-თელია ისიც, რომ სტაბილურობის შექმნა, რეგიონალური უსაფ-რთხოება, ქვეყნის სამხედრო გაძლიერება ემსახურება ნავთობთან დაკავშირებულ ინტერესებს.

აშშ-ის პროგრამა ითვალისწინებს შესაძლო მომავალი საფ-რთხის აღმოფხვრასა და ამერიკის საყრდენი წერტილების გაძლიე-რებას კავკასიაში. აღსანიშნავია, რომ ანტიტერორიზმი არ გახ-ლავთ ერთადერთი მიზეზი საქართველოსა და შეერთებულ შტა-ტებს შორის ურთიერთობის განვითარებისათვის. იგი შესაძლე-ბელია აგრეთვე გამოყენებულ იქნეს დაკარგული აფხაზეთის პრობ-ლემის მოსაგვარებლად. ასე რომ, საქართველო—აშშ-ის თანამშრომ-ლობის პროგრამა გვევლინება ისეთ ურთიერთობად, რომელმაც უნ-და აწარმოოს კამპანიები არა მარტო პანკისის ხეობაში, არამედ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემების გადასაწყვეტადაც, კერძოდ კი, საქართველოს ნატოსთან კავშირის უზრუნველსაყოფად და ბაკო-ჯეიხანის ნავთობსადენის რეალიზაციისათვის.

ცხადია ისიც, რომ პანკისის ხეობის პრობლემის გადაწყვეტა და ზოგიერთი დამნაშავის განდევნა ტერიტორიიდან ან მათი ლიკ-ვიდირება არ ნიშნავს მსოფლიო ტერორიზმის დაძლევასა და აღ-კვეთას, ასევე ტერორიზმის ხარისხის შემცირებას დედამიწაზე. ამიტომ რუსეთის მიერ საქართველოს დადანაშაულება, როგორც ტერორიზმის ხელშემწყობი ქვეყანა, არაფრის მომცემია. საყურად-

ღებია მისი ფარული ინტერესები ამ პატარა ქვეყნის მიმართ. ასე რომ, საქართველომ იმედია უკვე გააკეთა თავისი არჩევანი — დასავლეთთან თანამშრომლობა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს უფრო მართებულია, რადგან ჩრდილოელი მეზობლის აგრესია საქართველოში სულ უფრო მძაფრი ხდება და იგი არანაირ ცივილურ წესებს არ ემორჩილება.

საქართველოს უსაფრთხოების ერთადერთი გარანტი ასეთ შემთხვევაში ამერიკა, ევროპა და ნატო რჩება. რუსეთი თავისი აგრესიული ანტიქართული პოლიტიკით თვითონ იკვეთავს გზას საქართველოსა და კავკასიაში.

ეკატერინე გაბოკიძე

„შავი PR"-ტექნოლოგიების გამოყენება და მათი ნეგატიური გავლენა საარჩევნო პროცესზე

საქართველოში უკვე ათ წელზე მეტია, რაც სხვადასხვა დონის არჩევნები ტარდება. „ძალაუფლებაზე" მოთხოვნილება იმდენად დიდია, რომ კანდიდატთა რაოდენობა არათუ კლებულობს, პირიქით, იზრდება, იქმნება წინასაარჩევნო აჟიოტაჟი და ხშირად არაჯანსაღი კონკურენცია. ის ფაქტი, თუ რა სახით გადიან კანდიდატები და პოლიტიკური პარტიები საარჩევნო მარათონის ბოლოში, როგორ მოიპოვებენ გამარჯვებას, არ შეიძლება არ აღელვებდეს შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებს, საზოგადოებას, რადგან სწორედ ამ გზით არჩეულ ადამიანებზეა დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის მომავალი.

სამწუხაროდ, ჩვენში საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას მრავალგზის დაფიქსირდა „შავი" PR-ტექნოლოგიების გამოყენების ფაქტები. უნდა აღინიშნოს, რომ თავად ტერმინი პირობითია და მის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში ერთიანი ჩამოყალიბებული და აპრობირებული აზრი არ არსებობს. ზოგი მას „ბინძურ", ზოგი „ჭუჭყიან" ან „შავ" ტექნოლოგიებს უწოდებს. პირობითად „შავი" PR შეიძლება გავიაზროთ მხოლოდ ინფორმაცია, რომელიც ვრცელდება ფართო საზოგადოებრივი რეზონანსის მისაღებად, ხოლო ტექნოლოგიებს მიეკუთვნება უფრო მეტად ორგანიზაციული ღონისძიებები (მაგ. ადმინისტრაციული ტექნოლოგიები). ბუნებრივია, მათი არსებობა განსაკუთრებით მწვავედ იჩენს თავს ყოველი არჩევნების მოახლოებასთან ერთად.

საკითხის უკეთ გააზრებისათვის საჭიროა თავდაპირველად ღრმად გავერკვეთ თავად პრობლემის არსში. მართალია, საზოგადოებაში მუსირებს აზრი, „თეთრი" და „შავი" ტექნოლოგიების, „თეთრი" და „შავი" PR არსებობის შესახებ, მაგრამ, შეიძლება ითქვას, რომ „თეთრი" და „შავი" საარჩევნო ტექნოლოგიები არ არსებობს. არსებობს მხოლოდ კანონიერი და უკანონო ტექნო-

ლოგიები, უფრო მეტიც, საარჩევნო ტექნოლოგიები ყოველთვის არის კანონიერი და თეთრი, ანუ კანონით განსაზღვრული აქციები, ლონისძიებები და მოქმედებები, რომლებიც ხელს უწყობენ საარჩევნო სუბიექტებს ეფექტური საარჩევნო კამპანიის ჩატარებაში. მაგრამ, ფაქტია, რომ ამ ბოლო დროს საქართველოში საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას გაფართოვდა და გახშირდა იმ მეთოდების გამოყენება, რომლებიც ეწინააღმდეგებიან კანონს და არ შეესაბამებიან საზოგადოებაში მიღებული პოლიტიკური ბრძოლის ეთიკურ ნორმებს. ანალოგიური დამოკიდებულება ფიქსირდება „შავი PR" არსებობასთან დაკავშირებითაც, რომელთა შესახებ მიანიშნებს ამ სფეროში მოღვაწე არაერთი მეცნიერი და სპეციალისტი: „თუ პიარი ცნობიერებაზე მანიპულირების საშუალებაა, მაშინ „თეთრი" იქნება ის პიარი, რომელსაც კანონი არ კრძალავს, შავი კი, რომელსაც კანონი კრძალავს. ჩვენთან ჯერ ეს კანონი არ არსებობს. ამდენად, გაუგებარია „შავ" პიარზე ლაპარაკი, რამდენადაც არ არის განსაზღვრული, რა არის კანონიერი და უკანონო. გამოდის, რომ მორალური თვალსაზრისით საქართველოში მხოლოდ „შავი" პიარი მუშაობს" (გაზ. „რეზონანსი", 30 მაისი, 2002 წ.).

მართალია, აგრესია უკეთესად იყიდება, მაგრამ მსგავსი მეთოდების გავრცელება უარყოფითად აისახება ამომრჩევლებზე. საზოგადოებაში მზარდი აბსენტეზმი მკვიდრდება. მათ უჩნდებათ არჩევნების არასამართლიანობის შეგრძნება, არჩევნებში მონაწილეობას უაზროდ მიიჩნევენ მისი შედეგების წინასწარგანსაზღვრულობის გამო.

მსგავს ტექნოლოგიებს მიეკუთვნება როგორც კანონის დარღვევის, ასევე ის ფაქტები, რომლებიც ფორმალურად წინააღმდეგობაში არ მოდიან მოქმედ კანონმდებლობასთან. განსაკუთრებით ძნელია ებრძოლო სწორედ იმ ტექნოლოგიებს, რომლებიც პირდაპირ არ არღვევენ კანონს.

რაც უფრო მაღალია არჩევნების სტატუსი, მით უფრო ინტენსიურია არალეგალური მეთოდების გამოყენება.

„შავი" PR-ტექნოლოგიების გამოყენების წინაპირობად შეიძლება მივიჩნიოთ ელექტორატის სუსტი სტრუქტურიზაცია, ისეთი ფაქტები, როგორიცაა მოსახლეობის სამართლებრივი და საარჩევნო კულტურის დაბალი დონე. იმ მოქალაქეების მაღალი პროცენტი,

რომლებიც არ მონაწილეობენ არჩევნებში, იძლევა ელექტორატის ქცევის მანიპულირების ფართო შესაძლებლობებს. შესაბამისად ძლიერდება აპელაცია ელექტორატის ემოციებზე. ამიტომ ხშირად წარმატების მომტანია კანდიდატის არა პოზიტიური იმიჯის ფორმირება, არამედ ოპონენტების დისკრედიტაცია. მაგ., „კომპრომატების შეგდება“ არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე.

„შავი“ ტექნოლოგიების გავრცელებას ხელს უწყობს აგრეთვე საზოგადოებაში გაბატონებული მორალურ-ეთიკური ღირებულებებისა და ფასეულობების არსებობა. რამდენადაც დაბალია საზოგადოების მორალური დონე, იმდენად მეტია „შავი“ PR-ტექნოლოგიების. გამოყენების სიხშირე და არეალი. ჩვენში მიმდინარეობს ძველი ღირებულებებისა და ფასეულობების ნგრევა და მათი ახალი მორალით შეცვლა, რაც, გარკვეულწილად, აისახა კიდეც საარჩევნო კამპანიების ორგანიზებასა და ჩატარებაზე.

განსაკუთრებით ნეგატიური შედეგები შეიძლება მოჰყვეს იმ ფაქტს, რომ კრიმინალური კავშირებისა და კრიმინალური სტრუქტურების წარმომადგენლების ხელისუფლებაში მოხვედრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმი „შავი“ ტექნოლოგიების გამოყენება გახდა.

ფაქტია, რომ „შავი“ ტექნოლოგიების გამოყენების გამო არავინ დასჯილა, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც შესაძლებელი იყო დამნაშავეების დადგენა და გამოვლენა. შესაბამისად, კანდიდატები და მათი მხარდამჭერები, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთმა ამ ტექნოლოგიამ წარმატებები ვერ მოუტანა, მაინც განაგრძობენ მათ გამოყენებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „შავ“ PR-ტექნოლოგიებს თანამედროვე საქართველოსთან მიმართებაში თამამად შეიძლება ვუწოდოთ აქტუალური საარჩევნო ტექნოლოგიები.

„შავი“ ტექნოლოგიების წყაროდ შეიძლება მივიჩნიოთ როგორც დასავლეთის საარჩევნო კამპანიების წარმართვის, ასევე სპეცსამსახურების მოღვაწეობის გამოცდილება. თანდათანობით „შავი“ ტექნოლოგიები ადაპტაციას განიცდიან საქართველოს პირობებში. ერთ რეგიონში წარმატებით გამოყენებული „შავი“ ტექნოლოგიები სწრაფად ვრცელდება სხვა რეგიონებშიც.

პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „შავი“ ტექნოლოგიების გამოყენებას ამა თუ იმ ხარისხით ადგილი ჰქონდა ყველა დონის არჩევნებში და პრაქტიკულად საქართველოს ყველა მხარეში. არჩევნების გაყალბებაში რომ ყველა პარტია სცოდავს, სიახლეს არ წარმოადგენს, ისინი თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიან, ვის უფრო ტექნიკურად და ხარისხიანად გამოუვა საქმე.

დარღვევები ხდება საარჩევნო კამპანიების ყველა ეტაპზე: ხელმოწერების შეგროვების, კანდიდატების რეგისტრაციის, სააგიტაციო კამპანიის, ხმის მიცემის და არჩევნების შედეგების შეჯამების დროს.

„შავი“ საარჩევნო ტექნოლოგიები შეიძლება პირობითად დავყოთ 3 ჯგუფებად:

1. საყოფაცხოვრებო;
2. ადმინისტრაციული;
3. PR.

საყოფაცხოვრებო ტექნოლოგიებს მიეკუთვნება:

- ორეული კანდიდატების ჩასმა „ხმების წართმევის“ მიზნით. ეს ხორციელდება იმ კანდიდატების რიცხვის გაზრდით, რომლებსაც აქვთ მსგავსი მახასიათებლები, ჰყავთ თითქმის ერთი და იგივე ელექტორატი, ანდა არიან მოსახელე და მოგვარეც კი. უფრო მომგებიანია, რომ ორეული კანდიდატები ჩასმული იყოს სიის სათავეში.
- სატელეფონო ზარები ოპონენტების მხრიდან.
- შედარებით გავრცელებულ და პრიმიტიულ ფორმას წარმოადგენს ნეიტრალური ამომრჩეველის მოსყიდვა სხვადასხვა ფორმით. ამ მეთოდით ძირითადად პენსიონრებთან, ინვალიდებთან და ა.შ. მუშაობენ. ამომრჩევლებს ურიგებენ სასურსათო პროდუქტებს, ან სთავაზობენ უფასო სამედიცინო მომსახურებებს, უტარებენ გამოკვლევებს და ურიგებენ მედიკამენტებს.
- ხმის მიცემა ფულისთვის, როცა კანდიდატი ან შესაბამისი პოლიტიკური ძალა თითოეული ხმისათვის იხდის ფულს. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ რუსთავში განმეორებითი მაჟორიტარული არჩევნების კანდიდატის მ. ომანიძის განცხადება, რომლითაც იგი რ. მგალობლიშვილს ადანაშაულებს საუბნო კომისიების თავმჯდომარეების მოსყიდვაში –

300-300$ თითო უბნის თავმჯდომარეს. „საოლქო კომისიაში ვისაც რამდენი ხმა სჭირდება, იმდენი დაუწერეს, ვინ რამდენი გადაიხადა იმის მიხედვით" (გაზ. „ახალი თაობა", №336, 6 დეკემბერი, 2002 წ.).

სამწუხაროდ, კანონში არსებული „თეთრი ლაქები" იძლევა იმის საშუალებას, რომ ამორალურმა ადამიანებმა ეს ხარვეზები თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენონ, რის დადასტურებად შეიძლება მივიჩნიოთ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს ქ. ფოთში და ქ. ქუთაისში დაფიქსირებული გაყალბების მექანიზმები: „ხმის დათვლას სპეციალურად აჭიანურებდნენ, ამასობაში მიმდინარეობდა მოლაპარაკებები თანხების ოდენობაზე, თუ ქუთაისში ლარებში ვაჭრობდნენ, ფოთში დოლარებზე გადავიდნენ. დროს წელავდნენ, რათა ხალხს გასაჩივრების უფლება დაეკარგათ". შემოწმების შედეგად, გამოვლინდა ფაქტები, მაგ., ფოთში კანდიდატების უმრავლესობას მოპარული ჰქონდა ხმები, მაგრამ დღევანდელი კანონმდებლობის თანახმად, თუ ეს ცვლილება გავლენას არ ახდენს შედეგებზე, ვერ ვიტყვით, რომ პიროვნება უკანონოდ არის არჩეული (გაზ. „ალია", №118, 3-4 ოქტომბერი, 2002 წ.).

- კონკურენტების პლაკატებზე დაქირავებული ჯგუფების მიერ საღებავების გადასხმა, ჩამოხევა ან სხვა პლაკატების გადაკვრა.

ადმინისტრაციული ტექნოლოგიები:

როგორც საარჩევნო კამპანიის გამოცდილებამ აჩვენა, კანონსაწინააღმდეგო მეთოდებს განსაკუთრებით ფართოდ ის კანდიდატები იყენებენ, რომლებიც სარგებლობენ სახელისუფლო რესურსებით.

ადმინისტრაციულ ტექნოლოგიებს მიეკუთვნება დარღვევები ტურების რაოდენობის, ოლქის საზღვრების, არჩევნების თარიღისა და შედეგების დამტკიცების წესის დადგენის დროს.

- ზოგიერთ რაიონში აღმასრულებელი ხელმძღვანელობისათვის არასასურველ კანდიდატს უარი ეთქვა რეგისტრაციაში გატარებაზე. მაგ. ბ-ნ. ა. აბაშიძის ყოფილი თანაშემწის ლ. ქიძინიძის ადვოკატის განცხადებით, მას ლ. ქიძინიძის ბათუმის მერობის კანდიდატად რეგისტრაციაში გატარებაზე საოლქო კომისიაში უარი უთხრეს იმ მოტივით, რომ უკვე რეგისტრი-

რებულია გ. აბაშიძე და იგი უალტერნატივოა (გაზ. „ალია“, №59, 18-20 მაისი, 2002 წ.).

- არაერთგზის დაფიქსირდა კანონის დარღვევა, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო მოხელეებს ეკრძალებათ წინასაარჩევნო სააგიტაციო მუშაობაში მონაწილეობის მიღება.
- მთელ რიგ რაიონში დაფიქსირდა სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფაქტები, როდესაც თანამშრომლებს პირდაპირ აიძულებდნენ ხმა მიეცათ ამა თუ იმ კანდიდატისათვის. იგი ეფექტურად მოქმედებს ხელმძღვანელზე მაქსიმალური დამოკიდებულების პირობებში.
- რეგიონებში ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები სხვადასხვა საბაბით (შედეგები წინასწარ განსაზღვრულია, არჩევნები ისედაც გაყალბებულია) ცდილობდნენ დაერწმუნებინათ ამომრჩევლები, არ მიეღოთ მონაწილეობა არჩევნებში, რათა გაყალბების მეტი საშუალება მისცემოდათ.
- არჩევნებში მონაწილეთა რიცხვის ხელოვნურად გაზრდისათვის იყენებდნენ შემდეგ ტექნოლოგიებს:

– ამომრჩეველთა სიებში საბოლოო ცვლილებების არშეტანა, ან „მკვდარი სულების“ შეტანა, რომლებიც ამ ოლქში არ ცხოვრობენ. გამეორება, მაგ., ერთი და იმავე კორპუსების შეტანა რამდენიმე საარჩევნო უბნის სიებში, რათა გაიზარდოს არჩევნებში მონაწილეთა პროცენტი. „სამართლიანი არჩევნები“ რუსთავის მთელ რიგ საარჩევნო უბნებში სიის ხელოვნურად გაზრდის ფაქტებს აფიქსირებს. მაგ., მათი განცხადებით, მე-16 საარჩევნო უბანზე 8 საათისათვის, დამკვირვებლის მონაცემებით, ამომრჩეველის რაოდენობა 100 კაცს შეადგენდა, საოლქო კომისიაში გაგზავნილი მონაცემებით, ამ უბანზე 1632 ამომრჩეველი მივიდა, რაც, რა თქმა უნდა, ხელოვნურად გაბერილი ციფრია. „სამართლიანმა არჩევნებმა“ სასამართლოში გააპროტესტა მთლიანად რუსთავის მასშტაბით არჩევნების შედეგები, სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება ამომრჩეველთა ბიულეტენების ხელახალი დათვლის შესახებ („რეზონანსი“, 5 დეკემბერი, 2000 წ.).

– ხდება აგრეთვე ყალბი მოწმობების დამზადება. მაგ., ლეიბორისტული პარტიის თავმჯდომარე შ. ნათელაშვილი ადა-

ნაშაულეას ყოფილ შინაგან საქმეთა მინისტრს კ. თარგამაძეს თავის დროზე 60000 ყალბი პირადობის მოწმობის დაბეჭდებაში („ალია“, №68, 8-10 ივნისი, 2002 წ.). ასევე საბურთალოს რაიონში მაჟორიტარული არჩევნების ჩაშლის და გაყალბების მიზეზი, სმკ თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარის ზ. ღულუნიშვილისა და მ. არეშიძის აზრით, ცსკ და პირადობის მოწმობები გახდა. მისი მონაცემებით, 300000 ყალბი პირადობის მოწმობა ყოფილა დაბეჭდილი („რეზონანსი“, 5 დეკემბერი, 2002 წ.).

- საარჩევნო სიებისა და ბიულეტენების გატაცება (მათ შორის დათვლილისაც, რათა არ მოხდეს ხელახალი გადათვლა, თუ შემაჯამებელი ოქმი გაყალბებულია). მაგ., რუსთავის გზაზე ბიულეტენების დაყაჩაღების ფაქტები.
- ხდება ხმის დათვლისას სწორად შევსებული ბიულეტენების სპეციალურად დაზიანება.
- საარჩევნო კომისიის ბეჭდის მოპარვა ან დაზიანება. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისას №59 ქ. ქუთაისის საარჩევნო ოლქის №6 და №41 უბნებზე ნამდვილად ცნობილი ბიულეტენების გადათვლისას აღმოჩნდა, რომ ბიულეტენები გაცემული იყო სამი წევრის ხელმოწერით, ნაცვლად ორი წევრის ხელმოწერისა და ბეჭდისა, რაც საარჩევნო კოდექსის უხეში დარღვევაა. №41-ე უბანზე დალუქულ პაკეტში აღმოჩნდა ბეჭედი, რომელიც არ იყო დაზიანებული, მაგრამ გაუგებარია, რატომ არ იქნა გამოყენებული. ასევე ქ. ფოთის №70 საარჩევნო ოლქის შემოწმებისას, არც ერთ უბანში არ აღმოჩნდა ბეჭედი, შტამპი და საუბნო საარჩევნო კომისიის ჟურნალები, სადაც ფიქსირდება დარღვევებთან დაკავშირებული საჩივრები.
- დარღვევები ფიქსირდება აგრეთვე საარჩევნო სიებთან დაკავშირებით. ქ. ქუთაისის №59 საარჩევნო ოლქის შედეგების ხელახალი გადამოწმებისას აღმოჩნდა, რომ საარჩევნო სიებში პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ნორმები და ხელმოწერები დარღვევითაა შესრულებული. №4 უბანზე ძირითად სიაში 471 ხელმოწერაა, აქედან მხოლოდ 6 ამომრჩეველს აქვს მითითებული კოდექსით განსაზღვრული პირადობის მოწ-

მობის ნომრები. მსგავსი დარღვევებია ასევე №73 და №17 უბნებში. ხოლო ქ. ფოთის №70 საარჩევნო ოლქის №4, №11, №17, №18, №20 და №22 უბნების გადამოწმებისას საარჩევნო სიები საერთოდ არ აღმოჩნდა. ასევე, საპარლამენტო ფრაქცია მოქ. კავშირის თავმჯდომარე ვ. ხაზარაძე აღნიშნავდა, რომ საბურთალოს რაიონში მაჟორიტარულ არჩევნებში „დანაშაულებრივი გულგრილობითა და უპასუხისმგებლობით საარჩევნო სიებში გამოტოვეს ამომრჩეველთა 30%, საპირისპიროდ, კომისიამ სიებში ათასობით მკვდარი სული შეიყვანა" („ახალი თაობა", №335, 5 დეკემბერი, 2002 წ.).

- ხმების არასწორად დათვლა და შედეგების არასწორი შეჯამება. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგების ხელახალი გადამოწმების შედეგად, ხმების გადათვლის დროს დიდი განსხვავება დაფიქსირდა უბნის შემაჯამებელ ოქმებსა და გადათვლის შედეგებს შორის, რაც „სასურველი" კანდიდატისათვის ხმების მომატებაში და „არასასურველი" კანდიდატებისათვის ხმების დაკლებაში გამოისატება. ქ. ქუთაისის №59 საარჩევნო ოლქის №5, №7, №8, №13, №15, №22, №28 და ა.შ., სულ 31 უბანზე დაკლებული თუ მომატებული ხმების რაოდენობა 1000 აღემატება. მსგავსი დარღვევები დაფიქსირდა ასევე ქ. ფოთის №70 საარჩევნო ოლქის №4, №5, №6 და №10 უბანზე.
- ზოგიერთ შემთხვევაში გაყალბება ან ამომრჩევლებზე ზემოქმედება თავად საარჩევნო კომისიის წევრებისაგან ხორციელდება. ეს შესაძლებელია განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ამომრჩევლებთან სახლში ან სამედიცინო დაწესებულებებში მიდიან ხმის მისაცემად. ამ დროს მატულობს ბიულეტენების ჩაყრა, ადგილი აქვს საარჩევნო კომისიის წევრებს შორის გარიგებებს. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ქ. ქუთაისის №59 ოლქის მთელ რიგ უბნებში (№7, №8, №10, №28, №31, №67, №87) უხეშადაა დარღვეული საარჩევნო კოდექსი, რომელიც მოითხოვს, ძირითადი და გადასატანი საარჩევნო ყუთის საკონტროლო ფურცლებს ხელს აწერდნენ პირველი ამომრჩეველი და კომისიის ყველა წევრი. ამ შემთხვევაში ხელი მოწერილი აქვთ სხვადასხვა პირებს. ამავე

ოლქის №44-ე უბანში გადასატანი უბნის სიაში შეყვანილია 323 ამომრჩეველი, რაც ასეთი ტიპის სიებისათვის ძალიან დიდი რაოდენობაა. მთავარია, რომ 272 ხელმომწერი ამომრჩევლიდან პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ნომერი არც ერთს არ უწერია, 35-ს მითითებული არა აქვს რეგისტრაციის ადგილი.

- ხშირია ადგილობრივი ადმინისტრაციის ზეწოლა, როდესაც კრძალავენ რაიონში სააგიტაციო პროდუქციის განთავსებას, ანდა ცდილობენ ჩაშალონ კანდიდატის შეხვედრები ამომრჩევლებთან, აწყობენ პროვოკაციებს. დაფიქსირდა ფაქტები, როცა „ნაციონალურ მოძრაობას“ ხელს უშლიდნენ, მაგ., ხობში, ზუგდიდში, ლანჩხუთსა და ფოთში ამომრჩევლებთან შეხვედრებს. ე.წ. ზარანდიას ჯგუფი აცხადებდა, რომ „სამეგრელოში მათ ხუშტურების გატარების საშუალებას არ მისცემდა“ („ალია“, №40, 4-5 აპრილი, 2002 წ.).
- ადმინისტრაციულ ტექნოლოგიებს მიეკუთვნება აგრეთვე „დაშინების“ ტექნოლოგიები, რომლებიც კამპანიის ყველა ეტაპზე შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამომრჩევლებისა და კანდიდატების, ასევე დამკვირვებლების მიმართ. ამომრჩევლების დაშინება მიმართულია არჩევნების ჩაშლისაკენ. ამავე მიზნით ხდება საარჩევნო კომისიის მუშაობის შეფერხება: ესაა ამომრჩევლების არშეშვება ხმის მისაცემად შენობაში, წინააღმდეგობები საარჩევნო უბნების გამოტანასთან დაკავშირებით. კონკურენტების დაშინების მიზნით, არ ერიდებიან არც ფიზიკურ შეურაცხყოფებს. რუსთავში, მ. ომანიძის მონაცემებით, კომისიის თავმჯდომარეები დამკვირვებლებს უშუალოდ ევაჭრებოდნენ ხმების ჩაყრაზე, ავიწროვებდნენ, აშანტაჟებდნენ და ემუქრებოდნენ კიდეც („ახალი თაობა“, №336, 6 დეკემბერი, 2002 წ.). „სამართლიანი არჩევნებიც“ ადასტურებს ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც რუსთავში 33-ე უბნის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ და კომისიის წევრებმა ზეწოლის, შანტაჟისა და მუქარის შედეგად სიკვდილამდე მიიყვანეს „სამართლიანი არჩევნების“ დამკვირვებელი მ. ბერიძე.
- გარკვეულწილად გაყალბების პროცესში სტამბებიც მონაწილეობენ. ყალბი ბიულეტენების დაბეჭდვისა და გავრცელების

ორი აპრობირებული მექანიზმი არსებობს. პირველი, ხდება ხელშეკრულებების დადება რომელიმე სტამბასთან და ბიულეტენების დაბეჭდვა, მაგრამ რაღაც მიზეზების გამო (უხარისხობა და ა.შ.) წყდება ხელშეკრულება და ბეჭდვის უფლებას სხვას გადასცემენ. ძველ სტამბაში დაბეჭდილი ბიულეტენები, განადგურების ნაცვლად, არჩევნების დღეს „კარუსელების" საშუალებით ცვივა ურნაში.

მეორე – სტამბებსა და პოლიტიკურ ძალებს შორის გარიგებების შედეგად შეკვეთილზე მეტი ბიულეტენები იბეჭდება, მმართველი ძალა ზედმეტ ეგზემპლარებს „კარუსელების" საშუალებით ყრის საარჩევნო ურნებში. ამის ნათელი მაგალითია 2000 წ. საპრეზიდენტო არჩევნები. კაზრეთში, საარჩევნო კომისიის ოქმის მიხედვით, საუბნო კომისიას სულ 300 ბიულეტენი მისცეს, დათვლისას კი 500 დაფიქსირდა.

1998 წ. თვითმმართველობის არჩევნებში კურიოზულ ფაქტს ჰქონდა ადგილი – ოფიციალური მონაცემებით, მარნეულში არჩევნებზე მიეიდა მოსახლეობის 104% („ალია", №64, 30-31 მაისი, 2002 წ.).

- „შავ" ტექნოლოგიას წარმოადგენს ასევე ზეწოლა სასამართლოსა და პროკურატურაზე. აღნიშვნის ღირსია, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საარჩევნო ბლოკის „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" სარჩელზე – ცსკო-ს №105/2002 განკარგულების, ანუ 2002 წ. 2 ივნისის ქ. ქუთაისის №59 საარჩევნო ოლქში არჩევნების შედეგების ბათილად ცნობის თაობაზე. ყოველგვარი დასაბუთების გარეშე უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებას და მხარი დაუჭირეს საარჩევნო კოდექსის უხეში დარღვევებით ჩატარებულ არჩევნებს.

PR-ტექნოლოგიები:

„შავ" პიარს განეკუთვნება „კომპრომატების" შეგროვება მეტოქეებზე და ხალხში მისი გავრცელება. კომპრომატებით ომი შესაძლოა ყველაზე მშვიდობიანია, მაგრამ ამავე დროს ყველაზე სახიფათოა და დაუნდობელი – ფლობდე კომპრომატს ნიშნავს ფლობდე ადამიანს.

მაკომპრომიტირებელი მასალები ჩვეულებრივ არ შეესაბამება სინამდვილეს და, როგორც წესი, ვრცელდება ანონიმურად თავად კანდიდატის ან მისი გუნდის წევრების მიერ. იგი უფრო ხშირად ხორციელდება არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე ან უშუალოდ არჩევნების დღეს, რათა კონკურენტს არ დაუტოვოს შანსი თავი იმართლოს ამომრჩეველების წინაშე. კომპრომატებში ძირითადად ცრუ ინფორმაციის გავრცელება იგულისხმება.

- განსაკუთრებით გავრცელდა კანდიდატების გაიგივება იმ პიროვნებებთან ან ჯგუფებთან, რომელთა მიმართაც საზოგადოებაში მყარი ნეგატიური დამოკიდებულება არსებობს (სექსუალური უმცირესობები, დამნაშავეთა სამყარო, ზოგიერთი რელიგიური ჯგუფები). ქართველ ნაციონალისტთა ერთობის თავმჯდომარე გ. მამალაძე მ. სააკაშვილს დაუპირისპირდა, მას ფსევდონაციონალიზმის ქურქში შეფარულ ჰომოსექსუალისტების დამხმარედ აცხადებდა. უფრო ადრე ლ. მამალაძის „ენჯეოებმა" ანტისააკაშვილისეულ კამპანიაში გამოიყენეს იგივე თემა და მ. სააკაშვილს და „თავისუფლების ინსტიტუტს" ბრალი დასდეს ჰომოსექსუალისტთა უფლებების დამცველი კანონების შექმნაშიც კი, რაც ბუნებაში არ არსებობს („ალია", №61, 23-24 მაისი, 2002 წ.).

ასევე, საბურთალოს რაიონში მაჟორიტარული არჩევნების დროს გავრცელდა პროკლამაციები: „ჩვენ, იაღოველები მხარს ვუჭერთ გ. თარგამაძეს".

- კამპანიის მსვლელობისას ფიქსირდება კონკურენტების დადანაშაულება „სამშობლოს გაყიდვაში", ქვეყნისათვის საწინააღმდეგო საქმიანობაში. კლუბ „პროფესიონალის" პრეზიდენტი გ. ფიფია „ნაციონალურ მოძრაობას" უცხო ქვეყნებთან კავშირში ადანაშაულებს და აღნიშნავს, რომ „ნაციონალური მოძრაობა" შექმნილია აშშ-სა და სხვა უცხო ქვეყნის დაზვერვის, საქართველოს არაკეთილმოსურნე წარმომადგენლების მიერ („ალია", №40, 4-5 აპრილი, 2002 წ.).
- მსგავს მასალებს მიეკუთვნება აგრეთვე
- ინფორმაციები კანდიდატების ზღაპრული სიმდიდრეების შესახებ, რომელიც ხალხის ქონების მითვისებით შეიძინეს (სასახლეების, აგარაკების სურათები).

- შეკვეთილი სტატიები, რომლებიც მოწინააღმდეგეებს მაფიასთან კავშირში ადანაშაულებენ, ასევე ბიუჯეტის თანხების ბოროტად გამოყენების შესახებ. ბ-ნ ა. აბაშიძე აქცენტს ისევ ძველ თემებზე აკეთებდა – განუხორციელებელ ტერაქტებსა და ანტიასლანურ პუბლიკაციებზე ქართულ პრესაში და აცხადებდა, რომ „თბილისურ პრესაში გამოქვეყნებული ყველა სტატია, სადაც თავად ან აჭარაა მოხსენიებული, არის შეკვეთილი და ავტონომიური რესპუბლიკის წინააღმდეგ მიმართული“ („ალია“, №29, 9-11 მარტი, 2002 წ.).
- ინფორმაცია კანდიდატების მიერ წარსულში ჩადენილი დანაშაულებების შესახებ.
- ინფორმაცია გვარის, სახელის ან ეროვნების შეცვლის შესახებ.
- ინფორმაცია კანდიდატის თითქოსდა ფსიქიკური გადახრების შესახებ.

• ხდება ასევე მოწინააღმდეგეებისაგან „მტრის ხატის“ შექმნა, რომლის დროსაც რომელიმე პოლიტიკური ძალის ხელისუფლებაში მოსვლა ნგრევასა და კორუფციასთან ასოცირდება. სოციოლოგების დაკვირვებით, მასობრივი დაძაბული ემოციური ფონის განტვირთვისათვის ხდება „მტრის ხატის“, როგორც გამაერთიანებელი ფაქტორის შექმნა. აღსანიშნავია, რომ სწორედ ეს მოდელი ეფექტურად გამოიყენა „მოქალაქეთა კავშირმა“ 1999 წ. საპარლამენტო არჩევნების დროს ბლოკ „აღორძინების“ წინააღმდეგ: „მოდის შავბნელი ძალა, რომელიც ყველაფერს მოსპობს და სამოქალაქო ომს გამოიწვევს, აღარ იქნება დემოკრატია და არც ის, „რაც ჩვენ გაგვიკეთებია“. ამ სტრატეგიამ გაამართლა და „მოქალაქეთა კავშირმა“ დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა.

პოლიტიკოსები აგრეთვე კარგად იყენებენ მოწინააღმდეგეების მხრიდან უსამართლოდ შევიწროებულის და დაჩაგრულის იმიჯს, რაც მიმართულია საკუთარი პოპულარობის ასამაღლებლად. მათ რიცხვს მიეკუთვნება:

- თავდასხმის იმიტაცია.
- ცრუ ინფორმაციის გავრცელება მუქარის შესახებ.

კანდიდატის პოპულარობის ამაღლებაზე მუშაობს აგრეთვე „შეკვეთილი" სოციოლოგიური გამოკვლევების გამოქვეყნება, მათი შედეგების გაყალბება და ა.შ.

- „შავი" პიარის ერთ-ერთ ნაირსახეობად შეიძლება გადაიქცეს არასწორად შერჩეული და არაპროფესიულად გაფორმებული სააგიტაციო ფურცლები, სარეკლამო გაზეთები და ბროშურები. აქ იგულისხმება ფერთა გამის პრობლემა, ლოზუნგის შესაბამისი ფოტოსურათების შერჩევა. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ტექსტის ყოველ ფრაზას, ლაკონიური და დასაბუთებული მესიჯების ფორმირებას. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება საპირისპირო შედეგები მივიღოთ და საკუთარ თავს „შავი" პიარი გაეუკეთოთ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის აგრესიული პოლიტიკა, რომელიც ჩვენში ამ ბოლო დროს დამკვიდრდა. მისი მიმდევრები თვლიან, რომ აგრესია კარგად იყიდება და ყველაფერზე მიდიან, რათა გააკრცელონ მოწინააღმდეგის მაკომპრომეტირებელი მასალები. თავიანთ სარეკლამო პროდუქციებში უფრო მეტ დროსა და ადგილს უთმობენ კონკურენტების დისკრედიტაციას, ვიდრე საკუთარი პოზიტიური იმიჯის შექმნას, პოლიტიკურ პლატფორმასა და სამომავლო გეგმებს, რაც ხშირად უკურეაქციას იწვევს.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ „შავი" PR-ტექნოლოგიების გამოყენება და მასთან ბრძოლა საკმაოდ რთული პრობლემაა, რადგან პრაქტიკულად საარჩევნო პროცესის ყველა სუბიექტი დაინტერესებულია მათი გამოყენებით: კანდიდატები, რომლებმაც ნებისმიერი ხერხით უნდა გაიმარჯვონ არჩევნებში, იმიჯმეიკერები და პიარის სპეციალისტები (საკმაოდ დიდი ფულის ფასად ეხმარებიან კანდიდატებს), ხალხი, რომელიც რწმენადაკარგულია და არჩევნებს მხოლოდ სანახაობრივი თვალსაზრისით ადევნებს თვალყურს და ბოლოს, ხელისუფლება, რომელიც მისთვის არასასურველ კანდიდატებს ფარულად თუ ღიად ხელს უშლის საარჩევნო კამპანიების ჩატარებაში.

მიუხედავად სირთულეებისა, საკითხის მოგვარების მიზნით, საჭიროა ღრმად ჩავწვდეთ თავად პრობლემის არსს, ფართო საზოგადოებისათვის ნათელი უნდა გახდეს „შავი" PR-ტექნოლოგიების გამოყენების ფაქტები, რათა კანდიდატებს საშუალება ჰქონ-

დეთ წარმატებით დაუპირისპირდნენ მათ. ხოლო ამომრჩეველი აღარ გახდეს მანიპულირების ობიექტი.

პრობლემა მეტად აქტუალურია. ამიტომ ეს საკითხი აუცილებლად უნდა გახდეს ფართო მსჯელობის საგანი, რათა შემდგომ არჩევნებში მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი „შავი" PR-ტექნოლოგიების გამოყენების შემთხვევები.

პრობლემის მოგვარება, ჩემი აზრით, შესაძლებელია ორი მიმართულებით: ერთი მხრივ, საჭიროა შესაბამისი კანონმდებლობის დახვეწა და, მეორე მხრივ, საზოგადოებრივი კონტროლის გამკაცრება ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე.

ახალი ქართული სახელმწიფოებრიობა და ხელისუფლების ინსტიტუტები

მას შემდეგ, რაც პირველი ადამიანები გაჩნდნენ დედამიწაზე, მათი უპირველესი მოთხოვნილება და საზრუნავი გახდა ბრძოლა გადარჩენისა და თვითშენახვისათვის. ამან აიძულა ისინი გაერთიანებულიყვნენ გვარებად და ტომებად, შემდეგ კი საზოგადოებად და სახელმწიფოდ. სწორედ მთელმა ამ ხანგრძლივმა ისტორიულმა პროცესმა წარმოშვა თანამედროვე ერები, მათ შორის ქართველი ერიც. პიროვნება — საზოგადოება — სახელმწიფო, აი, ის სამი ძირითადი კომპონენტი, რომელზეც არის დაფუძნებული ნებისმიერი ერი თანამედროვე მსოფლიოში — დაწყებული უძველესი ერებიდან და დამთავრებული ახალი, ე.წ. „ბურჟუაზიული ერებით" ამერიკის კონტინენტზე, ავსტრალიასა თუ ახალ ზელანდიაზე.

„ქართველი ერის ისტორიის" მრავალტომეულში ივანე ჯავახიშვილი დიდი მეცნიერული სიზუსტით და რუდუნებით გადმოსცემს პიროვნების, საზოგადოების და სახელმწიფოს წარმოშობის პროცესს ამ 3-4 ათასი წლის მანძილზე. თუ გლობალური პოლიტიკური გააზრებით განვაზოგადებთ მთელ ამ პროცესს, ვნახავთ, რომ ქართველი ერი მაშინ იყო თავისი მატერიალური და სულიერი სიძლიერის ზენიტში, როცა ქართული სახელმწიფო თავის სიმაღლეზე იდგა. დიდი ივანე ხაზს უსვამს, რომ ქართველ ერს ასეთი ბედნიერი დრო-ჟამი ბევრჯერ ჰქონდა, მაგრამ მათგან გამორჩეული მაინც XI-XIII საუკუნეების „ოქროვანი ხანაა", როცა დავით აღმაშენებლიდან (1089-1125), ვიდრე ლაშა-გიორგიმდე (1213-1222) საქართველო მთელ მაშინდელ მსოფლიოში ერთ-ერთი ძლიერი სახელმწიფო გახდა. დიდი ივანე აღნიშნავს, რომ მაშინდელ ქართულ სახელმწიფოს, სამხედრო-პოლიტიკურ სიძლიერესთან ერთად, თან ახლდა მაღალი კულტურა და ეკონომიკური სიძლიერეც:

„ამგვარად, ქართველი ერის განვითარებისა და დიდი წარმატებების ის საფეხური, რომელიც მან XII საუკუნეში განვლო, თა-

ნასწორი სიძლიერით არის განსახიერებული ცხოვრებისა და შემოქმედების ყოველ სფეროში — პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი წყობილება იყო, თუ სოციალური პრობლემების ძიება-გადაჭრა, ეკონომიკა იყო, თუ გონებრივი და მატერიალური კულტურა...

საქართველო... ფინანსურადაც მდიდარი ქვეყანა იყო. სპარსელი გეოგრაფის ჰამდალჰ ყაზვინის ცნობით, საქართველოს ყოველწლიური სახელმწიფო სალაროს ფულადი შემოსავალი 3750000 ოქროს მანეთს უდრიდა. ამავე ხანებში მცირე აზიის შემოსავალი — 2475000 მანეთს, არაბეთის ერაყის — 2250000 მანეთს. დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდანაც ინგლისის შემოსავალი 4000000 ოქროს ფრანკს შეადგენდა, ხოლო საფრანგეთისა 3000000 ფრანკს არ აღემატებოდა. საქართველოს შემოსავლის ზემოაღნიშნული შემოსავლის თანხა მხოლოდ ფულადი შემოსავლის ოდენობაა. ამის გარდა მას სულადად დაწესებული გადასახადების შემოსავალიც ჰქონდა".[1]

ყველაფერი ეს, მაშინდელი სახელმწიფო სტრუქტურებისა და მართვა-გამგეობის ეროვნული პრინციპების სრულყოფა-განვითარებასთან ერთად, განაპირობებდა პიროვნებისა და საზოგადოების განვითარებასაც. ქვეყანაში პიროვნება — საზოგადოება — სახელმწიფო ძლიერ და ჰარმონიულ ერთიანობას ქმნიდა. პიროვნების ქართული დეფინიციაც — „კაცი" — უმაღლეს ღირებულებას შეიცავდა, და დღევანდელი ტერმინოლოგია რომ ვიხმაროთ, სრულყოფილ და ჰარმონიულად განვითარებულ ადამიანს აღნიშნავდა. ამიტომ წერდა ილია ჭავჭავაძე, რომ „ძნელბედობამ წარახდინა ქართველთა სახელი და ქართული წეს-წყობა".[2] მისი მამხილებელი პათოსით გაჟღენთილი სატირული ნოველა — „კაცია-ადამიანი?!" სწორედ იმაზე მიგვითითებს, რომ ყველა ადამიანი ჯერ კიდევ პიროვნება არ არის. ზრდასრულობასთან ერთად, ადამიანს თუ არ გააჩნია პოზიტიური ზნეობრივი სახე და საზოგადოებრივი პოზიცია, ის პიროვნებად, კაცად არ შეიძლება ჩაითვალოს. სტატიაში — „აკაკი წერეთელი და ვეუხისტყაოსანი" — ილია ჭავჭავაძე განასხვავებს „კაცის", „კაცობის" რამდენიმე ხარისხს იმისდა მიხედვით, თუ რა მასშტაბებზე

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. II, თბ., 1983. გვ. 391-392.

[2] ილია ჭავჭავაძე, თხზ. კრებული, თბ., 1989, გვ. 215.

ვრცელდება ამა თუ იმ პიროვნების მოღვაწეობა: „ზოგადკაცი“ — ეი. საერო-საკაცობრიო მასშტაბით მოღვაწე პიროვნება, „ერისკაცი“, „თემის-კაცი“, „გვარის კაცი“, „ოჯახის კაცი“.[1]

მაშასადამე, ნამდვილი საზოგადოება და სახელმწიფო სულიერად და ფიზიკურად ძლიერი პიროვნებისაგან, ყველა რანგისა და მასშტაბის „კაცებისაგან“ უნდა შედგებოდეს, თუკი გვინდა რომ ეს საზოგადოებაც და სახელმწიფოც სტაბილურ და მუდმივად განვითარებად მთლიან ორგანიზმად ჩამოყალიბდეს. ამ მხრივ ვნახოთ, თუ როგორ შეიძლება მოცემული ერი, ვთქვათ, ქართველი ერი ჯანმრთელ და ჯანსაღ ორგანიზმად ჩამოყალიბდეს და განვითარდეს. თუ ისევ დღეისათვის გავრცობილ და დაკანონებულ დეფინიციებს მივმართავთ, „ერი“, „ხალხი“ და „საზოგადოება“ გარკვეული ნიუანსებით უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისაგან: ილია „ერს“ განიხილავდა როგორც „... ისტორიით შედუღებული ერთსულ და ერთხორც მკვიდრთა კრებულს“.[2] მეორე სტატიაში — „ოსმალოს საქართველო“ — დიდი ილია კიდევ უფრო ავითარებს და აფართოებს თავის აზრს და აღნიშნავს, რომ „ერთად ცხოვრება და ერთიანი ღვაწლის დადება“ ადამიანებს ერთიან საზოგადოებრივ ორგანიზმად აერთიანებს, რაც, ბუნებრივია, სახელმწიფოს სიძლიერესა და სიმტკიცეს, მის სტაბილურ განვითარებას უწყობს ხელს.

„ყოველი ერი თავისი ისტორიით სულდგმულობს. იგია საგანძე, საცა ერი პოულობს თავისის სულის ღონეს, თავისის სულის ბგერას, თავის ზნეობითს და გონებითს აღმატებულობას, თავის ვინაობას, თავის თვისებას. ჩვენის ფიქრით, არც ერთობა ენისა, არც ერთობა სარწმუნოებისა ისე არ შეამსჭვალებს ხოლმე ადამიანებს ერთმანეთთან როგორც ერთობა ისტორიისა (აქ, ბუნებრივია, ილია, უპირველეს ყოვლისა, ადამიანთა ერთმანეთთან თანაცხოვრებას გულისხმობს — დ. შ.). ერი, ერთის ღვაწლის დამდები, ერთს ისტორიულ ულელში ბმული, ერთად მებრძოლი, ერთსა და იმავე ჭირსა და ლხინში გამოტარებული, — ერთსულობით, ერთგულობით ძლიერია“.[3]

---

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზ. კრებული, გვ. 600.

[2] იქვე, გვ. 716.

[3] იქვე, გვ. 547.

მაშასადამე, „ერი“ — „ხალხი“ — „საზოგადოება“ ეს თავისებური ტრიადა კაცობრიობის ისტორიული განვითარებისა „ისტორიის ერთობით“, ადამიანთა და ხალხთა „ერთმანეთთან შედუღებით“ წარმოიშობა. როგორც ბუნებაში არ არსებობს ე.წ. „წმინდა ნივთიერება“ — ნებისმიერი ნივთიერება მრავალი შემადგენელი ელემენტისაგან შედგება, ასევე კაცობრიობის ისტორიაშიც, ე.წ. „წმინდა ერებს“ ვერ ვნახავთ. თითოეული ერი თავისი განვითარების მანძილზე უამრავ სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფს იერთებს. ასე წარმოიშობა მოცემული ქვეყნის ხალხი და საზოგადოება საუკუნეთა და ათასწლეულთა მანძილზე. უკანასკნელი 200-300 წლის მანძილზე ჩვენს თვალწინ მოხდა ამერიკელი ერის ასეთი ფორმირება სხვადასხვა ხალხების სახელმწიფოებრივი კონსოლიდაციის საფუძველზე და დღეს, ფაქტობრივად, ამერიკელი ერი მსოფლიო ხალხების თავისებურ ნაკრებს წარმოადგენს. ქართველი ერიც კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთში მცხოვრები სხვადასხვა ეთნოსისაგან იკრებდა თავის სასიცოცხლო ძალებს. დღესაც ეტყობა ამ დემოგრაფიული პროცესის ნაკვალევი ქართულ ტოპონომიკას და ქართულ გვარებს: ხეთა, ასურეთი, ბაღდადი, მიტარბი, გუჯარეთი, მოსული (მოსულიშვილი), არაბიძე, ბერძენიშვილი (ბერძენიძე), სპარსიაშვილი, ებრალიძე, ხიზანიშვილი, ჩერქეზიშვილი, სომხიაშვილი, თათარაშვილი (თათარიძე), თურქია, ლეკიშვილი...

ჩვენმა „ქართლის ცხოვრებამ“ არაერთი ასეთი „დემოგრაფიული ინტერვენცია“ დაგვიფიქსირა, მაგრამ თუ ქართული სახელმწიფო თავის სიმაღლეზე იდგა, ეს ოდნავადაც ვერ არყევდა მის ძირეულ ეთნო-გენეტიკურ ფესვებს. მარტო 45 ათასი ყივჩაღის გადმოსახლება რად ღირს 1118 წელს. მაგრამ მას შემდეგ 900 წელიც არ გასულა და მის ნაკვალევს ველარსად ნახავთ. ეს იმიტომ, რომ მაშინდელმა ძლიერმა ქართულმა სახელმწიფომ ეს საკმაოდ დიდი ერთჯერადი დემოგრაფიული ნაკადი უმტკივნეულოდ გადახარშა ქართველ ხალხსა და ერთიან ქართულ საზოგადოებაში. მაშასადამე, რაც უფრო ძლიერად არის „შედუღებული“ ერი, მით უფრო ძლიერია სახელმწიფო სტრუქტურები. ეს კი, თავის მხრივ, საშუალებას იძლევა დაძლეულ იქნეს ნებისმიერი დემოგრაფიული აგრესია და ამით წარმოიშვას ძლიერი და ერთიანი საზოგადოებაც. ერი — ხალხი — საზოგადოება და პიროვნება — საზოგადოება —

სახელმწიფო ისეთი თანმხვედრი ისტორიული პროცესებია, რომლებიც თანამედროვე დემოკრატიული განვითარების საფუძველთა საფუძველია. თუ ყველაფერი ეს თავის სიმაღლეზე დგას, იქ დემოკრატიული განვითარებაც უზრუნველყოფილია.

მაგრამ თუ ამ კომპონენტებიდან გვინდა, რომ გამოვყოთ მთავარი და არსებითი, ის, რა თქმა უნდა, სახელმწიფოა. როგორი ძლიერიც არ უნდა იყოს ერი, თუ საზოგადოება, ცალკეული პიროვნებანი, თუ მთელი ხალხი, თუ ძლიერი და ეფექტური სახელმწიფო სტრუქტურები არ ჩამოყალიბდა, იქ წინსვლა და განვითარება გამორიცხულია. ამიტომაა, რომ ყველა ხალხი მიისწრაფვის ძლიერი სახელმწიფოს ფორმირებისაკენ. ამიტომ შექმნეს ებრაელებმაც თავიანთი სახელმწიფო — ისრაელი 1947 წელს. გარდამავალი პერიოდის პოსტკომუნისტურ საქართველოშიც ძლიერი და ეფექტური სახელმწიფო სტრუქტურების ფორმირება დგას უპირველეს ამოცანად.

ამასთან დაკავშირებით, დღეს სულ უფრო აქტუალურად დგება სახელმწიფოს საკითხი: რა არის სახელმწიფო, მისი არსი და ძირითადი ფორმები? როგორი უნდა იყოს სახელმწიფო მმართველობის სამართლებრივი, პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პრინციპები? რა კონსტიტუციური საფუძვლები უზრუნველყოფენ სტაბილურ ეკონომიკურ განვითარებას მოცემულ სახელმწიფოში?

სახელმწიფო, როგორც მოცემული ერის (ხალხის, საზოგადოების) პოლიტიკური ორგანიზაცია, იმდენად რთული და მრავალწახნაგოვანი ფენომენია, რომ არ არსებობს ამ ცნების ყველასათვის აღიარებული და სავალდებულო დეფინიცია. რუსო მას „საზოგადოებრივ ხელშეკრულების პროდუქტად“ განსაზღვრავდა, ჰეგელი და მისი მიმდევრები — „ღვთის ნების გამოვლენად“, მარქსისტები — „კლასობრივ წარმონაქმნად“... თანამედროვე პოლიტიკაში მისი უამრავი დეფინიცია არსებობს „სამართლებრივი სახელმწიფოდან“ დაწყებული და „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოდ“ დამთავრებული. ანარქისტები მაშინაც და დღესაც საერთოდ უარყოფენ ცენტრალიზებული სახელმწიფო მართვა-გამგეობის აუცილებლობას და საზოგადოების მხოლოდ „თვითმმართველურ ასოციაციებს“ ცნობენ.

ჩვენთვის საინტერესო უნდა იყოს, როგორ იდგა ეს საკითხი ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში. პირველად ამის შესახებ ცნობებს გიორგი ბრწყინვალის ჟამთააღმწერელთან ვხვდებით. იგი სახელმწიფოს და სახელმწიფო მართვა-გამგეობას, ჰეგელის მსგავსად, „ღვთის განრიგებად" მიიჩნევდა. აღსანიშნავია, რომ მან პირველმა ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში დააყენა საკითხი „ოქროვანი ხანის" ქართული სახელმწიფოს დაცემის მიზეზთა შესახებ.[1] აქ იგი უდიდეს პრინციპულობას და მეცნიერულ ობიექტურობას იჩენს და არავის არ ინდობს, ვინც კი ძლიერი ქართული სახელმწიფოს დასუსტება-დაქვეითებასა და დაცემას შეუწყო ხელი. იგი, პირველ რიგში, ამხელს ლაშა-გიორგის, რომელმაც „... განიშორნა ვაზირნი სანატრელისა დედოფლისა და მეფისა წესითა მსწავლელნი, შეიყარნა თანამოასაკენი... მსმელნი ფრიადისა ღვინისა. ტფილისს მყოფი წარიყვანეს რინდთა თანა, რათა მუნ განიძღონ სიბილწე თვისი, ხოლო რინდნი ღვინითა უცნობქმნილნი ზედამოეტევნენ მგვემელნი ძლიერად, ვიდრემდი ერთიცა თვალი მარჯუნე ხედვისაგან უხედვო-ყვეს".[2]

ისე რომ, ჯერ კიდევ ძველ ჟამთააღმწერლებში დაინერგა ტრადიცია „ჭეშმარიტმეტყველობისა", რათა ამით სახელმწიფოს ის სენი და ნაკლოვანებანი მოშორდნენ, რომლებიც ხელს უშლიან ქვეყნის წინსვლა-განვითარებას. მაშასადამე, მათთვის „სახელმწიფო" მარტო „ხელმწიფის" სურვილებისა და ინტერესების აღმსრულებელი ინსტრუმენტი კი არაა, არამედ მთელი ერისა და საზოგადოებისა. ამიტომ იყო, რომ შემდგომში ალექსანდრე ამილახვარი მეფის არჩევითობის დაწესებას თხოულობდა, ე.ი. ხელისუფლება ავტომატურად კი არ უნდა გადასულიყო უფროს შვილზე განურჩევლად იმისა, რა ზნეობრივი და გონებრივი თვისებები ჰქონდა მას, არამედ დარბაზის სხდომაზე უნდა აერჩიათ ყველაზე ღირსეული კანდიდატი მემკვიდრეებიდან.

მას შემდეგ, რაც რუსეთმა ერთიანად მოსპო ქართული სახელმწიფოებრიობა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში, ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში სა-

---

[1] „ქართლის ცხოვრება", ილია ანთელავასა და ნოდარ შოშიაშვილის რედაქციით, თბ., 1996, გვ. 413-420.

[2] იქვე, გვ. 416.

ხელმწიფოსადმი ინტერესი კიდევ უფრო გაიზარდა. ნოსტალგია ძველი ქართული სახელმწიფოსა და „დიდებულის ოქროვანის ხანისადმი“ კიდევ უფრო მოეძალათ მაშინდელ თაობებს. ეს კარგად აისახა 1832 წლის შეთქმულთა პროგრამასა და სოლომონ დოდაშვილის „სიტყვა-მოწოდებაში“:

„ქვეყნის დაარსებითგან მამულსა ჩვენსა აქვნდა თვისი საკუთარი მდგომარეობა, აქვნდა თვისნი სჯულნი, თვისი ენა და თვისი ჩვეულება, ჰყვანდა ყოველსა დროსა საკუთარი თვისი ხელმწიფე. სახელი და მამაცობა წინაპართა ჩვენთა ყოველთვის ჰქუნდა...

ხოლო აწ ჰხედავთა დამხობასა და არარაობასა მამულისა ჩვენისასა? ჰგრძნობთა შეიწროებასა ყოვლისა კაცისასა?!“[1]

აქაც ნათლად ჩანს, რომ ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში ყველგან და ყოველთვის ერის არსებობა და განვითარება მჭიდროდ და ორგანულად უკავშირდებოდა ძლიერი სახელმწიფო ორგანიზაციის შექმნას. როგორც კი სახელმწიფო დასუსტდება, ერის მომავალიც ეჭვის ქვეშ დადგება. ქართველი ერის მომავალიც დღეს იმაზე არის დამოკიდებული, თუ რამდენად შეძლებს ჩვენი თაობა მკვიდრი საფუძველი ჩაუყაროს ქართული სახელმწიფოს ძლიერებას და სამომავლო განვითარებას. ხელისუფლების ნებისმიერი სტრუქტურა და ინსტიტუტები მხოლოდ ამ პრინციპზე შეიძლება აიგოს მკვიდრად.

---

[1] სოლომონ დოდაშვილი, თხზულებანი, თბ., 1961, გვ. 228.

მალონა ბრეგვაძე

ილია და არტურ ლაისტი ეროვნულისა და ზოგადკაცობრიულის „ბედნიერი მორიგების“ თვალთახედვით

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია: „საერთო ნიადაგის“ თეორიის ავტორისა და ეროვნული იდეოლოგიის ფუძემდებლის ყველაზე ახლო სულიერი მეგობარი და გულის მესაიდუმლე უცხო ქვეყნიდან მოსული ჟურნალისტი არტურ ლაისტი იყო. „ჩვენი აბო“ — ასე მონათლა იგი ილიამ და ეს საპატიო ზეწოდება, რომელმაც საყოველთაო აღიარება პოვა მაშინდელ ქართულ საზოგადოებაში, თავისთავად ახასიათებს არტურ ლაისტის განსაკუთრებულ დამოკიდებულებას არა მარტო ილიას პიროვნებისადმი, არამედ მთელი ჩვენი ქვეყნისადმი. ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს მისი შესანიშნავი მონოგრაფია — „საქართველოს გული“, რომელიც თავისებურ გასაღებს წარმოადგენს ილიას, როგორც პიროვნებისა და როგორც მოღვაწის, სრულყოფილი გაგებისათვის.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ლაისტის „საქართველოს გული“, ისე როგორც მისი ჟურნალისტური მემკვიდრეობა, ქართულ ისტორიოგრაფიაში სრულიად შეუსწავლელი თემაა. ვფიქრობთ, რომ ამ მემკვიდრეობის პოლიტოლოგიური კვლევა ნათელს მოჰფენს ილიალოგიასაც და XIX-XX საუკუნეების ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების განვითარების რიგი პრობლემების ახლებურ გააზრებასაც. ეს მომავლის საქმეა და, ალბათ, სადისკუსიო კლუბ „ქართული სახელმწიფოს“ მომავალ მუშაობაში მას გარკვეული და მიზანმიმართული ხასიათი მიეცემა. მით უმეტეს ქართული სახელმწიფოს მშენებლობის გარდამავალი პერიოდის ისეთ ობიექტურ პირობებში, როცა ასე აქტუალურად დგება ქართული პოლიტიკის ევროპული ორიენტაციის საკითხი, ილიასა და არტურ ლაისტის მეგობრობა და სულიერი ნათესაობა სიმბოლური ასახვაა ქართულ-ევროპული და ქართულ-გერმანული ძველი ისტორიული ტრადიციებისა. ცნობილია, რომ საქართველოში და, კერძოდ, თბილისში პირველი გერმანული დასახლება —

კოლონიები ჯერ კიდევ XVIII საუკუნიდან ჩნდება, ხოლო რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ ამ პროცესმა უკვე კანონზომიერი და ინტენსიური ხასიათი მიიღო.

არტურ ლაისტის ჩამოსახლებაც ამ პროცესის ერთ-ერთი ელემენტია, მაგრამ, ასობით და ათასობით ჩამოსახლებულთაგან განსხვავებით, იგი ორგანულად ჩაერთო ქართველი ერის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. ჩვენთვის სწორედ ამ მხრივ არის მნიშვნელოვანი არტურ ლაისტის შეხედულებათა შესწავლა და პოლიტოლოგიური ანალიზი. სანამ ამ ანალიზს შევუდგებოდეთ, ჩვენი აზრით, მკითხველისათვის საინტერესო უნდა იყოს თვითონ მისი პიროვნებაც როგორც ილია ჭავჭავაძის მემკვიდრეობის, ისე, საერთოდ, ჩვენი ქვეყნის მაშინდელი ვითარების თვალსაზრისით. ამ მხრივ არტურ ლაისტს მრავალი საინტერესო დაკვირვებანი აქვს, რომელთა გათვალისწინება ნათელს მოჰფენს ჩვენთვის საინტერესო ბევრ პრობლემას XIX-XX საუკუნეების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიიდან.

ვინ იყო იგი? რატომ ჩამოვიდა საქართველოში, რამ შეაყვარა ქართველი ხალხი, როგორ დაუმეგობრდა მას და რა მონაწილეობას იღებდა იმდროინდელი საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ვინ იყვნენ მისი მეგობრები, როგორი ურთიერთობა ჰქონდა ილია ჭავჭავაძესთან და როგორ იხსენებს იგი საქართველოში გატარებულ წლებს. აი, ის კითხვები, რომლებზედაც შევეცდებით მოკრძალებული პასუხი გავცეთ.

„საქართველო შემთხვევით, მარცხით კი არ გამიცვნია. ამ გრძნობას მცირე რამ ისტორია აქვს ჩემს აზრ-გრძნობასთან დაკავშირებული“,[1] — წერდა სიცოცხლის ბოლო წლებში არტურ ლაისტი.

ყველა მოაზროვნე ქართველისთვის ლაისტი საყვარელი პიროვნებაა, თუნდაც იმიტომ, რომ ამ კაცს შეეძლო გულწრფელი სიყვარული ქართველი ხალხის მიმართ და მისი ჭეშმარიტი მეგობარი იყო ცხოვრების ბოლომდე.

---

[1] არტურ ლაისტი, „საქართველოს გული“, მეორე გამოცემა, 1963, თბ., გვ. 286.

არტურ ლისტი დაიბადა 1852 წელს სამხრეთ სილეზიის ქალაქ ვროცლავში. იგი ორი ეროვნების კაცი — პოლონელი გერმანელი იყო, პოლონეთიც და გერმანიაც მას თავის სამშობლოდ მიაჩნდა.

ლაისტი ერთ ხანობას ვროცლავის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობდა, მაგრამ მოგვიანებით, სამართლის სწავლას პუბლიცისტური მოღვაწეობა ამჯობინა და პუბლიცისტისათვის დამახასიათებელი ცხოვრება დაიწყო — ერთი ბეჭდვითი ორგანოდან მეორეში გადადიოდა, ერთი ქალაქიდან — სხვა ქალაქში.

მრავალი ენის მცოდნე და განათლებული პუბლიცისტი მალე პირველხარისხოვანმა პოლონურმა და გერმანულმა გამოცემებმა მიიწვიეს. არტურ ლაისტი პეტერბურგულ გაზეთ „St-Peterburger Heroldc"-ში, პოლონურ „Atheneium"-სა და სახელგანთქმულ გერმანელ გაზეთ „Algemeine Zeitung"-ში თანამშრომლობდა. ბოლო დროს იგი ამ დიდი გერმანული გამოცემის მუდმივი თანამშრომელი გახდა, მას უგზავნიდა პოლონელი ხალხის კულტურული ცხოვრების მიმოხილვებს.

საქართველომ და ილიამ ისე მძაფრად იმოქმედა ლაისტზე, რომ მან საბოლოოდ დაუკავშირა თავისი ცხოვრება ერთსაც და მეორესაც. ილია მისთვის ნამდვილი პიროვნებისა და საზოგადო მოღვაწის ნიმუშად იქცა. ილიას სიკვდილმა დამთრგუნველად იმოქმედა არტურ ლაისტზე, წლების განმავლობაში მას არა დაუწერია რა. მაგრამ გავიდა დრო... ლაისტს არ შეეძლო გულხელდაკრეფილი მჯდარიყო და არ ეზრუნა ილიას სახელისთვის. მან დაიწყო ჟურნალ „განათლებაში" ილიაზე მოგონებების წერა: „საგურამოს სახლებში, დიდი ხანია, რაც სიწყნარეა და სიბნელე, მაგრამ XIX საუკუნის მეორე ნახევრის ლიტერატურასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ეს კუნჭული უდიდეს როლს თამაშობდა და მისი მდგომარეობა სამუდამოდ შეერთებულია საქართველოს ახალს გონებრივ ცხოვრებასთან"[1]. ეს სიტყვები ილიას დაბადების დღეს დაწერა მან.

---

[1] არტურ ლაისტი, „საქართველოს გული", გვ. 296.

1922 წლის 12 სექტემბერს ქართველმა მწერლებმა ილიას გარდაცვალებიდან 15 წლისთავი აღნიშნეს. ამ ფაქტმა დიდად ააღელვა და გაახარა ილიას მეგობარიც. ამ ხანებში თედო სახოკიას და ალექსანდრე აბაშელის დახმარებით გამოვიდა „საქართველოს გულის" პირველი წიგნი. ლაისტის წერილები იბეჭდებოდა ქართულ გაზეთებში: „ქართული სიტყვა", „ალიონი", „ბახტრიონი", „რუბიკონი", „ლომისი", „თემი".

იგი ღრმად სწავლობდა ქართულ სიტყვას, კარგად იცნობდა აკაკის, ვაჟას, ბარათაშვილის და სხვათა პოეზიას: „წაართვით საქართველოს აკაკი და... დარჩება ლირიკის ადგილი, რომელიც ალბათ დიდხანს ვერ შეივსება".[1] — წერდა იგი. ხოლო ვაჟას შესახებ ასეთია მისი აზრი: „მთელი თავისი სისადავით ვაჟა-ფშაველას ენა იყო მეფური და ზარადიანი, რომლითაც ორიოდე სტრიქონის უმალ, უკვე სხვა ფანტასტიკურ სამყაროში გადადიხართ"[2]... როდესაც დაიბეჭდა მეორე გამოცემა ლაისტის მიერ თარგმნილი ქართველი პოეტების თხზულებებისა, ვაჟა-ფშაველამ ევროპაში აღტაცება გამოიწვია.

არტურ ლაისტი თავის წიგნში „საქართველოს გული" ეხება „ვეფხისტყაოსნის" კულტურულ მნიშვნელობასაც. „ძველი პოეტური თხზულება „ვეფხისტყაოსანი" იცოცხლებს მარად, როგორც უკვდავი ძეგლი საქართველოს ცხოვრებისა, როგორც სარკე რუსთაველის დროინდელი ქართველების მსოფლმხედველობისა და ზნეობისა".[3] „ვეფხისტყაოსანი" მკითხველთა გასართობად კი არ შეუქმნია პოეტს, მისი დანიშნულებაა ზნეობრივად აამაღლოს საზოგადოება.

ლაისტი აქტიურად მონაწილეობდა იმდროინდელ ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. იგი სიცოცხლის ბოლომდე დაინტერესებული იყო ქართული ხელოვნების, ქართული თეატრის, დრამატურგიის, მეცნიერების, მუსიკის, საბავშვო ლიტერატურის, არქიტექტურის, ხალხური პოეზიის, ჟურნალისტიკის განვითარებით და რითაც შეეძლო ეხმარებოდა ქართველ საზოგადოებრიობას.

---

[1] არტურ ლაისტი, „საქართველოს გული", გვ. 67.
[2] იქვე, გვ. 75.
[3] იქვე, გვ. 81.

იშვიათია ადამიანი, რომელსაც ისეთი სიყვარული და პატივისცემა გამოეჩინოს და ასეთი ღვაწლი გაეწიოს სხვა ერის მიმართ, რაც გააკეთა არტურ ლაისტმა. ასეთია მისი უკანასკნელი სიტყვები საკუთარი ხელით ქართულ ენაზე დაწერილი: „მაპატიე ჩემო პატარა, სამშობლოსნაცვალო — საქართველო, თუ ჩემი მცირე ღვაწლით ღირსი არა ვარ შენს წმინდა მიწაზე დავსაფლავდე".[1] ღირსიც იყო და ღირსიც! სამუდამო სამყოფელი ქართულ მიწაზე პოვა, როდესაც 1927 წელს მოხუცებული ფილტვების ანთებით გარდაიცვალა.

შეუძლებელია ამ დიდი ადამიანის ღვაწლი და ამაგი სათანადოდ არ დააფასოს ქართველობამ.

---

[1] არტურ ლაისტი, „საქართველოს გული", გვ. 237.

საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის პრობლემა და ეროვნული მემკვიდრეობა

ორიენტაციის პრობლემა ყოველთვის მწვავედ იდგა ჩვენი ქვეყნის ისტორიულ განვითარებაში. ამას განაპირობებდა ძირითადად ორი გლობალური ფაქტორი: საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა ევრაზიურ სივრცეში და, შესაბამისად, დიდი სახელმწიფოების მისწრაფება თავისი კონტროლისათვის დაექვემდებარებინათ ეს ხელსაყრელი გეოგრაფიული სივრცე. ასე იყო პართისა თუ რომის იმპერიის დროს და ასე არის დღესაც, როცა მთელი მსოფლიოს დემოკრატიული სახეცვლილება ხდება ე.წ. „ახალი მსოფლიო წესრიგის" სახელწოდებით.

ყველაფერს ამას ივანე ჯავახიშვილი თავისებური ტერმინით აღნიშნავდა — „საქართველოს საისტორიო გეოგრაფია".[1] ამ ცნებაში იგი მარტო ქვეყნის გეოგრაფიულ გარემო-პირობებს კი არ გულისხმობდა, არამედ სწორედ ამ სტრატეგიულ გეოპოლიტიკურ მდებარეობასაც არა მარტო კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთში, არამედ მსოფლიოს ამ ორ დიდ კონტინენტებს შორისაც. მაშასადამე, საქართველოს გეოგრაფიულ მდებარეობას, უპირველეს ყოვლისა, პოლიტოლოგიური გააზრება და სათანადო დასკვნების გამოტანა სჭირდება, მით უმეტეს, დღეს, როცა მსოფლიო ჩვენს თვალწინ სულ „პატარავდება" და დედამიწაზე მცხოვრები ხალხებისა და ქვეყნებისათვის სივრცისა და გადაადგილების პრობლემა აღარ არსებობს.

ივ. ჯავახიშვილიც სწორედ იმას უსვამს ხაზს, რომ „ყველა ეპოქას თავისი გეოგრაფია აქვს". იგი აპირებდა, რომ თავისი „ქართველი ერის ისტორიის" ყველა ნაკვეთისთვის ცალკე თავად გამოეყო „საისტორიო გეოგრაფია." ეს იქნებოდა მართლაც რომ დიდმნიშვნელოვანი შენაძენი ქართული პოლიტოლოგიისათვის, მაგრამ მან ველარ მოასწრო ამ დიდი იდეის განხორციელება. მან

[1] ივ. ჯავახიშვილი, თხზ., ტ. II, თბ., 1983, გვ. 6-70.

მხოლოდ VII-XII საუკუნეების საქართველოს გეოპოლიტიკური გააზრება დაგვიტოვა — ე.ი. იმ ეპოქის, როცა კლასიკური ტიპის ქართული სახელმწიფო ჩამოყალიბდა ე.წ. „ოქროვან ხანაში". მსოფლიოს პოლიტიკური განვითარების პარალელურად ბევრი რამ შეიცვალა საქართველოს გეოპოლიტიკაში ამ თითქმის ათასი წლის მანძილზე. ამ განვითარების ეპიცენტრში თანდათანობით ევროპა დადგა, ხოლო უკანასკნელი 200 წლის მანძილზე — მასთან ერთად ამერიკაც. ისე რომ, დღეს მსოფლიო პოლიტიკის ტონისმიმცემი და მოდისდამდები ევროპა-ამერიკაა და, ბუნებრივია, ჩვენი ვალია ანგარიში გავუწიოთ ამ გეოპოლიტიკურ რეალობებს.

ჯერ კიდევ გიორგი ბრწყინვალე ჩასწვდა ევროპული ორიენტაციის ამ გადამწყვეტ მნიშვნელობას ქვეყნის სამომავლო განვითარებისათვის და რამდენიმეჯერ სცადა კიდეც რომის პაპის მეშვეობით „ევროპული ოჯახის" წევრი გამხდარიყო. მაშინდელ საქართველოში საკმაოდ ჰქონდა ფესვი მოკიდებული იმ ჰიპოთეზას, რომ სადღაც დასავლეთ ევროპაში „სხვა იბერიაც" არსებობდა და გიორგი ბრწყინვალეც ცდილობდა ამ „ნათესაური კავშირების" მოძიებასა და აღდგენას. ამის დასტურია ესპანეთის მონარქისა და რომის პაპისადმი მისი წერილები. არის ვარაუდი, რომ მათ გარდა არსებობს კიდევ სხვა წერილებიც ამ პრობლემებზე, რომელთა მოძიება და ანალიზი მომავლის საქმეა.

მაგრამ, პრაქტიკული პოლიტიკის თვალსაზრისით, „ევროპული ორიენტაციის" მთავარი გზამკვლევი და მქადაგებელი მაინც სულხან-საბა ორბელიანია. პირველმა მან სცადა ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებსა და მოაზროვნეებს შორის გადაეყვანა ჩვენი ქვეყნის მომავალი ისტორიული განვითარება ევროპულ ორბიტაზე და ამ მიზნით თვით კათოლიკობაც კი მიიღო. მეტიც, იგი იბრძოდა იმისათვის, რომ მაშინდელი საქართველო მთლიანად კათოლიკობაზე გადასულიყო. ვინ იცის, რომ დაეჯერებიათ მისთვის XVIII საუკუნის ჩვენს პოლიტიკურ ლიდერებს, შეიძლება საქართველოს განვითარება სულ სხვანაირად წარმართულიყო XIX-XX საუკუნეებში. მაგრამ ეს არ მოხდა და რუსეთმა შეძლო საქართველოს ეს „დასავლური ორიენტაცია" ჩრდილოეთისკენ შეებრუნებინა. აშკარად წერენ რუსეთის დიპლომატიის ამ მცდელობებზე XVIII საუკუნის საქართველოში მცხოვრები და მოღვაწე კათოლიკე მი-

სიონერები, განსაკუთრებით კი ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ს კარზე მოღვაწე პატრი ნიკოლა, რომელიც პირდაპირ მიუთითებს „რუსულ აგრესიაზე საქართველოში".[1]

ყველაფერი ეს, ალბათ, ცალკე კვლევის თემაა, ამჯერად კი გვინდა შეეხოთ სულხან-საბა ორბელიანის პოლიტიკურ მემკვიდრეობას ორიენტაციის პრობლემის თვალსაზრისით.

აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ქართული სახელმწიფოებრიობის პოლიტოლოგიური პრობლემების მიზნობრივი კვლევა ახალი დაწყებული საქმეა. კიდევ უფრო ნაკლები ყურადღება ექცეოდა დიპლომატიის ეროვნული მემკვიდრეობის კვლევას და მის დაკავშირებას დღევანდელობის აქტუალურ პრობლემებთან. ამიტომ არის, რომ სპეციალური გამოკვლევა მათზე ფაქტობრივად არ არსებობს და ჩვენი მთავარი ინტერესი და მიზანიც იქიდან გამომდინარეობს, რომ შევეცადოთ ასე თუ ისე შევავსოთ ეს ნაკლი და სულხან-საბა ორბელიანის მაგალითზე ვაჩვენოთ ქართული დიპლომატიის უმდიდრესი ისტორიული მემკვიდრეობა.

მაგრამ ამასთან, ისიც უნდა დავამატოთ, რომ სულხან-საბა ორბელიანზე, როგორც მოაზროვნესა და დიპლომატზე, საკმაო ლიტერატურა არსებობს, ისევე როგორც ცალკეული ისტორიული ეპოქების ქართულ დიპლომატიაზეც. აქ ჩვენ განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ ივ. ჯავახიშვილის, ნ. ბერძენიშვილის, ს. ჯანაშიას, ზ. ავალიშვილის, გ. მელიქიშვილის, რ. მეტრეველის, შ. ბადრაძის, ი. ტაბაღუას, ლ. ტუხაშვილის, ჯ. სტეფნაძის გამოკვლევები ამ მიმართებით.

აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს ქართველი სახელმწიფოებრიობის წარმოშობისა და განვითარების ზოგიერთი ის ისტორიული თავისებურება, რომლებმაც განაპირობეს საგარეო პოლიტიკისა და დიპლომატიის გადამწყვეტი როლი ქვეყნის საზოგადოებრივ-ეკონომიკურ განვითარებაში. ჩვენ მხედველობაში გვაქვს დიდ იმპერიულ გაერთიანებებთან საქართველოს დამოკიდებულების ის სამხედრო-პოლიტიკური ასპექტები, რომელთა მიზანი და დანიშნულება ქვეყნის დამოუკიდებლობის შენარჩუნება და განმტკი-

---

[1] იხ. ზაქარია ჭიჭინაძე, „ქართველ მეფეთ დროინდელი ქართველი რესპუბლიკელები", თბ., 1919, გვ. 17-18.

ცებაა. ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ბერძნულ-რომაული ხანა და საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობანი.

ქართულმა დიპლომატიამ განსაკუთრებული ძალა და ავტორიტეტი შეიძინა ე.წ. „ოქროვან ხანაში". ახლო აღმოსავლეთსა და კავკასიაში არსებული ჩვენი მაშინდელი ეკლესია-მონასტრები წარმოადგენდნენ მძლავრ დასაყრდენს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური გავლენის გასაძლიერებლად. ამავე როლს ასრულებდა საქართველოს აქტიური ჩართვა „აბრეშუმის დიდი გზის" ქვეყანათა სავაჭრო-ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობებში, რომლის აღორძინების პრობლემა სულ უფრო აქტიურად დგება დღეს.

სულხან-საბა ორბელიანის ადგილი და როლი ქართული დიპლომატიის განვითარებაში ქართულ ისტორიოგრაფიაში შედარებით ნაკლებად შესწავლილი საკითხია. როგორც ცნობილია, სულხან საბა ორბელიანმა თავისი ვიზიტები რომის პაპსა და საფრანგეთის მეფესთან აღწერა ნაშრომში – „მოგზაურობა ევროპაში". მართალია, ეს ნაშრომი, რომ იტყვიან, ძირი-ძირობამდე არის დამუშავებული, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ პოლიტოლოგიური კუთხით მისი მეცნიერული კვლევა-ძიება არ ჩატარებულა. ჩვენ მიზნად ვისახავთ ვაჩვენოთ მაშინდელი ისტორიული ეპოქის საქართველოსა და ევროპის პოლიტიკური განვითარების ძირითადი არსი და მიმართულებანი, მიზნები და ინტერესები საერთო-ევროპული და გლობალური ინტეგრაციის მიმართებით.

სულხან-საბა ორბელიანს განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის ქართული პოლიტიკისა და დიპლომატიის ახალი მიმართულებისა და პრინციპების დანერგვაში. ჩვენ აქ მხედველობაში გვაქვს ე.წ. „მრავალგანზომილებიანი ქართული პოლიტიკა" და მისი მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის სამომავლო განვითარებაში. პირველად მან გაუსვა ხაზი, რომ არ არის სწორი და გამართლებული ქვეყნის საგარეო-პოლიტიკის წარმართვა მარტოოდენ ერთი რომელიმე მიმართულებით, ვთქვათ, რუსეთის, ანდა ევროპის ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობის განვითარება. ქვეყნისათვის განსაკუთრებით მომგებიანია მეზობელ ქვეყნებთან და ცალკეულ რეგიონებთან როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის მიმართულებით ყოველმხრივი კავშირების განვითარება. პრიორიტეტების მინიჭებაზე თუ მიდგება საქმე, ალ-

ბათ, ყველაზე მეტი მნიშვნელობა მაინც კავკასიურ პოლიტიკას, მეზობელ კავკასიელ ხალხებთან ჩვენი კეთილმეზობლური ინტეგრაციული პროცესების განვითარებას უნდა მიენიჭოს.

ამ მიმართებით ფართოდ გვინდა გამოვიყენოთ ჰარვარდის უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ცენტრის ფუძემდებლისა და ხელმძღვანელის ჰენრი კისინჯერის ახლახანს გამოქვეყნებული ფუნდამენტური ნაშრომი — „დიპლომატია", რომელშიც თანამედროვე მსოფლიოს და, ამასთან, მომავალი მსოფლიო განვითარების ბრწყინვალე პოლიტოლოგიური ანალიზია მოცემული. ჩვენი ქვეყნისთვის მთავარია ჰენრი კისინჯერის იდეა „ახალი მსოფლიო წესრიგის" დამყარების აუცილებლობის შესახებ პოსტკომუნისტური ეპოქის მსოფლიოში. ამ მიმართებით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს „მშვიდობიანი კავკასიის" იდეა, რომელმაც ფართო მხარდაჭერა პოვა კავკასიის რეგიონშიც და მთელ მსოფლიოშიც.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ დღევანდელი კავკასია წარმოადგენს მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე რთულ რეგიონს, ე.წ. „ცხელ წერტილს", რომელიც უკანასკნელი წლების მანძილზე მოცულია სისხლისმღვრელი საომარი მოქმედებებით. არც ის არის საიდუმლო, რომ ამ პროცესების ინსპირატორი და სულისჩამდგმელი არის რუსეთი და მისი რეაქციული გენერალიტეტი, რომელსაც მიზნად დაუსახავს კავკასიის ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვის სისხლში ჩახშობა. ამ ნეოიმპერიული პოლიტიკის კლასიკური მაგალითია ჩეჩნეთის ომი და, საერთოდ, კავკასიაში შექმნილი დღევანდელი პოლიტიკური ვითარება, რომელიც ახალი კავკასიური ომის დიდ საფრთხეს შეიცავს. იგივე შეიძლება ითქვას აფხაზეთზე, სამაჩაბლოზე და სამცხე-ჯავახეთზე.

შორენა ხოტივრიშვილი

კონფლიქტები, მათი დარეგულირების გზები და საშუალებები
(ჯავახეთის მაგალითზე)

პოლიტიკური მდგომარეობის ცვალებასთან ერთად ხშირად ხდებოდა მეზობელი თუ შორეული ქვეყნებიდან საქართველოში ცალკეული ეთნიკური ჯგუფის გადმოსახლება, ეს ბუნებრივია, თავის გავლენას ახდენდა ქვეყანაში საზოგადოებრივი განვითარების ობიექტურ პროცესებზე.

მრავალეროვნულ ქვეყანაში ერთა შორის ურთიერთობა ეროვნული პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ეს კიდევ უფრო პრობლემატურია გარდამავალ პერიოდში, როდესაც ეთნოპოლიტიკური დაძაბულობა დემოკრატიული ნორმების განმტკიცების ერთ-ერთ დამბრკოლებელ მიზეზად იქცა, რაც ხელს უშლის სამოქალაქო საზოგადოებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას.

გარდამავალ პერიოდში სახელმწიფოში მომხდარი კარდინალური ცვლილებები იწვევს რთულ, წინააღმდეგობით სავსე სოციალურ პოლიტიკურ პროცესებს, რომელიც თავისებურად აისახება სასაზღვრო ზოლის კომპაქტურად დასახლებულ პოლიეთნიკურ საზოგადოებაში და იჩენს თავს როგორც შიდაჯგუფური, ასევე ჯგუფთა შორის წინააღმდეგობები.

თუ ასეთი რეგიონების უსაფრთხოება თავად სახელმწიფოს მიერ არ იქნება სწორი, შესაბამისი პოლიტიკით უზრუნველყოფილი, შესაძლებელია, სრულიად მშვიდ რეგიონში სეპარატისტული მოძრაობა დაიწყოს. ამიტომ საქართველოს საზღვრისპირა ტერიტორიების და იქ მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების ისტორიულ-ეთნოგრაფიული და ფსიქოლოგიური შესწავლა გადაუდებელი ამოცანაა. შესაძლებელია აქ სეპარაცია მოხდეს არა მარტო ეთნიკურობის ნიადაგზე, არამედ კულტურის, რელიგიის, ენისა და პო-

ლიტიკის სფეროში შეუთავსებლობის გამო, რომლის ლეგიტიმიზაცია ხშირად „ეთნიკურობის“ ნიშნის ქვეშ მიმდინარეობს.[1]

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გარკვეულ ისტორიულ პერიოდში საქართველოში ცალკეული ეთნიკური ჯგუფების გადმოსახლება ხდებოდა, მაგალითად, სომხების და დუხობორების გადმოსახლება ჯავახეთის მაღალმთიან რეგიონში. საქართველოში მოსახლე უმცირესობათა შორის უპირველესი ადგილი მიეკუთვნება ჩვენ უახლოეს მეზობელ სომხებს. მოსახლეობის აღწერის ბოლოდროინდელი მასალის მიხედვით, დღესაც რესპუბლიკაში, სხვა არაქართველ ეროვნებებთან შედარებით, ისინი რაოდენობრივად პირველ ადგილზე არიან და მოსახლეობის 9%-ს შეადგენენ (448 ათასს 5142 ათასიდან).[2] ეს თანაფარდობა, შეიძლება ითქვას, განსაზღვრული აზრით, ისტორიული კანონზომიერებებითაც არის განპირობებული. სომხეთი საქართველოს უძველესი და უახლოესი მეზობელი იყო სამხრეთიდან, რომელიც პირველი ხვდებოდა ამიერკავკასიისაკენ წამოსულ მტერს, ამის გამო საქართველო ბუნებრივი თავშესაფარი ხდებოდა სომხებისათვის ყოველი განცდილი მარცხის შემდეგ. მაგრამ არ შეიძლება მარტო ეს ყოფილიყო საქართველოში სომხების გადმოსახლების მიზეზი. სომხები დიდი ტრადიციების და მდიდარი ქრისტიანული ცივილიზაციის ქვეყანა იყო, რომელსაც მრავალმხრივი ურთიერთობა აკავშირებდა საქართველოსთან. ამავდროულად საქართველოც და სომხეთიც ამიერკავკასიაში ჰეგემონობისა და ამ რეგიონის ხალხთა გამაერთიანებლის პრეტენზიებით გამოდიოდნენ, რაც არცთუ იშვიათად იწვევდა მათ შორის პოლიტიკური საზღვრების გადანაცვლებას, რომელიც ზოგჯერ ჭოროხისა და მტკვრის ხეობებიდან არაქსის ხეობამდე მერყეობდა. საქართველოსა და სომხეთის ბუნებრივ-ისტორიული საზღვრების შეცვლას თან სდევდა შესაბამისი მიგრაციული პროცესები, რომლებიც გავლენას ახდენდნენ მეზობელი ქვეყნების ეთნიკურ შემადგენლობაზე.

---

[1] ლ. მელიქიშვილი, ტრადიციული კულტურის როლი ახალი საზოგადოების ჩამოყალიბებაში, თბ., 2001, გვ. 3.

[2] ლ. ზურაბიშვილი, ეროვნებათაშორისი ურთიერთობების ტრადიციები საქართველოში, თბ., 1989, გვ. 6.

ჯავახეთში სომეხთა ყველაზე დიდი ტალღა 1820-30 წლებში რუსეთ-თურქეთის ადრიანოპოლისის ზავის შედეგად შემოვიდა. სომხების გადმოსახლება კარგად იყო ორგანიზებული. გათვალისწინებული იყო მიგრაციის თითქმის ყველა პირობა. რუსეთის მთავრობამ სომეხთა ჩამოსახლების დროს გაითვალისწინა ახალ გარემო პირობებთან მათი შეგუების ყველა ფაქტორი.[1]

არანაკლები და, შეიძლება ითქვას, მთავარი და მნიშვნელოვანი ადგილი მიკრორეგიონის მოსახლეობაში დუხობორებს უჭირავს. კავკასიაში, კერძოდ ჯავახეთში, დუხობორების ჩამოსახლება დაიწყო ტამბოვის, ზაპოროჟიეს და სხვა გუბერნიებიდან რუსეთის იმპერატორის 1837 წლის ბრძანების საფუძველზე 1841 წლიდან და რამდენიმე წელი გრძელდებოდა. სტატისტიკური მონაცემებით, 1845 წლისათვის ჯავახეთში 2873 სული დუხობორი ირიცხებოდა, ხოლო XIX ს-ის 50-იანი წლებისთვის – 4097 სული.[2]

დუხობორთა დასახლებისათვის შეირჩა ქართველების ძველი ნამოსახლარები თავფარავანის, მადათაფისა და მდ. ფარავნის მიმდებარე ტერიტორიებზე, სადაც მათ შექმნეს თავისი ადმინისტრაციული და ეკონომიკური ერთეული – ეთნიკური ტიპის თემური საზოგადოება „დუხობორია“.

დუხობორები (რუსები) ძირითადად გორელოვკის სასოფლო საბჭოს სოფლებში ცხოვრობდნენ.[3]

ეს მოკლე ისტორიული მიმოხილვა შემთხვევითი არ არის: როდესაც ორი ეთნიკური ჯგუფი სახლდება ერთ სოციალურ გარემოში ეთნიკური თავისებურებების გაუთვალისწინებლად, შემდგომ პერიოდში მათ კულტურათა სხვაობა იწვევს კონფლიქტურ სიტუაციას.

რეგიონში მცხოვრები ჯგუფები მიეკუთვნება ძნელად მოდერნიზებად კულტურის ტიპებს. მათ ახასიათებთ ტრადიციული ყო-

---

[1] შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი (XVII ს. შუა წლებიდან XIX ს. შუა წლებამდე), თბ., 1975, გვ. 68.

[2] Лаврентьев Л. Статистическое описание Кутаисского генерал-губернаторства, Статистическое описание губерний и областей Российской империи, 1,С-РБ, 1858, стр. 142-143.

[3] ლ. მელიქიშვილი, ტრადიციული კულტურის როლი ახალი საზოგადოების ჩამოყალიბებაში, თბ., 2001, გვ. 122.

ფის შენარჩუნებისაკენ სწრაფვა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მკვეთრად შეიცვალა დემოგრაფიული სიტუაცია. ყოველი ეთნიკური ჯგუფი (ეროვნების მიხედვით) ჩაკეტილი აღმოჩნდა თავის თავში. ამოქმედდა ყოფითი ტრადიციული მოდელის შესანარჩუნებელი ქცევის სტერეოტიპები, რამაც უფრო მეტი გაუცხოება გამოიწვია ჯგუფებს შორის. ეთნიკურ ჯგუფებს, რომლებიც პოლიეთნიკურ რეგიონში ცხოვრობენ, ახასიათებთ ერთმანეთისაგან იზოლირება, ანუ ისინი წარმოადგენენ დახურულ ჯგუფებს. ყოველი ჯგუფის იზოლაციის მიზეზად, ზოგად მახასიათებლებთან ერთად, საკუთარი ტრადიციული სისტემებიც გვევლინება, რომლებიც ხელს უწყობენ ჯგუფების განკერძოება-გაუცხოებას. ყოველ სოციუმში იზოლირების ძირითად ელემენტებად წარმოგვიდგება ეროვნულობა, რელიგია (კონფესია), ენა, ადაპტაციის უნარი და ბუნებრივი გარემო.[1]

ჯავახეთის პოლიეთნიკურ რეგიონში წარმოდგენილ ეთნიკურ ჯგუფებს, ისევე როგორც სხვა ეთნიკურ ჯგუფებს, გააჩნიათ კულტურის ინდივიდუალური აზროვნების დონე, სწორედ ეს ინდივიდუალური აზროვნება იქცა შემდგომში მათი ჯგუფური შეუთავსებლობის მიზეზი.

ჯავახეთში დუხობორების გადმოსახლება საუკუნენახევრის ისტორიას ითვლის. აღნიშნულმა ხელი შეუწყო მონოეთნიკური დუხობორული გარემოს შექმნას და ჩამოყალიბებას. სწორედ ეს იყო მიზეზი შეენარჩუნებინათ საკუთარი სახე, რწმენა და ეკონომიკური ბაზა.

აღსანიშნავია მათი ურთიერთობა ხელისუფლებასთან. ისინი ასრულებდნენ დაკისრებულ ოფიციალურ მოვალეობებს. სექტის შინაცხოვრების ადმინისტრაციულ-რელიგიური მართვა ხდებოდა დუხობორთა ტრადიციული მმართველობის ფორმების მეშვეობით. გარესამყაროსთან მათ მშვიდობიანი, კეთილმეზობლური ურთიერთობა ჰქონდათ, რაც განპირობებული იყო მათი რწმენით და იმითაც, რომ მათი განკერძოებული ცხოვრებისათვის არავის შეუშლია ხელი.[2]

---

[1] ლ. მელიქიშვილი დასახ. ნაშრ., გვ. 6.

[2] კონფლიქტური სიტუაციები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში, თბ., 1998, გვ. 154.

დუხობორების და სომხების თანაცხოვრება სრულიად განსხვავებულია 1980-90-იანი წლებიდან დღემდე. ეს არის საბჭოთა კავშირის დაშლის პერიოდი და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წლები. ეს პერიოდი ემთხვევა რუსეთის ფედერაციაში რუსთა რეპატრიაციის პროცესს არაშავმიწანიადაგიანი რეგიონების ათვისების მიზნით. აგიტაციაზე წამოგებული დუხობორთა ნაწილი ტოვებს ჯავახეთს. ამ ვითარებაში ერთმანეთს ეჯახება სამი ეთნოსის ინტერესები: დუხობორების, რომლებიც ცდილობენ შეინარჩუნონ მშობლიური „დუხობორიის" ტერიტორია (ამ ნიადაგზე ხდება გათიშვა სექტის შიგნით); ქართველების, რაც გამოიხატა ქართველების მიერ ამ რეგიონის ხელახლა ათვისებაში, ამიტომ დუხობორებისგან შესყიდული სახლები (რომლებიც შეისყიდა „ჩასახლებისა და განსახლების საადგილმამულო ფონდმა", რომელსაც შემდგომ მ. კოსტავას სახელი ეწოდა) გადაეცემათ ქართველებს, და სომხების: ესაზღვრება რა ისტორიულ სამშობლოს — სომხეთს, ისინი პრეტენზიას აცხადებენ, რომ ჯავახეთი „ისტორიულად მათი კუთვნილი რეგიონია". ამიტომ იწყება სომეხთა აქტიური ჩამოსახლება.[1] ეს სწორედ ის შემთხვევაა, როდესაც მონოეთნიკური გარემო პოლიეთნიკურად იქცა და ტერიტორიის ათვისებისთვის ბრძოლაში ინტერესთა დაპირისპირებას მოჰყვა არასამართლებრივი, არაეთიკური მომენტები.

დუხობორულმა ხელისუფლებამ გარკვეული ღონისძიებები გაატარა, რომ შეეჩერებინა სომხების გადმოსახლების პროცესი, ვინაიდან იგი საშიშროებას უქმნის დუხობორთა ცენტრს — მათი სექტის ერთობის სიმბოლოს.

ამ ღონისძიებებით შეშფოთებული სომხები იბრძვიან სამუშაოს შესანარჩუნებლად ან მისაღებად. მათ ვერ გაუცნობიერებიათ ის, რომ დუხობორული „ობშჩინის" დამოუკიდებლობას იურიდიულად დამტკიცებული უფლებები უმაგრებენ ზურგს. სომხებს კოლმეურნეობისაგან ვერ განუსხვავებიათ ახალ ვითარებაში შექმნილი ეს ფორმა. მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ ახალ საცხოვრებელ ადგილას სომხები ოფიციალურად არ არიან რეგისტირირებული.

---

[1] კონფლიქტური სიტუაციები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში, თბ., 1998, გვ. 155.

სომხები იბრძვიან მიწის, სამუშაოს, საცხოვრებელი სახლის მისაღებად. იგზავნება საჩივრები რაიონული ხელმძღვანელობის სახელზე: იზრდება უკმაყოფილება ორგანიზაცია „ჯავახკის“ მიმართ, რომელიც მათ ჩასახლებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა და აფინანსებდა კიდეც. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ორგანიზაციები ფლობდნენ სიტუაციას და ისე წარმართავდნენ ოფიციალური მმართველობის სტრუქტურებს, როგორც მათ მიაჩნდათ საჭიროდ.

ქართველთა, სომეხთა და დუხობორთა შორის დაძაბულობა დღესაც არსებობს. ყოველივე ეს მიმდინარეობს რეგიონში არსებული რთული სოციალურ-პოლიტიკური ვითარების ფონზე. მასმედია შეშფოთებით აღნიშნავდა, რომ ჯავახეთში „ქართული კანონები არ მოქმედებს“[1]. კვლავ გაძლიერდა საუბარი რეფერენდუმის ჩატარების თაობაზე ახალქალაქსა და ნინოწმინდაში ცალკე სამხარეო სტრუქტურების მოთხოვნით. რეფერენდუმის მოთავედ გამოდის ორგანიზაცია „ჯავახკი“. საქართველოში ახალი კონფლიქტების წარმოქმნით დაინტერესებული შეიძლება იყოს ის ძალები, რომელთაც არ სურთ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის განმტკიცება. ასეთი ძალები საქართველოს შიგნითაც არიან და მის გარეთაც. ამ ძალებში ზოგადად ვერც საქართველოს სომხურ მოსახლეობას ვიგულისხმებთ და ვერც მეზობელ სომხეთს. ჯავახეთში კონფლიქტის წარმოშობა კატასტროფა იქნებოდა როგორც საქართველოს სომხური მოსახლეობისათვის, ისე სომხეთის სახელმწიფოსთვისაც. გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება საქართველოსთან მათ კეთილმეზობლურ ურთიერთობებს.[2] ამიტომ სომხეთის ყოფილი პრეზიდენტი ლევონ ტერ-პეტროსიანი 1996 წ. საქართველოში ვიზიტის დროს მიუთითებდა, რომ საქართველოს მოწინააღმდეგე ყველა სომეხი უპირველესად სომეხთა მტერია და, პირიქით, სომეხთა მოწინააღმდეგე ქართველი – ქართველთა მტერი.[3] ისიც აშკარაა, რომ ქართველ-სომეხთა მტრობის გაღვივება რუსეთის

---

[1] გაზ. „ალია“, 1997 წ. 7 იანვარი; გაზ. „ახალი თაობა“, 1997 წ. 7 იანვარი; გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №13, 1997 წ. 18 იანვარი.

[2] იქვე.

[3] იქვე.

რეაქციული ძალებს აძლევს ხელს, რის მასალასაც უხვად იძლევა რუსული მასმედია: მათ ჯავახეთის პრობლემები კი არ აინტერესებთ, არამედ სამხედრო ბაზის შენარჩუნება და ნავთობსადენისათვის დაბრკოლების შექმნა თავისი გეოპოლიტიკური მიზნების მისაღწევად.[1]

ამდენად, ჯავახეთის, კერძოდ, ნინოწმინდის რაიონის, თითოეული ეთნოსის წარმომადგენლებმა უნდა გაითვალისწინონ ურთიერთდაპირისპირების მოსალოდნელი თუ არსებული შედეგები და ერთმანეთთან საერთო ენა გამონახონ.

---

[1] გაზ. „ალია", 1997 წ. 7 იანვარი; გაზ. „ახალი თაობა", 1997 წ. 7 იანვარი;, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", №13, 1997 წ. 18 იანვარი.

გოგი ცხოვრებაძე

ქართული პოლიტიკური პრესა საზღვარგარეთ

(ზოგადი მიმოხილვა)

საქართველოს ახალი და უახლესი პოლიტიკური ისტორიის შესასწავლად ფასდაუდებელ წყაროს წარმოადგენს ქართული საზღვარგარეთული პრესა, რომელიც სათავეს მე-20 საუკუნის დასაწყისში იღებს და მისი აუცილებლობა პოლიტიკურმა ფაქტორებმა განაპირობა.

ჩვენ ამჯერად ზოგადი მიმოხილვის სახით წარმოვადგენთ აღნიშნული საკითხს, ხოლო შემდეგ გამოკვლევებში კონკრეტულად შევეხებით თითოეულ მათგანს.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში, სოციალისტ-ფედერალისტთა მთავარი კომიტეტის გადაწყვეტილებით, პარიზში გამოვიდა პირველი ქართული საზღვარგარეთული გაზეთი — „საქართველო“ და მისი ფრანგული დამატება — „ლა ჟეორჟი“, რომლის საშუალებით დაიწყო საუბარი საქართველოს პოლიტიკური თავისუფლებისათვის ბრძოლის, საშუალებების, ფორმების შესახებ. გაზეთმა დღის წესრიგში დააყენა საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის მოთხოვნა, გაერთიანებისაკენ მოუწოდა საქართველოს პოლიტიკურ ძალებს. „პირველად გაიტანა და დასვა ევროპაში ქართველი ხალხის ეროვნული თავისუფლების საკითხი“ (იხ. გ. ლასხიშვილი „მემუარები“, თბ., 1992).

1910 წლის შემდეგ საქართველოდან დევნილი ეროვნულ-დემოკრატიული მიმდინარეობის ერთი ჯგუფის მიერ პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე ჟენევაში ჩამოყალიბდა საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი პეტრე სურგულაძის მეთაურობით. მან ჯერ კიდევ 1913 წლის იანვარში ლეო და გიორგი კერესელიძეებთან, ნესტორ მაღალაშვილთან ერთად გამოსცა ჟურნალი — „თავისუფალი საქართველო“, რომლის უმთავრესი იდეოლოგიური მიმართულება საქართველოს დამოუკიდებლობის პროპაგანდა იყო.

„...დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველო; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა — აი ჩვენი მიზანი“ — აცხადებდა ჟურნალი თავის პირველივე სარედაქციო წერილში.

დამკომის მეორე ბეჭდვითი ორგანო იყო „ქართული გაზეთი“, რომელიც ბერლინში გამოდიოდა 1916-1918 წლებში და იგი უპირველესად ომის დროს გერმანიაში მყოფი ქართველი ტყვეებისათვის იყო განკუთვნილი და მათი არა მარტო მხარდამჭერი და გამამხნევებელი იყო, არამედ მათში ეროვნული სულისკვეთებისა და თვითშეგნების ამაღლებას, საქართველოს დამოუკიდებლობის იდეის პროპაგანდას ეშსახურებოდა.

საქართველოს დამოუკიდებლობის (1918-21) წლებში დემოკრატიული რესპუბლიკის პრესა საკმაოდ თავისუფალი და დემოკრატიული იყო. ალბათ, ამიტომაც ქართველ პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეებს ქვეყნის გარეთ რაიმე პერიოდული გამოცემა არ ჰქონიათ. მაგრამ 1921 წლიდან, როცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა და პოლიტიკური მოღვაწეთა ელიტა იძულებული გახდა ემიგრაციაში წასულიყო, საზღვარგარეთულ გამოცემებს ფართო ყურადღება დაეთმო.

ჯერ კიდევ ემიგრაციის ზღურბლზე, 1921 წლის მარტ-აპრილში სტამბულში გამოჩნდა გაზეთი „თავისუფალი საქართველო“, რომლის პირველი ნომრები ხელნაწერის, ხოლო შემდეგ პარიზული გამოცემები ბეჭდური სახით გამოვიდა. გაზეთის უპირველესი დანიშნულება გახდა სიმართლის თქმა საქართველოში თებერვალ-მარტის მოვლენების თაობაზე.

მომდევნო 1922 წლიდან პარიზში ახალი სახელწოდების გაზეთი — „დამოუკიდებელი საქართველო“ გამოვიდა, რომელმაც გააგრძელა ის მიმართულება, რასაც წინამორბედი გაზეთი ეწეოდა, კერძოდ, საქართველოს ოკუპაციისა და ანექსიის შედეგად დაკარგული დამოუკიდებლობის აღდგენის პროპაგანდა. მასში ასევე იბეჭდებოდა მიმართვები სხვადასხვა ქვეყნის მთავრობებისადმი, საქართველოდან გაგზავნილი წერილები და პუბლიკაციები ჩვენში მიმდინარე მოვლენებზე. გაზეთი ინტერპარტიული გამოცემა იყო და თავისუფალი აზრის ყველაზე დემოკრატიულ ორგანოდ შეიძლება მივიჩნიოთ ემიგრაციაში. იგი ერთადერთი საზღვარგარეთული გამოცემაა 1925 წლამდე.

საქართველოში 1924 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ პოლიტიკურმა პარტიებმა საზღვარგარეთ თავიანთი პრესა შექმნეს. კერძოდ, სოციალ-დემოკრატებმა დააარსეს ყოველთვიური ჟურნალი — „ბრძოლა". პირველი ნომერი 1925 წლის ივლისში გამოვიდა (რედ. დავით შარაშიძე). ჟურნალს ჰქონდა რუბრიკები. 1929 წლის ნოემბრიდან „ბრძოლა" გაზეთის ფორმატის „ბრძოლის ხმად" გადაკეთდა. ხოლო 1938 წლიდან 1940 წლამდე კვლავ ჟურნალის სახით გამოდიოდა (რედ. კ. გვარჯალაძე).

პარიზში 1949 წლის თებერვლიდან გამოვიდა ქართველ სოციალ-დემოკრატთა ჟურნალი — „ჩვენი დროშა", რომლის დამაარსებელი და რედაქტორი სიკვდილამდე (1953 წლამდე) ნოე ჟორდანია იყო, ხოლო შემდეგ მიხეილ სტურუა.

ემიგრაციაში მყოფმა ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა 70-იანი წლებიდან კვლავ გაანახლეს თავიანთი პრესა. 1971 წელს აღდგა ჟურნალი — „ბრძოლის ხმა", რომლის შეწყვეტის შემდეგ განახლდა „ჩვენი დროშა", ხოლო 1988-1989 წლებში იგი უკვე ორ სერიად გამოდის. აღნიშნულ გამოცემებს სხვადასხვა დროს რედაქტორობდნენ ლევან ფალავა, ჟერონი, პრ. ინწკირველი, ხოლო 1989 წლიდან სარედაქციო კოლეგია.

ქართველმა ეროვნულ-დემოკრატებმა 1925 წელს გაზეთის — „სამშობლოსათვის" გამოცემა დაიწყეს (რედ. სპირიდონ კედია). 1929 წლიდან ვიდრე 1939 წლამდე ალ. ასათიანის რედაქტორობით გამოდის ჟურნალი — „სამშობლო", ხოლო იმავდროულად (1932 წლიდან) სპ. კედია გამოცემს გაზეთ „საქართველოს გუშაგს". 1927 წლიდან გამოდის ჟურნალი „ახალი ივერია", რომელიც ედპ-ის საზღვარგარეთული ახალგაზრდობის ორგანოა. გარდა ამისა 20-იანი წლების ბოლოსათვის რ. გაბაშვილი გამოსცემს გაზეთ „მამულიშვილს".

ქართველ ეროვნულ-დემოკრატთა გამოცემიდან უაღრესად საინტერესოა 40-იანი წლების ომისდროინდელი პოლიტიკური პრესა, რომელსაც ცალკეული პიროვნებები გამოსცემდნენ და ამა თუ იმ ჯგუფის პოლიტიკურ მრწამსს გამოხატავდა. რაც შეეხება მთავარ გამოცემას, 1949 წლიდან გამოდის ჟურნალი „ივერია" (რედ. ელისე პატარიძე), რომლის ორმოცწლიანმა ისტორიამ მრავალი საინტერესო და მრავლისმთქმელი პუბლიკაცია შემოგვინახა.

ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების ბოლოდროინდელ გამოცემათა რიგში ყურადღებას იმსახურებს ჟურნალი — „თავისუფლების ტრიბუნა“, რომლის პირველი ნომერი 1974 წელს გამოვიდა, ხოლო 1984 წლიდან ის ახალ სახელწოდებას იძენს — „გუშაგი“. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ორივე ეს გამოცემა, რომლის რედაქტორია გიორგი წერეთელი (პერეკისელი), ძირითადად ზეპარტიული გამოცემებია.

რაც შეეხება სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ემიგრანტულ პრესას, აღსანიშნავია გაზეთები „სახალხო საქმე“ და „საქართველო“, ხოლო ჟურნალები „კავკასიონი“ და „ბედი ქართლისა“ საკმაოდ დიდხანს წამყვან როლს ასრულებდნენ ქართულ ემიგრანტულ პერიოდიკაში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პირველი ქართული საზღვარგარეთული გამოცემა, რომელიც სოც. ფედერალისტებმა გასული საუკუნის ზღურბლზე პარიზში დიდ ემიგრაციამდე (1921) დააფუძნეს, აღარ გამოსულა. 1925 წლიდან მათი გაზეთია „სახალხო საქმე“ (რედაქტორი საშსონ ფირცხალავა), ხოლო 40-იანი წლებიდან „ქართველი ერი“ (რედ. ვ. ნოზაძე), რომელიც ძირითადად ქართული ეროვნული პოლიტიკისა და კულტურის ორგანო იყო.

სოც. ფედერალისტთა გამოცემებიდან უაღრესად მნიშვნელოვანია ჟურნალი — „კავკასიონი“ (რედ. ვ. ნოზაძე), რომელიც 60-იანი წლებიდან იღებს სათავეს. მართალია, ჟურნალი ძირითადად სამეცნიერო კრებულს წარმოადგენდა, მაგრამ მასში გამოქვეყნებული სამეცნიერო გამოკვლევების უმრავლესობა პოლიტიკური ხასიათისაა. მაგალითისათვის დავასახელებთ რამდენიმე მათგანს, რომელიც რედაქტორის სახელს უკავშირდება: „არგონავტებიდან სტალინამდე“, „დამოუკიდებელი საქართველოს საკითხი უცხოეთში“, „საბჭოთა ადამიანი“, „კომუნისტური რელიგია“ და მრავალი სხვა.

ზემოთ აღნიშნული ემიგრანტული გამოცემების გარდა, აღსანიშნავია „ორანტი“ — საპოლიტიკო კრებული (გამოდიოდა 30-იან წლებში), გაზეთი „საქართველოს დამოუკიდებლობა“ — უცხოეთში ქართული ეროვნულ-პოლიტიკური ცენტრების ორგანო (რედ. რ. გაბაშვილი), ჟურნალები — „მებრძოლი საქართველო“ და „ერის დიდება“ (პარიზი, 50-იანი წლები, რედ. ალ. მანველაშვილი). მიუნხენში გამოვიდა აგრეთვე რუსულენოვანი გამოცემა — „გაერთია-

ნებული კავკასია“ და ჟურნალი — „თავისუფალი საქართველოს ხმა“ (1953-57 წწ. რედ. ალ. ცომაია).

საზღვარგარეთის პოლიტიკური გამოცემებიდან, პოლიტოლოგიური თვალსაზრისით, ცალკე აღნიშვნის ღირსია პოლიტიკური ორგანო „პრო ევროპა“ და მისი რედაქტორი მარკოზ ტულუში.

ემიგრაციამდე მარკოზ ტულუში(თსუ კურსდამთავრებული, ისტორიკოსი) იყო სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ახალგაზრდული ორგანოს „მებრძოლი ხმის“ გამომცემელი.

1923 წელს მან დატოვა საქართველო. ცხოვრობდა ჯერ საფრანგეთში, შემდეგ ბელგიაში, სადაც, ნ. ჟორდანიასა და ნ. რამიშვილის რეკომენდაციით, გაიცნო გამოჩენილი ბელგიელი სოციალისტები, საქართველოს დიდი მეგობრები — ემილ ვანდერვალდე და დებრიუკერი. მათი დახმარებით მარკოზ ტულუში ბრიუსელში გადადის საცხოვრებლად. მოღვაწეობდა ისტორიულ მეცნიერებაში და მიიღო დოქტორის ხარისხი (ხელს აწერდა როგორც პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი). შემდეგ იგი ემილ ვანდერვალდეს ცნობილი ინსტიტუტის მთავარი ბიბლიოთეკარია (სოციალისტური აზროვნების ცოცხალი მუზეუმი). სწორედ აქ აქვეყნებს ის ძირითად ნაშრომებს ქართულ და ფრანგულ ენებზე.

პოლიტიკური ლიტერატურის შენაძენად ითვლება 1946 წელს ფრანგულ ენაზე ბრიუსელში გამოქვეყნებული მ. ტულუშის წიგნი — „ეროვნული პრობლემები სსრ კავშირში“, რომელსაც ბელგიურმა პრესამ თავის დროზე მაღალი შეფასება მისცა. მ. ტულუშის წერილები გაფანტულია აგრეთვე ბელგიური პრესის ფურცლებზე („ლა ნაციონ ბელჟ“, „ლე პეპლ“... და სხვა). მან ვანდერვალდეს ინსტიტუტის შეკვეთით დაწერა წიგნები „პირველმაისობა“, „საერთაშორისო მუშათა მოძრაობა“ და სხვა. ქართულ ენაზე გამოქვეყნებული ნაშრომებიდან აღსანიშნავია „ვახტანგ მეფის წერილი“, „ქართული სტამბის დაარსება არჩილ მეფის მიერ მოსკოვში“, „გ. ლესხიშვილი და სოც. ფედ. პარტია“.

მ. ტულუშმა 1950 წელს ბელგიაში დააარსა პოლიტიკური ორგანო — „პრო ევროპა“ (მარკ იბერის ფსევდონიმით). ჟურნალი თავის უმთავრეს დანიშნულებად თვლიდა ევროპის კონტინენტზე

მცხოვრებ ადამიანთა და ერთა თავისუფლებისა და უფლებათა დაცვას. ჟურნალში მან წერილების მთელი სერია მოათავსა არა მარტო საქართველოს პრობლემებისა და მისი ახლო პოლიტიკური წარსულის შესახებ, არამედ მთელი რიგი სტატიები მიუძღვნა საქართველოს შორეულ წარსულს და მისი მდიდარი კულტურის უძველეს ისტორიას. აღნიშნულმა ჟურნალმა ერთა უფლებათა დაცვის საქმეში უდავოდ დიდი წვლილი შეიტანა. თუმცა, მ. ტუღუშის სამეცნიერო პოლიტოლოგიური მოღვაწეობა ჯერ კიდევ შეუსწავლელია. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია მისი მემკვიდრეობის შესწავლა, რომელიც უდავოდ წაადგება ახლადფეხადგმულ ქართულ პოლიტიკურ სკოლას.

ერთი სიტყვით, საზღვარგარეთის ქართული პოლიტიკური პრესა თავისუფალი, დემოკრატიული აზრის გამოხატულება იყო და მას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ. ასევე მიზანშეწონილად მიგვაჩნია სალექციო კურსის წაკითხვა პოლიტოლოგიისა და სხვა სპეციალობის სტუდენტებისათვის.

დავით ლობჟანიძე

უნიტარიზმი თუ ფედერალიზმი... ქართული სახელმწიფოს სამომავლო გზა

დღეს ჩვენს საზოგადოებაში დიდ კამათსა და განსჯას იწვევს საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოვაწყოთ, რა ტერიტორიულ-ადმინისტრაციული პრინციპით უნდა ავაგოთ ქართული სახელმწიფო. გამოიკვეთა ორი ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული პოზიცია როგორც პოლიტიკურ პარტიებში, ისე მთელ ჩვენს საზოგადოებაში:

1. ალბათ, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ჩვენი პოლიტიკური ელიტისა და საზოგადოების დიდი ნაწილი „უნიტარისტები" არიან. მათ მიაჩნიათ, რომ ქვეყნის ფედერალური მოწყობა ხელს შეუწყობს სეპარატისტული განწყობილების ზრდას ცალკეულ მხარეებში, რის ისტორიულ მაგალითად ყოველთვის იშველიებენ „სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ" დაქუცმაცებულ საქართველოს, ხოლო თანამედროვე პირობებში მემკვიდრეობით გადმოცემული ავტონომიური წარმონაქმნების ცენტრიდან განდგომის აშკარად გამოკვეთილ ტენდენციას. აქედან გამომდინარე, ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ ქართული სახელმწიფო უნიტარიზმის პრინციპის გარეშე განწირულია მარცხისათვის. სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით, იგი იქნება ისეთი სუსტი ქვეყანა, რომელიც უძლური იქნება სათანადო პასუხი გასცეს შინაურ თუ გარეშე მტრებს და ამიტომ მისი სახელმწიფოებრივი არსებობა და განვითარება ყოველთვის ეჭვის ქვეშ იქნება. ქვეყნის უშიშროებას და სტაბილურ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ განვითარებას მხოლოდ უნიტარიზმი და მასზე დაფუძნებული ქვეყნის მკაცრი ცენტრალიზებული მართვა-გამგეობა უზრუნველყოფს — ასეთია მათი პოზიციის არსი.

2. მის საპირისპიროდ, არსებობს დიამეტრიულად განსხვავებული პოზიცია, რომლის მომხრეები ქვეყნის ფედერალური მოწყობის მომხრენი არიან. მათ მიაჩნიათ, რომ მხარეთა ფართო ადგილობრივ თვითმმართველობაზე დაფუძნებული ფედერაციული (რეგიონული) მმართველობა შეადგენს საქართველოს ტერიტორიულ-

ადმინისტრაციული მოწყობის პოლიტიკურ სტრატეგიას. მათი არგუმენტაცია ეფუძნება როგორც ისტორიულ-ეროვნულ მემკვიდრეობას, ისე თანამედროვე საერთაშორისო გამოცდილებასაც. მართლაც, თუ გადავხედავთ მსოფლიოში არსებული თითქმის ორი ასეული სახელმწიფოს მართვა-გამგეობის სტრუქტურას, მათ დიდ უმრავლესობაში ფედერალიზმისა და დეცენტრალიზმის პრინციპები სჭარბობს. თვით წმინდა უნიტარულ ქვეყნებშიც კი (იტალია, საფრანგეთი, ავსტრია, ნორვეგია, თურქეთი, პაკისტანი და ა.შ.) სულ უფრო მეტად შეიმჩნევა რეგიონალური თვითმმართველობისკენ სწრაფვის აშკარა ტენდენცია და ფედერალიზმის პრინციპების დამკვიდრება მოცემული ქვეყნის განვითარების სხვადასხვა სფეროებში. თუ ავიღებთ საქართველოს ისტორიასაც, XI-XII საუკუნეების „ოქროვანი ხანის" ქართულ სახელმწიფოს პოლიტოლოგიური ანალიზიც იმას გვიჩვენებს, რომ „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე და ოვსეთიდან არეგაწამდე" საქართველო მისი მთისა და ბარის ცალკეულ მხარეთა ფართო ფედერალური თვითმმართველობის და ამასთან, ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების საფუძველზე იმართებოდა. ისე რომ, მომავალი ქართული სახელმწიფოც ფედერალიზმის პრინციპზე დაფუძნებული მხარეთა ფართო ადგილობრივი თვითმმართველობის საფუძველზე უნდა წარმოიშვას და განვითარდეს — ასეთია მეორე პოზიციის მომხრეთა პოზიციის არსი.

რომელი პოზიცია არის სწორი და ჭეშმარიტი ჩვენი ქვეყნის მომავალი განვითარებისათვის? — აი, პრობლემა, რომლის გადაწყვეტა ქართული პოლიტოლოგიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად უნდა განისაზღვროს.

მიგვაჩნია, რომ პრობლემის გადაწყვეტისათვის ამოსავალი იდეოლოგიური ბაზა უნდა გახდეს ილია ჭავჭავაძისა და არჩილ ჯორჯაძის მიერ შემუშავებული „საერთო ნიადაგის" თეორია. ეს ორი დიდი მოაზროვნე და ეროვნული იდეოლოგი ყოველთვის იმას უსვამდნენ ხაზს, რომ საქართველოს საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარება, „ქართველი ხალხის ცხოვრების მდინარება" ჯერ საკუთარ ეროვნულ გამოცდილებას უნდა დაეფუძნოს და მერე სხვა ქვეყნებისა და ხალხებისას. ამიტომ დაუპირისპირდნენ ისინი მესამედასელთა კოსმოპოლიტურ იდეოლოგიას, რომლებიც ეროვნულ ისტორიაში, გარდა „გმობისა და უარყოფისა" (ნოე ჟორდანია), ვერაფერს ხედავ-

დნენ. ილია ჭავჭავაძესა და არჩილ ჯორჯაძესთან ერთად, ქართული სახელმწიფოს მესამე დიდი იდეოლოგი ივანე ჯავახიშვილია.

აი, ის სამი დიდი ეროვნული იდეოლოგი, რომელთა მემკვიდრეობის საფუძველზე უნდა გადაიჭრას ქართული სახელმწიფოს მშენებლობის ნებისმიერი პრობლემა და მათ შორის, ქვეყნის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობაც. ილია ჭავჭავაძის „ცხოვრება და კანონი", „საშინაო და საპოლიტიკო მიმოხილვა", არჩილ ჯორჯაძის „სამშობლო და მამულიშვილობა", „ისტორიის სამართალი" და „წარსული და მისი ანდერძი", ივანე ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორია" იძლევიან ყველა აუცილებელ წანამძღვრებს დღევანდელი საქართველოს წინაშე არსებული პრობლემების გადასაწყვეტად. ამ წანამძღვრებიდან უმთავრესი ჩვენი ერის შინაგანი ენერგიის ამოქმედება და მისთვის ფართო ასპარეზის მიცემაა. ამასთან დაკავშირებით ილია წერდა:

„ჩვენ ვამბობთ, რომ ხალხი თვითმოქმედებით არის მხოლოდ ძლიერი და ნაყოფიერი სულით, თუ ხორცით. რაც მალე დავიჯერებთ ამ ჭეშმარიტებას, მით მალე გამოვიხსნით თავს ამ გაჭირვებიდან, რომელშიაც ასე სასოწარკვეთით დღეს ვიმყოფებით".[1]

თითქოს დღევანდელ საქართველოს ეხმიანება, ილია ხაზს უსვამს, რომ ახლადშემოჭრილი კაპიტალიზმი ქართველ ერს გადაშენებით ემუქრება, რადგან თუ „თოფით და ხმლით შემოსულთ გაეუძელით, ფულით და საქმით მოსულნი თან გაგვიტანს, ჩვენს სახსენებელს მოსპობს", რამეთუ „უფულო ერი ფულიანის სამოვარია, მისი საცხოვრისია". ამიტომაც „ჩვენს იქით ჩვენი ხსნა მხოლოდ ტკბილი სიზმარია — ჩვენი ხსნა თვითმოქმედებასა და თვითმართველობაშია... ეს კანონი ისტორიული კანონია, ბევრიც რომ ვივაგლახოთ, ბევრიც რომ ვატაროთ უბეში სხვაზედ დამყარებული იმედი, ბოლოს ჟამთა სვლა მაინც ამ კანონზედ დაგვაყენებს და დრო წარსული ჩვენთვის სამუდამოდ დაკარგული დრო იქნება".[2] მეტად ჭკვიის სასწავლებელი და ბრძნული ანალიზია მხოლოდ უცხოური დახმარებებით მოიმედე ჩვენი თაობებისათვის...

---

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. IV, თბ., 1956, გვ. 320-321.
[2] იქვე.

იმავე „ისტორიულ კანონს“ უსვამენ ხაზს არჩილ ჯორჯაძე და ივანე ჯავახიშვილი. არჩილ ჯორჯაძე წერდა: „როდესაც წარსული ცხოვრების გაგება-დაფასების სურვილი იბადება ხოლმე საზოგადოებაში, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ საზოგადოებას თავის თავის დანახვა და გარკვევა მოუნდომებია, რადგან აწმყო შედეგია წარსულისა. როცა ჩვენ ნათლად გავიგებთ, თუ რითი ვართ დაკავშირებულნი წარსულთან, რა გვაქვს მასთან საერთო და რა არა, მაშინ და მხოლოდ მაშინ შევიგნებთ, თუ რა გზით უნდა ვიაროთ მომავალში.“[1] ხოლო ივანე ჯავახიშვილმა თავისი „ქართველი ერის ისტორიის“ მრავალტომეულით ნათელი მოჰფინა, თუ რა საერთო დამაკავშირებელი ძაფები აქვს ჩვენს აწმყოსა და მომავალს წარსულთან. „საქართველოს ეკონომიკური ისტორიის“ წინასიტყვაობაში იგი სიამაყით წერს: „ვინც „საქართველოს ეკონომიკური ისტორიის“ ამ წიგნს გულდასმით გადაიკითხავს, ის დარწმუნდება, რომ ქართველი ერის მოღვაწეობა მარტო პოლიტიკური, სოციალური და კულტურული ასპარეზით კი არ შემოიფარგლებოდა, არამედ მეურნეობაშიც მას დაუცხრომელი მუშაობა უწარმოებია“.[2] იმავეს იმეორებს იგი „ქართული სამართლის ისტორიაში“ და ეროვნული ცხოვრების ყველა იმ სფეროში, რაც ქვეყნის არსებობა-განვითარების აუცილებელ კომპონენტს შეადგენს ყველა ისტორიულ ეპოქაში.

ყველაფერი ეს საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ქართული სახელმწიფოს ფორმირებისთვის მისმა იდეოლოგებმა შეძლეს მოეძიებინათ ჩვენი წარსული ეროვნული ცხოვრების ის მასაზრდოებელი ფესვები, რომლებიც ახალ სიცოცხლეს მისცემენ ქართველი ერის მთელ შემდგომ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ განვითარებას. ყველაფერი ეს ცალკე მსჯელობისა და პოლიტოლოგიური კვლევა-ძიების საგანია, მაგრამ ჩვენ აქ საკითხის დასმის წესით გვინდა წარმოვაჩინოთ ის, რაც ქვეყნის ახალ ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ მოწყობას ეხება. ვფიქრობთ, რომ ისტორიაც და თანამედროვეობაც იქითკენ გვიბიძგებს, რომ ეს პრობლემა გადაეწყვიტოთ ამ ორი პრინციპის — უნიტარიზმისა და

---

[1] არჩილ ჯორჯაძე, წერილები, თბ., 1989, გვ. 48.

[2] ივანე ჯავახიშვილი, თხზ., ტ. V, თბ., 1986, გვ. 12.

ფედერალიზმის გარკვეული სინთეზით, როგორც ილია ჭავჭავაძე გვასწავლის, „დაპირისპირებულ ძალთა ბედნიერი მორიგებით ერთმანეთის დაუმონელებლად და შეუბღალავად“.[1] ილია ჭავჭავაძისა და არჩილ ჯორჯაძის „საერთო ნიადაგის“ თეორიის არსიც იმაში მდგომარეობს, რომ ერთმანეთში „ბედნიერად მოვარიგოთ“ ნებისმიერი სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური თუ იდეოლოგიური ხასიათის დაპირისპირებანი.

ჩვენი აზრით, საკითხის დასმის წესით ფართო საზოგადოებრივი განსჯისათვის უნდა დაისვას ეროვნული ცხოვრების სხვა ნებისმიერი საკითხიც. იმ მიზნით, რომ საბოლოო ჯამში გარკვეულ კონსენსუსამდე და „ბედნიერ მორიგებამდე“ მივიდნენ მასში მონაწილე მხარეები. რაგინდ საპირისპირო პოზიციებზე უნდა ვიდგეთ, ჩვენ ყველა უნდა გამოვიდეთ იმ აპრიორული წანამძღვრიდან, რომ აუცილებელია „ერთიანობა-თანადგომა და საერთო ნიადაგზე დგომა“ ქართული სახელმწიფოს წარმატებით მშენებლობისათვის.

ყველა ჩვენთაგანისთვის, ვინც ამ მიზანს ვესწრაფვით, არის ერთი რამ, რომელსაც შეუძლია სწორ გზაზე დაგვაყენოს და ავი და კარგი გაგვარჩევინოს. ეს „ქართული ბიბლია“ და უპირველესი ქართული წიგნი — „ქართლის ცხოვრებაა“. მასში აქა-იქ მარგალიტებივით გაბნეულია ქართული სახელმწიფო წეს-წყობილების ის ძირითადი პრინციპები, რომელთა გამოყენებით და გათანამედროვებით შეიძლება იმის აღდგენა, რაც საუკუნეთა მანძილზე გარეშე ძალების უხეში ზეწოლით გაუკულმართდა. აი, ეს მემკვიდრეობა უნდა გამოვიყენოთ კიდეც იმისათვის, რომ აღვადგინოთ „ქართველთა სახელი და ქართველთა წეს-წყობა“. სხვანაირად, ვერც ჩვენს თავს „ვიყუდნებთ ჩვენად“...

არც კონსტიტუციაშია ხსნა და არც საპრეზიდენტო ერთპიროვნულ მმართველობაში, რომელიც ჩვენში დაინერგა. ასეთი მმართველობა ჩვენს ეროვნულ ტრადიციებშიც შედის და ქვეყნის „ძველი დიდების“ საფუძვლადაც სთვლიან მას. ამის სამაგალითოდ, როგორც წესი, დავით აღმაშენებლის ეპოქა მოჰყავთ — „დავითის ძალისხმევის ხაზი“: ქვეყანა იმიტომ გახდა ძლიერიც და მდი-

---

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, თბ., 1989, გვ. 918 (სიტყვა გაბრიელ ეპისკოპოსის დაკრძალვაზე).

დარიც, რომ დავითის ძლიერმა ხელმა „ცეცხლით და მახვილით“ აღკვეთა ცალკეულ მხარეთა და მათ დიდგვაროვანთა მისწრაფება განკერძოებულობისაკენ. მაშასადამე, დღევანდელ საქართველოსაც ვილაცის „ძლიერი ხელი“ და ახალი „მამა-მარჩენალი“ გადაარჩენს... ჩვენი აზრით კი, ქვეყანას ხალხი და მისი მართვა-გამგეობის სწორი სისტემა გადაარჩენს. ისტორიაც ამას გვეუბნება და თანამედროვეობაც.

ჯერ ერთი, დავითის „ძლიერი ხელიც“ და „ძალისხმევის ხაზიც“ თავისი ეპოქის კანონისა და სამართლის ფარგლებში ხორციელდებოდა და იქნებ ბევრს დაუჯერებლადაც კი მოეჩვენოს, მაგრამ უკანონოდ, მამა-პაპათა ტრადიციის, სჯულისა და სამართლის ხელყოფით დავით აღმაშენებელს არც ერთი ოჯახი არ აუწიოკებია, არც ერთი კაცი არ დაუსჯია, მტრის გარდა, არც ერთი კაცის სისხლი არ დაულვრია — ყველაფერს მაშინდელი კანონისა და სამართლის ძალით წყვეტდა, ოღონდ ეგაა, ისინი ყველასათვის სავალდებულო გახადა, „დიდნიც“ და „მცირენიც“ — ყველანი გამოუკლებლივ, კანონის ძალას და ქვეყნის საერთო ინტერესებს, მის „აღზევებას“ და „აღშენებას“ დაუმორჩილა. სხვანაირად ხომ თავნება და სისხლისმღვრელ მეფეს ხალხი და ისტორია „აღმაშენებლად“ არც აღიარებდა.

ჩვენი წარსული ისტორიის ყველა მიღწევა და სიდიადე სისხლსა და მახვილთან კი არა, კანონისა და სამართლის ძალასთან, მამა-პაპისგან მემკვიდრეობით გადმოცემული სიკეთისა და სათნოების ტრადიციებთან არის დაკავშირებული. ჩვენი ისტორიის ამ ფაქტს ვერსად გაექცევით. მის კონცენტრირებულ გამოხატულებას თამარ მეფის ეპოქა — თამარის „სათნოების ხაზი“ წარმოადგენს. საქართველოს მისი სახელმწიფოებრიობის მოწყობის ყველაზე „მაგარი ბალავრის ქვაც“ დავითისა და თამარის „ხაზის“ გამთლიანებაშია საძიებელი, პოლიტოლოგიურ ენაზე რომ ვთქვათ, ფედერალიზმისა და უნიტარიზმის, ცენტრალიზმისა და დეცენტრალიზმის გონივრულ შერწყმასა და თანაარსებობაში, მათ შორის თავისებურ „ოქროს საშუალოს“ მოძიებაში. ცენტრალური (უნიტარული) ხელისუფლების ძალმოსილებას აუცილებლად უნდა დაეუპირისპიროთ მხარეთა ძლიერი ადგილობრივი ხელისუფლება.

ძლიერი ცენტრი და ძლიერი რეგიონი — აი, საქართველოს ძლიერების წყარო და საფუძველი.

ამის მაგალითსაც ჩვენი ისტორია გვაძლევს: როგორც „დავითის ძალისხმევის", ისე „თამარის სათნოების ხაზის" დროს სახელმწიფოს ცენტრალური მმართველობა, თუ საქმე ქვეყნის ერთიანობის ხელყოფას არ ეხებოდა, არასოდეს არ გამოდიოდა მხარეთა ადგილობრივი მმართველობის დამთრგუნველის როლში. ესეც შეიძლება ბევრს დაუჯერებლად მოეჩვენოს — ცენტრალური ხელისუფლება, გარდა ქვეყნის უშიშროებისა და ერთიანობისა, ფინანსებისა და საგარეო პოლიტიკისა, პრაქტიკულად მმართველობის სხვა რაიმე სფეროზე მონოპოლიას არასოდეს არ აცხადებდა — სოფელს სოფელი მართავდა, თემს — თემი როგორ ეცხოვრათ, რა ეკეთებინათ — თბილისში არ დარბოდნენ საკითხავად.

საპრეზიდენტო მმართველობა, მით უმეტეს კი ასე საეჭვოდ ამოჩემებული „ძლიერი საპრეზიდენტო მმართველობა" ძირშივე სპობს თვითმმართველობასა და თვითმოქმედებას. იგი მემკვიდრეობით გადმოცემებული მეტროპოლიურ-კოლონიური ცენტრალიზებული სისტემის ნაირსახეობაა, რომელიც მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალიზმის ეროვნული ხასიათის დათრგუნვით, საქართველოს მთისა და ბარის, სხვადასხვა ისტორიული მხარეების მართლაც რომ განუმეორებელი მრავალფეროვნების ხელყოფით ქვეყანას კვლავაც ააცილებს თავისი განვითარების ბუნებრივ-ისტორიულ გზას. ეს კი ყველაზე დიდი ტრაგედიაა ერისათვის...

გამოსავალი, როგორც ზევითაც ვთქვით და როგორც ჩვენი ძველი და მსოფლიო თანამედროვე განვითარების (ეს განსაკუთრებით აშშ-ის, გერმანიის და იაპონიის სახელმწიფოებრივ მოწყობას ეხება) პრაქტიკა გვიჩვენებს, ცენტრალიზმსა (უნიტარიზს) და დეცენტრალიზმს (ფედერალიზმს) შორის გარკვეული „ოქროს საშუალოს" მოძიება, მათი ერთმანეთთან „ბედნიერი მორიგებაა". უკანასკნელ ხანს ხშირად გაისმის ჩვენს საზოგადოებაში ხმები, რომ აუცილებელია კონსტიტუციური ცვლილებების განხორციელება და ორპალატიანი საპარლამენტო მმართველობაზე გადასვლა. არ შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს პრეზიდენტის ერთპიროვნული მმართველობა და ქვეყნის ტერიტორიის ყოვლად გაუმართლებელ 80 რაიონულ-ადმინისტრაციულ ერთეულად დაყოფა, რაც ბიუროკ-

რატიზმისა და კორუფციის უპირველესი წყაროა ჩვენში. საქართველოს 10-15 ტერიტორიულ ერთეულზე მეტი არ სჭირდება. საკმარისია მოისპოს სახელმწიფო მართა-გამგეობის მემკვიდრეობით გადმოცემული დღევანდელი მკაცრი ცენტრალიზებული სისტემა, რომ კორუფციამაც დაკარგოს თავისი მკვებავი წყარო, რაც თავის მხრივ დიდ ბიძგს მისცემს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ პროგრესს.

ასეთ პოლიტოლოგიურ დასკვნამდე მიგვიყვანა ჩვენ ილია ჭავჭავაძის, არჩილ ჯორჯაძისა და ივანე ჯავახიშვილის მემკვიდრეობის შესწავლამ. მხარეთა თვითმმართველობა და ქვეყნის ორპალატიანი საპარლამენტო მმართველობა არის ქართული სახელმწიფოს ყველაზე ოპტიმალური ფორმა. ამიტომ შექმნა არჩილ ჯორჯაძემ თავის თანამოაზრეებთან ერთად „საქართველოს სოციალ-ფედერალისტური პარტია", რომელშიც მაშინდელი ჩვენი საზოგადოების ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლები გაერთიანდნენ. მაგრამ მესამედასური იდეოლოგიის ბატონობის პირობებში ამ სწორ პოლიტიკურ სტრატეგიას განხორციელება არ ეწერა, ხოლო საბჭოთა წყობილების დროს „ფედერალისტობა" კრიმინალურ დანაშაულად და პოლიტიკური დევნის საგნადაც კი გადაიქცა, რის გამოც ბევრი ჩვენი გამოჩენილი მოღვაწე მალავდა თავის ამ პოლიტიკურ მრწამსს და მსოფლმხედველობას. მაგალითისათვის შალვა ნუცუბიძის დასახელებაც კმარა...

2004 წლის აპრილში შესრულდება 100 წელი, რაც არჩილ ჯორჯაძემ ჟენევაში თავის თანამოაზრეებთან ერთად დააარსა საქართველოს სოციალ-ფედერალისტური პარტია. სამწუხაროდ, დღეს, როცა პოლიტიკური პარტიების ასეთი ბუმია საქართველოში, ამ პარტიის რეანიმაცია არავის გახსენებია. ესეც სწორედ იმის სიმპტომია, რომ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური განვითარება არასწორი გზით მიემართება მთელი ეს 10-15 წლის მანძილზე. უნდა მართალნი ვიყოთ ილია მართალივით ღვთისა და ჩვენი ისტორიის წინაშე და პირდაპირ ვთქვათ: ეროვნული ძალები მოუმზადებელნი აღმოჩნდით ქართული სახელმწიფოს მშენებლობისათვის.

ვფიქრობთ, დადგა დრო ამ მშენებლობისათვის ავაღორძინოთ არჩილ ჯორჯაძის მიერ დაარსებული საქართველოს სოციალ-ფედერალისტური პარტია ჩვენი ეპოქის შესატყვისი ფორმით და პო-

ლიტიკური პროგრამით. დასაწყისისთვის ეს შეიძლება საზოგადოებრივი ორგანიზაციის ფორმით მოხდეს. კარგი იქნება, თუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიური ცენტრის სადისკუსიო კლუბი — „ქართული სახელმწიფო" თავის თავზე აიღებს ყოველივე ამას და ამით თავის წვლილს შეიტანს ქართული პოლიტიკის სამომავლო განვითარების საქმეში. ილია ჭავჭავაძის, არჩილ ჯორჯაძისა და ივანე ჯავახიშვილის იდეები არ უნდა დარჩეს ქართული სახელმწიფოს მშენებლობის მიღმა. დღეს ყველგან სოციალური პრობლემები მჭიდროდ გადაეწნაკვა პოლიტიკურს, რის დადასტურებას წარმოადგენს თუნდაც „სოციალური სახელმწიფოს" ფენომენის დამკვიდრება მთელ მსოფლიოში, რასაც თავის დროზე ქადაგებდა არჩილ ჯორჯაძე და ჩვენი ვალია, დღევანდელი საქართველოს გამწვავებული სოციალური და პოლიტიკური წინააღმდეგობების ფონზე, ეს მემკვიდრეობა სიტყვიდან საქმედ ვაქციოთ. ჩვენს ქვეყანას მხოლოდ ეს გამოიყვანს იმ მწვავე პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური კრიზისიდან, რომელშიც იგი მოექცა დამოუკიდებლობის მოპოვებიდანვე.

ქართული პოლიტოლოგია და გარდამავალი პერიოდის ქართული სახელმწიფო

კონცეფტუალური ხედვა

დადგა დრო შევაჯამოთ ავტორთა ნააზრევი. ვფიქრობთ, გზაჯვარედინთან მდგომი ჩვენი ქვეყნისათვის ამას გარკვეული პრაქტიკული ღირებულება აქვს. ხელისუფლებიდან დაწყებული, დღეს ქვეყნის მთელი პოლიტიკური სპექტრი აქტიურად აყენებს კონსტიტუციის გადასინჯვის საკითხს. მაგრამ პრობლემის არსიც იმაში მდგომარეობს, თუ რა მიმართულებით და რა პრინციპებზე უნდა იქნეს იგი გადასინჯული, რათა შეძლოს თავისი ძირითადი ფუნქციის შესრულება — ქართული სახელმწიფოს შექმნა და მისი შემდგომი სრულყოფა-განვითარება.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ დიდი საერთო-ეროვნული მიზნის მიღწევისათვის მკვიდრ საფუძველს მხოლოდ ეროვნული მემკვიდრეობა ქმნის. ამას გვასწავლის მემკვიდრეობის უნივერსალური კანონიც და ჩვენი და მსოფლიო ისტორიის უდიდესი გამოცდილებაც. ამ საფუძველზე ჩამოყალიბდა ყველა წარმატებული სახელმწიფო ახლო თუ შორეულ წარსულში. როდესაც ჰერცლმა და სხვა სიონისტებმა ებრაული სახელმწიფოს აღორძინების იდეა წამოაყენეს, ეს „კიბუცების“ და ბიბლიური სულის აღორძინებით დაიწყეს. ქართულ სახელმწიფოს დიდი იდეაც მხოლოდ მაშინ განხორციელდება, როცა იგი „ქართლის ცხოვრების“ და ჩვენი ეროვნული მემკვიდრეობის სულიერ და მატერიალურ ღირებულებებს დაეფუძნება. სხვა გზა და ალტერნატივა უბრალოდ არა გვაქვს.

ორ წელზე მეტია, რაც თსუ პოლიტოლოგიურ ცენტრში ფუნქციონირებს მუდმივმოქმედი სადისკუსიო კლუბი — „ქართული სახელმწიფო“. მასში მონაწილეობას იღებს ასობით სტუდენტი, მაგისტრანტი, ასპირანტი და პროფესორ-მასწავლებელი. გაკეთდა არაერთი საინტერესო მოხსენება და გამოსვლა ქართული სახელმწიფოს მშენებლობის აქტუალურ პრობლემაზე. დადგა დრო, როცა აუცილებელი ხდება გარკვეული შეჯერება და ანალიზი ამ ორწლიანი მუშაობისა. ეს იქნება პოლიტოლოგიური ცენტრის და მისი სადისკუსიო კლუბის თავისებური კონცეფტუალური ხედვა ქართული სახელმწიფოს მშენებლობის მთელ რიგ პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და სამართლებრივ პრინციპებზე.

ვფიქრობთ, ასეთი ანალიზი ხელს შეუწყობს სახელმწიფოებრივი მშენებლობის პრობლემათა სწორ გააზრებასა და გადაწყვე-

ტას. მიგვაჩნია, რომ ეს გარდამავალი პერიოდის ქართული პოლიტოლოგიის ერთ-ერთი ყველაზე დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა. თუ ჩვენ მას ასეთ გამოყენებით ხასიათს არ მივცემთ, მაშინ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართული პოლიტოლოგიის განვითარება დაკარგავს თავის პრაქტიკულ დანიშნულებას და თავიდანვე არასწორი გზით წარიმართება. ნებისმიერი მეცნიერება კი, მისი პრაქტიკულ-გამოყენებითი ღირებულების გარეშე, ილიას სიტყვით რომ ვთქვათ, „უქმის ჭკვის უქმი ვარჯიშია“ და ამიტომ, ხალხს და ქვეყანას მათგან არც არაფერი არგია. ეს მით უმეტეს ითქმის ისეთ ქვეყანაზე, რომელიც სახელმწიფოებრივი მშენებლობის გარდამავალ პერიოდში იმყოფება. აბა, სხვა რა უნდა აკეთოს ქართულმა პოლიტოლოგიამ, თუ არა ამ მშენებლობისათვის ხელისგამართვა?!...

თუ გადავხედავთ მსოფლიო პრაქტიკასაც, დღეს გამოყენებითი პოლიტოლოგია პოლიტიკურ მეცნიერებათა განვითარების სულ უფრო წამყვანი მიმართულება ხდება. სახელმწიფო მართვა-გამგეობის სრულყოფა-განვითარება სხვანაირად შეუძლებელია და ამიტომაა, რომ უკლებლივ ყველა განვითარებულ ქვეყანაში პოლიტოლოგიური ცენტრების მეცნიერული კვლევა-ძიების ძირითადი მიმართულებანი ორგანულად არის ჩართული მოცემული ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის სხვადასხვა პრობლემათა გადაჭრის ოპტიმალური გზებისა და საშუალებების დადგენა-პროგნოზირებასა და მათ შემდგომ რეალიზაციაში. ეჭვი არაა, რომ მომავალში პოლიტოლოგიის ეს პრაქტიკულ-გამოყენებითი მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზრდება და ამიტომ დღევანდელი ქართული პოლიტოლოგია ვალდებულია აქედანვე გაითვალისწინოს ყოველივე ეს. სხვანაირად ის თავის დანიშნულებას და ისტორიულ მისიას ქართული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში ვერ შეასრულებს.

ჩვენს მიერ შემოთავაზებული გარდამავალი პერიოდის ქართული სახელმწიფოს კონცეფტუალური ხედვა, რა თქმა უნდა, არ ატარებს სრულყოფილების რაიმე პრეტენზიას. ნებისმიერ იდეას და კონცეფციას სრულყოფს მხოლოდ ცხოვრება. თეორიისა და პრაქტიკის ორგანული მთლიანობის არსიც მხოლოდ ამაში მდგომარეობს. თეორია პრაქტიკის გარეშე მკვდარია და ამიტომაცაა პრაქტიკა ყველგან და ყველაფერში ჭეშმარიტების უნივერსალური კრიტერიუმი. მთავარია, რომ მოცემული იდეა და კონცეფცია ატარებდეს ჯანსაღ და რეალურ ხასიათს, ისევე როგორც მათზე აგებული სამოქმედო პროგრამაც.

ვფიქრობთ, რომ წინამდებარე კონცეფციაც თავისებურად სამუშაო პროგრამის სახეს მიიღებს ჩვენი სადისკუსიო კლუბის შემდგომი მუშაობის პროცესში. იმასაც ვიმედოვნებთ, რომ ახალი ხელისუფლებაც უფრო მეტ ყურადღებას მიაქცევს ჩვენს ეროვნულ მემკვიდრეობაზე, უპირველეს ყოვლისა კი, ილია ჭავჭავაძის „საერთო ნიადაგის" თეორიის პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და სამართლებრივ პრინციპებზე დაფუძნებულ გრძელვადიანი პროგრამის შემუშავებისა და მისი შემდგომი პრაქტიკული რეალიზაციის საქმეს. ვისაც ქართული სახელმწიფო უნდა, მან „საერთო ნიადაგის" თეორია უნდა იკვლიოს და შეისწავლოს. თუ არა ეს თეორია და ეს პროგრამა, „ტაძრისაკენ" მიმავალი სხვა გზა ქართველებს უბრალოდ არა გვაქვს. ეს გზა მხოლოდ ილიას გზაა – ილია მართალის მართალი სიტყვა და მართალი საქმე. ეს გზა უნდა გახდეს ჩვენი სტრატეგია ქართული სახელმწიფოს მშენებლობაში.

ამ სტრატეგიას და მის ფუძემდებლურ პრინციპებს ჩვენ ასე წარმოვადგენთ: მათგან ბევრი რამ აქ, ალბათ, გამეორდება, მაგრამ, ეტყობა, დღეს გამეორებაც გვჭირდება ყველას – იგი ხომ „ცოდნის დედაა!"...

I. ქვეყნის ბუნებრივ-ისტორიული განვითარების აღდგენა – „საერთო ნიადაგის" თეორიის და ქართული სახელმწიფოს მშენებლობის უმთავრესი ზოგადსოციოლოგიური პრინციპი

ამქვეყნად ყველაფერს ერთი საწყისი აქვს – მერე და მერე ხდება ხოლმე მისი განფენა დროსა და სივრცეში. ასეა „საერთო ნიადაგის" თეორიაც. იგი ერის ფსიქო-გენეტიკური ფესვებიდან და ქვეყნის ბუნებრივ-ისტორიული განვითარებიდან იღებს სათავეს.

ჯერ კიდევ „საქართველოს მოამბის" პირველივე სარედაქციო წერილში 24 წლის ილია ხაზს უსვამს ქვეყნის ბუნებრივ-ისტორიული განვითარების ფენომენს, როგორც ამოსავალ პრინციპს ნებისმიერი პრობლემის გადაწყვეტისათვის. ამიტომ წერს აქვე ახალი საქართველოს „ძველიდგან აღმოშობის" სახელმძღვანელო თეზისს: „ცხოვრება თვითრჯულია – იგი არ გამოიჭრება კაცისაგან მოგონილს რიკ-რიკაზედ". საზოგადოების განვითარების ეს ზოგადსოციოლოგიური კანონი დაუდო საფუძვლად ილიამ „საერთო ნიადაგის" თეორიას, რითაც მისცა მას ობიექტური და მეცნიერული ხასიათი. ამ თეორიის ძალაც, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ამით განიზომება. ამიტომ უნდა ვირწმუნოთ ილიაც და მისი „საერთო ნიადაგის" თეორიაც ჩვენს სამოქმედო პროგრამად.

ამ თეორიით ილიამ სათავე დაუდო საქართველოს ისტორიის ფილოსოფიის მიზანმიმართულ მეცნიერულ კვლევას ანუ ქართულ პოლიტოლოგიას, იმის გარკვევას, თუ „რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შეიძლება ვიქმნეთ". იგი ჩასწვდა ისტორიის, როგორც „ღვთის ნების გამოვლენის" იმ საიდუმლოებას, რომ დროის ამ სამი განზომილების ერთმანეთთან ორგანულ მთლიანობაში გააზრების გარეშე ვერ გავიაზრებთ ქვეყნის განვითარების სწორ ორიენტირებს. ამიტომ უწოდებს ივანე ჯავახიშვილიც მას „საქართველოს მომავლის გზისგამკვალავს" („ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია").

ამ წანამძღვრიდან გამომდინარე, ილიას მიაჩნდა, რომ საქართველოს მომავლის მთავარი ორიენტირი, მისი საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების „ბალავრის ქვა" უნდა გახდეს „ძნელბედობით წახდენილი ქართველთა სახელისა და ქართული წესწყობის აღდგენა". „ძნელბედობის ეპოქით" გაუკულმართებული „ოქროვანი ხანის საქართველოს" ბუნებრივ-ისტორიული განვითარების ისევ ძველ ეროვნულ კალაპოტში დაბრუნება ილიასთვის არის მომავალი საქართველოს ყველაზე დიდი პოლიტიკური მიზანი და იდეალი. ეს მან პოეტურადაც გამოხატა პოემაში — „მეფე დიმიტრი თავდადებული" უაღრესად ღრმაზროვანი პოეტური სენტენციით, რომელიც, ალბათ, ყველაზე დიდი პატრიოტული მოწოდება-ლოზუნგი უნდა გახდეს ჩვენთვის:

„რაც ვყოფილვართ, ის აღარ ვართ,
რაც ვართ, ის ნულარ ვიქნებით;
ღმერთი გვიხსნის, თუ შვილთ მაინც,
გზად და ხიდად გავედებით"!

„ოქროვანი ხანის საქართველოს" ნოსტალგია-მონატრება, მისი „სურნელებით სუნთქვა" და მისკენ სწრაფვა, აი, რა ფსიქიკურმა და ზნეობრივმა ძალამ უნდა აღზარდოს თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველოს ახალ-ახალი თაობები ნამდვილად ეროვნული, ძლიერი და განვითარებული ქართული სახელმწიფოს აშენებისთვის. აქ ილიას მემკვიდრეობას, მის „საერთო ნიადაგის" თეორიას ალტერნატივა არა აქვს. მისი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი პრინციპების მეცნიერული შესწავლა და სახელმწიფო პროგრამად გახდომა წაიყვანს ჩვენს ქვეყანას მისი ახალი „ოქროვანი ხანისკენ".

მაგრამ ეს უნდა მოხდეს არა კონკრეტულ შინაარსს მოკლებული ცარიელი და მყვირალა ლოზუნგებით, ილიასგან გასარჟებული „ჩიტირეკიაობით" და ფსევდონაციონალიზმით, ასე დამახასიათებელი ნიშან-თვისება რომ გახდა საქართველოს მიმდინარე ის-

ტორიისთვის, არამედ ღრმა და ყოველმხრივი პოლიტოლოგიური ანალიზის საფუძველზე. „დიდების დღენის აღდგენა“ და საქართველოს „თავის თავთან დაბრუნება“ სხვანაირად არ მოხდება. სწორედ ამაში მდგომარეობს „საერთო ნიადაგის“ თეორიის ამ ზოგადსოციოლოგიური პრინციპის დანიშნულება და არსიც:

ქართული სახელმწიფოს წარმატებითი მშენებლობისათვის, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია რაც შეიძლება ღრმად ჩავწვდეთ და გაეითავისოთ ათასწლეულებიდან მომდინარე ქვეყნის განვითარების ბუნებრივ-ისტორიული პროცესის კანონზომიერებანი და ეპოქის შესატყვისი ფორმებით ახალი სიცოცხლე და განვითარების ახალი სტიმულები მივცეთ მათ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. ახალი საქართველო „ძველიდგან უნდა აღმოვშობოთ“!

II. სახელმწიფოებრივი წყობა — „სამეფო გვირგვინსა და ხმალსა და გუთანზე დაფუძნებული საქართველო“

ილიასთვის მომავალი ქართული სახელმწიფოს იდეალი კონსტიტუციური მონარქიის სახელმწიფოებრივი წყობა იყო. მას სხვანაირი ქართული სახელმწიფო არა სწამდა. საქართველოს თავის თავთან დაბრუნება ამ გზით უნდა მოხდეს...

იგი, რომ იტყვიან, უზომოდ შეყვარებული და მოხიბლული იყო ინგლისის კონსტიტუციურ მონარქიაზე დაფუძნებული სახელმწიფო მართვა-გამგეობით, აქ დამკვიდრებული პოლიტიკური კულტურით და კონსერვატიზმის კულტით, რაც, კაცმა რომ თქვას, სხვა არაფერია, თუ არა ქვეყნის ბუნებრივ-ისტორიული განვითარების ევოლუციური ხასიათის შენარჩუნება და განმტკიცება ყოველ ახალ ისტორიულ ეპოქაში.

არადა, ბედის ირონიით, კონსტიტუციური მონარქიის და წარმომადგენლობითი მმართველობის პირველი ნიშნები იგივე ბუნებრივ-ისტორიული განვითარებით საქართველოშიც თითქმის იმავე ეპოქაში ჩაისახა, როგორც ინგლისში. მეტიც, „ისნის კარავის“ ფენომენი, ისევე როგორც „ნაადრევი ქართული რენესანსი“, ისტორიულად უფრო ადრეული ეპოქებისათვისაც კი იყო დამახასიათებელი. სიამაყით წერს ამის შესახებ ივანე ჯავახიშვილი თავის „ქართული სამართლის ისტორიაში“. ამოცანაც ის არის, რომ ეპოქის შესატყვის ფორმებში აღვადგინოთ შემდგომ საუკუნეებში „ძნელბედობით“ შეწყვეტილი ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ-ისტორიული განვითარება და მისი თანმხვედრი პროცესები.

კონსტიტუციური მონარქიის სახელმწიფო წეს-წყობილებაზე გადასვლა ქვეყნის ბუნებრივ-ისტორიული განვითარების აღდგენისაკენ გადადგმულ ერთ-ერთ ასეთ დიდმნიშვნელოვან პოლიტიკურ აქტად უნდა ჩაითვალოს. იგი ეხმიანება ილიას იმ ერთ-ერთ ზოგადსოციოლოგიურ მოთხოვნასაც, რომ „ახალი საქართველო მხოლოდ ძველიდგან შეიძლება აღმოვშობოთ ყველაზე მკვიდრად". ამ თვალსაზრისითაც კონსტიტუციური მონარქიის სახელმწიფო წეს-წყობილებას მართლაც რომ ალტერნატივა არა აქვს.

პარადოქსია, მაგრამ დღევანდელობის სამწუხარო ფაქტია: კონსტიტუციური მონარქიის უდავოდ პროგრესულ იდეას ავნეს და სახელი გაუტეხეს არა იმდენად მისმა პოლიტიკურმა ოპონენტებმა, რამდენადაც ე.წ. „მონარქისტებმა" — პრიმიტიულად აღქმულმა და გაგებულმა პოლიტიკურმა მოთხოვნამ, რაც ხალხში „მეფობის", „ბატონყმობის", „თავადაზნაურთა პრივილეგიების აღდგენით" ასოცირდება. კონსტიტუციური მონარქიის პოლიტიკური პრინციპის ასეთი ეულგარული და დემაგოგიური ვარიაციები ჯერ კიდევ მესამედასელთა აგიტაციიდან იღებს სათავეს. ეს დემაგოგია ერთ-ერთ ბრალდებად წაუყენეს მახარაძე-ორჯონიკიძე-გელეიშვილმა ილიას, როგორც „თავადაზნაურული რეაქციის ბურჯს"...

„მონარქისტებმაც" და „ანტიმონარქისტებმაც" უნდა გავიგოთ: საქმე ეხება არა „მეფობის" და მით უმეტეს თავადაზნაურთა რაიმე „პრივილეგიების აღდგენას", არამედ კონსტიტუციური მონარქიის იმ თანამედროვე პოლიტიკურ პრინციპს, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის წარმომადგენლობით საპარლამენტო მმართველობას დემოკრატიული არჩევნების გზით. გადავხედოთ მსოფლიოს — ინგლისიდან იაპონიამდე და ნორვეგიიდან ესპანეთამდე, კონსტიტუციური მონარქიის ყველა ქვეყანა გამოირჩევა დემოკრატიზმის უაღრესად მაღალი ფორმით და, ამასთან, სტაბილური სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარებით, ასე რომ აკლია დღეს ჩვენს ქვეყანას. ისიც უნდა გავიგოთ, რომ „მეფე" მხოლოდ სიმბოლოა, ნომინალური სახელმწიფო მეთაურია, რომელიც ჩვენს ძველ ისტორიასთან და ეროვნულ ერთობასთან ასოცირდება, ისიც ასე ჰაერივით რომ გვჭირდება დღეს.

ერთი სიტყვით, საქართველოს ძველი და ახალი ისტორიაც გვაძლევს შანსს კონსტიტუციური მონარქიის პრინციპებზე ავაგოთ ქვეყნის მართვა-გამგეობა და ეს შანსი ხელიდან არ უნდა გაეუშვათ. ისტორია არ გვაპატიებს ამას, ისე როგორც არ აპატია 1918 წლის საქართველოს „დემოკრატიული რესპუბლიკის" მესვეურებს (ქვეყნის ეს მყვირალა ზეწოდებაც — ბერძნული „დემოკრატიული"

და ლათინური „რესპუბლიკა“ ხომ მათ პოლიტიკურ დემაგოგიაზე მიუთითებს). კონსტიტუციური მონარქიის პრინციპებზე სახელმწიფო მართვა-გამგეობა ბაგრატიონებს კი არ სჭირდებათ — ისინი მის გარეშეც შეძლებენ როგორმე თავიანთი ცხოვრების მოწყობას, არამედ ქართველ ხალხს, ჩვენს მომავალ ისტორიას, რათა ამ ახალ საუკუნესა და ახალ ათასწლეულში მაინც აღვადგინოთ „წარხდენილი ქართველთა სახელი და ქართული წეს-წყობა“ — ქვეყნის ბუნებრივ-ისტორიული განვითარება.

სხვათა შორის, ეს მარტო ჩვენს ქვეყანას არ ეხება, არამედ მთელი კავკასიის მომავალ სტაბილურ და მშვიდობიან განვითარებასაც. კავკასიისა და საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება არასოდეს იყო ერთმანეთისაგან განცალკევებული და მომავალში ეს კიდევ უფრი თვალშისაცემი გახდება. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ხომ ჯერ კავკასიელები ვართ და მერე ვინც გნებავთ სხვა... ამ დასკვნის საშუალებას გვაძლევს ქართული სახელმწიფოებრიობის 3000 წლოვანი ისტორიაც. ეს განსაკუთრებით ეხება ამ ისტორიის „ოქროვან ხანას“, როცა ჩვენმა ხალხმა და მისმა მაშინდელმა პოლიტიკურმა ელიტამ იმდროინდელ მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფო შექმნეს კავკასიის მასშტაბით. ეს იყო მართლაც რაღაც „მცირე იმპერიის“ მსგავსი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი, რომელმაც კავკასიის თითქმის ყველა ხალხის კონსოლიდაცია მოახდინა. თავად ბაგრატიონთა დინასტიაც რომ ავიღოთ, იგი ნათესაური კავშირებით თავისებურად იყო ინტეგრირებული იმიერ და ამიერკავკასიის ხალხთა მმართველ ფენებთან. ამიტომ ბაგრატიონები ისტორიულად ფაქტობრივად საერთო-კავკასიური დინასტიაა.

ამ პროცესებმა, რომელმაც, სამწუხაროდ, დიდხანს არ გასტანა და სხვადასხვა ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების ზემოქმედებით XIV საუკუნის შუახანებისათვის საერთოდ შეწყვიტა არსებობა, კავკასიელ ხალხს აჩვენა, რომ როგორც კი ისინი თავიანთ ბედს ხელში ჩაუგდებენ უცხო ძალებს, საბოლოოდ კოლონიურ უღელს ვერ ასცდებიან. ამიტომაა, რომ ნიზანი განჯელისა თუ ილია ჭავჭავაძის მსგავსი კავკასიის ხალხთა დიდი შვილები ყველა ეპოქის მთავარ პოლიტიკურ ამოცანად კავკასიის ხალხთა ერთობას აყენებდნენ. ილია ჭავჭავაძე, არჩილ ჯორჯაძე, ნიკო ნიკოლაძე, ვარლამ ჩერქეზიშვილი და სხვა ჩვენი გამოჩენილი მოღვაწენი საქართველოს დამოუკიდებლობას და თავისუფალ განვითარებას მჭიდროდ და ორგანულად უკავშირებდნენ „მთელი კავკასის თავისუფლებას“. აღსანიშნავია, რომ შამილამდე გაცილებით ადრე,

კავკასიის ხალხთა ერთიან ბრძოლას რუსეთის წინააღმდეგ სათავეში ედგა ერეკლე II-ის უფროსი შვილი ალექსანდრე ბატონიშვილი, თავის დროზე დაღესტნის ეროვნულ გმირად აღიარებული. ისიც ისტორიული ფაქტია, რომ 1832 წლის შეთქმულება მთელ კავკასიას მოიცავდა და მასში, ქართველებთან ერთად, კავკასიის თითქმის ყველა ხალხის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

კონსტიტუციური მონარქიის პრინციპზე ქართული სახელმწიფოს მშენებლობა თვითმიზანი კი არაა, არამედ საშუალებაა აღვადგინოთ „სწრაფი სამართლის" და „იაფი მთავრობის", „ერთნებობათანადგომით მართვის" და თუნდაც ადგილობრივი თვითმმართველობის ასე ყბადაღებული დემოკრატიზმის პრინციპები. ივანე ჯავახიშვილი ბაგრატიონთა დინასტიას რომ ახასიათებს, „ყველაზე დემოკრატიულს უწოდებს თვით ევროპულ დინასტიებთან შედარებითაც კი". აქ ბატონი ივანე მარტო იმას კი არ გულისხმობს, რომ ბაგრატიონები ყველაზე ახლოს იდგნენ ხალხთან, მის ჭირ-ვარამთან, ბრძოლის ველზე ერთად ღვრიდნენ სისხლს ქვეყნის გადასარჩენად, არამედ სახელმწიფო მართვა-გამგეობაში ხალხის მონაწილეობასაც („კომლის თავის", „მამასახლისის", „ხევისბერის", "ერთა საბჭოს" და ა.შ. ინსტიტუტები).

სწორედ ამ სოციალურ და სამართლებრივ საფუძველზე ჩაისახა წარმომადგენლობითი მმართველობაც ძველ საქართველოში („ისნის კარავი", „საჯო კარი", „დარბაზი"). ამასთან, ეს ყველაფერი კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენდა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზეც. სიამაყით წერს ივანე ჯავახიშვილი „ოქროვანი ხანის საქართველოზე", რომ ეროვნული შემოსავლითაც ჩვენი ქვეყანა ინგლისის დონეზე იდგა და მნიშვნელოვნად აღემატებოდა საფრანგეთს, რომ აღარაფერი ვთქვათ მეზობელ არაბულ სახელმწიფოებზე. მაშასადამე, თვითონ ისტორია, ჩვენი წარსული ცხოვრების პრაქტიკა გვკარნახობს, თუ სახელმწიფოებრივი წყობის რა ფორმა ამოვირჩიოთ სამომავლოდ. მხოლოდ ამ გზით შეგვლებთ ჩვენი წყვეტილი ისტორიის გამთლიანებას — წარსულის ორგანულ დაკავშირებას აწმყოსა და მომავალთან. მთავარი კი სწორედ ეს არის ერის თვითშემეცნების ისტორიულ პროცესში, ორგანულად რომ დაუკავშირა აბსოლუტური სულის თვითშემეცნების პროცესს ჰეგელმა. რაკი ისტორია ღვთის ნების გამოვლენაა, ერმა არ უნდა დაკარგოს განვითარების თავისი ბუნებრივი გზა.

სხვა თუ არაფერი, მსოფლიო განვითარების ამ დიდმა სიმბოლიკამ მაინც უნდა დაგვაფიქროს ისტორიულ გზაჯვარედინზე შემდგარი ქართველობა. უნდა დავფიქრდეთ და გავაანალიზოთ, რა ჯადოსნური ძალაა, რომ ყველა ქვეყანა, სადაც კი კონსტიტუციუ-

რი მონარქიის წყობა ჩაისახა და განვითარდა, მსოფლიოს ყველაზე განვითარებული და ცხოვრების უმალლესი დონის მქონე ქვეყნების რიგებში შედიან. ასეა ყოველთვის — „ძველი გზის არდაგდება" არ შეიძლება დაუფასებელი დარჩეს...

უნდა ვიფიქროთ ყველამ იმ ელემენტარულ ჭეშმარიტებაზეც, რომ „კონსტიტუციური მონარქიის" სახელმწიფოებრივი წეს-წყობილება და მასზე აგებული პოლიტიკური, სამართლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურები არათუ არ უპირისპირდებიან და მით უმეტეს არ გამორიცხავენ რესპუბლიკური და დემოკრატიული მმართველობის თანამედროვე პრინციპებს — ე.ი. ხალხის უზენაესობას და მის გადამწყვეტ როლს ქვეყნის საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების განხორციელებაში, არამედ, პირიქით, ხელს უწყობენ მათ საფუძველზე მოცემული ქვეყნის სტაბილურ განვითარებას. ამიტომ უწოდებდა სოლომონ დოდაშვილი ამ წყობას „ერთგვარ რესპუბლიკას".

აქაც საქმის არსი ცნებაში კი არაა — რას ვუწოდებთ ამა თუ იმ ქვეყნის სახელმწიფოებრივ წყობას — „რესპუბლიკას", „დემოკრატიულ რესპუბლიკას" თუ „კონსტიტუციურ მონარქიას", არამედ ამ წყობის კონკრეტულ შინაარსში. ინგლისი, ისე როგორც ჰოლანდია, შვეცია, ბელგია, ესპანეთი, იაპონია... „მონარქიული ქვეყნიებია", მაგრამ ენა ვის მოუტრიალდება, რომ თქვას — მათთან ხალხის სუვერინეტეტი და დემოკრატიული უფლებები, მისი წარმომადგენლობის პირდაპირი და უშუალო მონაწილეობა ქვეყნის მართვა-გამგეობაში რაიმეთი შეზღუდული და არასრულფასოვანია.

ნორმალურ ქვეყანას და პოლიტიკურ სტრუქტურებს მხოლოდ მაშინ შეექმნით, როცა პოლიტიკურ თუ სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას პიროვნების სოციალურ-ეკონომიკურ პრივილეგიად კი არა, ბუნებრივ მოთხოვნილებად ვაქცევთ. რა პოლიტიკური მექანიზმით შეიძლება ამის მიღწევა და ქვეყნის თავის ბუნებრივ-ისტორიულ გზაზე დაბრუნება? ამის ყველაზე ეფექტური საშუალებაა სახელმწიფოს ნომინალური (ფორმალური) მეთაურის პოსტის დაწესება-დაკანონება და ამით ქვეყნის და მისი ცალკეული მხარეების საპარლამენტო მართვა-გამგეობაზე გადასვლა, ფართო ადგილობრივი თვითმმართველობის, „იაფი მმართველობის" და „სწრაფი სამართლის" ჩვენი ძველი ეროვნული ტრადიციების აღდგენაა.

საქართველოს სხვა არანაირი მთავრობა არ უნდა მართავდეს, გარდა ხალხსა და პარლამენტზე პირდაპირ და უშუალოდ დამოკიდებული მთავრობისა. პერიოდული არჩევნების შედეგად ახალ პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ იდეებზე მოსულ ასეთ „მუ-

შა მთავრობებს" და მათ უკან მდგომ პოლიტიკურ პარტიებს შესაძლებლობა მიეცემათ ახალ-ახალი სტიმულები მისცენ ქვეყნის საზოგადოებრივ-ეკონომიკურ განვითარებას სახელმწიფოებრივი წყობის რაიმე თვისებრივი ცვლილებების გარეშე. ქვეყნის პოლიტიკური სტაბილურობის გარანტიაც აქედან გამომდინარეობს.

რაც შეეხება სახელმწიფოს მეთაურს, აქ მთავარი და პრინციპული ის არის, რომ კონსტიტუციამ და კანონის ძალამ უნდა მართოს ქვეყანა და არა ცალკეულმა პიროვნებებმა. „უჩემოდ ვით იმღერეთა — უკიდურესი ქართული ინდივიდუალიზმი" (არჩილ ჯორჯაძე), პიროველკაცობის ქართული ფსიქიკაც ამით უფრო უკეთეს გამოყენებას პოვებს... ეს არის ჩვენი ერთადერთი ხსნა და, ერთდროულად, სამომავლო გარანტიაც. ევროპის ყველა სახელმწიფო, სადაც კონსტიტუციური მონარქიის წყობაა, მეფის ინსტიტუტი სწორედ ამ ფუნქციის განსახორციელებლად იქნა შენარჩუნებული. მომავალი ქართული სახელმწიფოც თავიდან ბოლომდე აგებულ უნდა იქნეს ასეთ სამართლებრივ და დემოკრატიულ პრინციპებზე. ქვეყნის მართვა-გამგეობის არც ერთ თანამდებობაზე — სოფლის მამასახლისიდან და მოსამართლიდან დაწყებული, დამთავრებული მთავრობის მეთაურით და კონსტიტუციური სასამართლოთი, არ უნდა დაინიშნოს კაცი პირდაპირი, ფარული და, ამასთან, ალტერნატიული არჩევნების გარეშე.

„კონსტიტუციური მონარქია" დიდი ხნის ძილისა და ძილ-ბურანის შემდეგ ჩვენი გამოფხიზლების, ჩვენი ეროვნული ღირსებისა და სიამაყის აღდგენის, სახელმწიფოებრიობის და ეროვნული ცხოვრების ძირძველი ტრადიციების განახლების საშუალებაა, იმის სამომავლო გზა და საშუალებაა, რომ ქართველებსა და საქართველოს კვლავ დაუბრუნდეს თავისი სახელი, თავისი წეს-წყობა და თავისი ბუნებრივ-ისტორიული განვითარების გზა. გლობალიზაციის პირობებში კი ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ეროვნული თვითმყოფადობის გადასარჩენად. გლობალიზაციის სულ უფრო მზარდი ტემპები თვითონვე გვკარნახობს ამ გზას ჩვენი ერის სამომავლო განვითარებისათვის...

და ბოლოს გთავაზობთ საქართველოში მეფის ინსტიტუტის კონსტიტუციური საფუძვლების ჩვენეულ გააზრებას:

1. სახელმწიფოს ნომინალურ მეთაურად ითვლება მეფე. იგი, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენს ხალხის ერთობისა და ქვეყნის მთლიანობის ისტორიულ სიმბოლოს.

2. მეფე სახელმწიფოს მეთაურის ფუნქციას ასრულებს მხოლოდ და მხოლოდ ეროვნული კრების (პარლამენტის) მეშვეობით. პარლამენტის გარეშე და მისი გვერდის ავლით, მას არავითარი

ძალაუფლება არ გააჩნია. პარლამენტის ნებისმიერი კანონი, დადგენილება ან გადაწყვეტილება, რომელიც განმეორებით იქნება მიღებული მისი ორივე პალატის ან თუნდაც ცალკე რომელიმე პალატის მიერ, კანონიერ ძალას იღებს მეფის დამტკიცების გარეშეც.

3. ერთიანი საქართველოს და „ყოველთა ქართველთა" ისტორიული ტრადიციით, მას ენიჭება ტიტული „სრულიად საქართველოს მეფე", აქვს თავისი რეზიდენცია და ატარებს ისტორიულად დამახასიათებელ სახელმწიფო-საგვარეულო რეგალიებს. მეფის რეზიდენცია ითვლება ქვეყნის პოლიტიკურ ცენტრად.

4. მეფის და მისი მემკვიდრის კანდიდატურას ამტკიცებს პარლამენტი ბაგრატიონთა საგვარეულო დინასტიის წარდგინებით.

იმ შემთხვევაში, როცა გამოჩნდება მეფის ან მისი მემკვიდრის ორი ან მეტი კანდიდატურა, პარლამენტს უფლება აქვს ან კენჭისყრით გადაწყვიტოს საკითხი, ანდა რეკომენდაციისათვის მიმართოს კონსტიტუციურ სასამართლოს, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა და პარლამენტის დადგენილების ტოლფასია.

5. მეფე და მისი მემკვიდრე არ მონაწილეობენ არც ერთ პოლიტიკურ მოძრაობასა და პარტიაში, არც არანაირი სამოქალაქო და სამეურნეო ცხოვრებაში, გარდა სამხედროსი.

მეფის ოჯახის დანარჩენ წევრებს შეუძლიათ ისარგებლონ საქართველოს მოქალაქის ყველა პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური უფლება-მოვალეობებით, თავიანთი სურვილებისამებრ მონაწილეობა მიიღონ ეროვნული ცხოვრების ნებისმიერ სფეროში.

6. მეფეს და მის მემკვიდრეს ფედერალური ბიუჯეტიდან გამოეყოფათ განსაზღვრული თანხა — არა უმეტეს 2,5 პროცენტისა — სახელმწიფოს მეთაურის ფუნქციის შესასრულებლად.

III. „ქართული წეს-წყობა და ქართული სოციალური სახელმწიფო":
„დაპირისპირებულ ძალთა ბედნიერი მორიგება ერთმანეთის დაუმონებლად და შეუბლალავად" — „საერთო ნიადაგის" თეორიის უნივერსალური პრინციპი და მეთოდი

ახალი ქართული სახელმწიფოებრიობისათვის სწორი პოლიტიკური, სამართლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური პრინციპების მოძიება რაღაც ერთჯერადი აქტი არ შეიძლება იყოს. ჩვენ კარგად გვესმის, რომ იგი ხანგრძლივი და წინააღმდეგობით ალსავ-

სე ისტორიული პროცესია, რომელიც შეიძლება მთელი საუკუნე გაგრძელდეს. მთავარი აქაც სწორი საწყისებია...

ეს ამოცანაც, ბუნებრივია, ქართული პოლიტოლოგიის გადასაწყვეტია. პოლიტოლოგია შემკრებლობითი მეცნიერებაა — ჰუმანიტარულ და ხშირად თვით საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კომპლექსია, მაგრამ როცა ვლაპარაკობთ კონკრეტულად ცნებაზე „პოლიტოლოგია", ჩვენთვის ყველაზე მისაღები დეფინიცია მაინც ისტორიასთან, ისტორიის ფილოსოფიასთან არის დაკავშირებული. ამიტომაა, რომ „პოლიტოლოგია" და „ისტორიის ფილოსოფია" სინონიმურ ცნებებად ითვლება. ეს განსაკუთრებით ითქმის ქართულ პოლიტოლოგიაზე, რომელიც მოწოდებულია საქართველოს ისტორიის ასეთი გააზრებით შექმნას ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის მწყობრი სისტემა.

„საერთო ნიადაგის" თეორია შეიცავს ამ იდეოლოგიის ყველა კომპონენტს. ამასთან, ილიამ შექმნა მათი განხორციელების უნივერსალური მეთოდიც, რომელიც შესაძლებელს ხდის გარემომცველი სინამდვილის სხვადასხვა მოვლენათა არსის გახსნას — სხვადასხვა დაპირისპირებულ ძალთა ისეთ ჰარმონიულ ურთიერთობას, რომელიც თავისთავად სრულიად ახალ საგანსა და მოვლენას გვაძლევს. აქ შეიძლება მაგალითად მოვიყვანოთ ილიას დამოკიდებულება კაპიტალიზმისა და სოციალიზმის მიმართ.

ილიას თვალწინ და მისი უშუალო მონაწილეობით მოხდა კაპიტალიზმის ჩასახვა-განვითარება და, ამასთან, სოციალიზმის თეორიის ალტერნატივად ფორმირება როგორც ევროპასა და რუსეთში, ისე საქართველოში. უნდა ვთქვათ, რომ ილიას სიმპატიები სოციალიზმის, მაგრამ ე.წ. „სახელმწიფოებრივი სოციალიზმის" იდეის მხარესაა. იგი თავიდანვე ვერ შეეგუა „ქურდბაცაცა კაპიტალს", მის „დაუნდობელ და მსუნაგ ბუნებას", რომელიც ჩვენს ეროვნულ ხასიათს არ ესადაგება და ბოლოს „ქართველების სახსენებელს გაწყვეტს, თუ მას ჩვენი ცხოვრების უწერელი კანონები არ დავუხვედრეთ". რა არის ეს „უწერელი კანონები?" — „კომლი" და „ხოდაბუნური კორპორაციები" და „მათზე დაფუძნებული შეერთებული, ამხანაგური შრომა".

„უფულო ერი ფულიანის საძოვარია, მისი საცხოვრისია... ოღონდ კი ჩვენ ერთობით, ამხანაგობით ღონე მოვიცეთ და ჩარჩელი ფული თავის საკუთარს ბედისწერას გადაჰყვება... იმიტომ, რომ ბუნებითად მხდალია, ქურდბაცაცაა, — იქა მკის, სადაც არ უთესია".[1] ილია, რო-

---

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზ. ტ. VII, თბ., 1956, გვ. 23-24.

გორც „საერთო ნიადაგის“ თეორიის ავტორი, ქართველთა ერთობის, ქვეყნის „ერთობა-თანადგომით მართვის“ პრინციპის მქადაგებელი, არ შეიძლება ერის ერთმანეთთან დაპირისპირებულ და მებრძოლ სოციალურ ფენებად დაშლის მომხრე ყოფილიყო. „ათავისუფლე მონების“ რუსთაველურ ტრადიციებზე გაზრდილს, ბოლომდე შერჩა „ტეირთმძიმეთ და მაშვრალთმხსნელი დიდი დროშის“ სოციალური იდეალი. ქართული (ხოდაბუნური) სოციალიზმის იდეები, როგორც „საერთო ნიადაგის“ თეორიის შემადგენელი ელემენტი, ამის გამოძახილია, იგი სიონისტების „კიბუცური სოციალიზმის“ თავისებური ანარეკლია...

ავიღოთ „ივერიის“ ნომრები ვერ ვნახავთ ვერც ერთ მათგანს, სადაც „შეერთებული, ამხანაგური შრომის“ და მასზე დაფუძნებული „საამხანაგო კორპორაციების და დეპო-კასების“ გახსნისაკენ მოწოდება-განცხადება არ იყოს გამოქვეყნებული. არაერთი მათგანი გაიხსნა კიდეც ილიას ინიციატივით, თუ მისი ბანკის დაფინანსებით. აქ მაგალითად დავასახელებთ „მარჩხაანის დეპო-კასას“ და მის თავკაცს დიმიტრი მაჩხანელს (ნადირაშვილს), რომელმაც საკმაოდ წარმატებული საქმიანობა აწარმოვა არა მარტო საქართველოსა და კავკასიაში, არამედ რუსეთსა და ევროპაშიც. ილია ყოველთვის მხარში ედგა ხალხიდან წამოსულ ასეთ ინიციატივას და მის „თავკაცებს“.

მესამედასელებთან პოლემიკაში ილია ავითარებს „საერთო ნიადაგის“ თეორიის, ჩვენი აზრით, საქართველოს მომავლისთვის ერთ-ერთ ყველაზე ფუძემდებლურ იდეას „არასახელმწიფოებრივი სოციალიზმის“ შესახებ. ილიას მიაჩნია, რომ პირვანდელი ინდივიდუალური კაპიტალის თანდათანობით განსაზოგადოების („კაპიტალის სოციალიზაცია“) შედეგად კაპიტალი დაკარგავს აშკარად გამოკვეთილ ინდივიდუალურ ხასიათს და კოლექტიურ, „საამხანაგო-კორპორაციულ“ სახეს მიიღებს. სტატიათა ციკლში — „კერძო და სათემო მიწათმფლობელობა“ — ილიამ ღრმა პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ანალიზი გაუკეთა „კომლის“, როგორც „სოციალური სახელმწიფოს“ ეროვნული უჯრედის, ინსტიტუტს, კომლობრივ საკუთრებას და კომლობრივ ურთიერთობებს საქართველოში.

არსი და მთავარი პოლიტოლოგიური დასკვნა ამ ანალიზისა იმაში მდგომარეობს, რომ კომლში და მის „საამხანაგო-ხოდაბუნურ“ გაერთიანებებში ასახვა პოვა საკუთრებისა და წარმოების სწორედ ამ კოლექტიურმა, „საამხანაგო-კორპორაციულმა“ პრინციპებმა და ინტერესებმა. ეს იყო კერძო-ინდივიდუალური და საერთო-კოლექტიური ინტერესების „ბედნიერი მორიგება“ საზოგადოებ-

რივი ცხოვრების ამ ორივე საწყისის „ერთმანეთის დაუმონებლად და შეუბღალავად“. ეს ქმნიდა იმ დიდ მატერიალურ დოვლათს, ცალკეული თემებისა და მხარეთა რეგიონალურ ეკონომიკათა და მთლიანად ეროვნული ეკონომიკის სტაბილურ განვითარებას, რაც საშუალებას აძლევდა ქვეყანას გაეძლო „ამოდენა გაუთავებელი ომიანობისა და სისხლისღვრებისათვის“.

„კომლობრივი წყობილება“, „ქართული სოციალური სახელმწიფო“ — აი, ამ ანალიზის სამომავლო-სამოქმედო დასკვნა. მაგრამ კომლი, როგორც ათასეული წლების მანძილზე სისხლის ნათესაობაზე ამოზრდილი საგვარეულო-სანათესაო კორპორაცია, ახლა კი არა, უკვე ილიას დროს სულსა ღაფავდა და ცალკეულ ოჯახებად იშლებოდა. ამიტომ მოუწოდებდა ამავე სტატიებში, რომ გადაგვერჩინა კომლი — ქართული ცხოვრების ეს ბალავრის ქვა და იგი ხელახლა „გავაკანონოთ“ კერძო და საზოგადოებრივი საკითხების „ბედნიერი მორიგებით“...

„კიბუცის“ მსგავსად, „კომლიც“ შეიძლება გახდეს „არასახელმწიფოებრივი სოციალიზმის“ თავისებური ჩანასახი, თუკი შევძლებთ მის აღორძინებას ეპოქის შესატყვისი ფორმებით. აღსანიშნავია, რომ არასახელმწიფოებრივი სოციალიზმის ამ იდეას პოპულარიზაციას უწევდა ანარქოსინდიკალიზმის ერთ-ერთი ლიდერი ვარლამ ჩერქეზიშვილიც. აქვს თუ არა რაიმე ისტორიული საფუძველი ამ იდეას და შეიძლება თუ არა კომლის აღორძინება-გამოცოცხლება ჩვენში? — აი, პრობლემა, რომლის გადაწყვეტაზე ბევრწილად არის დამოკიდებული ქართული სახელმწიფოს სახე ახლო და შორეულ მომავალში.

სოციალური პასუხისმგებლობის ფენომენს რომ იკვლევდა ქართველი ერის ისტორიულ განვითარებაში, ივანე ჯავახიშვილი ხაზს უსვამდა, რომ მას ქართული სახელმწიფოს არსებობის მანძილზე პერმანენტული ხასიათი ჰქონდა. სწორედ სახელმწიფოს მმართველი ფენების მაღალი სოციალური პასუხისმგებლობა განაპირობებდა იმ ისტორიულ ფაქტს, რომ ჩვენმა ისტორიამ უმიწაწყლო ქართველი გლეხი არ იცის. სიამაყით წერდა ამ ფაქტზე ილიაც. „პატრონყმური წყობილება“ ბევრწილად სოციალური პასუხისმგებლობის ამ ფენომენმა წარმოშვა, მთელი თავი რომ მიუძღვნა ივანე ჯავახიშვილმა „ქართული სამართლის ისტორიაში“. დღესაც ხომ თავისებური გათანამედროვებულ პატრონყმურ ურთიერთობებს აქვს ადგილი გარდამავალი პერიოდის საქართველოში — მთავარია, რომ ამ ურთიერთობებს ჯანსაღი სოციალური და სახელმწიფოებრივი მიზანმიმართულება მივცეთ და არა კლანურ-მაფიოზური...

ერთი სიტყვით, ქვეყნის და ქართველი ერის ბუნებრივ-ისტორიული განვითარებით „კაი ყმისა“ და „კაი პატრონის“ ფენომენი ქართული სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის და სოციალური ორიენტაციის თავისებური მანიშნებელია, რაც უფლებას გვაძლევს ვილაპარაკოთ ქართული სოციალიზმის, როგორც ქართული წეს-წყობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ელემენტის, საპროგრამო მოთხოვნაზე. „კომლის“ სტრუქტურასაც თუ დავუკვირდებით, ისიც სოციალური პასუხისმგებლობისა და „პატრონყმური“ ურთიერთობის (სიტყვა „ყმა“-ს ივანე ჯავახიშვილი ეტიმოლოგიურად სიტყვა „ყრმა“-სთან აკავშირებს) თავისებური გამოვლენაა. „კომლის თავი“ (რომელიც ხშირად „მამასახლისის“ ფუნქციასაც ასრულებდა კომლის გარეთ მთელი სოფლის მასშტაბით), „გუთნის დედა“, „მეკომურენი“ ფუტკრის სკასავით ერთიან ორგანიზმად კრავდა მოცემულ სოციუმს: უაღრესად მაღალი ორგანიზაცია, ბეგარა-ღალა-გადასახადები, ადგილობრივი მმართველობა და წესრიგის დაცვა, ჯარში გაწვევა — ყველაფერი ეს კომლზე იყო მუდამ გათვლილი და გაანგარიშებული. თვით მონღოლებმაც კი არ დაანგრიეს საქართველოს ეს „კომლობრივი წყობილება“ და კვლავაც მისით აწარმოებდნენ ქვეყნის მართვას.

შეიძლება თუ არა დღეს ოჯახებად დაშლილ-დანაწევრებული ძველი ქართული კომლობრივი ურთიერთობის აღდგენა? თანამედროვე ოჯახების კომლად გამსხვილება, რა თქმა უნდა, შეუძლებელია და არც არის საჭირო, მაგრამ კომლის სოციალურ-ეკონომიკური ფუნქციის აღდგენა საჭირო და აუცილებელია „ქართული წეს-წყობის“ და ქართული სახელმწიფოს წარმატებითი მშენებლობისათვის. „სოციალური სახელმწიფო“ და „სოციალური პოლიტოლოგია“ დღეს პოლიტიკური თეორიისა და პრაქტიკის სულ უფრო მნიშვნელოვანი მიმართულებანი ხდება და არ უნდა დავივიწყოთ, რომ ქართულ პოლიტოლოგიასაც ამ მხრივ მნიშვნელოვანი ისტორიული მემკვიდრეობა უმაგრებს ზურგს. ეს ეხება ქართული სოციალური სახელმწიფოს სამომავლო-საპროგრამო მოთხოვნასაც, რომლის თავისებური იდეალი ჯერ კიდევ რუსთაველმა მოგვცა („ყოვლთა სწორად წყალობასა, ვითა თოვლსა მოათოვდეს, ობოლ-ქვრივნი დაამდიდრნეს და გლახაკნი არ ითხოვდნენ, ავაზაკნი დააშინეს“ და ა.შ...).

აქა-იქ დღევანდელ საქართველოში კომლობრივ-დედმამიშვილობის საწყისებზე დაიწყო ძველი კორპორაციული ტრადიციების აღორძინება: ახლო ნათესავებმა გააერთიანეს სახნავ-სათესი მიწები, ერთობლივად შეიძინეს სასოფლო-სამეურნეო იარაღები, ბევ-

რგან „კომლის თავის“ ინსტიტუტიც გაჩნდა იურიდიულ პირად გაფორმებისა და ამ გზით სახელმწიფოდან საერთო კრედიტის აღების მიზნით. ბუნებრივად დაწყებულ ამ პროცესს ხელის გამართვა და მიზნობრივად წარმართვა სჭირდება.

ხალხი და ცხოვრება თვითონ გვკარნახობს „ქართულ წესწყობას“. ამ კარნახს გაგონება უნდა. დავაკვირდეთ ჩვენს სოფელს — კომლობრივი საწყისები აქ დღემდე თითქმის ყველგანაა შემორჩენილი: თვითეულ მათგანში ძირძველი კომლობრივი გვარები 8-10 სანათესაო გვარს თუ შეადგენს, ხოლო თითოეული უბანი ხშირად ერთი სანათესაო გვარით არის დასახლებული. ტოპონომიკაშიც აისახება ეს, მაგალითად, „ზარიძეები“, „ჯორჯიაშვილები“, „საბერიო“, „შარაბიძეები“, „ნაცვლიშვილები“ და ა.შ. სახელმწიფომ გარკვეული სამართლებრივი ბაზა უნდა შეუქმნას კომლობრივ-კოოპერაციულ გაერთიანებათა ჩამოყალიბებას სოფლად, თავისებური „უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი“ კრედიტების, გრანტების მიღების, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენის და აგრარული წარმოების განვითარების მიზნით. ასეთი გრძელვადიანი სახელმწიფო პოლიტიკის შედეგი კი ის უნდა გახდეს, რომ მთისა და ბარის ყველა რეგიონში შეიქმნას „ხოდაბუნური საამხანაგო კორპორაციების“ ერთიანი ეროვნული სისტემა. „კომლი“ და „ხოდაბუნი“ ეროვნული ეკონომიკის საფუძველი იყო.

ეჭვი არაა, რომ, „კიბუცების“ მსგავსად, ისინიც ეკონომიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტად იქცევიან მომავალში. ამის გარანტიას თვითონ ჩვენი ისტორია იძლევა — პირველი „ხოდაბუნი“ ხომ ჯერ კიდევ დავით აღმაშენებლის შიო მღვიმის მონასტრისადმი „ანდერძში“ არის დაფიქსირებული და იქაც სწორედ სოციალური დაცვის სამეურნეო ფუნქციის მატარებელია. „ხოდაბუნური სოციალიზმი“ ქართული ცხოვრებით შობილი ეროვნული ფენომენია და მისი დაკარგვა და მომავალი ეროვნული ცხოვრებიდან ამოძირკვა არ გვეპატიება. ამისკენ მოგვიწოდებს დიდი ილია, მისი „საერთო ნიადაგის“ თეორია და ჩვენც ვალდებულნი ვართ ამ მოწოდების სიმაღლეზე დავდგეთ. საზოგადოებასა და სახელმწიფოში არსებული დაპირისპირებული ძალების „ბედნიერი მორიგება“ მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი. „დიდი საშუალო კლასი“ — საზოგადოების შემადგენელი სოციალური ფენების „ბედნიერი მორიგება“ უნდა გახდეს ჩვენი გზამკვლევი ქართული სახელმწიფოსკენ მიმავალ გზაზე.

ახლა ვნახოთ, რაში მდგომარეობს მისი, როგორც ზოგადსოციოლოგიური მეთოდის დანიშნულება? ილია ღრმად ჩასწვდა გან-

ვითარების არსს და, ჰეგელის დიალექტიკისაგან განსხვავებით, მასში მარტო „დაპირისპირებულთა ერთიანობა და ბრძოლა“ კი არ დაინახა, არამედ უფრო შორს გაიხედა და, ამ მუდმივი დაპირისპირებისა და ბრძოლის შემდეგ, „ბედნიერი მორიგების“ დიდი მიზანი და კანონზომიერებაც დაინახა, როგორც ამ ბრძოლის საბოლოო შედეგი. თუ ჰეგელისეული დიალექტიკის კანონი რევოლუციისაკენ, განუწყვეტელი რყევებისა და ანარქიებისაკენ გვიბიძგებს, ილიას „ბედნიერი მორიგების“ კანონი სტაბილური ევოლუციური განვითარების გზა და საშუალებაა, „ახალი მსოფლიო წესრიგის“ მთავარ პრინციპად რომ არის მიჩნეული დღეს. ილიამ სრულიად ახლებურად გაიაზრა ბუნებრივ-ისტორიული განვითარების საკაცობრიო პროცესი, მოწესრიგებული და მიზანმიმართული ხასიათი მისცა მას, რაც დიალექტიკის შემოქმედებითი განვითარებაა, ახლებური ხედვაა მთელი იმ პროცესებისა, რომლებსაც ადგილი აქვს ჩვენს გარემომცველ სინამდვილეში.

რევოლუციის, მუდმივი ბრძოლისა და ანარქიის ნაცვლად, ილიამ ამ პრინციპით და ამ კანონით დიალექტიკაში წესრიგის, გაწონასწორების, ჰარმონიის ელემენტი შემოიტანა. რაც უფრო ღრმად ვიკვლევთ და ვაანალიზებთ „ბედნიერი მორიგების“ პრინციპს და, საერთოდ, ილიას მთელ მემკვიდრეობას, მით უფრო ვრწმუნდებით, თუ რა დიდი გარდამქმნელი ძალა და ენერგია იმალება ილიას აზროვნებაში: სამყაროს ორიგინალური ხედვა, გარემომცველი სინამდვილის დიდი სიღრმისეული წვდომა, „ბედნიერი მორიგება“ თვითონ ჩვენს აზროვნებაში არსებული უამრავი დაპირისპირებისა და გადაუჭრელი პრობლემებისა, როგორიც, ვთქვათ, დროისა და სივრცის უსასრულობის მსგავსი მიღმურობა და მიუწვდომლობაა, დასტურია ამ მაღალი შეფასებისა. ილია წერდა:

„ქვეყანა სავსეა ხილულითა და არა-ხილულითა ადამიანის სულიერ და ხორციელ თვალთათვის... ბუნება ადამიანისა იმისთანაა, რომ სულთასწრაფვა ჩვენი ერთსაც ეტანება და მეორესაც საცნაურად ორივე გზით... ამ ორ სამფლობელოში დადის გონება და გული ადამიანისა მოუსვენრად, რომ იპოვოს ბინა და შეასვენოს სული მსოფლიო ღელვათაგან...

ამ ორ სამფლობელოთა შორის შემაერთებელ ხიდსა სწნავს მარტო სიბრძნე, რომელიც ასე იშვიათია ამ წუთისოფელში და რომელიც ჩემის ფიქრით, სხვა არა არის-რა, თუ არა მეცნიერებისა და სარწმუნოების ერთმანეთში ბედნიერად მორიგებისა ერთმანეთის დაუმონებლად და შეუბღალავად. ამისთანა სიბრძნეს სწვდე-

ბოდნენ მარტო იმისთანა გენიოსები, როგორიც ნიუტონი და მისთანებია...".[1]

მაშასადამე, ილიასთვის მთავარია ისეთი სიბრძნე, რომელიც „საცნაურს გახდის ადამიანის თვალუხილავ სამფლობელოს", რომლის მიღწევის ერთადერთი გზა და საშუალება, ანუ მეთოდი, „ბედნიერი მორიგებაა" ცოდნას, მეცნიერებას და რწმენას, სარწმუნოებას, აგრეთვე, ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების ნებისმიერ სხვა საპირისპირო მოვლენებს შორის. მათ შორის უნდა მოიძებნოს საერთო შეხების წერტილი, რაღაც გონივრული ზღვარი, სადაც „საცნაური გახდება ადამიანის „ხორციელი თვალისთვის თვალუხილავი ჭეშმარიტება".

ჩვენი უმდიდრესი და უძველესი ეროვნული მემკვიდრეობიდან ახალი საქართველოს „ალმოშობაც" თვალუხილავის წვდომის ასეთ სიბრძნეს შეუძლია და ილიამაც შეძლო „წარხდენილი ქართველთა სახელისა და ქართველი წეს-წყობის აღდგენის" გზის წვდომა და გათავისება „საერთო ნიადაგის" თეორიის სახით.

IV. ქართული სახელმწიფო და ქვეყნის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობა

სოფელი — თემი — მხარე, ასეთი იყო ოდითგან ქართული სახელმწიფოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის და, ამასთან, ქვეყნის მართვა-გამგეობის საფუძველი. „სოფლით იწყება ქვეყანა", წერდა ვახუშტი ბატონიშვილი და უძველესი ქართული სახელმწიფოებიც — ე.წ. „ხევების ქვეყნები" თემების და სოფლების გაერთიანებანი იყო უპირველესად. ჩვენი ეროვნული ხასიათი და ცხოვრების წესიც ორგანულად იყო დაკავშირებული სოფელთან და მით უფრო აუხსნელი და გაუგებარია, როცა დღეს ქართული სოფელი მთლიანად მოწყვეტილი აღმოჩნდა სახელმწიფოებრივი მშენებლობიდან.

თუ გვინდა, რომ ეს მშენებლობა წარმატებით დამთავრდეს, იგი ჩვენი ეროვნული ცხოვრების საძირკვლიდან — ქართული სოფლიდან უნდა დავიწყოთ. სოფელი, თემი, მხარე — მათი თვითმმართველობა და თვითმოქმედება, აი, რამ უნდა შექმნას სახელმწიფოს და, მასთან ერთად, პიროვნებისა და საზოგადოების სული-

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა კრებული, თბ., 1989, გვ. 930.

ერი სიძლიერე, ზნეობრივი სიჯანსაღე და მატერიალური კეთილდღეობა „ერთმანეთის დაუმონებლად და შეუბღალავად“.

ხშირად გაისმის ხოლმე ჩვენს საზოგადოებაში და სახელმწიფო წრეებშიც, ჩვენი აზრით, უადგილო კითხვა-ალტერნატივა: რა უფრო უპრიანია საქართველოსათვის – უნიტარიზმი თუ ფედერალიზმი? აქ სწორი და ლოგიკური პასუხი ერთადერთია – ერთიც და მეორეც. სწორედ ასეთი პასუხი გასცა 100 წლის წინ ილიამ და „საერთო ნიადაგის“ თეორიამ:

„ქვეყნიერებაზე მართველობას ორგვარი წყობა და აგებულება ჰქონია და აქვს... ერთგვარი მართველობა იგია, როცა... მთავრობა ყოველგვარი საქმის მწარმოებელია – ყოველივე მისგან წარმოსდგება და ყოველივე მასვე ერთვის... ამგვარს მართველობას ცენტრალიზმს ეძახიან.

მეორეგვარი მართველობა იგია, როცა სახელმწიფოს თვითეულ ნაწილს თვისნი ადგილობრივნი საქმენი აქვს ხელშეუვალად მინდობილნი... ამგვარს გამგეობას თვითმართველობას უწოდებენ...

ამგვარი მართველობა მეტად ხელს უმართავს ქვეყნის კეთილდღეობას: ხალხს აფხიზლებს, ჭკუასა და გონებას უხსნის, საზოგადო საქმეებისთვის ხალისს ულვიძებს, საქვეყნო საქმისთვის სწრთვნის და ავარჯიშებს... მთავრობასაც მძიმე ტვირთს ქვეყნის მართვისას უმსუბუქებს“.[1]

ვრცელი პოლიტიკური ანალიზის შემდეგ, მეტად ჭკუის სასწავლი პოლიტიკური დასკვნაა: სადაც ნორმალური სახელმწიფოა, იქ ყოველთვის ცენტრალიზმიც და ადგილობრივი თვითმმართველობაც მშვიდობიანად თანაცხოვრობენ მთელი ხალხის სახეიროდ და საკეთილდღეოდ.[2] აქაც და „ცხოვრება და კანონის“ ყველა სხვა წერილებშიც ილია ქვეყნის მართვა-გამგეობას ორგანულად უკავშირებს მის ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ წყობას. ასე უნდა დადგეს საკითხი დღესაც: რა ცნებითაც არ უნდა აღვნიშნოთ ქვეყნის მომავალი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობა – „რეგიონალიზმით“ თუ „ფედერალიზმით“, არსი ერთი უნდა იყოს – ხალხის თვითმმართველობისთვის ფართო ასპარეზის მიცემა. „ჩვენი ხსნა, წერდა ილია, ხალხის თვითმოქმედებასა და თვითმართველობაშია“ და, მართლაც, წლების მანძილზე გაჭიანურებული კრიზისიდან ვერ გამოვალთ, თუ ხალხის დაფარულ ენერგიას არ მივცემთ ამ დიდ სამოქმედო ასპარეზს. კორუფციაც და ბიუროკრატ

---

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზ. ხუთტომეული, ტ. IV, თბ., 1987, 324-325.

[2] იქვე.

რანტიათა პარაზიტული ფენებიც ერთბაშად დაკარგავენ თავიანთ ძალას.

რაიონული ტერიტორიული ერთეული, რომელიც საბჭოთა წყობილების გადმონაშთად მოგვყვება დღემდე, რაც შეიძლება მალე უნდა გაუქმდეს. ისიც კი გვავიწყდება, რომ სიტყვა „რაიონი" ქართული არაა, იგი კოლონიური მემკვიდრეობაა და ოთხმოც რაიონად დაყოფილი საქართველოც ვერასდროს ვერ მოიშორებს ამ წყობილების დამღას. ხალხის თვითმოქმედებისა და თვითმმართველობის დამკვიდრება თხოულობს სასოფლო-სათემო და მხარეთა ბუნებრივ-ისტორიული დარეგიონების აღდგენას. თვითონ ჩვენმა ისტორიამ შექმნა ყოველივე ეს ათასწლეულთა მანძილზე და მასზე უკეთეს დარეგიონებას ვერავინ შექმნის.

მაგრამ ახალ ქართულ სახელმწიფოებრიობას ცენტრალიზმის უნიტარისტული პრინციპებიც უნდა დაედოს საფუძვლად — ესეც უნდა გადავაქციოთ ჩვენი მომავალი ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე მაგარ „ბალავრის ქვად". მსოფლიოს ქვეყნებსაც რომ გადავხედოთ, ვერსად წმინდა „ფედერალურ" ანდა „უნიტარულ" ქვეყანას ვერ ვნახავთ — ისინი ყველგან მეტ-ნაკლები თანაფარდობით ერთმანეთს ავსებენ და აწონასწორებენ. თვითონ მოცემულმა ქვეყანამ და მისმა ხალხმა უნდა გადაწყვიტოს თავიანთი კეთილდღეობისათვის რა და როგორი თანაფარდობის დამკვიდრებაა საჭირო და აუცილებელი.

ჩვენს საერთო-ობიექტურ პირობებში, ქვეყნის ძლიერებისათვის აუცილებელია, რომ ქვეყნის ცენტრალურ ხელისუფლებას გადაეცეს ისეთი საერთო-ეროვნული სახელმწიფოებრივი ფუნქციები, როგორებიცაა ქვეყნის შინაგანი უშიშროებისა და ერთიანობის დაცვა, მისი საზღვრების ხელშეუვალობა, ერთიანი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის შექმნა, ქვეყნის საერთო თავდაცვითი და საგარეო პოლიტიკის წარმოება, ერთიანი საბაჟო სისტემის შექმნა და საერთო ეროვნული ვალუტისა და ფინანსური პოლიტიკის წარმოება. ამასთან, მხარეებთან ერთად და მათთან შეთანხმებით, ფედერალურმა ხელისუფლებამ თავის თავზე უნდა აიღოს ეკოლოგიური და დემოგრაფიული პოლიტიკის წარმოებაც. ეს იქნება ყველაზე ეფექტური გზა „დემოგრაფიული თავკომბალას" პრობლემის გადასაწყვეტადაც...

ადრეც ითქვა, რომ როგორც ქვეყნის, ისე მისი ცალკეული მხარეების მართვა-გამგეობის ცენტრში უნდა დადგეს სოფელი. იგი უნდა იქნეს მიჩნეული ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის ყველაზე მაგარ „ბალავრის ქვად", ქვეყნის ძლიერების და მისი სტაბილური განვითარების გარანტად. ეს „ქართველთა წეს-წყო-

ბის“ მნიშვნელოვანი ტრადიციაა და იგი თავის უფლებებში უნდა აღდგეს.

თვითონ სიტყვა „სოფლის“ ორგვარი სემანტიკური გაგება — კაცის კონკრეტული საცხოვრისი ადგილისა და ამასთან, ამქვეყნიურობის საერთო-კოსმიური და საწუთისოფლო არსებობისა — მიგვანიშნებს „ქართველთა წეს-წყობაში“ მის განსაკუთრებულ როლსა და დანიშნულებაზე. აქ გვჭირდება განსაკუთრებით ეროვნულ ტრადიციებსა და მემკვიდრეობაზე ჩაფიქრება და მათი დღევანდელი ვითარებისადმი მისადაგება. ამ ჩაფიქრება-ჩაღრმავების შედეგია, რომ ილია სოფელსა და გლეხობას „ჩვენი ეროვნული იმედების სულსა და გულს“ უწოდებს. ცნობილია მისი პიროვნული ცხოვრების წესიც — ერთი სული ჰქონდა, როდის დააღწევდა თავს ქალაქს...

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს მომავალი საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარება ფედერალიზმისა და უნიტარიზმის „ბედნიერ მორიგებასა“ და ურთიერთგაწონასწორებულ ერთიანობაში მოიაზრება.

ფედერალიზმი ცენტრალიზმით ნასაზრდოები და კოლონიური მემკვიდრეობით გადმოცემული ბიუროკრატიული სტრუქტურებისა და რანტიათა პარაზიტული კლანებისაგან თავდახსნის, ქვეყნის ცალკეული მხარეების ეკონომიკური და კულტურული აღორძინებისა და შემდგომი განვითარების, ხალხის თვითმოქმედებისა და თვითმმართველობის ამოქმედების და ამით, მისი და მთელი ქვეყნის საზოგადოებრივ-ეკონომიკური პროგრესის საფუძველია.

უნიტარიზმი კი, თავისი ძალისმიერი საერთო-ეროვნული სტრუქტურებით და ფუნქციებით, ქვეყნის ერთიანობისა და უშიშროების, მისი სამხედრო-თავდაცვითი ძლიერების, აქტიური რეგიონალური და გლობალური პოლიტიკის საფუძველი და გარანტიაა.

თუკი ამას შევძლებთ, ეს იქნება დაპირისპირებულთა „ბედნიერი მორიგების“ კიდევ ერთი მაგალითი ქართული სახელმწიფოს წარმატებითი მშენებლობისათვის. ამისათვის კი აუცილებელია თვითონ ხელისუფლების და საზოგადოების კეთილი ნება და „ბედნიერი მორიგება“. ჩვენ ყველამ ერთად — პოზიციამაც და ოპოზიციამაც უნდა შევქმნათ ჩვენი ეროვნული სახელმწიფო. სხვა ამას ჩვენს მაგივრად არ გააკეთებს.

V. „მიწისა და გუთნის საქართველო“ — შერეული ტიპის სოციალურად ორიენტირებული მრავალწყობიანი ეროვნული ეკონომიკა

ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ ილიას მიერ საქართველოში შემოჭრილი კაპიტალიზმის ალტერნატივად „ქართული წეს-წყობის“ იდეაზე. ესეც თავისებური „ბედნიერი მორიგება“ იყო კაპიტალიზმსა და იმავე ხანებში საქართველოში ჩასახული სოციალიზმის თეორიულ პრინციპებს შორის, რასაც პირობითად ჩვენ, „კიბუცური სოციალიზმის“ ანალოგიით, „ხოდაბუნური სოციალიზმის“ დეფინიციით აღვნიშნავთ. კვლავ გვინდა ხაზგასმით ვთქვათ, რომ „არასახელმწიფოებრივი სოციალიზმის“ ამ ძველმა იდეამ შეიძლება ახალი სიცოცხლე და პრაქტიკული გამოყენება პოვოს „სოციალური სახელმწიფოს“ თანამედროვე გაგებით, თუ მთელი სერიოზულობით მივუდგებით მის შემდგომ დამუშავება-დასაბუთებას. ეს განსაკუთრებით მის ეკონომიკურ მხარეს ეხება, რომელსაც ილია ყოველთვის გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა.

ილიას მიაჩნდა, რომ ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკა აქ მცხოვრები ხალხის ეროვნულ ხასიათს, ათასწლეულებიდან მომდინარე მის ტრადიციებს და ცხოვრების წესს უნდა დაემორჩილოს. ამ ფაქტორების გათვალისწინების გარეშე ეროვნული ეკონომიკა ვერ განვითარდება. აქედან გამომდინარე, მას მიაჩნდა, რომ „როგორც გინდა არ უნდა მოეძალოს ინდუსტრია საქართველოს, იგი მაინც მიწისა და გუთნის ქვეყნად უნდა დარჩეს“. მესამედასელმა ოპონენტებმა ილიას ეს „ანტიინდუსტრიულ პოზიციად“, დიდ სტრატეგიულ შეცდომად და „ეკონომიკურ კონსერვატიზმად“ ჩაუთვალეს.

მაგრამ ვნახოთ, არის კი ეს „ანტიინდუსტრიული პოზიცია“, თუ იგი ქვეყნის ბუნებრივ-კლიმატური პირობებით და ეროვნული ხასიათით გაპირობებული ობიექტური რეალობის ასახვაა ეროვნული ეკონომიკის ილიასეულ გააზრებაში, ე.ი. ის, რაც აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისას.

ვის, თუ არა ილიას მთელი სიგრძე-სიგანით გათავისებული ჰქონდა მრეწველობის გადამწყვეტი როლი ნებისმიერი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარებაში. „მიწისა და გუთნის საქართველოს“ მისეული იდეალი სწორედ რომ ინდუსტრიული პოზიცია, აგრარულ-ინდუსტრიული სტრატეგიაა ქვეყნის მომავალი საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარებისა. „საერთო ნიადაგის“ თეორი-

აც სწორედ ამ ეკონომიკურ სტრატეგიას ეფუძნება და ემორჩილება. მრეწველობა, ინდუსტრიული განვითარება ჰაერივით სჭირდება დღევანდელ საქართველოს, მაგრამ როგორი მრეწველობა? ინდუსტრიის რა დარგები და მიმართულებანი? ნუთუ ის „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს", რომელიც სხვის ნედლეულსა და სხვის ტექნოლოგიებზე მუშაობს? — არა გვგონია.

ის მრეწველობა და ის ინდუსტრია წაადგება ხალხს და ქვეყანას, მათი ის დარგები და მიმართულებანი, რომლებიც „გუთნის" ძველ ისტორიულ-ეროვნულ და სემანტიკურ გაგებას შეესატყვისებიან, ანუ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მანქანა-იარაღები და ენერგეტიკა. კაცი, რომელიც სულ იმ ნატვრაში იყო, რომ „ორიოდე კარგი ინჟინერი და მეცნიერ-აგრონომი" ჰყოლოდა ქვეყანას, რომ რაც შეიძლება ეფექტურად გამოგვეყენებინა ქართული მიწის ქვეშ და ზეგით არსებული სიმდიდრის დიდი პოტენციალი, საამისოდ პირველი ქართული სამეურნეო-ტექნიკური სასწავლებელიც კი გახსნა წინამძღვრიანთკარში, თანამედროვე ინდუსტრიასა და ტექნოლოგიებს, მრეწველობასა და მეცნიერებას უარყოფდა?! ეს ხომ აბსურდია, ილიას შეგნებული თუ შეუგნებელი არგაგება და თავიდან მოშორებაა...

„საერთო ნიადაგის" თეორიის ეკონომიკური არსი და მიზანმიმართულება იმაში მდგომარეობს, რომ რაც შეიძლება ეფექტურად გამოვიყენოთ ის, რაც „ღვთისგან უხვად მოცემული გვაქვს". აქ ქართველებს მართლაც რომ „სამდურავი" არავისა და არაფრის მიმართ არ უნდა გექონდეს, გარდა საკუთარი თავისა — იმის მეათედს და მეასედს არ ვიყენებთ, რაც უხსოვარი დროიდანვე ღვთისგან გვებოძა. ისტორიულად საქართველოც და კავკასიაც ქართულ პურს ჭამდა. თვითონ „გუთნის", „სასნისის", ხორბლის სხვადასხვა ჯიშების სახელთა კავკასიურ ენებში ფართო გავრცელება თავისთავად მეტყველებს ამაზე. სიამაყით წერს იბერიულ-კავკასიურ ამ ლინგვისტიკურ და კულტურულ-სამეურნეო პარალელებზე ივ. ჯავახიშვილი. მაგრამ დღეს კავკასიას ვინღა ჩივის, შიმშილით სული ამოგვძვრება ყველას, ჩვენი დღევანდელი „სამეურნეო პოლიტიკის" გადამკიდე. ამ პოლიტიკით, თურმე, კანადაში მოყვანილი ხორბალი უფრო იაფია, ვიდრე შირაქში და ალაზნის ველზე!...

ისე რომ, „მიწისა და გუთნის საქართველოს" ილიასეულ სტრატეგიას ფართო და კომპლექსური გააზრება და ანალიზი სჭირდება. აქ „ანტიინდუსტრიული" არაფერი არაა. სწორედ რომ პირიქით — „მიწისა და გუთნის" ამ ეკონომიკური გაგებით, ეს

ნიშნავს მრეწველობის იმ დარგებს, რომლებიც მთიანი ქვეყნის აგრარულ სერვისს შეძლებენ ენერგეტიკული პრობლემის გადაწყვეტით დაწყებული და სამთო მექანიზაციით დამთავრებული. განა ნორმალურია, რომ ქვეყანას, რომლის ტერიტორიის ორ მესამედზე მეტი მთაგორიანია, ერთი სათიბი მანქანების ქარხანაც კი არ გააჩნია, ხოლო ენერგეტიკული პოტენციალით ახლომახლო რეგიონებში ბადალი არა ჰყავს, მაგრამ ენერგეტიკული კრიზისიდან კი თავი ვერ დაულწევია?! აბა, გავიხედ-გამოვიხედოთ, ვის აქვს წყლის და წყლის ენერგიის ამდენი რესურსები, უქმად რომ იკარგება ირგვლივ?! ამ რესურსებით მთელ რეგიონს დააკმაყოფილებს კაცი სწორი ეკონომიკური პოლიტიკის შემთხვევაში.

აქედან დასკვნა — ქვეყანას სწორი ეკონომიკური პოლიტიკა, საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების სწორი სტრატეგია და ორიენტირები არ გააჩნია. ავიღოთ ისევ ენერგეტიკა და ენერგეტიკული პოლიტიკა. ყველასათვის ცხადია, რომ არც ერთი გვაქვს და არც მეორე, მაგრამ საკითხავია — რატომ? იმიტომ, რომ არ გვაქვს მთავარი — ზემოაღნიშნული საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების სწორი სტრატეგიული ხედვა და ამიტომაცაა, რომ ყველაფერს ამქვეყნად თვითდინების ინერციის ძალა მიაქანებს ეშმაკმა იცის, საით...

მიწის პრობლემის მსგავსად, ენერგეტიკული პრობლემის გადაჭრაც უკულმა წარიმართა: იმის ნაცვლად, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის საფუძველზე წაგვემართა რეფორმები ამერიმერის მთისა და ბარის ადგილობრივ თავისებურებათა გათვალისწინებით, ცენტრალიზმმა და მისმა თანმდევმა ბიუროკრატიამ ყოველგვარი პოზიტიური ღირებულება დაუკარგა ერთსაც და მეორესაც. მიწაც, ენერგეტიკაც და სხვა ნებისმიერი საერთო-ეროვნული ღირებულებანი აღმოჩნდა მათი დიქტატის ქვეშ. შედეგად, ეკონომიკამაც და ენერგეტიკამაც დაკარგა სახელმწიფო რეგულაციის ყველა ბერკეტი.

ხსნა მმართველობის დეცენტრალიზაციასა და ადგილობრივ თვითმმართველობაზე გადასვლაა. არ შეიძლება ქვეყნის სხვადასხვა მხარის, თემის, სოფლის ენერგეტიკული მოთხოვნილება ერთი ცენტრიდან იმართებოდეს. საქართველოს ყველა მხარეს აქვს იმის ენერგეტიკული პოტენციალი, რომ თვითონ დაიკმაყოფილოს თავისივე ენერგეტიკული მოთხოვნილება. ეს სასარგებლოა თვით ცენტრისა და ცენტრალური მმართველობისათვისაც, რათა საჭიროების შემთხვევაში აწარმოოს აუცილებელი რეგულაცია და ენერგიის მნიშვნელოვანი ექსპორტიც მთელი ქვეყნის სასარგებლოდ. თუ-

კი ჩინელები რაღაც ორიოდე წელიწადში აპირებენ კახეთის ენერგეტიკული პრობლემის გადაწყვეტას, ჩვენ რატომ ვერ ვაკეთებთ ამას? მარტო კავკასიის მთებიდან ხომ 2 ათასზე მეტი დიდი და პატარა მდინარე ჩამოედინება ამერ-იმერის სხვადასხვა თემებსა და მხარეებში. მათი პოტენციალის ათვისება ლოკალური ჰესების სახით ერთბაშად გადაჭრიდა ყველა პრობლემას. მეტიც, საქართველოს წყლისა და ენერგიის მთავარ მომმარაგებლად აქცევდა კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთშიც. საამისო ბუნებრივ-კლიმატური და მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი ქვეყანას აქვს, მხოლოდ მათი ამოქმედებისათვის ეკონომიკური სტრატეგიის შემუშავებაა აუცილებელი.

უნიტარიზმისა და ფედერალიზმისა არ იყოს, გარდამავალ პერიოდში მიწის, ენერგეტიკის, მრეწველობის თუ სოფლის მეურნეობის ეფექტური რეფორმირება მხოლოდ „დაპირისპირებულ ძალთა ერთმანეთთან ბედნიერი მორიგებით" შეიძლება. მმართველობის ხელოვნებაც ისაა, რომ დავიცვათ „ოქროს საშუალო" თუ „გონიერული ზღვარი" ორ რომელიმე უკიდურესობას, ვთქვათ, ცენტრალიზმსა და დეცენტრალიზმს, ანდა მიწის კერძო-საკომლო და სათემო-სასოფლო საკუთრებას შორის. თვითონ ქვეყნის ბუნებრივ-ისტორიული განვითარებით ხდება ყველაზე კარგად დაპირისპირებათა რეგულირება. მხოლოდ ყოველივე ამას გაგება და ეპოქის შეცვლილ პირობებში ახლებური გააზრება უნდა.

მიწისა და ენერგეტიკის — ეროვნული ცხოვრების ამ ორი ყველაზე მნიშვნელოვანი ფენომენის შემთხვევაში, სახელმწიფო პოლიტიკის სიმძიმის ცენტრი ცენტრიდან ადგილებზე უნდა იქნეს გადატანილი. ეს იმიტომ, რომ ისინი ყველაზე მტკივნეული და სისხლხორცეულია ხალხისათვის. ეს არის თავისებური სტიმული და გარანტია, რომ თითოეული სოფელი, თემი, მხარე, თითოეული პიროვნება ჩაებას პრობლემის სწორ და სამართლიან გადაწყვეტაში. აი, მაშინ მოხდება ხალხის პოტენციურ შესაძლებლობათა სრული ძალით ამოქმედება.

ადგილებიდან — ცენტრისაკენ, ასეთი უნდა იყოს ენერგეტიკული პოლიტიკის სტრატეგია და არა პირიქით. იგივე შეიძლება ითქვას, სხვათა შორის, თვითონ სახელმწიფო მშენებლობაზეც: ყველაზე მკვიდრ საძირკველს მას სწორედ ადგილებიდან, თითოეული სოფლის, თემის, მხარის თვითმმართველობით შევუქმნით. პრობლემის არსი აქაც იმაში მდგომარეობს, თუ როგორ „ბედნიერად მოვარიგებთ ერთმანეთს" ადგილობრივ და საერთო-ეროვნულ ინტერესებს, უნიტარიზმსა და ფედერალიზმს, რომლის დარეგულირების

პრეროგატივა მხოლოდ ეროვნულ ხელისუფლებას და ეროვნულ კონსტიტუციას აქვს.

იგივე უნდა ითქვას ეროვნულ ეკონომიკაზეც. ელემენტარული ჭეშმარიტებაა — ეროვნული ეკონომიკის გარეშე ვერც ეროვნულ სახელმწიფოს შეექმნით. დღეს ბევრს ვლაპარაკობთ ათასგვარ, მათ შორის საბიუჯეტო კრიზისზეც, მაგრამ განა შეიძლება რაიმეს სტაბილური განვითარება ეროვნული ეკონომიკის სტაბილური განვითარების გარეშე? ასეთ ეკონომიკასაც მხოლოდ ცენტრიდან ვერ შეექმნით. ძლიერი და სტაბილური ეროვნული ეკონომიკა ყველგან ძლიერი და სტაბილური რეგიონალური ეკონომიკებით იქმნება. ასე იყო ისტორიულად, ასე არის დღეს და ასე იქნება მომავალშიც. ამასთან, ყველა ხალხმა და ყველა ქვეყანამ თავისი ხასიათისა და ბუნებრივ-კლიმატური პირობების შესატყვისი ეკონომიკა, სამეურნეო ცხოვრების წესი და ტრადიციები ჩამოაყალიბა. ყველაფერი ეს ქმნის მოცემული ქვეყნის ეკონომიკურ წყობას და, საერთოდ, ეროვნული ცხოვრების წესს, მის ეროვნულ სიმდიდრეს. ამასთან დაკავშირებით ილია წერდა:

„ჩვენა გვგონია, სიკეთე ჩვენის ეკონომიურის აგებულებისა და წყობისა იმაში ყოფილა, რომ მიწა ცოტად თუ ბევრად უფრო სამართლიანად ყოფილა განაწილებული ჩვენს ხალხში, ვიდრე სადმე სხვაგან. საკვირველია, რომ დღეს-აქამომდე უმამულო, უბინაო კაცი ჩვენში თითქმის არსად არ მოიძებნება... ხსნა ჩვენის ქვეყნისა ამ წყობაში უნდა ყოფილიყო და ვიდრე ამ წყობას უფრთხილდებოდნენ ჩვენი მეფეები, და თუ მეფეები არა, თვითონ ხალხი მაინც, იმ დრომდე ჩვენი ქვეყანა ღონიერი ყოფილა“.[1]

ილია აქ იმ დაკვირვებასაც გვაძლევს, რომ საქართველოში მიწათსარგებლობის ყველაზე ძლიერი მხარე სასოფლო-სათემო საკუთრება იყო, რასაც „ხალხიც უფრთხილდებოდა და მეფენიც“. ამიტომაა, რომ „დღესაც ხალხის გონებაში ვერა თავსდება ის აზრი, რომ ტყე და მინდორი ვისმე საკუთრება იყოს, თუ არა სასოფლო“. ამიტომაც „ჩვენ“ უფრო ძლიერი იყო, ვიდრე „მე“ და ქვეყნის სიძლიერეც და „ეკონომიური ღონიერებაც“ სწორედ ამ ერთობით იკვებებოდა. ქვეყნის არსებული თუ მომავლის პოტენციური სიმდიდრე და „ღონიერებაც“ მხოლოდ მაშინ გვექნება, როცა ხალხიც და ხელისუფლებაც შეძლებს კვლავ „სამართლიანად გაანაწილოს“ მიწა — ჩვენი მთავარი ეროვნული სიმდიდრე. ეს იქნება

---

[1] ილია ჭავჭავაძე, ხუთტომეული, ტ. IV, თბ., 1987, გვ. 151.

ჩვენი ყველას „საერთო ნიადაგზე“ დგომაც და „ბედნიერი მორიგებაც“...

ივანე ჯავახიშვილი „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ წინასიტყვაობაში წერს: „ვინც ამ წიგნს გულდასმით წაიკითხავს, ის დარწმუნდება, რომ ქართველი ერის მოღვაწეობა მარტო პოლიტიკური, სოციალური და კულტურული ასპარეზით არ განისაზღვრება, არამედ ეკონომიკაშიც მას დაუცხრომელი და ნაყოფიერი მუშაობა უწარმოებია“.

ამ ფუნდამენტურ ნაშრომში დიდი ივანე მისთვის დამახასიათებელი მეცნიერული კეთილსინდისიერებით დაწვრილებით გადმოსცემს საქართველოს მთისა და ბარის, მისი ცალკეული რეგიონების და მთლიანად ეროვნული ეკონომიკის წარმოშობისა და განვითარების თავისებურებებს, ტრადიციულ სამეურნეო დარგებს და, ამასთან, მათი არსებობა-განვითარების სამეურნეო-ორგანიზაციულ ფორმებს. სწორედ ეს უკანასკნელნი ხდიდნენ საქართველოს სახალხო მეურნეობას ოპტიმალურს და ეფექტურს ოდითგან. მთავარია, რომ „გულდასმით წავიკითხოთ“ და გავიგოთ ყველაფერი ეს ქვეყნის სამომავლო განვითარებისათვის. იქ, სადაც მემარცვლეობის სტრატეგიულ დარგს ეხება, იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევს მემარცვლეობის ტრადიციულ რეგიონებში ტერასების, სამთო მიწათმოქმედების და განსაკუთრებით კი საამხანაგო-კორპორაციული ერთიანი სისტემის შექმნას.

აი, კიდევ ერთი დასაბუთება ეროვნული ეკონომიკის, განსაკუთრებით კი სასოფლო-სამეურნეო წარმოების საამხანაგო-კორპორაციულ საწყისებზე განვითარების აუცილებლობისა. ეს უნდა გახდეს ჩვენი აგრარული სტრატეგია. მაგალითად გვინდა მოვიყვანოთ კახეთის ეკონომიკა, განსაკუთრებით კი მისი ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი თემი — ქიზიყი და შირაქი — „საქართველოს პურის ბელელი“. აქ ზოგადად ისიც უნდა ითქვას, რომ „ქართული წეს-წყობის აღდგენისათვის“ აუცილებელია საქართველოს ყველა მხარისა და თემების სახალხო მეურნეობის თავისებურებათა გათვალისწინება, მათ შორის მიწის საკუთრებაშიც, ამ საფუძველზე კი შერეული ტიპის მრავალწყობიანი სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკის ფორმირება, რაც ასე დამახასიათებელი იყო ისტორიულად როგორც მთელი ქვეყნის, ისე მისი ცალკეული მხარეებისთვის.

ამის ნიმუშად ქიზიყი გამოდგება. ისტორიულად აქ მიწაზე საკუთრებისა და, მაშასადამე, მეურნეობის წარმოების უაღრესად დიდ მრავალფეროვნებას ვხვდებით. ისიც აღსანიშნავია, რომ კერძო

საკუთრებას აქ აშკარად სჭარბობდა სასოფლო-სათემო საკუთრება. ცხრა ტრადიციული სამეურნეო დარგიდან (მემარცვლეობა, მევენახეობა-მეღვინეობა და მეაბრეშუმობა, როგორც თემის, მხარისა და მთელი ქვეყნის სტრატეგიული დარგები, მესაქონლეობა, მებოსტნეობა, მეხილეობა, მეფუტკრეობა, ეთერზეთოვანი კულტურები, სახელოსნო წარმოება), როგორც წესი, ნახევარზე მეტი სასოფლო-სათემო საკუთრებასა და საკომლო-კორპორაციულ საფუძვლებზე ვითარდებოდა. ეს განსაკუთრებით ითქმის მემარცვლეობაზე, სადაც ხვნიდან დაწყებული, მკით დამთავრებული კომლი, უბანი და სოფელი ერთიან ძალად ერთიანდებოდა. შირაქი და კერძო ყანა წარმოუდგენელი რამ იყო. თვით მევენახეობასა და მესაქონლეობაშიც კი არაიშვიათი იყო საამხანაგო კორპორაციებად გაერთიანება და „საევნახე ადგილებისა“ თუ „სათემო საძოვრების“ კოლექტიური ფლობა. სწორედ ასეთი შეერთებული შრომით და ცხოვრებით იყო ქიზიყი მდიდარი და ძლიერი სულიერ-ხორციელად.

ყველაფერი ეს კი საწყისს და სათავეს სათემო-სასოფლო თვითმმართველობიდან იღებს. მიწის „სამართლიანი განაწილებაც“ მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი. ასეთი განაწილება ბიუროკრატიული მმართველობით გამორიცხულია. აქ გვჭირდება სწორედ ილიასეული „ხალხის თვითმოქმედება და თვითმართველობა“. ქიზიყის თითოეულმა სოფელმა დღესაც ზუსტად იცის თავისი „საყანე მიწების“ საზღვრები შირაქში, ალაზნის ველზე და ივრის-პირეთში. „კომლად“ და საუბნო-სასოფლო „ამხანაგობებად“ გაერთიანებული იურიდიული პირები თვითონვე იზრუნებენ ძველი ტრადიციების აღდგენასა და დაცვაზე. დარწმუნებული ვართ, რომ ასეთი სამართლიანი განაწილებით ბოლო მოეღება დღევანდელ „არენდის არენდას“ და მიწებით სპეკულაციას — მწარმოებელი ძალების განვითარების პირველ მტერს, ნდობას რომ აკარგვინებს სახელმწიფოსადმი ხალხს. ამით მკვიდრი საფუძველი ჩაეყრება რეგიონალურ ეკონომიკას და მასთან ერთად მთელ ეროვნულ ეკონომიკასაც, რამეთუ ეს უკანასკნელი ისტორიულადაც და თანამედროვე გაგებითაც სხვა არაფერია, თუ არა რეგიონალურ ეკონომიკათა ურთიერთგამაპირობებული თავისებური არითმეტიკული ჯამი.

მთავარი აქაც ხელისუფლების პოლიტიკური ნებაა, ეკონომიკური პოლიტიკის სწორი სტრატეგიის შეშუშავება და განხორციელებაა. საამისოდ ახალმა პარლამენტმა დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს რეფორმების გადასინჯვის საქმე ცენტრშიც და ადგილებზეც. იგი მჭიდროდ უნდა დაუკავშიროს ჩვენს ეროვნულ თავისებურებებს. განვლილმა წლებმა გვიჩვენა, რომ არასწორი გზით წარმარ-

თული რეფორმები პირუკუ შედეგებს იძლევა — სახალხო მეურნეობის განვითარების ნაცვლად, ხდება მისი თვით სტრატეგიული დარგების და, მათთან ერთად, ერის ძირითადი მწარმოებელი ძალების დეგრადაცია. ეს კიდევ ერთხელ მიგვითითებს რეფორმების კორექტირების აუცილებლობაზე. რაც მალე დავიწყებთ მას, მით უკეთესი ჩვენთვის.

ქართული სახელმწიფოს ბედი ეკონომიკაში წყდება: ან ჩვენ დავამარცხებთ კორუფციას და ჯანსაღ ეროვნულ ეკონომიკას შევქმნით, ანდა კორუფცია კიდევ უფრო ღრმა მეტასტაზებს გაუშვებს ეროვნული ცხოვრების ყველა სფეროში და ამით ქვეყანას მართლაც კლანების სათარეშო „ბანანის რესპუბლიკად“ ვაქცევთ. ალბათ, კორუფცია ისეთი მასობრივი მოვლენა გახდა, რომ იგი გაერთიანდა მთელ ხალხთან, რითაც მახინჯი ეკონომიკური ურთიერთობანი ცხოვრების წესად აქცია. საჭიროა, რომ სახელწიფო გაერთიანდეს ხალხთან ჯანსაღი ეკონომიკური ურთიერთობებისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დასამკვიდრებლად. ილიას უყვარდა ოქმა — ქართველებს მხოლოდ მაშინ გვეშველება, როცა საქმით ვისწავლით ფულის კეთებას და გამდიდრებას. საქმე და მხოლოდ საქმე გამოგვიყვანს დღესაც ასე გაჭიანურებული საერთო-ეროვნული კრიზისიდან. საქმის, შრომის, ადამიანის ზნეობრიობის აღმატებულობის საილუსტრაციოდ ილიას მოჰყავს ხალხში გავრცელებული ანდაზა — „ვაჟკაც გულადზე მშრომელი სამის გაფრენით მეტია“. ჩვენც სწორედ ისეთი ქართული სახელმწიფო უნდა შევქმნათ, სადაც „შრომის სუფევა“ გახდება უმაღლესი ღირებულება და პიროვნული ღირსების საქმე. ზნეობრიობისაკენ ასეთი შემობრუნება გადაგვარჩენს ჩვენც და ჩვენს ქვეყანასაც. „საქმის რევოლუცია“ — აი, რა გვჭირდება დღეს...

XXI საუკუნე უკვე დღეს „იდეების საუკუნედ“ მონათლეს და ერის ინტელექტუალური ძალების ვალია მოძებნოს ძლიერი ქართული სახელმწიფოს ფორმირების იდეური წანამძღვრები. ამით მან გვერდში უნდა ამოიყენოს მწარმოებელი ძალები ამ დიდი საერთოეროვნული მიზნისათვის ბრძოლაში. უამრავი რეზერვი აქვს ჩვენს ქვეყანას, მის ცალკეულ მხარეებს ამ საშვილიშვილო მიზნის მისაღწევად. აქაც ახლებური ხედვა, ახლებური მიდგომა გვჭირდება. ისევ ქიზიყი რომ ავიღოთ, გარდა ტრადიციული დარგების აღორძინებისა, უამრავი ახალი იდეა შეიძლება ჩაიდოს მის ასაღორძინებლად: ეს არის თუნდაც ნავთობი და გაზი, რომლის საძიებო-სამუშაოები წლების მანძილზე ასე ჭიანურდება, შირაქში შერეული ტიპის მემარცვლეობის დიდი სახელმწიფო კორპორაციის შექმნა,

რომელიც ისევ „საქართველოს პურის ბელლად“ აქცევს მას, ასეთივე კორპორაციის შექმნა მეაბრეშუმეობისა და ეთერზეთოვანი კულტურების განვითარებისთვის, კარბიტის წარმოება ალაზნის ველსა და ივრისპირეთში, სადაც ამისთვის უაღრესად პერსპექტიული სანედლეულო ბაზა აღმოჩნდა, ტყავის წარმოების აღორძინება-განვითარება, დედოფლისწყარო-მინგეჩაურის და წნორი-ბელექნის რკინიგზის ხაზის მშენებლობა, რითაც ქიზიყს და მთელ კახეთს გზა გაეხსნება აღმოსავლეთისკენ...

„დღეს მძლეთა მძლეა გარჯა, შრომა და ნაშრომის გაფრთხილება, შენახვა, პატრონობა და მომჭირნეობა... ტყე-მინდორი, მთა-ბარი, მიწა-წყალი, ჰავა-ჰაერი — იმისთანა გვაქვს, რომ რა გინდა სულო და გულო — არ მოიპოვო, ოღონდ ხელი გასძარ“. და იქვე იმის ახსნა, თუ რატომ ვართ მაინც ღარიბები, „სხვათა ხელისშემყურნე და უცხო ბაძის მონები“: „არ ვიცით — რანი ვყოფილვართ, არ ვხედავთ — რანი ვართ, ვერ გამოგვისახია — რანი ვიქნებით“.[1]

აი, მთავარი იდეა-დილემა ძნელბედობაგამოვლილი ქართველობისა და, ამასთან, მთავარი პრობლემა და სამომავლო ამოცანაც ხვალინდელი საქართველოსი: აღვადგინოთ ქვეყნის ბუნებრივ-ისტორიული განვითარების მაგისტრალური გზა ეროვნული ცხოვრების ყველა სფეროში სახელწიფოს პოლიტიკური ორგანიზაციით და ეროვნული ეკონომიკით დაწყებული და ოჯახით და „ჩვეულებითი სამართალით“ დამთავრებული. ამ უკანასკნელს ილია ხშირად „ბუნებითი სამართლის“ სახელითაც მოიხსენიებს და სიამაყით აღნიშნავს, რომ, ინგლისის მსგავსად, სამართლის კულტურას ღრმა ფესვები აქვს გამჯდარი ჩვენშიც. „ჩვეულებითი, ანუ ბუნებითი სამართალი უფრო მისაღებია ხოლმე ხალხისათვის იმიტომ, რომ იგი თვით ხალხისაგანვე არის დადგენილი“. იგივე შეფასებას აძლევენ მას ივანე ჯავახიშვილი, ვაჟა-ფშაველა, არჩილ ჯორჯაძე და სხვა ჩვენი დიდი ერისკაცები. ჩვენ კი დღეს ჩვენი ისტორიის ეს დიდი განძი და მემკვიდრეობა ე.წ. „შავი სამყაროს ავტორიტეტების“ ანაბარად მივაგდეთ, მათ საპარპაშო იარაღად ვაქციეთ, ნაცვლად მოქმედ კანონმდებლობაში მათი ორგანული ჩართვისა ხალხისათვის გასაგები და მისაღები ფორმითა და შინაარსით. ქვეყანაში, სადაც ქურდები არჩევენ საქმეებს, დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფო ვერ ჩამოყალიბდება.

ქართული სახელმწიფოს „ყოფნა-არყოფნის“ ამ დილემის გადასაწყვეტად ყველამ ერთად უნდა ვიბრძოლოთ — ხელისუფლებამ,

---

[1] ილია ჭავჭავაძე, ხუთტომეული, ტ. IV, თბ., 1987, გვ. 174-175.

მისმა ოპოზიციამ, მთელმა საზოგადოებამ. გვაქვს კი ამის პოლიტიკური კულტურა და პოლიტიკური ნება? პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ არა. ისიც კი ვერ გაგვიგია, რომ ხელისუფლება და ოპოზიცია ერთმანეთის მტრები კი არ არიან, არამედ პარტნიორები და, თუ გნებავთ, მეგობრებიც. ქვეყანა ვერასოდეს ვერ წავა წინ, თუ პოლიტიკური კულტურის ამ ანბანს არ დავეუფლებით. რაც კი რამ ავი გადაგვხვდა დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან დღემდე — სისხლისღვრა, ნგრევა, მატერიალური და სულიერი გაღატაკება, ამ ანბანის უცოდინრობა-უგულებელყოფამ მოგვიტანა...

ახლაც, მოახლოებული საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების წინ, მოსისხლე მტრებივით ვართ ერთმანეთზე თვალმიბჯენილნი, თითქოსდა, მტრებით გარშემორტყმულნი არ ვიყოთ ირგვლივ. ამ ნამდვილ მტრებს კი ვერასოდეს დავამარცხებთ, თუ ჩვენ ქართული სახელმწიფოს მშენებლობას „ყველა საზოგადოებრივ ძალთა ბედნიერი მორიგების“ პრინციპზე არ დავაფუძნებთ. ესეც ილიას პოლიტიკური მემკვიდრეობის და, მასთან ერთად, ჩვენი პოლიტიკური კულტურის ანბანური ჭეშმარიტებაა. რაც მალე დავეუფლებით და გავითავისებთ მას, მით უკეთესი. მივიხედ-მოვიხედოთ ირგვლივ — მთელი ჩვენი გარემომცველი სინამდვილე მზის სისტემიდან დაწყებული და თითოეული ჩვენთაგანის აზროვნებით დამთავრებული, დაპირისპირებულ ძალთა და აზრთა „ბედნიერი მორიგებით“ ინარჩუნებს არსებობას და სტაბილურ განვითარებას. ვერც ერთი ჩვენთაგანი ვერ მიიღებს ვერასოდეს რაიმე ნორმალურ გადაწყვეტილებას, თუ ვერ შეძლებს მოძალებულ დაპირისპირებულ აზრთა ერთმანეთთან დაბალანსებასა და „ბედნიერ მორიგებას“. განა ნებისმიერი სახელმწიფოს სტაბილურობის დასაყრდენი ძალა, ე.წ. „დიდი საშუალო კლასი“ საზოგადოების შემადგენელი სხვადასხვა სოციალური ფენების ერთმანეთთან ასეთივე „ბედნიერი მორიგებით“ არ წარმოიშვება?! „საერთო ნიადაგის“ თეორიის არსიც ამ [illegible] რომ ერთმანეთში „ბედნიერად მოვარიგოთ“ პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესები „ერთმანეთის დაუმონებლად და შეუბღალავად“...

შემომქმედმა ჩვენს ერს და ქვეყანას თავისი სავალი გზა, ცხოვრების თავისი წესი და ტრადიციები დაუწესა: ქართული ოჯახი, ქალის ადგილი და როლი ოჯახში, საზოგადოებაში და სახელმწიფოში, მშობლებისა და შვილების, ნათესაური და სამეზობლო ურთიერთობის ძველი ტრადიციები, ქცევის წესები და ზნეობრივი ნორმები, ყოფა-ცხოვრების, ჭირისა თუ ლხინის ეროვნული თავისებურებანი, ტრადიციები და წეს-ჩვეულებანი აუცილებლად

უნდა გახდეს ქართული სახელმწიფოს მშენებლობისა და მისი შემდგომი სრულყოფა-განვითარების სტრატეგია. ყველაფერი ეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს დღეს გლობალიზაციის სულ უფრო მზარდი პროცესების პირობებში.

კაცობრიობა შედის თავისი ისტორიული განვითარების ისეთ პერიოდში, როცა განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის სულიერი საწყისების, ათასწლეულებში გამომუშავებული მისი ცხოვრების ზნეობრივი ნორმებისა და ღირებულებების შენარჩუნებასა და დაცვას. მატერიალური მოთხოვნილებების, ფიზიკური და ფიზიოლოგიური ინსტინქტების დაკმაყოფილების შიშველმა და აღვირახსნილმა ჟინმა ადამიანის ზნეობრიობა და სულიერება ძირს დასცა და გააღატაკა. ჩვენს თვალწინ ადამიანისა და საზოგადოების სულიერების სრული დეგრადაცია-დევალვაცია ხდება ყველგან. მეცნიერების და ტექნიკის არნახულმა მიღწევებმა, სამწუხაროდ, ადამიანი კიდევ უფრო დააშორა ადამიანობის მთავარ და განმსაზღვრელ ფსიქო-გენეტიკურ და სულიერ საწყისებს. ჯერ კიდევ 100 წლის წინ სტატიაში – „მეცხრამეტე საუკუნე" ილია აღნიშნავდა, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, მისი „სასწაულებრივი მიღწევები" სრულებითაც არ ნიშნავს „ზნეობრივ აღმატებას". სწორედ რომ პირიქით, ხაზს უსვამს იგი. კიდევ უფრო მეტად ითქმის ეს ჩვენს ეპოქაზე.

ასეთ საერთო-გლობალურ პირობებში ქართულმა სახელმწიფომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს ერის სულიერი საწყისების, მისი ზნეობრივი სიჯანსაღის, კულტურის, განათლების, მეცნიერების ძველი ეროვნული ტრადიციებისა და ფესვების მოძიებასა და აღდგენა-გათავისებას. აქ ჩვენ ხელს არავინ შეგვაშველებს. კოსმოპოლიტიზმს და გლობალიზმს საქმე იქითკენ მიჰყავს, რომ, როგორც იტყვიან, ყველა ერთ დიდ კოსმოპოლიტურ ქვაბში მოვიხარშოთ. ამიტომ დღესაც განსაკუთრებული აქტუალობით ჟღერს „ნაციონალიზმის ბურჯის" – ილიას გენიოსურად მარტივი შეგონება – „ჩვენს იქით ჩვენი ხსნა მხოლოდ ტკბილი სიზმარია!". ამით იგი იმას გვეუბნება, რომ ჩვენი „ხსნის გზა" არც დასავლეთშია და არც ჩრდილოეთში, არც აღმოსავლეთით და არც სამხრეთით. იგი აქვე, ჩვენს ხალხში და ჩვენს ქვეყანაშია, ჩვენი წარსულის, აწმყოს და მომავლის „ბედნიერ მორიგებაშია". ყველაფერს ამას კი სჭირდება ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგია და ეროვნული ეკონომიკა, როგორც ქართული სახელმწიფოს აუცილებელი წანამძღვრები, წანამძღვრები, რომლებსაც „საერთო ნიადაგის" თეორია გვაძლევს.

* *
*

მკითხველმა შეიძლება ბევრი რამ ჩვენი კონცეფტუალური ხედვიდან საკამათოდ და მიუღებლადაც მიიჩნიოს, მაგრამ ერთი რამ უდავო უნდა იყოს: ჩვენ ვიძლევით ქართული სახელმწიფოს მშენებლობისათვის არა მზამზარეულ რეცეპტებს, არამედ გარკვეულ მასალას, პოლიტიკურ, სამართლებრივ და სოციალურ-ეკონომიკურ პრინციპთა ჩვენეულ გააზრებას შემდგომი ანალიზისა და გადაწყვეტისათვის. მიზანი ერთია — რაც შეიძლება მეტი ადამიანი, საზოგადოების რაც შეიძლება ფართო ფენები ჩაებნენ „ტაძრისაკენ" მიმავალი ჭეშმარიტი გზის ძიებაში.

მთავარია გავარკვიოთ, თუ ვისი და რისი მემკვიდრენი ვართ, როგორც ილია იტყოდა, „საიდან მოვდივართ და საით მივდივართ". ეს ჩვენი სისხლხორცეული საქმეა, საქმე, რომელიც, ალბათ, ამ საუკუნეს და ამ ათასწლეულს გასწვდება და მისი დაწყება და სწორი გზით წარმართვა უკვე ნახევარი გამარჯვებაა. ამ მხრივ „ილიას გზას — საქართველოს ახალ ოქროვან ხანას" ალტერნატივა არა აქვს...

ისტორიასაც რომ გადავხედოთ — ამ ჩვენს ყველაზე დიდ მასწავლებელს, ვნახავთ: მსოფლიოში არსებულ ყველა წარმატებულ სახელმწიფოს თავისი იდეოლოგი და თავისი „ალმაშენებელი" ჰყავდა. ამ თვალსაზრისით, ქართული სახელმწიფოს ყველაზე დიდი არქიტექტორი დავით ალმაშენებელია. მაგრამ, სამწუხაროდ, „ოქროვანი ხანის ქართული სახელმწიფოს" ტრადიციებმა შემდგომი განვითარება ვერარ პოვეს. თითქმის 800-წლიანმა „ძნელბედობამ — შავით მოსილმა საქართველოს შავმა ბედმა წარახდინა ქართველთა სახელი და ქართული წეს-წყობა" (ილია).

ამოცანაც ის არის, რომ „მომავალი მივცეთ ხალხს", საქართველოს „დიდების დღენის ალდგენას" და მის ახალ ოქროვან ხანას, რომლის უპირველესი იდეოლოგი და გზამკვლევი ილია და მისი „საერთო ნიადაგის" თეორიაა. ამ თეორიის ძირითადი პრინციპები სათანადო პოლიტოლოგიურ კვლევას და პრაქტიკაში განხორციელებას ელიან. ჩვენი და ჩვენი შემდგომი თაობების პოლიტიკური ნება და პასუხისმგებლობაც იმით შეფასდება, რამდენად შევძლებთ ამას.

ზუსტად 1000 წლის წინ დავით აღმაშენებელმა რუის-ურბნისის საეკლესიო კრებით ახალი მუსტი და ძალისხმევა მისცა ქართული სახელმწიფოს განვითარებას, რაც საბოლოოდ კავკასიურ ფედერაციად გარდაიქმნა „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე და ოესეთიდგანა არეგაწამდე“... ეს იყო მაშინდელი ეპოქის თავისებური იდეური რევოლუცია, ერისა და ბერის სულიერი განწმენდა და „საერთო ნიადაგზე დგომა“. გიორგი II ბედოვლათობით დანგრეულმა და გაპარტახებულმა ქვეყანამაც მალე „ერთნებობა-თანადგომით“ თავისი საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების „ოქროვანი ხანა“ ნახა, ეროვნული სიამაყით რომ აგვავსებს ყველას...

დღესაც ერისა და ბერის ზნეობრივი განწმენდა და იდეური რევოლუცია გადაარჩენს ქვეყანას, „საერთო ნიადაგზე დგომა და ერთნებობა-თანადგომა“. ყველაფერს ამას დღევანდელი ტერმინოლოგიით ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგია, ანდა, მეორენაირად, პოლიტიკური იდეოლოგია ჰქვია. მის ძირითად პრინციპებს ილია ჭავჭავაძემ ჩაუყარა საფუძველი „საერთო ნიადაგის“ თეორიით. არსი ამ თეორიისაც და ილიას მთელი პოლიტიკური მემკვიდრეობისაც ერთია — ერთიან და ძლიერ პოლიტიკურ ორგანიზმად შეკრას ქვეყნის შემადგენელი ყველა სოციალური ფენა და საზოგადოებრივი ძალა, რათა ძლიერი „ჩვენ“ გაბატონდეს სუსტ „მე“-ზე.

დავითმა და მისმა „გუნდმა“ — მაშინდელმა ჩვენმა იდეოლოგებმა და პოლიტიკურმა ელიტამ — გიორგი ჭყონდიდელმა, არსენ იყალთოელმა, იოანე პეტრიწმა, გიორგი ათონელმა და სხვებმა და სხვებმა შეძლეს ეს. ცალკე კაცის კეთილდღეობა მჭიდროდ გადაეწასკვა ერისა და ქვეყნის კეთილდღეობას. ამას გვიკიჟინებდა და გვიკიჟინებს დღესაც ილია: „ტყუილა ჰგონიათ, რომ შესაძლო იყოს ვინმე კერძო კაცმა მთელი ხალხის გარეთ ცალკე ბედნიერება შემოიღობოს“. ბედნიერება და კეთილდღეობა კაცისა და ქვეყნისაც განუყოფელია ერთმანეთისგან და სწორედ საერთო-საქვეყნო კეთილდღეობისაკენ მიმავალი გზის ძიებაში იშვა „საერთო ნიადაგის“ თეორია.

დემოკრატიაც, რომელიც დღეს ყველას პირზე გვაკერია, სხვა არაფერია, თუ არა ერისა და ბერის „ერთნებობა-თანადგომა და საერთო ნიადაგზე დგომა", ძლიერი „ჩვენი"-ს გაბატონება მთელი ქვეყნის საკეთილდღეოდ. აქაც შეიძლება გარკვეული ფესვების მოძიება ჩვენს უმდიდრეს და უძველეს ეროვნულ მემკვიდრეობაში, თუკი ამ მიზანს დავისახავთ. მარტო ათონის მონასტერში გიორგი ათონელის მიერ დამკვიდრებული „წილნაყრობის" (იგივე არჩევნების) პრინციპი რამდენს ლაპარაკობს ამაზე! „ყველაფერი ახალი კარგად დავიწყებული ძველია" და მომავალი ქართული სახელმწიფოც ამ დავიწყებულის გამოცოცხლებითა და გათავისება-გათანამედროვეობით უნდა ვპოვოთ. „ეძიებდე და ჰპოვებდეო" — გვეუბნება ძველი სიბრძნეც...

ყველაზე ერთგული და უტყუარი მეგზური კი ამ ძიებაში ილია და მისი „საერთო ნიადაგის" თეორიაა. ჩვენი სადისკუსიო კლუბის — „ქართული სახელმწიფოს" მომავალი მუშაობაც სწორედ ამ თეორიის და მისი ავტორის მეგზურობით წარიმართება....

Р Е З Ю М Е

Представленные в сборнике статьи передают концептуальное видение строительства грузинской государственности в переходном периоде. Эта концепция основана на 3-х фундаментальных принципах:

1. Общетеоретические и политические принципы
2. Пути и средства формирования национальной экономики
3. Правовые и социальные принципы новой грузинской государственности

Соответственно с этим в статьях авторов – Левана Саникидзе, Ладо Чануквадзе, Омара Гогиашвили, Автандила Туквадзе и Элберда Батиашвили – исследуются общетеоретические и политические принципы государственного строительства.

Проблемы формирования национальной экономики исследованы в статьях Нодара Читанава, Элгуджи Мсквабишвили и Левана Небиеридзе, а социальные и правовые проблемы - в статьях Тамары Кикнадзе, Джемала Гахокидзе, Звиада Абашидзе, Давида Шарабидзе, Гоги Цховребадзе, Джеина Окруашвили, Давида Лобжанидзе, Марины Джамалашвили, Мадоны Брегвадзе, Шорены Хотивришвили, Екатерины Гахокидзе, Гурама Абесадзе.

Концептуальное видение грузинской государственности представляется результатом коллективной работы дискуссионного клуба «Грузинское государство» Центра политических исследований Тбилисского государственного университета имени Иванэ Джавахишвили. Мы не имеем претензий на то, что наша концепция является идеальной и совершенной, но, по нашему мнению, она дает обществу основу для раздумий и дальнейших исследований.

Недостатком и ошибкой переходного периода мы считаем то, что в минувшие годы меньше внимания уделяли национальному наследию и в решении любой проблемы государственного строительства на первый план выдвигали международный опыт, что нередко проявлялось в слепом подражании всему иностранному, его механическом переносе и внедрении.

Разумеется, новая грузинская государственность не может быть сформирована в результате какого-то одноразового акта. Она может явиться итогом лишь продолжительного исторического процесса, на что требуются усилия нескольких поколений. Процесс этот можно осуществить на основе использования накопленного в современном мире разностороннего международного опыта демократического развития и, вместе с тем, нашего древнейшего и богатейшего национального наследия.

При этом акцент должен быть сделан на прикладном политологическом исследовании национального наследия и вообще национально-государственной идеологии. Примером может послужить принцип и метод «счастливого примирения» и теория «общей почвы» Ильи Чавчавадзе.

Главная движущая сила существования и развития личности, общества и государства – «счастливое примирение противоположностей без порабощения и ущемления друг другом». Илья Чавчавадзе творчески развил гегелевский принцип диалектики – «Закон единства и борьбы противоположностей» и придал ему вместо революционного эволюционный характер по отношению ко всем трем сферам окружающей действительности – мышлению, обществу и вселенной.

Главный общесоциологический принцип теории «общей почвы» – восстановление и дальнейшее развитие прерванного процесса естественноисторического развития страны. Для Ильи Чавчавадзе альтернативы этому процессу не существует. «Жизнь упряма и не делится на придуманные человеком части». «Нельзя распоряжаться жизнью людей с помощью крови и меча – только счастливое примирение противоположных идей и сил приведет человека и человечество к истине».

Основные принципы «общей почвы» Илья Чавчавадзе представлены нами ниже в виде тезисов:

I. В первенстве и большой преобразующей силе духовного и психического, идеи, слова, мысли видел Илья Чавчавадзе спасение страны и будущий путь грузинской нации.

«Все героические поступки и великие дела – лишь от силы духа, а не плоти». В основу национально-государственной идеологии – главной предпосылки строительства Грузинского государства должны быть заложены в качестве фундамента национальный дух и его психогенетический код.

II. У грузинской нации свои генетически врожденные и утвержденные естественноисторическим развитием страны национальные особенности, исторический опыт и традиции, что обязательно следует учитывать в процессе формирования грузинской государственности. Альтернативы использованию национального наследия нет ни в одной сфере духовного и материального бытия нации. «Новую Грузию можно возродить лишь из древней в подражание своим предкам, а не кому-то иному».

III. Один из наиболее значительных элементов «грузинского государственного строя» – грузинское право. Грузинское государство должно опираться, прежде всего, на выработанные в веках, а не переведенные и приспособленные к грузинской действительности нормы и

законы других стран. В правосудии особое внимание следует уделять праву по обычаям, из которого возникло вообще грузинское право: «Обычное, то есть естественное право, более приемлемо для народа, поскольку установлено и узаконено им самим».

IV. «Нация как единение историей сплоченных по духу и плоти людей» достигнет духовного и материального превосходства лишь объединившись в единый политический и социальный организм. «Общая почва, единая воля, взаимная поддержка, единая для всех общественных сил коллея – залог непобедимости нации». Это стратегия и магистральный путь исторического развития грузинской нации.

V. Идеал грузинской государственности – «Грузия золотого периода». Восстановление, возрождение ее правовых, политических и социально-экономических принципов, придание им современного вида – стратегическая задача и главная политическая цель переходного периода.

VI. Мы сможем «восстановить времена величия Грузии» при условии, что каждый из нас будет охвачен ностальгией и тоской по тем дням прежнего величия, «будет дышать их ароматом». Только придав целостный и современный вид «усилиям» Давида Агмашенебели и «направлению милосердия» – царицы Тамар, справимся мы с формированием Грузинского государства и его дальнейшим стабильным развитием. А это возможно лишь в случае, если народ и власти будут вместе – «в единой упряжке».

VII. Мы сможем восстановить скомпрометированную в годы лихолетья репутацию грузин и грузинский государственный строй только путем приведения в действие большой и целенаправленной потенциальной энергии народа. Этого можно достичь лишь самоуправлением: «Наше спасение в самостоятельных действиях и народном самоуправлении».

VIII. Политический идеал «грузинского государственного строя», будущего Грузинского государства – «Грузия сабли и сохи и царская корона». Упрочение государственного строя конституционной монархии – это своеобразное восстановление и продолжение естественноисторического развития Грузии, института «Исанского шатра». Как и в других конституционных государствах мира, в Грузии конституционная монархия – гарантия достижения национального единства, возвращения к древним историческим корням, укрепления национальных традиций, нравов и обычаев, стабильного и мирного развития страны.

IX. Следует восстановить древнюю историческую схему административно-территориального устройства Грузии, естественноисторическое деление на регионы сформировавшейся в столетиях страны: село-

община-край – вот порожденное таким развитием страны оптимальное административно-территориальное деление на регионы. Это положит конец навязанным в недалеком прошлом метрополией строго централизованным бюрократическим структурам и правлению, представляющим главный источник коррупции и мафиозных кланов.

X. Построить управленческую структуру Грузинского государства следует, усреднив определенным образом принципы унитаризма и федерализма, найдя, в том числе, «золотую середину» и придя к «счастливому примирению». Унитаризм и федерализм – не взаимоисключающие, а совместимые принципы. Наряду с широким местным самоуправлением и автономным управлением сторон, надо строго и четко определить общенациональные интересы и функции. Безопасность и оборона, внешняя, финансовая, налоговая, таможенная, экологическая и демографическая политика – прерогатива центральной власти.

XI. Законодательная власть Грузинского государства состоит из двухпалатного «Совета наций». Первую палату «Совета наций» представляет все население страны, а вторую – депутаты сторон. Численность обеих палат Совета наций не должна превышать 100-120 человек, а зарплата – среднюю оплату труда. У отдельных сторон есть однопалатный «Совет наций» с пропорциональным представительством сел и общин.

XII. Исполнительную власть Грузинского государства представляет утвержденное «Советом наций», подотчетное только ему правительство. Правительства сторон избираются «Советом наций» сторон, а власти общины и села – местными сакребуло. Все три ветви власти должны быть основаны на древних национальных традициях «дешевого правительства» и «скорого суда».

XIII. Судебную власть на местах представляют избранные народом судьи. У каждого села свой судья и исполнитель (староста), получающий зарплату, как и учителя, врачи, полицейские, сборщики налогов, из местного бюджета, главный источник которого – земельный налог и налог с местного производства.

XIV. Экономическая основа Грузинского государства – многоукладный хозяйственный строй в 5 традиционных национальных формах собственности на землю: 1) частной подворной; 2) сельской общинной; 3) казенной; 4) церковной и монастырской и 5) переселенческой (временной). Две трети земельного налога, как и других сборов, остается на месте, остальное перечисляется в центральный бюджет. «Нужно и проблемы местных жителей... решать на месте. И центральной власти будет легче управлять...»

XV. Национальной экономике как своего рода конгломерату региональных видов экономики следует придерживаться своих приоритетов и экономической стратегии. В условиях Грузии – это аграрно-индустриальная стратегия общественно-экономического развития страны. «Какое бы развитие ни получила в ней индустрия, Грузия должна все же остаться «страной земли и сохи».

XVI. Характер и исторически сложившийся образ жизни грузинской нации всегда были связаны с землей и селом, а основной производительной силой нации являлось «наше трудолюбивое и рассудительное крестьянство – душа и сердце наших национальных надежд». Поэтому экономическая политика Грузинского государства должна быть направлена на всяческое содействие развитию связанных с селом и сельским хозяйством промышленных отраслей (перерабатывающей и пищевой промышленности, сельскохозяйственного машиностроения, энергетики, легкой промышленности, малой и горной механизации).

XVII. Горные регионы исторически всегда были панацеей для Грузии – спасителями грузинской нации в прямом и переносном смысле. Их социально-экономическое возрождение и дальнейшее развитие – одна из важнейших задач Грузинского государства. Более 80% территории страны – гористая местность и создавшийся здесь сегодня вакуум, дальнейшее продолжение процесса ее заселения представителями других национальностей, а также урбанизация могут принести непоправимый ущерб Грузии и будущему развитию нации. «Горы всегда были и впредь должны остаться основой грузинского государственного строя».

XVIII. «Двор (дым) в древней Грузии представлял не только хозяйственный, но и общественный организм. На него рассчитывалось все – труд, пошлина, налоги, управления селом, призыв в армию. Восстановление и приведение в современный вид основанной на кровном родстве хозяйственной и общественной функции института двора, старинных корпоративно-товарищеских традиций «главы двора», «пахаря», «членов двора» и «пахотных товариществ» представляет обязательную предпосылку решения проблем сельского самоуправления, социально-экономического развития села, правопорядка, образования, здравоохранения и социальной защиты на селе.

XIX. Грузии надлежит активно присоединиться к осуществляемым процессам глобальной и региональной интеграции, формированию «нового мирового порядка». «К чести для нас следует сказать, что грузинам никогда не были чужды общечеловеческие идеалы и ценности».

XX. Национальная и региональная терпимость – органическая часть исторического развития нашей страны и национального характера. Престиж и могущество Грузии в «золотой период» снискали ей то, что она стала надежным прибежищем для изгнанных из других стран. «Грузинам не свойственна ненависть... Противостоящая ненависти любовь – суть великодушия грузина». И сегодня, и в будущем формирование Грузинского государства должно основываться на этих принципах толерантности.

XXI. Грузинскому государству следует поддерживать добрососедские отношения со всеми странами мира и евразийского пространства, но особенно со странами Кавказа. И исторически общественно-экономическое развитие Грузии было органично переплетено с Кавказом и сама «Грузия золотого периода от Никопсии до Дербента и от Овсети до Арегаца» фактически представляла Кавказское государство, своего рода Кавказские Соединенные Штаты или подобное Швейцарской Конфедерации политическое образование. В поэме «Мать грузина» Илья Чавчавадзе замечательно выразил идею солидарности грузинского народа с народами Кавказа. «Свобода Грузии и всего Кавказа!» – и сегодня этот призыв должен быть нашим идеалом.

XXII. Создание национального государства – сложный, преисполненный противоречий процесс, тем более в условиях глобализации, когда крупнейшие международные корпорации стремятся превратить мир в свой образ и подобие, свою вотчину и рынок сбыта. Такая закономерность денежно-товарных отношений капитализма зародилась еще при Ильс Чавчавадзе. «Безденежная нация – пастбище денежной, ее источнику», – писал он и одной из альтернатив спасения нации считал «принадлежность самим себе». «Наше спасение вне самих себя – лишь сладкий сон», – предупреждал Илья Чавчавадзе.

Главная задача государственного строительства переходного периода сейчас заключается в том, чтобы придать прикладной характер этим принципам теории «общей почвы». Дискуссионный клуб «Грузинское государство» и в дальнейшей своей работе будет стремиться к этому.

სარჩევი

წინასიტყვაობა 5

ლევან სანიკიძე, კელავ ილიას გარეშე 11

ლადო ჭანუყვაძე, გარდამავალი პერიოდის არსი და ძირითადი ამოცანები 18

ომარ გოგიაშვილი, აკაბანილი ტუკვაძე, თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური კულტურის ნიშნები 23

ნოდარ ჭითანავა, გარდამავალი პერიოდი და ეროვნული ეკონომიკური სისტემის ფორმების თავისებურებები 41

ელგუჯა ბეჭვანიშვილი, მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია და ერთიანი საგანმანათლებლო სივრცის ჩამოყალიბება 65

ლევან ნებიერიძე, საქართველოს ექსპორტის პრობლემატიკა და საინვესტიციო რისკი 72

გურამ აბესაძე, პოლიტიკური იდეოლოგიის ფორმირების თავისებურებები თანამედროვე საქართველოში 89

თამარ კიკნაძე, გენდერი და მისი არსი 98

ჯემალ გამოკიძე, ახალი მსოფლიო წესრიგი და ეროვნული, რეგიონალური და გლობალური უსაფრთხოება 110

ელბერდ ბატიაშვილი, „საერთო ნიადაგის" თეორია და ქართული სახელმწიფო 120

ზვიად აბაშიძე, ესპანური რეგიონალიზმი და საქართველო 134

ჯეინ ოქრუაშვილი, საქართველოს ადგილი ახალ გეოპოლიტიკურ სივრცეში 153

ეკატერინე გამოკიძე, „შავი PR"-ტექნოლოგიების გამოყენება და მათი ნეგატიური გავლენა საარჩევნო პროცესზე 159

დავით შარაძიძე, ახალი ქართული სახელმწიფოებრიობა და ხელისუფლების ინსტიტუტები 173

მალონა ბრეგაძე, ილია და არტურ ლაისტი ეროვნულისა და ზოგადკაცობრიულის „ბედნიერი მორიგების" თვალთახედვით 180

მარინა ჯამლაშვილი, საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის პრობლემა და ეროვნული მემკვიდრეობა 185

შორეს ხოტევრიშვილი, კონფლიქტები, მათი დარეგულირების
გზები და საშუალებები.....190
გოგი ცხოვრებაძე, ქართული პოლიტიკური პრესა
საზღვარგარეთ.....197
დავით ლობჟანიძე, უნიტარიზმი თუ ფედერალიზმი...
ქართული სახელმწიფოს სამომავლო გზა.....203
**ქართული პოლიტოლოგია და გარდამავალი პერიოდის ქართული
სახელმწიფო.** კონცეფტუალური ხედვა.....212
ბიბლიოგრაფია 245
რეზიუმე (რუსულად).....247

გამომცემლობის რედაქტორი ც. ჯიშკარიანი
ტექნიკური რედაქტორი ფ. ბუდალაშვილი
კორექტორი ნ. ჩახაია

ხელმოწერილია დასაბეჭდად 29.12.03
საბეჭდი ქაღალდი 60X84
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 16
სააღრ.-საგამომც. თაბახი 11,62

შეკვეთის № 41 ტირაჟი 300

ფასი სახელშეკრულებო

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი, 0128, ი. ჭავჭავაძის გამზ., №14.